

TAMAR GEGELIA/GIORGI DAVITURI/GURAM IMNADZE/
GIORGI MAKHARADZE/BACHANA JISHKARIANI

DRUG CRIMES



TBILISI, 2020
PUBLISHING HOUSE „WORLD OF LAWYERS“

თამარ გუგულია/გიორგი დავითური/გურამ იმნაძე/
გიორგი მახარაძე/ბაჩანა ჭიშკარიანი

ნარკოტიკული დანაშაული



თბილისი, 2020
გამომცემლობა „იურისტების საზვართ“



გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

სამეცნიერო რედაქტორი: ბაჩანა ჯიშკარიანი
პროექტის კონსულტანტი: დავით ოთიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექიმი-ნარკოლოგი
დამკაბადონებელი: თამარ ქიტუაშვილი

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფონდის ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ღია საზოგადოების ფონდი, 2020

ISBN 978-9941-9648-7-9

ავტორები

თამარ გეგელია, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი; **თავი III, სსკ-ის 268-274-ე მუხლების კომენტარები.**

გიორგი დავითური, სამართლის მაგისტრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი მრჩეველი; **თავი II.**

გურამ იმნაძე, LL.M. (Sussex), ილიას უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი; **თავი I, V.**

გიორგი მახარაძე, სამართლის მაგისტრი, ადვოკატი; **თავი IV.**

ბაზანა ჯიშკარიანი, LL.M. (München), სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი; **თავი III, სსკ-ის 260-267-ე მუხლების კომენტარები.**

სარჩევი

შემოკლება	11
თავი I. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი, გაეროს კონვენციები და უსხოური გამოცდილება	13
§ 1. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი და საქართველოს ძირითადი ვალდებულებები.....	13
1. შესავალი.....	13
2. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის დასაწყისი - შანხაის კონფერენცია და ჰააგის კონვენცია.....	15
3. ერთა ლიგა და ნარკოტიკებზე კონტროლი 1920-1945 წლებში.....	17
4. ნარკოტიკებზე კონტროლი გაეროს ფარგლებში.....	21
4.1. ძირითადი ორგანოები.....	21
4.2. გაეროს ძირითად კონვენციებამდე მიღებული სამართლებრივი აქტები.....	23
4.3. 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ და მისი დამატებითი ოქმი.....	24
4.4. გაეროს 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე.....	28
4.5. გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.....	31
5. საქართველოს მიერ აღებული დამატებითი საერთაშორისო ვალდებულებები ნარკოპოლიტიკის კუთხით.....	34
§ 2. ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს ზოგადი მიმოხილვა.....	36
თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კრედიტი და დანაშაულისა და სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე: ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური სტანდარტები	41
§ 1. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომების ზოგადი მიმოხილვა დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკასთან დაკავშირებით.....	41
§ 2. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა: სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა.....	43
1. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების ეფექტები.....	43
2. სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა, როგორც აბსოლუტური უფლება.....	45
3. სასჯელის მოცულობის კონსტიტუციურობის შეფასების კრიტერიუმები: აშკარა არაპროპორციულობის ტესტი.....	47
4. ნარკოტიკული დანაშაულებისთვის გათვალისწინებულ სასჯელთა კონსტიტუციურობის შეფასების თავისებურებანი.....	50
4.1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ლეგიტიმური ინტერესები: ქმედების აკრძალვით დაცული სიკეთეები.....	50
4.2. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკულ ბრუნვაში მონაწილეობის ხარისხი.....	52

4.3. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკული საშუალების ქიმიური ეფექტები - საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა.....	54
4.4. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით მცირე, მოსახმარად უვარგისი ოდენობა	57
4.5. დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებული რისკი: ქმედების განმეორებითი ჩადენა.....	58
5. ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის აშკარად არაპროპორციულ სასჯელად კვალიფიკაცია.....	59
§ 3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება: ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ქმედების კრიმინალიზაცია	61
1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შესახებ	61
2. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობის კონსტიტუციურობის შეფასების ტესტი და მისი გამოყენების თავისებურებანი	62
დასკვნა	64

თავი III. ნარკოდანაშაულები ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში **65**

§ 1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხ. 260).....	65
1. ზოგადი მიმოხილვა.....	65
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	68
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	90
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	91
5. სხვა მუხლებთან მიმართება	92
6. თანამონაწილეობა.....	93
7. მომზადება და მცდელობა	94
§ 2. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხ. 261)	97
1. ზოგადი მიმოხილვა.....	97
2. ქმედების შემადგენლობა	97
§ 3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხ. 262).....	99
1. ზოგადი მიმოხილვა.....	99
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	99
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	102
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	102
5. სხვა მუხლებთან მიმართება	103
6. თანამონაწილეობა.....	104
7. მომზადება და მცდელობა	105
§ 4. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო	

გადაზიდვა (მუხ. 263).....	106
§ 5. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხ. 264)	106
1. ზოგადი მიმოხილვა.....	106
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	107
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	109
4. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი	110
5. სხვა მუხლებთან მიმართება	110
6. თანამონაწილეობა.....	110
7. მომზადება და მცდელობა	111
§ 6. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა და კულტივირება (მუხ. 265)	111
1. ზოგადი მიმოხილვა.....	111
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	112
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	114
4. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი	115
5. სხვა მუხლებთან მიმართება	116
6. თანამონაწილეობა.....	116
7. მომზადება და მცდელობა	117
§ 7. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მონაცობა ან შენახვა (მუხ. 266)	117
1. ზოგადი მიმოხილვა.....	117
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	118
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	119
4. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი	119
5. სხვა მუხლებთან მიმართება	119
6. თანამონაწილეობა.....	120
7. მომზადება და მცდელობა	120
§ 8. ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხ. 267)	120
1. ზოგადი მიმოხილვა.....	120
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	121
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	122
4. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი	123
5. სხვა მუხლებთან მიმართება	123
6. თანამონაწილეობა.....	123
7. მომზადება და მცდელობა	123
§ 9. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხ. 268)	124
§ 10. ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხ. 269)	124

1. ზოგადი მიმოხილვა.....	124
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	125
3. დამამძიმებელი გარემოებები	128
4. სხვა მუხლებთან მიმართება.....	129
5. მართლწინააღმდეგობა	129
6. ბრალი	129
§ 11. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხ. 270)	130
§ 12. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხ. 271)	130
1. ზოგადი მიმოხილვა	130
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	131
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	134
4. დამამძიმებელი გარემოებები	134
5. დანაშაულის მომზადება და მცდელობა.....	136
6. დანაშაულში თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა	136
7. სხვა მუხლებთან მიმართება.....	136
8. მართლწინააღმდეგობა.....	137
9. ბრალი	137
§ 13. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება (მუხ. 272)	137
1. ზოგადი მიმოხილვა.....	137
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	140
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	142
4. დამამძიმებელი გარემოებები	143
5. დანაშაულის მომზადება და მცდელობა.....	143
6. თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა.....	144
7. სხვა მუხლებთან მიმართება.....	145
8. მართლწინააღმდეგობა.....	145
9. ბრალი	145
§ 14. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (მუხ. 273)	146
1. ზოგადი მიმოხილვა.....	146
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	149
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	155
4. დანაშაულის მომზადება და მცდელობა.....	155
5. თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა	156
6. სხვა მუხლებთან მიმართება.....	156
7. მართლწინააღმდეგობა.....	159
8. ბრალი	159

§ 15. მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება (მუხ. 273 ¹)	160
1. ზოგადი მიმოხილვა	160
§ 16. იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხ. 274)	162

თავი IV. ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პრაქტიკული საკითხები 164

§ 1. ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიების დაწყება და საგამოძიებო მოქმედებები (სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით)	164
1. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სამართალდამცველების ჩვენების შეფასება	167
2. მტკიცებულებების შეფასება სასამართლოს მიერ და ობიექტური მტკიცებულება	170
3. რა შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ მტკიცებულებად?	171
4. ოპერატიული ინფორმაცია, როგორც მტკიცებულება	174
5. ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით	176
§ 2. სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების საკვანძო საკითხები	177
§ 3. ნარკოტიკული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება	178
§ 4. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება	180
§ 5. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების და მცირე ოდენობით ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა	181
1. კანონმდებლობა და პროცედურა	181
2. მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება	183

თავი V. საერთაშორისო გამოცდილება..... 186

§ 1. საფრანგეთი	186
§ 2. ნიდერლანდები	190
§ 3. გაერთიანებული სამეფო	197
§ 4. შეჯამება	201

გამოყენებული წყაროები..... 203

შემოკლებანი

აბზ.	აბზაცი
ადსკ	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
ა.შ.	ასე შემდეგ
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
დანვრ.	დანვრილებით
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
ნაწ.	ნაწილი
ოსკ	ოპიუმის სათათბირო კომიტეტი
სუსკ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანწყვეტილება/განჩინება
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
ტ.	ტომი
ქვეპ.	ქვეპუნქტი
შეად.	შეადარეთ
შპს	შემლედული პასუხისმგებლობის საზოგადოება
Abs.	Absatz
AG	Amtsgericht
Am.U.L.Rev.	American University Law Review
BayObLGSt	Sammlung der Entscheidungen des Bayerischen Oberlandgerichts in Strafsachen
BtMG	Betäubungsmittelgesetz
Br.J.Am.Leg.St.	British Journal of American Legal Studies
BGH	Bundesgerichtshof
BVerwG	Bundesverwaltungsgericht

BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts
BGHSt Straf-	Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in sachen
Crim. Div.	Criminal division
Cr. App. R.	Criminal Appeal Reports
ECDD	ექსპერტული კომიტეტი ნარკო-დამოკიდებულებაზე
EMCDDA	ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრი
Kap.	Kapitel
LG	Landgericht
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NStZ RR	Neue Zeitschrift für Strafrecht Rechtsprechungs- Report
NVvZ	Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht
NStZ	Neue Zeitschrift für Strafrecht
OLG	Oberlandesgericht
Rn.	Randnummer
StGB	Strafgesetzbuch
StV	Strafverteidiger
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
VLAP	სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა
Vol.	Volume
WLR	Weekly Law Reports
ZRP	Zeitschrift für Rechtspolitik

თავი I. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი, გაეროს კონვენციები და უცხოური გამოცდილება

§ 1. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი და საქართველოს ძირითადი ვალდებულებები

1. შესავალი

ადამიანებს უხსოვარი დროიდან აქვთ ინტერესი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიმართ.¹ არაერთი არქეოლოგიური თუ ისტორიული ფაქტი ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ მესოპოტამიურ, შუმერულ და ძველ-ეგვიპტურ ცივილიზაციებში იყო გავრცელებული სხვადასხვა ნივთიერება, რომლებიც ადამიანებში თრობას იწვევდა.² მეტიც, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრაქტიკა არსებობდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ კაცობრიობა პირველ დამწერლობებს შექმნიდა.³

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებები და, ზოგადად, ნარკოტიკული თრობა უხსოვარი დროიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია, ეს ქცევა ყველა დროსა და გეოგრაფიულ არეალში ერთგვაროვანი მახასიათებლებით არ გამოირჩეოდა. კერძოდ, სხვადასხვა საზოგადოებაში გავრცელებული იყო კონკრეტული ტიპის ნივთიერება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რასაც განაპირობებდა კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორები. მაგალითად, ძველ საბერძნეთსა და რომში გავრცელებული იყო ღვინის კულტურა, სამხრეთ ამერიკის ანდებში მცხოვრები აბორიგენები, ნარკოტიკული თრობის მიზნით, კოკას ფოთლებს ღეჭავდნენ, ხოლო აზიასა და ცენტრალურ აღმოსავლეთში უფრო პოპულარული ჰაშიში იყო.⁴

კონკრეტულ რეგიონში გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებები პირდაპირ იყო დაკავშირებული ადგილობრივ კლიმატთან, კულტურასა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან, ისევე როგორც - მედიცინასთან. საუკუნეების განმავლობაში ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის განვითარების კვლადაკვალ, იზრდებოდა ფსიქოაქტიური ნივთიერებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც.⁵ მე-18 საუკუნის დასაწყისისთვის, საზღვაო ტრანსპორტის განვითარების პარალელურად, ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობა მთელ მსოფლიოში

1 ფსიქოაქტიურ ნივთიერებებში იგულისხმება ყველა ისეთი სუბსტანცია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მის კოგნიტიურ ან აფექტურ უნარებზე. ტერმინი ფსიქოაქტიური არ გულისხმობს მხოლოდ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს და მასში ასევე მოიაზრება ისეთი ლეგალური ნივთიერებები, როგორებიცაა ალკოჰოლი, თამბაქო და სხვ.

2 Berridge, Demons: Our Changing Attitudes to Alcohol, Tobacco & Drugs, 9.

3 Shryock/Smal, Deep History: The Architecture of Past and Present, 103.

4 Seddon, Drugs: Consumption, Addiction, and Treatment, in: *The Oxford Handbook of Criminology*, 706.

5 Shryock/Smal, Deep History: The Architecture of Past and Present, 66.

გავრცელდა. თუმცა, ახალ ტერიტორიებზე იმპორტირებული ნივთიერებები ვეღარ ინარჩუნებდა პირვანდელ რიტუალურ (კულტურულ და რელიგიურ) დანიშნულებას და, ხშირ შემთხვევაში, რეკრეაციულ ან/და სამედიცინო დანიშნულებას იძენდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (შემდგომში - აშშ) უკვე ფართოდ იყო გავრცელებული კოლონიური ქვეყნებიდან შემოტანილი ნარკოტიკები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ოპიუმი მარტივად იყო ხელმისაწვდომი სავაჭრო ობიექტებსა და აფთიაქებში, როგორც ზრდასრულთათვის, ასევე არასრულწლოვნებისთვის. ოპიუმი იყიდებოდა ალკოჰოლთან გაზავებული ფორმითაც (იგივე Laudenum), რის გამოც მისი მოხმარება სერიოზულ რისკებს უკავშირდებოდა და, ხშირ შემთხვევაში, ფატალური შედეგითაც სრულდებოდა.⁶

ევროპაში ოპიუმის გავრცელებისა და მისი მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობის კვალდაკვალ, სულ უფრო იზრდებოდა ამ ნივთიერებაზე სპეციალური კონტროლის დაწესების მოთხოვნა. შექმნილი ვითარებით სარგებლობდნენ ფარმაცევტები და ექიმები, რადგან ისინი სულ უფრო მეტ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას იძენდნენ კონკრეტული ნარკოტიკების (ოპიუმი, ჰეროინი, მორფი) ბრუნვასთან დაკავშირებით. აღნიშნულის დასადასტურებლად, კარგი მაგალითია 1868 წელს ინგლისში მიღებული ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ აქტი, რომელმაც პირველად შეზღუდა ძლიერი ტკივილგამაყუჩებლების ხელმისაწვდომობა და ამ ნივთიერებების ბრუნვაზე ექსკლუზიური უფლებამოსილებები შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმებს მიანიჭა.⁷ ევროპის მსგავსად, ნარკოტიკების გაცემის მხრივ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები ჰქონდათ ექიმებს აშშ-შიც, თუმცა, ევროპისგან განსხვავებით, აქ მოსახლეობა სწორედ ექიმებს ადანაშაულებდა გაზრდილი წამალდამოკიდებულების გამო, რადგან ამის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ნარკოტიკების რეცეპტების მარტივად გაცემა მიიჩნეოდა.

მანამ, სანამ ნარკოტიკების ბრუნვისა და ხელმისაწვდომობის საკითხები კანონმდებლობით მონესრიგდებოდა, ევროპასა და აშშ-ში ფსიქოაქტიური ნივთიერებები არაფორმალურად კლასიფიცირდებოდა „შინაურ“ და „უცხო“ კატეგორიებად.⁸ კონკრეტული ნივთიერების მიმართ არსებული დამოკიდებულებები პირდაპირ უკავშირდებოდა იმას, თუ რამდენად ახლოს იყო კულტურულად ეს სუბსტანცია ამა თუ იმ საზოგადოებასთან. ნივთიერებებისადმი დამოკიდებულებას განაპირობებდა ისიც, თუ ვინ იყო მისი მომხმარებელი. მა-

6 Seddon, *Drugs: Consumption, Addiction, and Treatment*, in: *The Oxford Handbook of Criminology*, 706.

7 Stevens, *Drugs, Crimes and Public Health: The Political Economy of Drug Policy*, 7.

8 Stevens: *Principles, Pragmatism, and Prohibition: Explaining Continuity and Change in British Drug Policy*, in: *The Oxford Handbook of Criminology*, 827.

გალითად, მე-19 საუკუნის აშშ-ში ოპიატების⁹ ძირითადი მომხმარებლები ჩინეთიდან მასობრივად მიგრირებული მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ, რის გამოც ოპიუმის მიმართ საზოგადოებაში ცალსახად უარყოფითი განწყობები წარმოიშვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოაქტიურ თრობას და ზოგადად, ნარკოტიკული ნივთიერებებით ადამიანების დაინტერესებას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ყველა განვითარებულ ცივილიზაციაში გარკვეული დომით გავრცელებული იყო სხვადასხვა ტიპის ფსიქოაქტიური ნივთიერება. კონკრეტული ნივთიერების მიმართ განწყობები კი ყალიბდებოდა და იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ საიდან სად ვრცელდებოდა იგი, ვინ იყო მისი მომხმარებელი, რამდენად ინტენსიური იყო ამ ნივთიერების მოხმარება და რა ეფექტები ჰქონდა მას მომხმარებელზე.

2. ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის დასაწყისი - შანხაის კონფერენცია და ჰააგის კონვენცია

ნარკოპოლიტიკა თავისთავად ატარებს ინტერნაციონალურ ხასიათს და არასდროს რჩება მხოლოდ რომელიმე ქვეყნის შიდა პრობლემად. საერთაშორისო დონეზე, ნარკოტიკების საკითხის ფორმალურად მოწესრიგება მე-20 საუკუნიდან იწყება და პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით 1909 წელს, შანხაიში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გადაიდგა. აღნიშნულ კონფერენციაზე განიხილებოდა ჩინეთში არსებული ოპიუმის ეპიდემია და, ზოგადად, ოპიუმთან დაკავშირებით გასატარებელი გლობალური კონტროლის ზომები.¹⁰

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე, ნარკოტიკებზე მსჯელობისას, ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანისა თუ რისკების პარალელურად, სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმ პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელსაც, რაც ამა თუ იმ ნივთიერების წარმოებითა და ვაჭრობით შეიძლებოდა მიეღოთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბრიტანეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა თავის მიერ კოლონიზებულ ინდოეთში წარმოებული ოპიუმის მოყვანა/წარმოებისადმი. ამ სახეობის ნარკოტიკის იმპორტი ინდოეთიდან ბრიტანეთის მეორე კოლონიაში, ჩინეთში ხდებოდა, რაც მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლის წყარო იყო მთელი გაერთიანებული სამეფოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა ორჯერ წამოიწყო ბრიტანეთის წინააღმდეგ სამხედრო დაპირისპირება, რათა ქვეყნის ტერიტორიაზე ოპიუმის მასობრივი იმპორტი და წარმოება შეეჩერებინა, არსებული რეჟიმი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე

9 ოპიატი (Opiate) - საძილე ყაყაჩოსგან დამზადებული პრეპარატი, რომელიც იწვევს ანალგეზიას ან ეიფორიას. წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

10 UNODC, This Day in History: The Shanghai Opium Commission, 1909- <https://www.unodc.org/unodc/en/frontpage/this-day-in-history-the-shanghai-opium-commission-1909.html> (ნანახია: 28.4.2019).

ყისამდე შენარჩუნდა. ამ მოცემულობამ ათობით მილიონი ჩინელი ახალგაზრდის წამალდამოკიდებულება გამოიწვია და სხვადასხვა გამოთვლით, ქვეყნის ყოველი მეოთხე მოზარდი ბიჭი იმ დროისთვის ოპიუმის მომხმარებელი გახდა.¹¹

საერთაშორისო ნარკოპოლიტიკაზე ბრიტანეთის გავლენები საბოლოოდ აშშ-ის აქტიურმა მოთხოვნებმა გადაიწვია. კერძოდ, აშშ ითხოვდა, გამკაცრებულიყო მიდგომა ოპიუმის და სხვა მძიმე ნარკოტიკების წარმოებისა და ტრანზიტის მიმართ. ამ შემთხვევაში, შტატების მოტივაცია იყო როგორც სახელმწიფოს შიგნით ნარკოტიკების იმპორტზე და ბრუნვაზე მეტი კონტროლის მოპოვება, ისე - საერთაშორისო ასპარეზზე ეთიკური მოთამაშის სტატუსის დამკვიდრება.¹² შესაბამისად, შანხაის კონფერენციას მალევე მოჰყვა პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება ნარკოტიკების შესახებ.

1912 წლის 23 იანვარს, ქალაქ ჰააგაში, ჩინეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ნიდერლანდების, სპარსეთის (ახლანდელი ირანი), პორტუგალიის, რუსეთის, სიამის (ახლანდელი ტაილანდი), გაერთიანებული სამეფოს და მისი ზღვისიქითა ტერიტორიების (მათ შორის, ბრიტანული ინდოეთის) სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პირველ სახელმწიფოთაშორის აქტს ნარკოტიკების შესახებ - ოპიუმის საერთაშორისო კონვენციას (შემდგომში - ჰააგის კონვენცია), რომელიც სამი წლის შემდეგ ამოქმედდა.¹³

ჰააგის კონვენცია ექვსი თავისგან და 25 მუხლისგან შედგებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციის მიღებას წინ უძღვოდა, ერთი მხრივ, აშშ-ის აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე აკრძალვების სასარგებლოდ, მეორე მხრივ კი, მაშინდელი დიდი ევროპული სახელმწიფოების - ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, გერმანიისა და შვეიცარიის კომერციული ინტერესები ოპიუმის წარმოების მიმართ.¹⁴ შესაბამისად, კონვენციის პრეამბულაში მითითებული იყო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ეტაპობრივად შეზღუდავდა ოპიუმის, მორფინისა და კოკაინის არასწორ, საზიანო გამოყენებას. ამავდროულად, კონვენციას არ ჰქონდა სავალდებულო ძალა და არ გააჩნდა ეფექტიანი იმპლემენტაციის მექანიზმები.¹⁵

ჰააგის კონვენციას არ ჰქონია მყისიერი ეფექტი ნარკოტიკების მოხმარებასა და მისი ბრუნვის შემცირებაზე. ოპიუმის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი, სპარსეთი და რუსეთი - კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ ამ ნარკოტიკული საშუალების კულტივირების შემცირებას და მხოლოდ საქმიანობის კონ-

11 UNODC, A Century of International Drug Control, 7-https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/Studies/100_Years_of_Drug_Control.pdf (ნანახია: 28.4.2019).

12 Stevens, Drugs, Crimes and Public Health: The Political Economy of Drug Policy, 24.

13 <https://www.unodc.org/unodc/en/frontpage/the-1912-hague-international-opium-convention.html> (ნანახია 7.5.2019).

14 Colson/Bergeron (editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 2.

15 Colson/Bergeron (editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 2.

ტროლის გამკაცრებაზე თანხმდებოდნენ.¹⁶ თუმცა, სხვა სახელმწიფოებმა, კონვენციის საფუძველზე, ეროვნულ დონეზე აქტიურად დაიწყეს პრობლემასთან ბრძოლა. მაგალითად, კონვენციის მიღებიდან ერთ წელიწადში, 1913 წელს, აშშ-ის კონგრესმა მიიღო ჰარისონის აქტი, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა ქვეყნის ნარკოპოლიტიკა მე-20 საუკუნეში.¹⁷

საერთაშორისო ასპარეზზე წამყვან სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებული პოზიციების ფონზე, მოულოდნელი არ ყოფილა, რომ კონვენციის მიღებიდან ორი წლის თავზე, მისი იმპლემენტაციის საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამავდროულად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ უკანა პლანზე გადასწია ნარკოპოლიტიკის საკითხი საერთაშორისო დონეზე. თუმცა, 1915 წელს, აშშ-მა, ჩინეთმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ და ჰონდურასმა ინდივიდუალურად მაინც მოახდინეს კონვენციის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.¹⁸

პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გაზარდა ნარკოტიკების მოხმარების დონე, მათ შორის, დასავლურ სახელმწიფოებშიც. ამას ხელი შეუწყო ალკოჰოლის მიმართ გატარებულმა მკაცრმა მიდგომებმაც, რის საპირინოდ, მოსახლეობამ კოკაინის და ოპიატების მოხმარება დაიწყო. გაზრდილი ნარკომომხმარების ფონზე, ევროპული სახელმწიფოები, რომლებსაც მანამდე საწინააღმდეგო პოზიცია ეკავათ, ომის დამთავრებისთანავე დათანხმდნენ ნარკოტიკებისადმი მკაცრ მიდგომას.

შესაბამისად, ჰააგის კონვენციამ რეალური საერთაშორისო გავლენა 1919 წლისთვის შეიძინა, როდესაც იგი ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებების ნაწილი გახდა და მას ხელი მოაწერა იმდროინდელი სახელმწიფოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.¹⁹ 1920-იანი წლების შუა პერიოდისთვის, კონვენციას უკვე 60-მდე სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ხოლო 1949 წლისთვის, ხელმოწერთა რაოდენობა 67-მდე გაიზარდა.²⁰

3. ერთა ლიგა და ნარკოტიკებზე კონტროლი 1920-1945 წლებში

1919 წლის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებებით, საფუძველი ჩაეყარა ერთა ლიგის შექმნას,²¹ რომელშიც აშშ-ის და რუსეთის გარდა, განწევრიანებუ-

16 UNODC, A Century of International Drug Control, 50.

17 Lesser, Today is the 100th Anniversary of the Harrison Narcotics Tax Act (blog post, 16 December, 2014)-<http://www.drugpolicy.org/blog/today-100th-anniversary-harrison-narcotics-tax-act> (ნანახია: 7.5.2019).

18 UNODC, A Century of International Drug Control, 50.

19 UNODC, The 1912 Hague International Opium Convention - <https://www.unodc.org/unodc/en/frontpage/the-1912-hague-international-opium-convention.html> (ნანახია: 28.4.2019).

20 UNODC, A Century of International Drug Control, 51.

21 ვერსალის ხელშეკრულება, 28 ივნისი, 1919 წელი - <http://www.firstworldwar.com/source/versailles.htm> (ნანახია: 28.4.2019).

ლი იყო იმდროინდელი მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფო.²² 1920 წლის 15 დეკემბრის რეზოლუციით, ორგანიზაციის მანდატის ფარგლებში, შეიქმნა ოპიუმის სათათბირო კომიტეტი (შემდგომში - ოსკ), რომელსაც ზედამხედველობა უნდა გაენია ჰააგის კონვენციის იმპლემენტაციისთვის.²³ ოსკ-ს ჰქონდა საკუთარი სამდივნო, ხოლო ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მას საკონსულტაციო დახმარებას უწევდა ერთა ლიგის ფარგლებში დაარსებული ჯანდაცვის კომიტეტი (აღნიშნული კომიტეტი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წინამორბედი).

ოსკ ინდივიდუალური სახელმწიფოებისგან გამოითხოვდა და აანალიზებდა ინფორმაციას ნარკოტიკის იმპორტის, ექსპორტისა და რე-ექსპორტის შესახებ, აგრეთვე ნარკოტიკის წარმოებისა და მისი მოხმარებლების რაოდენობის თაობაზე. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კი, გამოიცემოდა შესაბამისი რეკომენდაციები. ერთ-ერთი პირველი ასეთი რეკომენდაცია ეხებოდა წევრი სახელმწიფოების მიერ ნარკოტიკების იმპორტისა და ექსპორტის სერტიფიცირების მექანიზმების შემოღებას.²⁴

1925 წელს, ერთა ლიგის ფარგლებში, შედგა ორი ახალი საერთაშორისო შეთანხმება ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებით: პირველი მათგანი შეეხებოდა ოპიუმის წარმოებას, მოხმარებასა და ადგილობრივ ვაჭრობას. ამ აქტს ხელი მოეწერა 1925 წლის 11 თებერვალს და ამოქმედდა 1926 წლის 28 ივლისს.²⁵ მისი ძირითადი ინტერესის საგანი ის სახელმწიფოები იყო, სადაც მასობრივად იწარმოებოდა ოპიუმი და მიზნად ისახავდა ამ ქვეყნებში ნარკოტიკის წარმოების ეტაპობრივ შეზღუდვასა და შემცირებას. ასევე, შეთანხმება ადგენდა, რომ ოპიუმის იმპორტზე, ვაჭრობასა და დისტრიბუციამე სახელმწიფოს უნდა მინიჭებოდა მონოპოლია, რათა ამ გზით შეზღუდულიყო ოპიუმით კერძო ვაჭრობა და მისი არასათანადო მოხმარება.²⁶

მეორე შეთანხმება ახალი ოპიუმის საერთაშორისო კონვენცია (შემდგომში - 1925 წლის კონვენცია) იყო, რომელიც 1928 წელს ამოქმედდა. ხსენებულ კონვენციას ხელს აწერდა 56 სახელმწიფო (ხელმომწერებს შორის არ იყვნენ აშშ,

22 ერთა ლიგა იყო დღევანდელი გაეროს მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი შეიარაღება, თუმცა, ორიენტირებული იყო საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისკენ. ორგანიზაციის დამფუძნებელი იყო 44 სახელმწიფო, რომელთაგან იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იაპონია იყვნენ მუდმივი წევრები. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკას, 1920 წლის 12 იანვარს ვერსალის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა დე ფაქტო აღიარეს მისი დამოუკიდებლობა, თუმცა მოკლევნიანი არსებობის პერიოდში საქართველომ ვერ მოახერხა ერთა ლიგის სრულყოფილებიანი წევრის სტატუსის მოპოვება-https://www.gfsis.org/files/my-world/1/erta_liga.pdf (ნანახია: 7.5.2019).

23 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 79.

24 UNODC, A Century of International Drug Control, 52.

25 Agreement concerning the Suppression of the Manufacture of, Internal Trade in, and Use of, Prepared Opium, შეთანხმების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://treaties.un.org/doc/Treaties/1925/02/19250211%2006-35%20AM/Ch_VI_4p.pdf (ნანახია: 7.5.2019).

26 შეად. შეთანხმების 1-5 მუხლები.

ჩინეთი და პერუ, სპარსეთმა კი მისი რატიფიცირება არ განახორციელა) და იგი აზუსტებდა 1912 წლის ჰააგის ოპიუმის საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებს. სწორედ ამ დოკუმენტით, დასახელებულ ნივთიერებებთან ერთად, საერთაშორისო კონტროლქვეშ მოექცა კანაფიც.²⁷ 1925 წლის კონვენციის კიდევ ერთი სიახლე იყო ის, რომ მის საფუძველზე დაარსდა ოპიუმის მუდმივმოქმედი ცენტრალური საბჭო. საბჭო შედგებოდა დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ პირდაპირი ინსტიტუციური თუ ფინანსური კავშირები წევრ სახელმწიფოებთან. საბჭოს ძირითადი ფუნქცია იყო, ინდივიდუალური სახელმწიფოებისგან მიღებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ეწარმოებინა ნარკოტიკების იმპორტისა და ექსპორტის ავტორიზაცია.²⁸

გემოალნიშნული ორი შეთანხმებით, საერთაშორისო დონეზე დაინერგა აკრძალული ნივთიერებებით ვაჭრობის უნივერსალური სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ნარკოტიკების იმპორტსაც და ექსპორტსაც ექსკლუზიურად აკონტროლებდნენ სახელმწიფოები ეროვნულ დონეზე შექმნილი სპეციალური ორგანოების მეშვეობით. ამავდროულად, სახელმწიფოებს დაევალოთ, წინასწარ გამოეანგარიშებინათ, ყოველწლიურად საშუალოდ რა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებები დასჭირდებოდათ მათ სამედიცინო ან/და სამეცნიერო მიზნებისთვის.²⁹ კვოტირების ეს სისტემა დღესაც შენარჩუნებულია, მათ შორის საქართველოშიც, რომლითაც სახელმწიფოები წინასწარ განსაზღვრავენ მათთვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებების ოდენობას, რათა უფრო იოლად გაკონტროლდეს ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტი.

1920-იანი წლების ბოლოსთვის, ნარკოტიკების კონტროლის მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა გარკვეული შედეგები გამოიღო. 1925 წლის კონვენცია მზარდი მხარდაჭერით სარგებლობდა საერთაშორისო დონეზე, ინდივიდუალური სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობდნენ ოპიუმის მუდმივმოქმედ ცენტრალურ საბჭოსთან, მათ შორის, ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონდათ კონვენციაზე ხელი მოწერილი (მაგალითად, აშშ).

ამავდროულად, მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩებოდა ნარკოტიკების მასობრივად წარმოების თვალსაზრისით - ოპიუმის მასობრივი წარმოება გრძელდებოდა კონვენციის არანწევრ სახელმწიფოებში, აგრეთვე, ჩინეთში. პარალელურად, ფარმაცევტულმა კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი წარმოებების გადატანა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებსაც არ ჰქონდათ რატიფიცირებული 1925 წლის კონვენცია.³⁰

27 UNODC, A Century of International Drug Control, 52.

28 შეად. 1925 წლის კონვენციის VI თავი (19-27 მუხლები).

29 1925 წლის კონვენციის 21-ე მუხლი.

30 UNODC, A Century of International Drug Control, 55.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, 1931 წლის 13 ივლისს ხელი მოეწერა ნარკოტიკული საშუალებების წარმოების შემცირების და მათი გავრცელების კონტროლის შესახებ კიდევ ერთ საერთაშორისო კონვენციას.³¹ კონვენცია ამოქმედდა 1933 წელს, მას შემდეგ, რაც მას ორმოცმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. ხელმოწერებს შორის იყო ოპიუმის მწარმოებელი ყველა ძირითადი სახელმწიფო. 1931 წლის კონვენციით, შეიქმნა სპეციალური სანებართვო სისტემა ქვეყნებისთვის, რომლებიც აწარმოებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. შესაბამის ქვეყნებს წინასწარ უნდა განესაზღვრათ, ყოველწლიურად რა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებები უნდა დამზადებულიყო მათ ტერიტორიაზე და ამ პროცესისთვის გაეწიათ აქტიური ზედამხედველობა.³²

ნიშანდობლივია რომ, 1931 წლის კონვენციით, პირველად მოხდა ნარკოტიკების კლასიფიცირება მათი სახიფათოობისა და მოხმარების მასშტაბების გათვალისწინებით. მაგალითად, კოდეინი და დიონინი ნაკლებად მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა და მათი წარმოება და გავრცელებაც უფრო მარტივი წესებით ხორციელდებოდა. მეორე მხრივ, დიაცეტილმორფინი (იგივე ჰეროინი) და სხვა მსგავსი პრეპარატები სახელმწიფოს მაქსიმალური კონტროლის ქვეშ უნდა ეწარმოებინა.³³ ნარკოტიკების კლასიფიცირების აღნიშნული მექანიზმი ახლაც მოქმედებს - სახელმწიფოები კონკრეტულ სუბსტანციებზე განსხვავებული კონტროლის ზომებს ატარებენ როგორც საერთაშორისო, ისე - ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ზომები განისაზღვრება ნივთიერების საშიშროების, საზოგადოებაში გავრცელების დონისა და სამედიცინო საქმიანობაში მისი საჭიროების გათვალისწინებით.

ერთა ლიგის ფარგლებში, ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლთან დაკავშირებით მიღებული ბოლო აქტი 1936 წლის სახიფათო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ტრეფიკინგის შეზღუდვის შესახებ კონვენცია³⁴ (შემდგომში - 1936 წლის კონვენცია) იყო. აღნიშნული აქტით, ხელმოწერი სახელმწიფოები მიზნად ისახავდნენ ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების ქსელების წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ნაბიჯების გატარებას. კონვენციამ პირველად მიანიჭა ნარკოტიკულ დანაშაულებს ტრანსნაციონალური ხასიათი და ამავდროულად, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა დამნაშავეთა ექსტრადირება.³⁵

თუმცა, 1936 წლის კონვენციას მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია ნარკოტი-

31 კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://treaties.un.org/doc/Treaties/1931/07/19310713%2006-44%20AM/Ch_VI_8_ap.pdf (ნანახია: 28.4.2019).

32 ნარკოტიკული საშუალებების წარმოების შემცირების და მათი გავრცელების კონტროლის შესახებ 1931 წლის კონვენციის მე-5 მუხლი.

33 იხ. ნარკოტიკული საშუალებების წარმოების შემცირების და მათი გავრცელების კონტროლის შესახებ 1931 წლის კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები.

34 კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://treaties.un.org/doc/Treaties/1947/10/19471010%2009-06%20AM/Ch_VI_11p.pdf (ნანახია: 28.4.2019).

35 შეად. კონვენციის მე-6 მუხლი.

კების უკანონო ბრუნვის აღკვეთის მხრივ, რადგან ამ პერიოდში უკვე საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო ერთა ლიგის შიგნით და წევრი სახელმწიფოები ბოლომდე სერიოზულად არ ეკიდებოდნენ კონვენციით დადგენილ ვალდებულებებს.³⁶ მეორე მსოფლიო ომის დანწყებამ კი, სახელმწიფოები კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს და, შესაბამისად, რთული გახადა საერთაშორისო დონეზე ნარკოპოლიტიკის საკითხებზე ერთობლივი მუშაობა.

4. ნარკოტიკებზე კონტროლი გაეროს ფარგლებში

4.1. ძირითადი ორგანოები

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი არ არის ნარკოპოლიტიკის საკითხებზე გაეროს ფარგლებში არსებული კონკრეტული ორგანოებისა თუ სუბიექტების საქმიანობის დეტალური ანალიზი. თუმცა, საჭიროდ მიგვაჩნია ყველა იმ ძირითადი უწყების ფუნქცია-მოვალეობების მოკლედ მიმოხილვა, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საერთაშორისო დონეზე ნარკოპოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში.

ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), რომლის ძირითადი მიზანია, ნარკოტიკის უკანონო ვაჭრობის და მასთან დაკავშირებული ისეთი საერთაშორისო დანაშაულების აღკვეთა, როგორებიცაა: ტერორიზმი, ტრეფიკინგი, კორუფცია, ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება და სხვ. UNODC-ის საქმიანობა, შესაძლოა, სამ ძირითად კატეგორიად დაიყოს: ა) წევრი სახელმწიფოებისთვის გაწეული ტექნიკური დახმარება, რათა ეროვნულ დონეზე უფრო ეფექტიანი ღონისძიებები გატარდეს ნარკოტიკის უკანონო მოხმარება/ვაჭრობის აღსაკვეთად; ბ) კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა, ნარკოტიკებისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულების თანამედროვე ტენდენციების გამოკვეთა და შესაბამისი მტკიცებულებებითი ბაზის მომზადება მოქნილი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით; გ) წევრი სახელმწიფოებისთვის დახმარების გაწევა, რათა სრულყოფილად მოხდეს რელევანტური საერთაშორისო აქტების იმპლემენტაცია.³⁷

UNODC-ის მმართველი ორგანო არის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფარგლებში მოქმედი ნარკოტიკულ საშუალებათა კომისია (შემდგომში - კომისია), რომელიც ახორციელებს გაეროს კონვენციების იმპლემენტაციასა და აღსრულებაზე მონიტორინგს. კომისია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის

36 UNODC, A Century of International Drug Control, 57.

37 UNODC-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://www.unodc.org/unodc/en/about-unodc/index.html?ref=menutop> (ნანახია: 28.4.2019).

რეკომენდაციების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული ნარკოტიკული საშუალება ან/და ფსიქოტროპული ნივთიერება დაუქვემდებაროს თუ არა საერთაშორისო კონტროლს. აგრეთვე, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) რეკომენდაციის საფუძველზე, კომისია იღებს გადაწყვეტილებას, კონკრეტული პრეკურსორები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად, დაუქვემდებაროს თუ არა საერთაშორისო კონტროლს. კომისიას შეუძლია შეცვალოს, ან გააუქმოს კონკრეტული ნივთიერებაზე (იქნება ეს ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება თუ პრეკურსორი) მანამდე არსებული საერთაშორისო კონტროლის ზომები.³⁸

რაც შეეხება კომიტეტს, ეს არის კვაზისამართლებრივი დამოუკიდებელი ექსპერტული ორგანო, რომელიც წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საფუძველზე, მონიტორინგს უწევს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების წარმოებას, მათ იმპორტსა და ექსპორტს. უფრო კონკრეტულად, კომიტეტი, არსებული სამედიცინო თუ სამეცნიერო საჭიროებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს, რომ წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ წვდომა საკმარისი რაოდენობის ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებზე. ამავდროულად, კომიტეტი მონიტორინგს უწევს აღნიშნული ნივთიერებების კანონიერ ბრუნვას და ატარებს შესაბამის ზომებს, რათა ისინი უკანონო ბრუნვაში არ აღმოჩნდეს.

კომიტეტის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წევრ სახელმწიფოებთან ინდივიდუალური თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, კომიტეტის საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა ტრენინგების და ექსპერტული დახმარების მიწოდება კონკრეტული ეროვნული უწყებებისთვის. როგორც აღინიშნა, კომიტეტს შეუძლია მიმართოს ნარკოტიკულ საშუალებათა კომისიას რეკომენდაციით, კონკრეტულ ნივთიერებებზე (პრეკურსორებზე) სამართლებრივი კონტროლის განსაზღვრის თაობაზე. კომიტეტი აგრეთვე ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს ნარკოვითარების თაობაზე, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ნარკოტიკების მოხმარებაზე, მათ ბრუნვაზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულებსა და სხვა რელევანტურ საკითხებზე.³⁹

ნარკოპოლიტიკის საკითხებში გაეროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ექსპერტული კომიტეტი ნარკოდამოკიდებულებაზე, იგივე ECDD (Expert Committee on Drug Dependence). ECDD შედგება ნარკოლოგიის და მედიცინის დარგში მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული კრი-

38 კომისიის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.unodc.org/unodc/en/commissions/CND/Mandate_Functions/Mandate-and-Functions_index.html (ნანახია: 28.4.2019).

39 კომიტეტის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.incb.org/incb/en/about/mandate-functions.html> (ნანახია: 28.4.2019).

ტერიუმებით, აფასებენ კონკრეტული სუბსტანციების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს. ECDD-ის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია: ა) კონკრეტული სუბსტანციის ადიქციურობის (დამოკიდებულების გამოწვევის) ხარისხი; ბ) მის მოხმარებასთან დაკავშირებული კანონდარღვევები, ან კანონდარღვევის რისკები; გ) სუბსტანციის მნიშვნელობა სამედიცინო საქმიანობაში.

ნივთიერების შეფასების საფუძველზე, ECDD გამოსცემს რეკომენდაციებს ნივთიერების საერთაშორისო კონტროლზე, მის მიმართ უკვე არსებული კონტროლის რეჟიმის შეცვლაზე ან მასზე შემდგომი ზედამხედველობის განხორციელებაზე, რათა ნივთიერების სამედიცინო და სოციალურ ჩვენებებზე მეტი ინფორმაცია იყოს მოპოვებული.⁴⁰

4.2. გაეროს ძირითად კონვენციებამდე მიღებული სამართლებრივი აქტები

აღნიშნულ ქვეთავში, განხილული იქნება ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით შემუშავებული ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც წინ უძღვოდა გაეროს სამი ძირითადი კონვენციის მიღებას. პირველი ასეთი აქტი 1946 წლის ოქტომბერში, რომელშიც შესწორდა ერთა ლიგის ფარგლებში მანამდე მოქმედი აქტები (ჰააგის 1912 კონვენცია, ჟენევის 1925 და 1931 წლების კონვენციები და სხვ.). 1946 წლის ოქტომბერში შეიქმნა შინაარსობრივი ცვლილებები არ შეუთანხმებელი აქტებში და მისი ძირითადი მიზანი იყო, იმ დროისთვის უკვე გაუქმებული ერთა ლიგის ფარგლებში შემუშავებულ/მოქმედ აქტებს სავალდებულო სამართლებრივი ძალა შენარჩუნებოდათ.⁴¹

1948 წლის ოქტომბრის მიღება განპირობებული იყო ფარმაკოლოგიასა და ქიმიკატში იმ დროისთვის მიღწეული პროგრესით, რომელმაც შესაძლებელი გახადა ახალი სინთეტიკური ნარკოტიკების დამზადება-წარმოება.⁴² აღნიშნული ოქტომბრის შესწორებები შევიდა ერთა ლიგის ფარგლებში მოქმედ 1925 და 1931 წლების კონვენციებში, რის შედეგადაც, საერთაშორისო კონტროლი გავრცელდა სინთეტიკურად დამზადებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზეც. ოქმი ამოქმედდა 1949 წლის 1 დეკემბერს და მან მნიშვნელოვნად გაზარდა სინთეტიკურ პრეპარატებზე საერთაშორისო კონტროლის მექანიზმები.

1953 წლის ოქტომბრით კი, დამატებითი კონტროლი განისაზღვრა ოპიუმის წარმოებაზე, კერძოდ, ნედლი ყაყაჩოს კულტივირებასა და წარმოებაზე, აგრეთვე, მისით საერთაშორისო ვაჭრობაზე. აღნიშნული აქტით ოპიუმის მოხმარება შეიზღუდა მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებით, ხოლო მისი ექსპორტის მიზნით წარმოების უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ შვიდ სახელმწი-

40 ECDD-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.who.int/medicines/access/controlled-substances/ecdd/en/> (ნანახია: 28.4.2019).

41 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 327.

42 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 328.

ფოს (ბულგარეთი, საბერძნეთი, ინდოეთი, ირანი, თურქეთი, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია).⁴³ 1953 წლის ოქმი მანამდე უპრეცედენტო სამართლებრივ კონტროლს აწესებდა ოპიუმზე და მასთან დაკავშირებულ ნედლი მასალების წარმოება-ვაჭრობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოქმი უყურადღებოდ ტოვებდა დანარჩენ ორ ძირითად მცენარეს - კოკას ფოთლებსა და კანაფს - რომლებიც იმ დროისთვის, ნარკოტიკების საწარმოებლად აქტიურად გამოიყენებოდა.⁴⁴

4.3. 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ და მისი დამატებითი ოქმი

1950-იანი წლების ბოლოსთვის ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სისტემა მეტად მოუწესრიგებელი იყო, რაც გამოწვეული იყო სამართლებრივი დოკუმენტების სიმრავლით (იმ დროისათვის, ნარკოპოლიტიკის საკითხებზე ცხრა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი მოქმედებდა).⁴⁵ ამ ფონზე, მოულოდნელობა არ ყოფილა გაეროს მიერ 1961 წლის ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის (შემდგომში - ერთიანი კონვენცია) მიღება.⁴⁶

კონვენცია 1961 წლის 30 მარტს მიიღეს, 1964 წლის 13 დეკემბერს კი ამოქმედდა. მას სამი ძირითადი პრობლემის მოგვარება ჰქონდა მიზნად დასახული:

- მანამდე მოქმედი საერთაშორისო კონვენციებისა და ოქმების კონსოლიდაცია;
- ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სისტემის გამარტივება;
- ოპიუმის და ყაყაჩოს მსგავსად, საერთაშორისო კონტროლის გავრცელება სხვა ისეთი მცენარეების კულტივირებაზე, რომლებიც აქტიურად გამოიყენებოდა ნარკოტიკების დასამზადებლად.⁴⁷

პირველი გამოწვევა, მანამდე ქაოსურად მოქმედი საერთაშორისო აქტები ერთ კოდიფიცირებულ დოკუმენტში მოქცეულიყო, დიდწილად დაიძლია ერთიანი კონვენციის მიღებით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო 1936 წლის სახიფათო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ტრეფიკინგის შეზღუდვის შესახებ კონვენცია, რომელმაც ერთიანი კონვენციის პარალელურად გააგრძელა მოქმედება. თუმცა, მისი მე-9 მუხლი, რომელიც შეეხებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან და მათ გადაზიდვასთან დაკავშირებულ სანქციებს, შეცვალა ერთიანი კონვენციის 36-ე მუხლმა.

43 UNODC, A Century of International Drug Control, 60.

44 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 331.

45 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 343.

46 კონვენციის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.unodc.org/pdf/convention_1961_en.pdf (ნანახია 28.4.2019).

47 Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control, 343.

მეორე მიზანი, კერძოდ კი, ინსტიტუციური ჩარჩოს უფრო გამარტივება, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული, რადგან იმ დროისათვის გაეროს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა კონსენსუსი საერთაშორისო ორგანოების (მათ შორის ნარკოტიკების კონტროლზე პასუხისმგებელი უწყებების) კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების თაობაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის შექმნა, რომელიც მონიტორინგს უწევდა ნარკოტიკების კანონიერ წარმოებას, ვაჭრობასა და მოხმარებას, ხოლო ჩამოთვლილ ქმედებებთან დაკავშირებული შესაძლო კანონდარღვევებისა და დანაშაულების გამოვლენა/კონტროლზე პასუხისმგებელი იყო გენერალური სამდივნო (დღეის მდგომარეობით აღნიშნული ფუნქციები მინდობილი აქვს UNODC-ს).⁴⁸

რაც შეეხება მესამე მიზანს, კონვენციამ შეინარჩუნა ყაყაჩოსა და ოპიუმზე მანამდე არსებული მკაცრი რეჟიმი და, ასევე, გაამკაცრა სამართლებრივი კონტროლის დონე კოკას ფოთლებსა და მცენარე კანაფზე. კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, თუკი სახელმწიფო გადაწყვეტდა მის ტერიტორიაზე ზემოთ ნახსენები მცენარეების კულტივირებას, ან მათგან ნარკოტიკული საშუალებების წარმოებას, ის ვალდებული იყო ქვეყნის შიგნით შეექმნა სპეციალური სააგენტო. სააგენტოს უნდა განესაზღვრა ამ მცენარეების კულტივირებისთვის კონკრეტული ტერიტორიები, ხოლო ამ ტერიტორიებზე ნარკოტიკული მცენარეების კულტივირების უფლებამოსილება უნდა მიენიჭებინა მხოლოდ ლიცენზირებული სუბიექტებისთვის. ამავდროულად, სააგენტოს ჰქონდა ექსკლუზიური უფლებამოსილება წარმოებული პროდუქციის იმპორტსა და ვაჭრობაზე. ამგვარი ტიპის შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობაში კერძო სუბიექტების მონაწილეობის რისკები.⁴⁹

აღსანიშნავია, რომ ერთიანი კონვენცია, ზოგადად, არ კრძალავს ნარკოტიკის წარმოებას, თუმცა, ძალიან მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ეს საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ კონკრეტულ პირობებში და მხოლოდ სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებისთვის. კონვენციით აიკრძალა კოკას ფოთლების, ოპიუმის და მცენარე კანაფისგან დამზადებული სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების რეკრეაციული მოხმარება.⁵⁰ რაც შეეხება სასჯელებს, კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ეროვნული კონსტიტუციური წესრიგის გათვალისწინებით, დასჯადად გამოაცხადონ ნარკოტიკული საშუალებების (უკანონო) კულტივირება, წარმოება, ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა, განაწილება, გაგზავნა, ტრანზიტი და მსგავსი ქმედებები.⁵¹ კონვენციის თანახმად, თუკი ჩამოთვლილი ქმედებები სერიოზული ხასიათისაა, სასჯელის სახით უნდა გამოიყენებოდეს პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ზომები.⁵²

48 UNODC, A Century of International Drug Control, 61.

49 UNODC, A Century of International Drug Control, 61.

50 UNODC, A Century of International Drug Control, 62.

51 ერთიანი კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

52 იქვე.

აღსანიშნავია, რომ სავალდებულოდ დასჯადი ქმედებების ჩამონათვალში არ გვხვდება მოხმარება. რაც შეეხება ფლობას, აქ კონვენციის ტექსტი არაა მკაფიო, თუ რა მიზნით ფლობა (მოხმარების თუ გასაღების) მიიჩნევა კონვენციით სავალდებულოდ დასჯად ქმედებად. გაეროს გენერალური სამდივნოს მიერ მომზადებული ოფიციალური კომენტარების⁵³ თანახმად, კონვენცია სავალდებულოდ დასჯად ქმედებად მიიჩნევს ნარკოტიკული საშუალების ისეთ ფლობას, რომელიც გასაღებისთვის არის გამიზნული, რადგან პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკის ფლობა კონვენციის სხვა მუხლით არის მოწესრიგებული, კერძოდ, ამ ჩანაწერის მიხედვით, სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან ნარკოტიკის ფლობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁵⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კონვენცია პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების ფლობას არ აღიქვამს სერიოზული სიმძიმის ქმედებად (ან დანაშაულად) და შესაბამისად, სახელმწიფოებს უფრო მეტ დისკრეციას უტოვებს, თავად განსაზღვრონ, რა ტიპის სანქციებს დაადგენენ ამ ქმედებისთვის.⁵⁵

კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, წამალდამოკიდებულ ადამიანებს გაუწიონ სამედიცინო დახმარება.⁵⁶ ერთიანი კონვენციით და მისი დამატებითი ოქმით აგრეთვე შენარჩუნდა ნარკოტიკული საშუალებების კლასიფიცირება შესაბამის ნუსხებში. დღეის მდგომარეობით, კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების 4 სიას ითვალისწინებს. პირველ სიაში შესული ნარკოტიკული საშუალებები (როგორებიცაა: კანაბისი, კოკას ფოთლები და კოკაინი, ფენტანილი, ჰეროინი) კონტროლის ყველაზე მკაცრ ზომებს ექვემდებარება, მეორე სიაში შესულ ნივთიერებებზე (კოდეინი, ეთილმორფინი) კი, შესაძლოა, არ გავრცელდეს კონტროლის ყველა ის ზომა, რაც პირველ სიაში შესულ პრეპარატებზეა განსაზღვრული. მესამე სიაში შესულია პრეპარატების ფორმით არსებული ის ნივთიერებები, რომლებსაც მეორე სია ითვალისწინებს, შესაბამისად, მათზე ვრცელდება მეორე სიით განსაზღვრული კონტროლის დონე, გარდა მცირედი გამონაკლისებისა. რაც შეეხება მეოთხე სიას, მასში შესული ნივთიერებები (აცეტორფინი, ჰეროინი, კანაფი და კანაფის ფისი), ამავდროულად, შესულია პირველ სიაში და მათზე, შესაბამისად, ვრცელდება კონტროლის ყველაზე მკაცრი რეჟიმი.

გარდა ამისა, სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, ეროვნულ დონეზე განსაზღვრონ კონტროლის დამატებითი მექანიზმები მეოთხე სიაში შესული

53 United Nations, Commentary on the Single Convention on Narcotic Drugs, 1961, Prepared by the Secretary-General in accordance with paragraph 1 of Economic and Social Council resolution 914 D (XXXIV) of 3 August 1962, p. 112.

54 ერთიანი კონვენციის 33-ე მუხლი.

55 UNODC, A Century of International Drug Control, 62.

56 ერთიანი კონვენციის 38-ე მუხლი.

ნივთიერებების განსაკუთრებული სახიფათო თვისებების გათვალისწინებით.⁵⁷ კონვენცია მხარეებს ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას, კონკრეტული ნივთიერებების მიმართ ეროვნულ დონეზე გაატარონ უფრო მკაცრი ზომები, ვიდრე ამას კონვენცია ითვალისწინებს (მაგალითად, მე-2 სიაში შესული კონკრეტული ნივთიერების მიმართ გამოიყენონ კონტროლის ის დონე, რაც გამოიყენება პირველ სიაში შესულ ნივთიერებებზე).⁵⁸

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად, ერთიანი კონვენცია მეტად მკაცრ ზომებს ითვალისწინებს, მისი მიღებიდან პირველ ათწლეულში ნარკოტიკების მოხმარება მსოფლიო მასშტაბით მაინც მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მაგალითად, თუკი 1960 წელს აშშ-ში ჰეროინზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა დაახლოებით 50000-ს შეადგენდა, 1970 წლისთვის, ეს რაოდენობა ნახევარ მილიონამდე გაიზარდა.⁵⁹ სწორედ ამ ფონზე, 1970-იანი წლების დასაწყისში, აშშ იყო ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორი, რათა დამატებითი ზომები გატარებულიყო ნარკოტიკული საშუალებებით უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ.

1972 წლის ოქმი სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა. აღნიშნული ოქმით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ერთიან კონვენციაში. კერძოდ, გაიზარდა კომიტეტის წინაშე ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ სავალდებულოდ წარსადგენი ინფორმაცია. აგრეთვე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ქვეყანა არ ასრულებდა საერთაშორისო ვალდებულებებს ოპიუმის წარმოების კონტროლთან დაკავშირებით, კომიტეტს გაუჩნდა უფლებამოსილება, მომდევნო წლისთვის შეემცირობინა მასზე გამოყოფილი კვოტა საწარმოებელი ოპიუმის რაოდენობასთან დაკავშირებით.⁶⁰

ამავდროულად, თუკი მანამდე მხარეებს ევალეზობდათ მხოლოდ წამალდამოკიდებული ადამიანების მკურნალობა და რეაბილიტაცია, ოქმის წყალობით, სახელმწიფოებს ასევე დავალათ ყველა პრაქტიკული ზომის გატარება ნარკოტიკის უკანონოდ მოხმარების პრევენციისთვის.⁶¹ 1972 წლის ოქმმა აგრეთვე გააჩინა საპატიმრო სასჯელების ალტერნატიული სანქციები წამალდამოკიდებული ადამიანების მიმართ, თუკი მათ არ ჰქონდათ ჩადენილი სხვა სერიოზული დანაშაული.

ერთიან კონვენციას საქართველო 2000 წლის 23 თებერვალს შეუერთდა, პარლამენტის #152 დადგენილებით, ხოლო აქტი 2000 წლის 26 აპრილს ამოქმედდა. აღსანიშნავია, რომ კონვენცია უნივერსალურად აღიარებული სამართლებრივი აქტია და საერთაშორისო დონეზე იგი უდიდესი მხარდაჭერით

57 ერთიანი კონვენციის მე-2 მუხლი, 1-5 პუნქტები.

58 ერთიანი კონვენციის 39-ე მუხლი.

59 Musto, *The American Disease: Origins of Narcotic Control*, 254.

60 ერთიანი კონვენციის 21-ე მუხლი.

61 UNODC, *A Century of International Drug Control*, 63.

სარგებლობს. 2008 წლის მარტისთვის, ხელმომწერ სახელმწიფოთა რაოდენობა 183 იყო.⁶²

4.4. გაეროს 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არაერთ ქვეყანაში გამოიკვეთა ნარკოტიკის მოხმარების ახალი ტენდენციები. მაგალითად, 1950-იანი წლების დასაწყისში, იაპონიაში მეტამფეტამინის მოხმარების დონემ ებიდემიურ ზღვარს მიაღწია. ეს ფსიქოაქტიური ნივთიერება პოპულარული იყო აგრეთვე აშშ-ში. იმავე პერიოდში, ამფეტამინის მოხმარება ფართოდ გავრცელდა სკანდინავიის ქვეყნებსა და ბრიტანეთში. 1950-იანი წლების ბოლოსთვის კი, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ლსდ (LSD), რომლის მოხმარებაც აგრეთვე დაკავშირებული იყო იმდროინდელი კულტურის განვითარებასთან.⁶³

1960-იანი წლების შუა პერიოდისთვის, მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩოს არქონის ფონზე, დასავლეთის სახელმწიფოებში ასევე ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომლებიც არ იყო უშუალოდ მცენარეული ნედლეულისგან დამზადებული (ამფეტამინები, ბარბიტურატები, ტრანკვილიზატორები). აღნიშნული ნივთიერებების გავრცელების პარალელურად, განვითარებულმა ქვეყნებმა ეტაპობრივად დაიწყეს მათი სამოქალაქო ბრუნვის, წარმოებისა და ტრანზიტის შემლუდვა, რამაც აღნიშნული პრეპარატების მწარმოებელ ფარმაცევტულ კომპანიებს ახალი ბაზრების ძიებისკენ უბიძგა, მათ უფრო აგრესიულად დაიწყეს საკუთარი პროდუქციის მარკეტინგი ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში.⁶⁴ შესაბამისად, 1960-იან წლებში, ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება გლობალურ პრობლემად იქცა და დღის წესრიგში დადგა მისი საერთაშორისო დონეზე მოგვარება.

1967 წელს, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტმა, გაეროს სამართლებრივმა ოფისმა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, ერთობლივად განაცხადეს, რომ ფსიქოტროპული ნივთიერებების ეფექტიანი კონტროლისთვის საჭირო იყო ახალი საერთაშორისო აქტის შემუშავება.⁶⁵ მეორე მხრივ, ფარმაცევტული კომპანიები მკაცრი პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ გამოდიოდნენ იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რასაც, თავის დროზე, ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის გაძლიერების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. საბოლოო ჯამში, „მკაცრი კონტროლის“ კოალიციამ, რომელიც

62 ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტი, ყოველწლიური ანგარიში 2009-
https://www.unodc.org/documents/southeastasiaandpacific/2010/02/incb/INCB_Annual_Report_2009.pdf (ნანახია 28.4.2019).

63 UNODC, A Century of International Drug Control, 64.

64 McAllister, Drug Diplomacy in the Twentieth Century: An International History, 219-226.

65 UNODC, A Century of International Drug Control, 64.

აერთიანებდა სკანდინავიის ქვეყნებს, ყოფილი საბჭოთა ბანაკის წევრ სახელმწიფოებსა და ნარკოტიკული საშუალების მწარმოებელ რამდენიმე ქვეყანას, გადაწონა საწინააღმდეგო პოზიციები და 1971 წლისთვის, ქალაქ ვენაში, მიიღეს ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე გაეროს კონვენცია⁶⁶ (შემდგომში - ვენის კონვენცია).

ახალი კონვენციით, საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარა სხვადასხვა ფსიქოტროპული პრეპარატი, მათ შორის, ამფეტამინის ტიპის სტიმულანტები, ჰალუცინოგენები (როგორცაა LSD), ანალგეტიკები და ანტიდეპრესანტები. კონვენციით განსაზღვრული კონტროლის სისტემა დიდწილად ეყრდნობოდა გაეროს 1961 წლის კონვენციის მოდელს, თუმცა, მან გარკვეული სიახლეებიც დანერგა. კერძოდ, ვენის კონვენციით, დაწესდა სავალდებულო რეცეპტული სისტემა მის კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისთვის.⁶⁷ ამავდროულად, შეიზღუდა ამ პრეპარატების რეკლამირება საჯარო სივრცეებში და მწარმოებელ კომპანიებს დაევალიათ სპეციალური ანოტაციების განთავსება პრეპარატების შეფუთვებზე.⁶⁸ კონვენციამ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოების, ადგილობრივი და საერთაშორისო ვაჭრობისთვის ასევე დაადგინა ლიცენზირების სისტემა,⁶⁹ ხოლო წევრ სახელმწიფოებს დაავალა ამ პრეპარატების ავადმომხმარებლის პრევენცია, მათი მომხმარებლებისთვის სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება.⁷⁰

ვენის კონვენციით, კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებები, ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, განაწილდა 4 სიაში, რომლებიც კონტროლის განსხვავებულ დონეებს ითვალისწინებს. ნივთიერებების შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია მათი თერაპიული/სამედიცინო მნიშვნელობა და ამ პრეპარატის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები (კერძოდ, დამოკიდებულების განვითარება, ქცევის შეცვლა, სხვა დანაშაულების ჩადენის მომეტებული რისკები, ცენტრალური ნერვული სისტემის იმგვარი ცვლილება, რაც გამოიწვევდა დეპრესიას, ჰალუცინაციებს ან მსგავს შედეგებს).⁷¹

კონვენციის I სიაში შეტანილია ნივთიერებები, რომელთა გამოყენებაც დასაშვებია მხოლოდ სამეცნიერო და გამონაკლის შემთხვევებში, სამედიცინო მიზნებისთვის. ამ ნივთიერებების დამზადება და ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ წინასწარ ავტორიზებული სუბიექტებისთვის, სპეციალური ლიცენზიების

66 კონვენციის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.unodc.org/pdf/convention_1971_en.pdf (ნანახია 7.5.2019).

67 ვენის კონვენცია, მუხლი 9.

68 ვენის კონვენცია, მუხლი 10.

69 ვენის კონვენცია, მუხლი 8.

70 ვენის კონვენცია, მუხლი 20.

71 UNODC, A Century of International Drug Control, 64.

საფუძველზე. მათი იმპორტი და ექსპორტი შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, ან მათი მეთვალყურეობით.⁷² პირველ სიაში შესულია ისეთი ნივთიერებები, როგორცაა LSD, MDMA, მესკალინი, ფსილოსიბინი და სხვა, ხოლო მათი ლეგალური (კომერციული) ბრუნვა თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი.

II სიაში შეტანილია ის ნივთიერებები, რომელთა მოხმარება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს გარკვეულ რისკებს, თუმცა, მათი გამოყენება ასევე დასაშვებია ზოგადად აღიარებული სამედიცინო მიზნებისთვის (მაგალითად, ამფეტამინი, მეთამფეტამინი, დრონაბინოლი და სხვ.). აღნიშნული ნივთიერებებით კომერციული ვაჭრობა დასაშვებია, თუმცა, ისინი მაინც რჩება მკაცრი კონტროლის ქვეშ.⁷³ მეორე სიაში შეტანილი ნივთიერებების წარმოების, გავრცელების, იმპორტისა და ექსპორტის უფლებამოსილებით (შესაბამისი ლიცენზიებით) აღჭურვილმა სუბიექტებმა უნდა აწარმოონ დეტალური ანგარიშგება მათი საქმიანობის შესახებ. ხელმომწერმა სახელმწიფოებმა აგრეთვე კომიტეტს უნდა მიანოლონ ინფორმაცია წლის განმავლობაში მათ ტერიტორიაზე დამზადებული, იმპორტირებული და ექსპორტირებული ნივთიერებების რაოდენობის და ამ უფლებამოსილებებით აღჭურვილი სუბიექტების შესახებ.⁷⁴

ვენის კონვენციის III და IV სიებში შეტანილ ნივთიერებებზე არსებული კონტროლის მექანიზმები შედარებით სუსტია. მესამე სიაში შეტანილია ისეთი ნივთიერებები, როგორცაა ბუპრენორფინი (იგივე სუბუტექსი), კათინი, ბარბიტურატები და სხვ. ამ ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტისთვის არაა საჭირო ინდივიდუალური ავტორიზაცია. აგრეთვე, ნაკლებად მკაცრია წევრი სახელმწიფოების მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები და მთავრობებმა კომიტეტს უნდა მიანოლონ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია სიაში შეტანილი ნივთიერებების წარმოების, მათი იმპორტის და ექსპორტის რაოდენობის შესახებ. დაახლოებით იგივე კონტროლის რეჟიმი მეოთხე სიაში შეტანილ პრეპარატებზე, კიდევ უფრო დაბალი ანგარიშგების მოთხოვნებით წევრი სახელმწიფოების მიმართ.⁷⁵

ერთიანი კონვენციის მსგავსად, 1971 წლის ვენის კონვენციაშიც ხაზგასმულია ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის უფლებამოსილება, ბედამხედველობა გაუწიოს წევრ სახელმწიფოებში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების კანონიერი გზით წარმოებას, მათ სამოქალაქო ბრუნვას, იმპორტსა და ექსპორტს. აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებულ შესაძლო კანონდარღვევებზე და დანაშაულებზე ინფორმაციას სახელმწიფოებისგან იღებს გაეროს გენერალური სამდივნო. კერძოდ, სახელმწიფოები ამ ორგანოს აწვდიან ცნობებს კონკრეტული ნივთიერებების მოხმარებასთან

72 ვენის კონვენცია, მუხლი 7.

73 UNODC, A Century of International Drug Control, 65.

74 ვენის კონვენცია, მუხლები: 11, 12 და 16.

75 UNODC, A Century of International Drug Control, 65.

დაკავშირებულ ახალ ტენდენციებზე, მოხმარების გავრცელების ფარგლებზე, დამზადების მეთოდებსა და ამისთვის საჭირო მასალების წარმომავლობაზე, აგრეთვე უკანონო ტრაფიკის განმახორციელებელ სუბიექტებზე.⁷⁶

ვენის კონვენციას საქართველო 1997 წლის 28 მაისს, საქართველოს პარლამენტის #733 დადგენილებით შეუერთდა, ხოლო კონვენცია 1998 წლის 8 აპრილს ამოქმედდა. აღნიშნული დოკუმენტიც ფართო საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს და 2008 წლის მონაცემებით, ერთიანი კონვენციის მსგავსად, მისი მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობაც 183 იყო, რაც გაეროს წევრი სახელმწიფოების 95%-ია.⁷⁷

4.5. გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

გაეროს 1961 და 1971 წლების კონვენციებმა მყარი სამართლებრივი ჩარჩო ჩამოაყალიბა ნარკოტიკების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად და 1980-იანი წლებისთვის ამ მიმართულებით, საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. მიუხედავად ამისა, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის კუთხით კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩებოდა. კერძოდ, 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის, ისევ გაიზარდა ოპიუმის, ჰეროინისა და კოკაინის უკანონო წარმოება/ტრეფიკინგი, სერიოზული გამოწვევა იყო ამფეტამინის ტიპის სტიმულანტების მასობრივად უკანონო წარმოება ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.⁷⁸

1980-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გავლენები. მაგალითად, კოლუმბიურ კარტელებს, რომლებიც კოკაინით უკანონოდ ვაჭრობდნენ, გავლენები ჰქონდათ როგორც ეროვნულ ხელისუფლებაზე, ისე - საერთაშორისო დონეზე. მსგავსი ჯგუფები ნარკოტიკებით ვაჭრობით მიღებულ შემოსავალს იყენებდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირებთან კორუფციული გარიგებების დასადავად, ხოლო თუკი ქრთამის მიცემა საჭირო შედეგს არ გამოიღებდა, ისინი ძალადობრივ ქმედებებსაც მიმართავდნენ.⁷⁹

ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური

76 ვენის კონვენცია, მუხლი 16.

77 ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტი, ყოველწლიური ანგარიში 2008, წყარო: https://www.incb.org/documents/Publications/AnnualReports/AR2008/AR_08_English.pdf (ნანახია 28.4.2019).

78 United Nations, Commentary on the United Nations Convention Against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic substances, 1988, 1- https://www.unodc.org/documents/treaties/organized_crime/Drug%20Convention/Commentary_on_the_united_nations_convention_1988_E.pdf (ნანახია 28.4.2019).

79 UNODC, A Century of International Drug Control, 67.

რეზოლუციით მიმართა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფარგლებში მოქმედ ნარკოტიკულ საშუალებათა კომისიას, რათა ამ უკანასკნელს წარმოედგინა ახალი კონვენციის პროექტი, რომელიც შექმნიდა ნარკოტიკების მიმოქცევის და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ეფექტიან სამართლებრივ ბაზისს.⁸⁰ შედეგად, 1988 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ქალაქ ვენაში გამართულ გაეროს კონფერენციაზე, რომელსაც 106 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა, მიიღეს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენცია⁸¹ (შემდგომში - 1988 წლის კონვენცია).

კონვენცია 1990 წლის 11 ნოემბერს ამოქმედდა. მისი გაცხადებული მიზანი იყო, წახალისებინა თანამშრომლობა ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის, რათა გატარებულიყო უფრო ეფექტიანი მიდგომები ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ.⁸² დღევანდელი გადმოსახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონვენციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები.⁸³

1988 წლის კონვენციით, გარკვეული მიმართულებები უფრო დაკონკრეტდა ან გამკაცრდა გაეროს წინა კონვენციებით კონკრეტულ ქმედებებზე განსაზღვრული პასუხისმგებლობები. მაგალითად, თუკი 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკების წარმოებას, დამზადებას, შეთავაზებას, მიწოდებას და სხვა მსგავს ქმედებებს უკანონოდ აცხადებდა, 1988 წლის კონვენციით დამუსტდა, რომ ეს ქმედებები უნდა დასჯილიყო სისხლის სამართლის წესით.⁸⁴ ამავდროულად, კონვენციით განისაზღვრა შესაძლო დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც სახელმწიფოებმა ქმედებების შეფასებისას და მათზე სასჯელის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ. დამამძიმებელი გარემოებები შეიძლება იყოს ქმედების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ძალადობის ან იარაღის გამოყენებით; სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ ან იმის მიერ, ვინც ამავდროულად მონაწილეობა მიიღო სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ დანაშაულებრივ ქმედებაში...⁸⁵ ასევე, კონვენციამ დააკონკრეტა, რომ ნარკოტიკის პირადი მოხმარების მიზნით ფლობა, შეძენა, ან კულტივირება უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით.⁸⁶

კონვენცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობით მიღებულ შემოსავალზე. ამ პრობლემის საპასუხოდ, იგი სისხლის

80 UNODC, A Century of International Drug Control, 67.
81 კონვენციის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.unodc.org/pdf/convention_1988_en.pdf (ნანახია 28.4.2019).
82 1988 წლის კონვენცია, მუხლი 2.
83 UNODC, A Century of International Drug Control, 68.
84 1988 წლის კონვენცია, მუხლი 3, პუნქტი 1.
85 დამამძიმებელი გარემოებები გაწერილია 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით.
86 1988 წლის კონვენცია, მუხლი 3, პუნქტი 2.

სამართლის წესით დასჯადად აცხადებს უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების ნებისმიერი ფორმით ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება). ამავდროულად, ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებაა, განხორციელებდეს ისეთი ქონების კონფისკაცია, რომელიც უკავშირდება ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას.⁸⁷

კონვენციაში ხაზგასმულია პრეკურსორების უფრო მკაცრად კონტროლის აუცილებლობა. მართალია, ამ საკითხზე 1961 წლის ერთიან კონვენციაშიც იყო ყურადღება გამახვილებული, მაგრამ 1988 წლამდე ძალიან ცოტა სახელმწიფოს თუ შქონდა ეს საკითხი ეროვნულ დონეზე მოწესრიგებული. 1988 წლის კონვენცია სპეციალურ მოთხოვნას აწესებს, რომ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა, სისხლის სამართლის წესით დასაჯონ ქიმიური პრეკურსორების წარმოება, ტრანსპორტირება და გავრცელება იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანი ნარკოტიკული საშუალებების დამზადებაა.⁸⁸ კონვენციით პრეკურსორებზე საერთაშორისო კონტროლის უფლებამოსილება მიენიჭა ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს, ხოლო ის პრეკურსორები, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდა ნარკოტიკული საშუალებების დამზადებისთვის, მოექცა კონვენციის პირველ და მეორე სიებში.⁸⁹

1988 წლის კონვენცია იყო პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, რომელმაც განსაზღვრა ტერმინი „კონტროლირებადი მინოლეტა“.⁹⁰ მისი განმარტება ასეთია: *კონტროლირებადი მინოლეტა* ნიშნავს მეთოდს, რომლის დროსაც, უშვებენ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ამ კონვენციისთვის დართულ I ცხრილსა და II ცხრილში შეტანილი ნივთიერებების, ან მათი შემცვლელი ნივთიერებების უკანონო ან საეჭვო პარტიის გამოსვლას, გავლას ან შესვლას ერთი ან მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ კომპეტენტურ ორგანოთა მხრიდან ამის ცოდნითა და მეთვალყურეობით, იმ პირთა გამოვლენის მიზნით, რომლებიც კონვენციის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამართალდარღვევად ცნობილ ქმედებათა ჩადენაში მონაწილეობენ“.⁹¹ აღნიშნული ტერმინის გაჩენა ნათლად წარმოაჩინს კონვენციის სულისკვეთებას, რომ საერთაშორისო ძალისხმევა „ქვედა რგოლის“ დამნაშავეებისა და ნარკოტიკის მომხმარებლების ნაცვლად, მიმართული ყოფილიყო ნარკოტიკებით ვაჭრობის ორგანიზატორების და დანაშაულებრივი ჯგუფების ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ.

კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, იზრუნონ ისეთი რეგიონების ალტერნატიულ ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებასა და მათ მხარდაჭერაზე, რომლებიც მანამდე ფინანსურად დამოკიდებულნი იყვნენ ნარკოტიკებით უკანონო

87 UNODC, A Century of International Drug Control, 69.

88 1988 წლის კონვენცია, მუხლი 3, პუნქტი 1 (a; IV).

89 UNODC, A Century of International Drug Control, 69.

90 UNODC, A Century of International Drug Control, 70.

91 1988 წლის კონვენცია, მუხლი 1 (g).

ვაჭრობასა და ამ საქმიანობით მიღებულ შემოსავალზე.⁹² ამავდროულად, კონვენცია ხაზს უსვამს ზოგადად დაბალანსებული მიდგომების აუცილებლობას და მხარეებს მოუწოდებს, აქტიურად იმუშაონ ნარკოტიკზე მოთხოვნის შემცირებაზე.⁹³

შეიძლება ითქვას, რომ 1988 წლის კონვენცია, მის წინამორბედებთან შედარებით, უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას იმ სისტემურ გამოწვევებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, განსაზღვრავს ნარკოტიკების მოთხოვნის დონეს ამა თუ იმ რეგიონში. კონვენციის რატიფიკაცია საქართველომ 1997 წლის 28 მაისს განახორციელა.⁹⁴

5. საქართველოს მიერ აღებული დამატებითი საერთაშორისო ვალდებულებები ნარკოპოლიტიკის კუთხით

ამ თავის მიზნებისთვის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც აკისრია ქართულ მხარეს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“⁹⁵ ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ.⁹⁶

შეთანხმებაში უკანონო ნარკოტიკულ საშუალებებთან ბრძოლას დათმობილი აქვს სპეციალური მუხლი⁹⁷, რომელშიც აღნიშნულია, რომ მხარეები ითანამშრომლებენ ერთიანი დაბალანსებული მიდგომების შესამუშავებლად. ამ მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს უკანონო ნარკოტიკული საშუალებების პრევენციას, მის წინააღმდეგ მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებას, ნარკოტიკული საშუალებების მიწოდების, ვაჭრობისა და მათზე მოთხოვნის შემცირებას; იმ პრეკურსორების გავრცელების უფრო ეფექტიან პრევენციას, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო წარმოებისთვის; აგრეთვე, სახელმწიფომ უნდა იმუშაოს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირებაზე.

92 1988 წლის კონვენცია, მუხლი 14, პუნქტი 3.

93 1988 წლის კონვენცია, მუხლი 14, პუნქტი 4.

94 იხ. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 28 მაისის N732 დადგენილება. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/38602?publication=0> (ნანახია 28.4.2019).

95 ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA> (ნანახია 28.4.2019).

96 ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 17.

97 ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 18.

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, საქართველო იღებს ვალდებულებას, მის მიერ განხორციელებული ქმედებები დაეფუძნოს საერთაშორისო კონვენციებსა და ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ევროკავშირის სტრატეგიას, აგრეთვე, გაეროს შესაბამის დეკლარაციას.⁹⁸

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგში⁹⁹ განსაზღვრულია უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის მოკლე და საშუალოვადიანი პრიორიტეტები. მოკლევადიან პრიორიტეტად დადგენილია ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დანერგვა, ხოლო საშუალოვადიან მიზნებად მიჩნეულია, უპირველეს ყოვლისა, დაბალანსებული და ინტეგრირებული მიდგომების გაგრძელება, რათა შემცირდეს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების შედეგად გამოწვეული ჯანდაცვის და სოციალური პრობლემები; აგრეთვე, სახელმწიფომ უზრუნველყოს ეფექტიანი პრევენცია და შეამციროს ნარკოტიკის მიწოდება, ვაჭრობა და მასზე მოთხოვნა. ცალკე პრიორიტეტად არის განსაზღვრული მხარეებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის განვითარება, მათ შორის, ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრსა (EMCDDA) და იუსტიციის სამინისტროს შორის ურთიერთგაცვლის მემორანდუმის გამოყენებით.¹⁰⁰

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხზე, ასევე, ყურადღება გამახვილდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში (VLAP).¹⁰¹ 2013 წელს ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ღონისძიებად მითითებული იყო ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ამავდროულად, სამოქმედო გეგმაში წერია სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე ნარკოტიკების ამოღებასა და დაკავშირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ნარკოტიკის სფეროში შესაბამის საერთაშორისო ორგანოებთან, მათ შორის EMCDDA-სთან თანამშრომლობის დამყარება/გაძლიერებაზე.¹⁰²

VLAP-ის განხორციელების შესახებ ევროკომისიის მიერ 2015 წელს მომზა-

98 1998 წლის ივნისში, ნარკოტიკული საშუალებების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოცე სპეციალურმა სესიამ დაამტკიცა პოლიტიკური დეკლარაცია „ნარკოტიკული საშუალებების მოთხოვნის შემცირების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“.

99 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.parliament.ge/ge/gavigot-metivrovkavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1> (ნანახია 28.4.2019).

100 უკანონო ნარკოტიკებთან ბრძოლის საკითხის დღის წესრიგი # 2.4 ქვეთავშია განხილული.

101 სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (არაოფიციალური თარგმანი) ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2ItPW0v> (ნანახია 28.4.2019).

102 სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ბლოკი 2.3.

დებულ მესამე მიმდინარე ანგარიშში დამატებითი რეკომენდაციების სახით წარმოდგენილი იყო ქართულ კანონმდებლობაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების და ფლობის ერთმანეთისგან გამიჯვნის, აგრეთვე, იძულებითი ნარკოლოგიური შემონმების (იგივე ქუჩის ნარკოტესტირება) პროცედურების დახვეწისა და მასზე სამართლებრივი ზედამხედველობის გაძლიერების საკითხები.¹⁰³ იმავე წლის ივლისში, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით,¹⁰⁴ ნარკოტიკული საშუალების გასაღება გაიმიჯნა მისი ფლობისგან, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით,¹⁰⁵ გარკვეული ცვლილებები შევიდა იძულებითი ნარკოტესტირების პროცედურებშიც. შესაბამისად, ევროკომისიის მიერ მომზადებულ მეოთხე და საბოლოო ანგარიშში ნარკოპოლიტიკის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დამაკმაყოფილებლად შეფასდა.¹⁰⁶

ბოლო მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება ქართულმა სახელმწიფომ 2017 წლის 4 აპრილს დადო. საქართველოსა და ევროპოლს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სხვა საერთაშორისო დანაშაულებთან ერთად, ქართულმა მხარემ აიღო ვალდებულება, რომ ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ განახორციელებს ევროპულ სტრუქტურასთან თანამშრომლობაზე და კოორდინაციაზე დაფუძნებულ ღონისძიებებს.¹⁰⁷

§ 2. ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს ზოგადი მიმოხილვა

ნარკოტიკების მომწესრიგებელი ნორმატიულ ბაზა არაერთი კანონისა და კანონქვემდებარე აქტისგან შედგება. აღნიშულ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული ის კანონები, რომლებიც ქმნიან არსებული ნარკოკანონმდებლობის

103 ევროკომისიის მიერ მომზადებული მესამე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/visa/20150508vlap_ka.pdf (ნანახია 28.4.2019).

104 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 3975-რს, 8.7.2015. კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2909639?publication=0#DOCUMENT:1> (ნანახია 28.4.2019).

105 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის #725 ბრძანება. ბრძანების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994508?publication=0> (ნანახია 28.4.2019).

106 Report from the Commission to the European Parliament and The Council: Fourth Progress Report on Georgia's Implementation of the Action Plan on Visa Liberalisation (SWD (2015) 299 final), 2.3.1.5 - https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/e-library/documents/policies/international-affairs/general/docs/fourth_report_georgia_implementation_action_plan_visa_liberalisation_en.pdf (ნანახია 28.4.2019).

107 შეთანხმება საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ (4.4.2017). დანართი #1(f). შეთანხმების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3767463> (ნანახია 28.4.2019).

ძირითად ჩარჩოს. ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით, ცხადია, ძირითადი სამართლებრივი აქტი სისხლის სამართლის კოდექსია,¹⁰⁸ რომლის XXXIII თავი ადგენს ნარკოტიკული საშუალებების, მათი ანალოგების ან პრეკურსორების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების განმეორებით მოხმარებასთან, მათ ფლობასთან, ტრანსპორტირებასთან, შექენა-შენახვასთან, გავრცელებასთან და კულტივირებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს და სასჯელებს.¹⁰⁹ ამ დანაშაულებზე გამოძიების წარმართვის და მტკიცებულებების მოპოვების, აგრეთვე, სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურები კი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის მოწესრიგებული.¹¹⁰ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რელევანტური მუხლები წიგნის შემდგომ ნაწილებში დეტალურად გაანალიზდება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით¹¹¹ დადგენილია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ერთჯერადი მოხმარების ან მისი მცირე ოდენობით ფლობისთვის ადმინისტრაციული სახდელი.¹¹² იმავე კოდექსით ისჯება მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის მოყვანა, დათესვა და კულტივირება,¹¹³ აგრეთვე, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის დროს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების მართვა.¹¹⁴ აღნიშნული კოდექსი ასევე ითვალისწინებს მშობლის ან მისი შემცველის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის, მათ შორის, არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის.¹¹⁵

ნარკოპოლიტიკის კონტექსტში მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტს წარმოადგენს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“¹¹⁶ საქართვე-

108 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=206> (ნანახია 28.4.2019).

109 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-274-ე მუხლები.

110 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=104> (ნანახია 28.4.2019).

111 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=424> (ნანახია 28.4.2019).

112 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 45¹ მუხლები.

113 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 100¹-ე და 100²-ე მუხლები.

114 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე და 116¹-ე მუხლები.

115 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი.

116 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=14> (ნანახია 28.4.2019).

ლოს კანონი. აღნიშნული აქტით განსაზღვრულია ფსიქოაქტიური ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვის ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო, მათზე კონტროლის მომები, კონტოლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სია და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები.

კანონი ქმნის აგრეთვე ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს.¹¹⁷ ეს საბჭო წარმოადგენს ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის საკითხებზე მომუშავე უმთავრეს სახელმწიფო მექანიზმს, რომელშიც განვერიანებულია ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყება და ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.¹¹⁸ სწორედ საბჭოა უფლებამოსილი, შეიმუშაოს ქვეყნის ეროვნული ნარკოპოლიტიკა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმები. ზემოთახსენები კანონი მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვისაც, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ის ადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიებს და მათ ოდენობებს.

2000-იანი წლების ბოლოდან საქართველოში გავრცელებული მანამდე უცნობი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ე.წ. სინთეტური ნარკოტიკი, იგივე „ბიო“) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების“ შესახებ.¹¹⁹ ამ კანონით შეიქმნა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია, რომლის ძირითადი მოვალეობაც არის კვლევების და დაკვირვების წარმოება შესაბამის ნივთიერებებზე, საზოგადოებაში მათ მიმოქცევაზე მეთვალყურეობა, აგრეთვე, ამ ნივთიერებების რისკების და ზეგავლენების შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. კომისია უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობას მიმართოს წინადადებით კონკრეტული ნივთიერების ან ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასის შესაბამისი კონტროლის ქვეშ მოქცევაზე.¹²⁰

კანონის დანართში შეტანილია ისეთი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები და მათი ქიმიურ ნაერთთა კლასები, რომლებიც მანამდე არ იყო მოწესრიგებული გაეროს 1961 და 1971 წლების კონვენციებით და ქართული კანონმდებლობით. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსზრისით, აღნიშნული კანონი და მისი დანართი ერთგვარი ნოვაცია იყო ქართული სამართლისთვის, რადგან ამ აქტით სპეციალურ კონტროლს დაექვემდებარა როგორც კონკრეტული ნივთიერებე-

117 ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14.

118 დამატებითი ინფორმაცია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს და მისი საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/226> (ნანახია 28.4.2019).

119 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/document/view/2330479?publication=3> (ნანახია 28.4.2019).

120 ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

ბი, ისე ზოგადად, ნივთიერების ქიმიური კლასები და ქიმიური სტრუქტურული ფორმულები, რომლებიც შესაძლოა მრავალ სხვადასხვანაირ ნივთიერებას აერთიანებდეს თავის თავში. კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად ფართო წრის მოქცევას მისი რეგულირების ფარგლებში.

კიდევ ერთი კანონი, რომელიც რეგულაციურია ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისას, ესაა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი.¹²¹ ის დამხმარე ნორმატიული აქტის ფუნქციას ასრულებს და მისი ნორმები მხოლოდ სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას იწყებს მოქმედებას კონკრეტული პირის მიმართ. კანონი ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის დამატებით უფლებრივ შემლუღებს. ეს შემლუღებები შეიძლება შეეხოს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას, საექიმო ან ფარმაცევტული, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობების უფლებებს, აგრეთვე საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლებას. კანონი შესაბამის პირებს აგრეთვე უზღუდავს პასიურ საარჩევნო უფლებას და იარაღის დამზადების, შექმნა-შენახვის და ტარების უფლებას.¹²²

რაც შეეხება აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებების შემლუღვის ხანგრძლივობას, ეს დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის კატეგორიაზე. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ნარკოტიკული დანაშაულის სუბიექტების ოთხ განსხვავებულ კატეგორიას: ა) ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი; ბ) ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი; გ) ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი; დ) ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი.¹²³ სწორედ აღნიშნულ კატეგორიებზეა დამოკიდებული კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევის ვადა, რომლის ხანგრძლივობაც 3-დან 20 წლამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ კანონი მინიმალურ დისკრეციასაც არ აძლევს მოსამართლეს, თავად გადაწყვიტოს, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას რა დამატებითი უფლებები შეუზღუდოს მსჯავრდებულს და რა ვადით. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი აბსოლუტურად განსაზღვრავს უფლებების შემლუღვის ხანგრძლივობას და საქმის განმხილველ მოსამართლეს არ უტოვებს შესაძლებლობას, ჩადენილი ქმედების და მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახა-

121 კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/document/view/22132?publication=9> (ნანახია 28.4.2019).

122 ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

123 ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

სიათებლების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება.¹²⁴ ერთადერთი შესაძლებლობა, როდესაც მოსამართლეს უფლება აქვს მსჯავრდებულს ჩამორთმეული უფლებები შეუზღუდოს კანონით გათვალისწინებულზე მცირე ვადით ან შეუზღუდოს მხოლოდ ზოგიერთი და არა კანონში ჩამოთვლილი ყველა უფლება, ესაა მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ნარკოტიკული დანაშაულის მომწესრიგებელი ქართული საკანონმდებლო ბაზა მეტად კომპლექსური და მრავალმხრივია. აღსანიშნავია ისიც, რომ განხილული ნორმატიული აქტები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არ არიან ერთმანეთისგან და პრაქტიკაში თითოეულის მოქმედებას ასევე მნიშვნელოვანწილად შეიძლება განსამდვრავდეს რომელიმე სხვა კანონი. მომდევნო თავებში გაანალიზებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულების შემადგენლობები, მათი თეორიულ-სამართლებრივი ასპექტები, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით არსებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული რელევანტური პრაქტიკა, აგრეთვე ნარკოტიკული დანაშაულების საერთო სასამართლოებში განხილვასთან დაკავშირებული პრობლემური პროცესუალური საკითხები.

124 გეგელია/დავითური/იმნაძე, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა: ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 19.

**თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კრედიტი
დანაშაულისა და სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე:
ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული
კონსტიტუციური სტანდარტები**

§ 1. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომების ზოგადი მიმოხილვა დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკასთან დაკავშირებით

ქმედებათა კრიმინალიზაცია და შესაბამის სასჯელთა განსაზღვრა საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიური კომპეტენციაა. საყოველთაოდ აღიარებული მოცემულობაა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში სასამართლო ხელისუფლების თავისუფალი მიხედვლების ფარგლები უკიდურესად ზღვარდადებულია. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩათვლით, უნდა პასუხობდეს საქართველოს კონსტიტუციის, მათ შორის, ძირითადი კანონით აღიარებულ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, არსებობის ისტორიაში, რამდენჯერმე მოუწია ემსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის, ან/და სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე. თუმცა, იშვიათი გამონაკლისების გარდა,¹²⁵ 2015 წლამდე ეს საკითხი სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან კონტექსტში განიხილებოდა. სახელდობრ, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებდა, რამდენად ცხადად, ნათლად არის ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის განმსაზღვრელი ნორმა და რამდენად პასუხობს იგი კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს.¹²⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ, დანაშაულის/სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის კონსტიტუციურობის შემოწმების და სასჯელის პოლიტიკაში ჩარევის კონსტიტუციური სტანდარტი პირველად 2010 წელს განმარტა. კერძოდ, სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო სასარჩელო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ადმინისტრაციული

125 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის N1/51 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო სასჯელის სახით ქონების კონფისკაციის გამოყენება იმ ქონების მიმართ, რომელიც დანაშაულებრივი გზით არ არის მოპოვებული.

126 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516, 542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სახდელის სიმკაცრეს.¹²⁷

სასამართლომ მიუთითა, რომ ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევა და შესაბამისი სახდელის სიმძიმის განსაზღვრა საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიური კომპეტენციაა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმისა და მისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის ადეკვატურობის შეფასებას. სხვაგვარად, კანონმდებელი უნდა მოქმედებდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა არ უნდა იყოს დასახული მიზნის მიღწევის არაგონივრული საშუალება.¹²⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციური მართლმსაჯულების შემლუდულ როლზე სამართალდარღვევათა პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით, მაგრამ ამ საკითხში კონსტიტუციური კონტროლის ინტერვენციის შესაძლებლობა არ გამოურჩევა. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სახდელის ზომის, მოცულობისა და სიმძიმის დადგენისას კანონმდებელი ფართო მიხედვლებით სარგებლობს, მისი დისკრეციული უფლებამოსილება არ არის უსაზღვრო. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს.¹²⁹

სასამართლომ, სასჯელის ზომის კონსტიტუციურობის თაობაზე არსებითი განხილვის ფარგლებში, პირველად N592 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით იმსჯელა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ იგი ვალდებულია, შეაფასოს სასჯელთა პოლიტიკა იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მისი მოქმედება ადამიანის ამა თუ იმ ძირითადი უფლების დარღვევას იწვევს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს სასჯელის ნებისმიერი ზომის კონსტიტუციურობაზე შეუძლია მსჯელობა. ასეთი მიდგომა დაარღვევდა ბალანსს სასამართლოს და კანონმდებლის კომპეტენციებს შორის, შექმნიდა ცდუნებას, მართლმსაჯულებამ ჩაანაცვლოს კანონმდებელი. თუმცა ამ სფეროში შესვლისას სასამართლოს სიფრთხილე უსაფუძვლო და უადგილო გახდება, როდესაც სასჯელის ზომა აშკარად არაგონივრული და არაპროპორციულია. სასამართლო უფლებამოსილია და ვალდებულიც კი, შეაფასოს იმ სასჯელთა კონ-

127 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის N4/482, 483, 487, 502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები - დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 8.

128 იქვე.

129 იქვე.

სტიტუციურობა, რომელთა არაადეკვატურობის, არაპროპორციულობის დონე მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს, ხოლო დისბალანსი მკაფიოდ, მკვეთრად გამოხატულია, რადგან ასეთ შემთხვევაში, სასჯელი სცდება თავის მიზნებს და კონსტიტუციურ უფლებებს გაუმართლებლად ზღუდავს.¹³⁰

აღნიშნულ სარჩელზე მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი. ამ მიდგომით სასამართლომ, საფუძველი დაუდო ამგვარი ხასიათის ქმედებათა დასჯადობის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან თავსებადობის კონსტიტუციური სტანდარტების ჩამოყალიბებას.

§ 2. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა: სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული საკითხები, ამგვარ დანაშაულთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შესაძლოა, არაერთ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემას წარმოშობდეს. აღნიშნული საკითხები, პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს - ქმედების და სასჯელის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული პრობლემები. სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ სწორედ ამ პრობლემათა სპეციფიკაზე დამოკიდებული იმ კონსტიტუციური უფლების იდენტიფიცირება, რომელთან მიმართებითაც უნდა შეფასდეს სადავო ნორმის კონსტიტუციურობა. სხვაგვარად, საქართველოს კონსტიტუციაში არ არსებობს ერთი, უნივერსალური უფლება, რომელთან მიმართებითაც, შესაძლებელი იქნებოდა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა საკითხის კონსტიტუციურობის შეფასება. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით გამოიყო ორი უფლება, კერძოდ, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ადამიანის ღირსების უფლება, რომლებთან მიმართებითაც ყველაზე ხშირად განიხილება ნარკოტიკულ დანაშაულთა მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისობის საკითხი.

1. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების ეფექტები

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,¹³¹ „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის

130 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 34.

131 2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედდა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს (ვებგვერდი, 19.10.2017) კონსტიტუციური კანონი. აღნიშნული კონსტიტუციური კანონით განსხვავებულად ჩამოყალიბდა ძირითადი უფლებების რამდენიმე კონსტიტუციური ნორმა ან/და შეიცვალა ნორმების ნუმერაცია. აღნიშნული შეეხო მათ შორის ღირსების, სასტიკი და არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა კონსტიტუციურ დებულებას.

გამოყენება“. ღირსების უფლების დამდგენი ნორმის აღნიშნული დანაწესი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნარკოტიკული დანაშაულის კონსტიტუციურობის თაობაზე მიღებული პირველი გადაწყვეტილების საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ციტირებულმა ნორმაში ნუმერაციული და ტექსტობრივი ცვლილება შევიდა. კერძოდ, ძირითადი კანონის მოქმედი რედაქციით, ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას განსაზღვრავს მე-9 მუხლი, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.

დასახელებული ნორმების ტექსტობრივი ანალიზი მიუთითებს, რომ სიტყვა „სასტიკის“ ნაცვლად, კონსტიტუცია იყენებს ტერმინს „არაადამიანური“. კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს ვრცლად არ განუმარტავს აღნიშნული ტერმინები, თუმცა, არ არის მოსალოდნელი, რომ დასახელებული ტერმინოლოგიური¹³² ცვლილება შინაარსობრივ გავლენას იქონიებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე. მეტიც, 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხსენებული კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან განხილული კონსტიტუციური სარჩელი, დამატებითი მსჯელობის გარეშე, გადააკვალიფიცირა და არსებითად განდამყვიტა ძირითადი კანონის მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით.¹³³ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თაობაზე გაკეთებულ განმარტებებს ძირითადი კანონის მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსის განსაზღვრის ლეგიტიმაცია არ დაუკარგავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს სასჯელის თაობაზე და ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლო ამ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით აფასებს სასჯელის პროპორციულობის საკითხებს.¹³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომ-

132 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე დართული განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებაში შეტანილი ტექსტობრივი ცვლილებების მიზანი საერთაშორისო აქტებთან ტერმინოლოგიური თავსებადობის მიზნით ამოიწურება - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115?> (ნანახია 1.2.2019).

133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 1-3.

134 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, აგრეთვე ამავე საქმეზე 2017 წლის 6 თებერვალს მიღებული N1/2/696 საოქმო ჩანაწერი.

ში სსკ) იცნობს სასჯელის რამდენიმე სახეს და თეორიულად, თითოეული მათგანი, შესაძლოა შეფასდეს სასტიკ, არაპროპორციულ სასჯელად.

საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით, არ არის ცხადი რამდენად ფარავს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ყველა შემთხვევას - სასჯელის ყველა ფორმას. მაგალითად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლთან, თუ იმ უფლებასთან მიმართებით, რომელიც შესაბამისი საქმიანობის კონსტიტუციურ გარანტიას ადგენს (მაგალითად, შრომის თავისუფლება). სასჯელის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მისი კონსტიტუციურობა ეჭვქვეშ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დადგეს. ერთ-ერთ მათგანს, უპირობოდ მიეკუთვნება სასჯელის არაპროპორციულობა და ვფიქრობთ, ძირითადი კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს გააჩნია ამ საფუძვლით ეჭვქვეშ დაყენებული ნებისმიერი სახის სასჯელის გადამოწმების რესურსი.¹³⁵

აღსანიშნავია, რომ ამ სამართლებრივი პრობლემის წინაშე საკონსტიტუციო სასამართლო დადგა N702 კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას და მალაღია ალბათობა, რომ ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლო გაფანტავს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებულ ბუნდოვანებას.¹³⁶

2. სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა, როგორც აბსოლუტური უფლება

სასტიკი, არაადამიანური სასჯელის აკრძალვის კონსტიტუციური დებულება ვრცლად საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად განმარტა N592 კონსტი-

135 იშვიათ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს კონსტიტუციის სხვა ნორმების სპეციფიკური მოთხოვნები. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სიკვდილით დასჯის ამკრძალავ დებულებას და სასჯელის ამ სახესთან თეორიულად არსებული სასარჩელო მოთხოვნები უნდა შეფასდეს სწორედ მე-10 მუხლთან და არა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

136 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის N2/12/702 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნული საოქმო ჩანაწერით, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებული პირებისთვის სხვადასხვა უფლების დროებით ჩამორთმევას. სადავო ნორმების არსებითად განსახილველად იქნა მიღებული, როგორც ღირსების უფლებასთან, ისე - შესაბამისი უფლების (პიროვნების თავისუფალი განვითარება, სარჩევნო უფლება, სახელმწიფო თანამდებობის დაკავება და შრომითი საქმიანობის განხორციელება) დამდგენ კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებით. ამდენად, თუ სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს, როგორც სასჯელს, იგი დადგება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტითა და სხვა კონსტიტუციური უფლებებით დაცული სფეროების გამოცვლის საჭიროების წინაშე, სასჯელების კონსტიტუციურობის შეფასების კონტექსტში.

ტუციურ სარჩელზე მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებით.¹³⁷ სასამართლოს, უპირველესად, მოუწია გაეაზრებინა სასტიკი, არაადამიანური სასჯელის აკრძალვის პრინციპის კონსტიტუციური ღირებულება და დაცვის გარანტია.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციური დებულება, რომელიც მიუთითებს სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების აკრძალვის თაობაზე, წარმოადგენს ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელ ნაწილს. სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის საფუძველი და მიზანი თავისუფალი ადამიანია, შეუძლებელია არსებობდეს ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, ღირსების შემლახველი მოპყრობის საჭიროება და, მით უფრო, კონსტიტუციური გამართლება.

ძირითად უფლებებთან შეუსაბამოა სამართალი, რომელიც დემოკრატიის სახელით არაადამიანურ, ღირსების და პატივის შემლახველ მოპყრობას და სასჯელს დასაშვებად მიიჩნევს. საფუძველშივე მცდარი და ცინიკურია იმის დაშვება, რომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება მიიღწევა ადამიანის წამებით, არაჰუმანური მოპყრობით, სასტიკი და ღირსების შემლახველი სასჯელებით.¹³⁸ წარმოდგენილი განმარტება ცხადყოფს, რომ სასამართლომ არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვა განიხილა ისეთი ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპის პარალელურად, როგორცაა, მაგალითად, წამების აკრძალვა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა ლოგიკური დასკვნა და სასტიკი სასჯელის გამოყენების აკრძალვა აბსოლუტურ უფლებად შეაფასა.

სასამართლოს მითითებით, კონსტიტუციური აკრძალვა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე, ადამიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებების შეზღუდვას. მაშასადამე, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, საპირწონე ინტერესი, რომელიც გაამართლებდა ამ უფლებაში ჩარევას. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ უნდა დაიცვას მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესები, როგორებიცაა, სახელმწიფო უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, სხვათა უფლებები თუ სხვა ინტერესები, თუმცა, ვერც ერთი ამ სიკეთის დაცვა ვერ გაამართლებს ადამიანის წამებას, არაჰუმანურ და სასტიკ მოპყრობას, პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებას ან სასჯელს.¹³⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები ცხადყოფს, რომ არაადამიანური, სასტიკი სასჯელის გამოყენების აკრძალვა აბსოლუტურ

137 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

138 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 20.

139 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 19.

უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენება არ შემოფარგლა მხოლოდ სასჯელის სახით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ სასამართლოს მითითებით, არამხოლოდ სასჯელის სახემ (მაგალითად, სასჯელის სახით საჯარო გარომგვის გამოყენება) შეიძლება დაარღვიოს ადამიანის ღირსება, არამედ სასჯელის ინტენსივობამაც. უფრო კონკრეტულად, სასჯელის სახე შესაძლოა თავისთავად არ იყოს არაკონსტიტუციური, თუმცა, მისმა არაპროპორციულმა გამოყენებამ შექმნას ნიადაგი ღირსების უფლების დარღვევისთვის.¹⁴⁰

3. სასჯელის მოცულობის კონსტიტუციურობის შეფასების კრიტერიუმები: აშკარა არაპროპორციულობის ტესტი

ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვგარეშე არ აყენებს ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. იმავდროულად, სასამართლო აცნობიერებს, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბრუნვის წინააღმდეგ სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა, მათ შორის სასჯელზე დამყარებული მეთოდოლოგია და სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით გამოყენებით ისწრაფვოს მიზნის მიღწევისკენ. რეპრესიული ღონისძიებების ალტერნატივად ან მის პარალელურად კანონმდებელმა შეიძლება მიმართოს მომხმარებელთა მკურნალობას და მოთხოვნის შემცირების პოლიტიკას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იგი ვერ იმსჯელებს რომელი მიდგომაა უკეთესი ან/და მიზანშეწონილი. მან უნდა შეაფასოს მხოლოდ კონკრეტული რეგულირების კონსტიტუციურობა.¹⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მსჯელობა განავითარა N 770 სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაში და მიუთითა, რომ „იმ პირობებში, როდესაც ეჭვგარეშეა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხეები, სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ებრძოლოს მის გავრცელებას. ამავე დროს, იმისათვის, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნას, რომ სადამსჯელო ინსტრუმენტების გამოყენება არ არის მიზნის მიღწევის აუცილებელი ღონისძიება, საჭიროა არსებობდეს მეცნიერულ ან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცალსახა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ სხვა, ნაკლებადმზღუდველი მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია იმავე ეფექტის მიღება.“¹⁴²

140 იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 24, 25, 26.

141 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 22.

142 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 45, 46.

ამ დრომდე, საკონსტიტუციო სასამართლოში ეჭვქვეშ არავის დაუყენებია ნარკოტიკული ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სასჯელზე დაფუძნებული მეთოდის აუცილებლობა. ამდენად, მას შემდგომ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია სასჯელის მოცულობის კონსტიტუციურობის შეფასება, მას მოუწია განესაზღვრა კონსტიტუციური სტანდარტი - სასჯელის ზომის კონსტიტუციურობის განმსაზღვრელი ტესტი. ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმების კონსტიტუციურობას აფასებს თანაზომიერების პრინციპის (ტესტის) გამოყენებით.¹⁴³ მიუხედავად ამისა, თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს ანალიტიკური, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებულ ზოგადი მოთხოვნების ერთობლიობას, რომლის გამოყენებამ სასჯელის ზომის კონსტიტუციურობის შეფასებისას, შესაძლოა, გაართულოს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედვლების ფარგლების შენარჩუნება სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრისას. სხვაგვარად, სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასება არ არის კლასიკური სამართლებრივი შემთხვევა. მაგალითისთვის, სამართლებრივი ლოგიკით წლების რაოდენობის შეფასება - სასჯელი უნდა იყოს ერთი წლით მეტი თუ ნაკლები და ა.შ. - რთული წარმოსადგენია. აქედან გამომდინარე, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, სასჯელების კონსტიტუციურობაზე მსგავს კონტექსტში მსჯელობა გაუმართლებელია.¹⁴⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრა საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაა, თუმცა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ მაშინ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ყველა სანქციის სამართალდარღვევასთან შესაბამისობის შეფასებას დაიწყებს, არამედ მაშინაც, თუ სასჯელის სიმძიმის

143 საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, თანაზომიერების ტესტი გულისხმობს უფლების შემზღუდავი ნორმატიული მოწესრიგების ღირებული ლეგიტიმური მიზნის დადგენას. კერძოდ, რომელი საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას ემსახურება სადავო რეგულირება. თანაზომიერების პრინციპის დანარჩენი ელემენტებით (გამოსაღვობა, აუცილებლობა, პროპორციულობა ვინრო გაგებით) დგინდება სადავო ნორმით შემზღუდულ უფლებასა და დაცულ ინტერესებს შორის ურთიერთმიმართება. პირველ, გამოსაღვობის, ანუ დასაშვებობის ეტაპზე, ყურადღება ექცევა, რამდენად არსებობს რაციონალური კავშირი სადავო შემზღუდავასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის - უფლების შემზღუდვით რამდენად მიიღწევა დასახული მიზანი. აუცილებლობით ფასდება, იმავე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ხომ არ არის შესაძლებელი უფლების უფრო ნაკლებად შემზღუდავი საშუალებით, ხოლო საბოლოო - ვინრო პროპორციულობის ეტაპზე ხორციელდება კონფლიქტურ ინტერესთა ღირებულებებითი ანალიზი და დგინდება, დასახული მიზნის მიღწევა ხომ არ იწვევს ადამიანის უფლებების მომეტებულ შემზღუდავას.

144 საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ აბსოლუტურ უფლებასთან თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება იმ დროს, როდესაც გარკვეული მოპყრობა თავისთავად არ იწვევს აბსოლუტური უფლების დარღვევას, თუმცა, ინტენსიური გამოყენებისას შეიძლება გახდეს ამგვარი უფლების დარღვევის წყარო. თანაზომიერების პრინციპით, სასამართლო აფასებს ხომ არ ხდება ღონისძიების მომეტებული ინტენსივობით გამოყენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/4/665, 683 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი, 16, 17, 18, 19, 20, 21.

განსაზღვრა სრულად და უკონტროლოდ კანონმდებლის დისკრეციის იმედად დარჩება.¹⁴⁵

საკანონმდებლო და სასამართლოს ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის დასახელებული დილემა საკონსტიტუციო სასამართლომ სასჯელის აშკარად არაპროპორციულობის ტესტით გადაწყვიტა. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა ... სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე „უბრალოდ გადამეტებული“. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: 1) მოწმდება აშკარა არაპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს შორის – კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამონწვევად ზიანთან, რომელიც ადგება/შეიძლება მიაღგეს პირებს/საზოგადოებას. სასჯელი ჩაითვლება აშკარად არაპროპორციულად და არაადამიანურ, სასტიკ სასჯელად, თუ მისი ხანგრძლივობა მკვეთრად, უხეშად დისპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, გამონწვევად საფრთხეებთან; 2) კანონი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამონწვეული ზიანი, დამნაშავის ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გაუთვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება. მაშასადამე, ერთი მხრივ, ზოგადად, ამა თუ იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამონწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, მოსამართლის დისკრეციის ფარგლები ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც ერთგვაროვანი ურთიერთობების მიმართ ერთნაირი მიდგომა, ისე მოსამართლის დისკრეციის მიზნობრივი გამოყენება – გამოირიცხოს დისკრეციაზე დაყრდნობით მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებით გადაწყვეტილების მიღების რისკები“.¹⁴⁶

ციტირებული პარაგრაფი წარმოადგენს, სასჯელის ზომის შეფასების ზოგად ტესტს. ტესტის გარკვეული ასპექტები აბსტრაქტულია და მათი გამოკვლევა ინდივიდუალურ საქმეთა ფარგლებშია შესაძლებელი, თუმცა ტესტის უმთავრესი იდეა სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების მთავარ ღირებულებებს ეფუძნება. უფრო კონკრეტულად, საკონსტიტუციო სასამართლომ

145 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 35.

146 იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 38.

მიიჩნია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების ავტონომია სასჯელებთან მიმართებით, ვერ შეფასდება უბრალო გონივრულობის მასშტაბით და ორდინალური სამართლებრივი ანალიტიკის გამოყენებით. პარლამენტის მიერ განსაზღვრული სასჯელის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის სიმკაცრე აშკარად სცილდება დანაშაულის სიმძიმეს, რითაც ის დამნაშავის ინსტრუმენტად გამოყენებას - ადამიანის ობიექტად ქცევას განაპირობებს.

4. ნარკოტიკული დანაშაულებისთვის გათვალისწინებულ სასჯელთა კონსტიტუციურობის შეფასების თავისებურებანი

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აფასებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების დონეს. ადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელსაც კანონმდებელი იცავს შესაბამისი ქმედების აკრძალვით და არკვევს, რა მოცულობით ამიანებს აკრძალული ქმედების ჩამდენი პირი დაცულ სიკეთეს.

თავის მხრივ, სსკ იცნობს არაერთი ტიპის ნარკოტიკულ დანაშაულს (მოხმარება, შექმნა, შენახვა, გასაღება, წარმოება და სხვა), რომლებიც შესაძლოა, მიემართებოდეს ყველა ტიპის ნარკოტიკულ საშუალებას. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ იძლევა პასუხს ყველა შესაძლო სამართლებრივ პრობლემაზე, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან და აქტებიდან გამომდინარე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა ნარკოტიკული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელების კონსტიტუციურობის განსაზღვრის ზოგადი მიდგომების თაობაზე.

4.1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ლეგიტიმური ინტერესები: ქმედების აკრძალვით დაცული სიკეთეები

ნარკოტიკულ დანაშაულთა აკრძალვას, შესაძლოა, არაერთი ლეგიტიმური მიზანი ჰქონდეს. მაგალითად, დანაშაულებრივი ეკონომიკური საქმიანობისა თუ უკანონო ბრუნვისთვის ხელის შეშლა, სახელმწიფო საზღვრის დაცვა, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და სხვა. თუმცა, ნარკოტიკულ დანაშაულთა არსებობის უმთავრესი მიზანი მისი მოხმარების შემცირება და ამ გზით, ადამიანთა ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამა თუ იმ უკანონო ნივთიერების/საგნის ფლობის, შექმნის, შენახვის დასჯადობა, როგორც წესი, დაკავშირებულია სწორედ მათი ბრუნვაში გაშვებისა და რეალიზაციის რისკებთან. ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული საგნის, ნივთის ფლობა, შექმნა, შენახვა, დამზადება რეალიზაციის მიზნების გარეშეც საფრთხის შემცველი შეიძლება

იყოს თავად ამ ნივთიერების/საგნის ბუნებიდან, თვისებებიდან გამომდინარე. მაგალითად, ასაფეთქებელი ნივთიერებები, რომელთა ფლობისა და შენახვის თავად ფაქტი უკვე საფრთხის შემცველი რისკის თავისთავად მატარებელია. ნარკოტიკული ნივთიერებები/საშუალებები, მათი მაგნი თვისებების მიუხედავად, ასეთი თავისთავადი რისკის მატარებელი არ არის, ამიტომ მათი დამზადების, შექმნის, შენახვის და ა.შ. რეგულირება/აკრძალვა ხდება სწორედ იმ საფრთხეების გამოსარიცხად, რომელიც მათ მოხმარებას, რეალიზაციას უკავშირდება.¹⁴⁷

ნარკოტიკულ დანაშაულთა დასჯადობის ლეგიტიმურ მიზნებს საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად N770 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა. ამ სარჩელზე მიღებულ შემაჯამებელ აქტს სხვა, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისგან გამოარჩევს ის, რომ სასამართლომ სიტემური ფორმით წარმოადგინა არაერთ აქტში გაბნეული კონსტიტუციური სტანდარტები. იმავდროულად, ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული ერთ, რომელიმე ნარკოტიკულ საშუალებასთან მიმართებით. იგი შეეხება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა ნარკოტიკულ საშუალებას.¹⁴⁸ ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ გამოყო რამდენიმე ლეგიტიმური მიზანი: ა) თავად მოხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა; ბ) ნარკოტიკული ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ გზით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა; გ) საზოგადოებრივი წესრიგის/უსაფრთხოების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ლეგიტიმური მიზნების გამოყოფა არ გულისხმობს, რომ მათი დაცვის საჭიროება ყველა ნარკოტიკულ საშუალებასთან არის აქტუალური ან/და მათი დაცვის მიზნით სასჯელის გამოყენება ყოველთვის კონსტიტუციური იქნება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, ამგვარ დანაშაულებს არ გააჩნია შემხებლობა საზოგადოებრივი წესრიგის/უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან, ვინაიდან კანაფის მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას და არ ახდენს აგრესიული ქცევის სტიმულირებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით, რომლებსაც არ ახასიათებს სწრაფი შეჩვევა და ხანმოკლე ვადაში არ იწვევს აბსტინენციის მდგომარეო-

147 იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 65.

148 N770 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45 მუხლითა და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნა არ დაუვინრობია მხოლოდ იმ ნარკოტიკული საშუალებებამდე, რომლებთან მიმართებითაც გადაწყვეტილების მიღების დროს, მათი ოდენობების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო სადავო ნორმებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამოყენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 15-26.

ბის ჩამოყალიბებას, ასევე იმ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთა შემოქმედების ქვეშ პირი არ ხდება აგრესიული და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე პიპოთეტურია. ამდენად, სასჯელის გამოყენება კანაფის პროდუქტებთან, აგრეთვე იმ სხვა ნივთიერებებთან მიმართებით, რომელთა მოხმარებაც არ იწვევს დასახელებულ ეფექტებს, არ ჩაითვლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაღვე საშუალებად.¹⁴⁹

ნარკოტიკული დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელების კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას ეს ინტერესებიდან ერთი ან რამდენიმე ყოველთვის იარსებებს. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი ნარკოტიკული დანაშაული ერთნაირად ამიანებს დაცულ ლეგიტიმურ ინტერესებს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან ცხადად არის გამიჯნული ნარკოტიკული საშუალების მომხმარება და გასაღება, აგრეთვე სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების ქიმიური მახასიათებლების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ ქცევაზე.¹⁵⁰ დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული, გამოწვევადი ზიანის განსაზღვრა სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასების აუცილებელი კომპონენტია.

4.2. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკულ ბრუნვაში მონაწილეობის ხარისხი

საკონსტიტუციო სასამართლო ნარკოტიკულ დანაშაულთა უკანონო ბრუნვას აღიქვამს, როგორც კომპლექსურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მონაწილეა, როგორც ნარკოტიკული საშუალების დამამზადებელი, მწარმოებელი, მომყვანი, ასევე მისი გამსაღებელი, შემქმნი, მომხმარებელი და ბრუნვის სხვა მონაწილე.¹⁵¹ სხვაგვარად, რომ ვთქვათ ნარკოტიკული ბრუნვის არსებობას სასამართლო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევად განიხილავს და, ზოგადად, მის წინააღმდეგ სასჯელის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს. სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასების არსებული კონსტიტუციური ტესტი უმთავრესად ემყარება ნარკოტიკულ ბრუნვაში პირის მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრას - კერძოდ, რა მოცულობით უწყობს ხელს პირი ნარკოტიკულ ბრუნვას და, შესაბამისად, ამიანებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.

ბრუნვაში მონაწილეობის ხარისხის გავლენა ნარკოტიკული დანაშაულისთვის განსაზღვრულ სასჯელთა კონსტიტუციურობაზე განსაკუთრებით ნათელია მა-

149 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 39, 40.

150 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 67, 68, 69, 74, 75, 94, 95.

151 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 34-36.

რიხუნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ ცნო არაკონსტიტუციურად მარიხუანის მოხმარებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება და, საბოლოოდ, სრულად გააუქმა აღნიშნული ქმედების დასჯადობა.¹⁵² თუმცა, ეს სტანდარტები არ შეეხება ამავე ნარკოტიკული საშუალების გასაღებას/გამსაღებელს. მეტიც, სასჯელთა არაკონსტიტუციურად ცნობამდე, საკონსტიტუციო სასამართლომ გასაღების, რეალიზების აკრძალვა ერთერთ ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია და შესაფასებელ დანაშაულებრივ ქმედებასა და ნარკოტიკული საშუალების გასაღებას შორის კავშირ(ებ)ი განმარტა.

აღსანიშნავია, რომ არ არის აუცილებელი დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებდეს ნარკოტიკული საშუალების გასაღებას იმისთვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახოს ნარკოტიკული საშუალების გასაღების რისკი. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით „ნარკოტიკული საშუალების ოდენობის ზრდასთან ერთად მისი რეალიზაციისა და სხვებისთვის ზიანის მიყენების რისკები პროპორციულად იზრდება. ბუნებრივია, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ, ერთი მხრივ, ადამიანმა შესაძლოა მცირე ოდენობაც რეალიზაციისთვის გამოიყენოს და არა (მხოლოდ) პირადი მოხმარებისთვის, ისევე, როგორც, მეორე მხრივ, დიდი ოდენობა შეიძინოს, გამოიყენოს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნებისთვის. თუმცა, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ, რაც უფრო დიდია ოდენობა, მით ლოგიკური, აშკარა და რეალურია მისი რეალიზაციის მიზნებისთვის ფლობა, ისევე, როგორც ოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება სხვა პირების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მასშტაბიც. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა იძლეოდეს შესაძლებლობას, ყოველ ჯერზე გაიმიჯნოს პირადი მოხმარების მიზნებისთვის და რეალიზაციის მიზნებისთვის [ნარკოტიკული საშუალების] შეძენა/შენახვის ფაქტები. ხოლო მაშინ, როდესაც ოდენობა აშკარად, ობიექტურად აჩენს რეალიზაციის გარდაუვალ საფრთხეს, კანონმდებელი უნდა თავისუფლდებოდეს ვალდებულებისგან, დამატებით შეზღუდოს სამართალშემფარდებელი, ამტკიცოს, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს რეალიზაციის განზრახვა“.¹⁵³ სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს დისკრეცია უფრო ფართოა, როდესაც საკითხი სხვათა ჯანმრთელობის დაცვას შეეხება.¹⁵⁴

სხვაგვარად, თუ ვიტყვით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დასაშვებია, ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას ნივთიერების ოდენობა. იმავდროულად, ნარკოტიკული საშუალების რეალი-

152 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

153 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 91.

154 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 88.

გების, გასაღების რეალური საფრთხე ან/და ინტერესი შესაძლებელია დადგინდეს ნარკოტიკული საშუალების ოდენობიდან გამომდინარე და აღარ იყოს საჭირო გასაღების განზრახვის არსებობის მტკიცება. უფრო კონკრეტულად, რიგ შემთხვევებში, ნარკოტიკული საშუალების ოდენობაში თავისთავად შეიძლება იყოს ნაგულისხმევი მისი გასაღების რისკი. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა არ გამოიციხა დიდი ოდენობით კანაფის დათესვა, მოყვანა კულტივირებისთვის, რადგან მიიჩნია, რომ ამ ოდენობით კანაფის დათესვა ქმნიდა მისი გასაღების რისკს.¹⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი ტესტის თანხმად, ნარკოტიკული საშუალების (რომელსაც არ ახასიათებს დამოკიდებულების სწრაფად ჩამოყალიბება) უკანონო მოხმარება და ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობის პირადი მოხმარების მიზნით დამზადება, შექმნა და შენახვა შეიცავს სხვა ადამიანების ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დაბალ რისკებს და როგორც წესი, არ აღწევს იმ დონეს, რომ (მოხმარებლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით) გაამართლოს პირის მიმართ ისეთი მკაცრი სადამსჯელო ღონისძიების გამოყენება, როგორც არის თავისუფლების აღკვეთა.¹⁵⁶

ამ ქვეთავში ყურადღება გაგამახვილეთ მხოლოდ ნარკოტიკული დანაშაულის მომხმარებელსა და გამსაღებელზე, თუმცა, ნარკოტიკულ დანაშაულში პირს შესაძლოა გააჩნდეს სხვაგვარი როლიც. ნებისმიერი სასჯელი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია დამნაშავის როლი დაცული სიკეთის დაზიანებაში ან ამგვარი საფრთხის შექმნაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით მინიმალურ კონტრობუციულ როლს ნარკოტიკული ნივთიერების პირადი მოხმარება¹⁵⁷ ან/და ამ მიზნით ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვა წარმოადგენს.

4.3. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკული საშუალების ემიური ეფექტები - საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა

სსკ-ის თანხმად, ნარკოტიკული დანაშაულები მოიცავს არაერთ ნივთიერებას. თუმცა, ხშირად ნარკოტიკული საშუალებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება სხვადასხვა კრიტერიუმით. ესენია: ჯანმრთელობის დაზიანების პოტენციალი, დამოკიდებულების ჩამოყალიბების დრო, ნარკოტიკული თრო-

155 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701, 722, 725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი, 27, 28, 31, 32, 33.

156 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 55, 56.

157 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 31, 32.

ბის ეფექტი, დამოკიდებულების ან/და თრობის გავლენა მომხმარებლის სოციალურ ქცევამდე და სხვ. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ ნარკოტიკული საშუალების ქიმიურ შემადგენლობას და მისგან გამომწვეულ საფრთხეებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასებისას. მეტიც, აღნიშნულის გამორკვევის გარეშე, შეუძლებელია სასჯელის პროპორციულობის შეფასება.¹⁵⁸

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ დრომდე იმსჯელა მხოლოდ მარიხუანის მოხმარების ეფექტებზე. სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის გათვალისწინებული სასჯელების კონსტიტუციურობა სასამართლოს ჯერ არ შეუფასებია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გამოკვეთა გარემოებები, რომელთაც გაითვალისწინებს კონკრეტული ნარკოტიკული ნივთიერებისთვის გათვალისწინებული სასჯელის პროპორციულობის შეფასებისას. დასახელებულ კრიტერიუმებს მიეკუთვნება კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე.

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნარკოტიკის ქიმიურ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. კერძოდ, რამდენად დამაზიანებელია შესაბამისი ნარკოტიკული საშუალება უშუალოდ მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის.¹⁵⁹ მაგალითად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება ჯანმრთელობისთვის პოტენციური საფრთხის მატარებელია. თუმცა ნარკოდამოკიდებულების ჩამოყალიბება, ისევე როგორც ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ხარისხი დამოკიდებულია, როგორც ყოველი მომხმარებლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, ისე მოხმარების ხანგრძლივობაზე. თავისთავად, ასეთი საფრთხეების გამორიცხვა, უგულებელყოფა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას რომ მარიხუანის შედეგად მიყენებული ზიანი ნაკლებია სხვა მძიმე ნარკოტიკული საშუალებებისგან გამომწვეულ შედეგებზე და მიიჩნია, რომ ადამიანის პიროვნების თავისუფლების ნაწილია აირჩიოს მისთვის სასურველი ცხოვრების წესი და მარიხუანის მოხმარებას არ გააჩნია იმდენად მძიმე ეფექტი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, რომ აუცილებელი იყოს პირის დასჯა.¹⁶⁰

საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნარკოტიკული საშუალების გავლენას მომხმარებლის სოციალურ ქცევამდე. კერძოდ, რამდენად ახდენს ნარკოტიკული თრობა აგრესიული ქცევის სტიმულირებას. აგრეთვე, რამდენად სწრაფად ვითარდება ფიზიკური დამოკიდებულება შე-

158 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 67, 68, 69, 73.

159 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/13/732 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 24.

160 იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 30, 31, 55

საბამის ნარკოტიკულ საშუალებებზე და როგორია პირის ქცევები ნარკოტიკზე ფიზიკური დამოკიდებულების პერიოდში. ამის გამოკვლევა აუცილებელია ნარკოტიკული საშუალების აკრძალვის მეორე ლეგიტიმური მიზნის - საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ინტერესზე ნარკოტიკული საშუალების ზეგავლენის გამოსაკვლევად.

მაგალითად, მარიხუანის მოხმარების თაობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ნარკოტიკული საშუალების მიმართ ფიზიკური დამოკიდებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს ინტენსიური მოხმარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იმავდროულად, ამგვარი ნარკოტიკული საშუალების თრობის ქვეშ ყოფნა არ ახდენს აგრესიული ქცევების სტიმულირებას.¹⁶¹

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თუ ნარკოტიკული საშუალება ხასიათდება სწრაფი შეჩვევით ან მისი მოხმარება იწვევს პირის მიერ აგრესიულ ქმედებებს, საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, სხვა პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, აშკარაა, ერთი მხრივ, ის მყისიერი საფრთხე, რასაც აგრესიის გამომწვევი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება წარმოშობს, მეორე მხრივ კი, ანტისოციალური, არამართლმომიერი ქმედებების ჩადენის რისკი, რომელსაც ძლიერი აბსტინენციის მდგომარეობა იწვევს. სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი სტანდარტის თანახმად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქნელად მიიჩნევა, არა მხოლოდ ის ნარკოტიკული საშუალება, რომლის უშუალო ეფექტია აგრესიული ქცევა, არამედ ის ნივთიერებებიც რომელიც იწვევს სწრაფ მიჩვევას/დამოკიდებულებას, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ აბსტინენციის (ე.წ. ლომკა) მდგომარეობაში მაღალია პირის მიდრეკილება ანტისოციალური და არამართლმომიერი ქმედებებისკენ.¹⁶² ამგვარი ქიმიური ეფექტების მქონე ნივთიერებებზე, სასამართლომ არაკონსტიტუციურად არ მიიჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

აშკარაა, რომ სასჯელის მოცულობის კონსტიტუციურობის გადანყვეტამდე, უნდა გამოირკვეს კონკრეტული ნარკოტიკული საშუალებიდან მომდინარე საფრთხე, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, ისე - საზოგადოების უსაფრთხოების გადმოსახედიდან. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია სპეციალური, ექსპერტული ცოდნა. სხვაგვარად, ყველა ნარკოტიკულ საშუალებაზე ერთ კონტექსტში მსჯელობა გაუმართლებელია.

161 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადანყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 76, 77, 78, 79. 87.

162 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/6/770 სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 57-58.

4.4. დაცული ინტერესისთვის შექმნილი საფრთხე: ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით მცირე, მოსახმარად უვარგისი ოდენობა

სსკ ნარკოტიკულ დანაშაულს ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების მიხედვით განსაზღვრავს, თუმცა, კოდექსი, როგორც წესი, თავად არ ადგენს, რა სახის ნივთიერება კლასიფიცირდება ნარკოტიკულად და არ განსაზღვრავს ამგვარ ოდენობებს. ამას ადგენს საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“. ზოგიერთ, განსაკუთრებით მძიმე ეფექტების მქონე ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, კანონი მცირე ოდენობას საერთოდ არ განსაზღვრავს, რაც გულისხმობს, რომ მისი ნებისმიერი ოდენობა ავტომატურად დიდ დოზად მიიჩნევა და, შესაბამისად, სსკ-ით კვალიფიცირდება, როგორც დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა.

N696 კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას,¹⁶³ საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია განსაკუთრებით მცირე, მიკროსკოპული ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვისთვის გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობა შეეფასებინა. აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული საშუალება იყო დემომორფინი. სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ამ ნარკოტიკული საშუალებიდან მომდინარე რისკები, დამოკიდებულების ჩამოყალიბების მაღალი ალბათობა და აქედან გამომდინარე, ანტისაზოგადოებრივი ქმედების საფრთხეები.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსარჩელე მხარე დამნაშავედ ცნეს 0.00009 გრამი დემომორფინის დამზადება-შენახვისთვის.¹⁶⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შექმნა და შენახვა მიიჩნევა უფრო დიდი საფრთხის მატარებელ ქმედებად, ვიდრე მისი მოხმარება. იმავდროულად, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ დემომორფინის ინტრავენური გზით მოიხმარენ, საამისოდ გამოყენებულ შპრიცში კი, როგორც წესი, რჩება მისი მიკროსკოპული ოდენობა. დემომორფინის ის ოდენობა, რომელიც რჩება მისი მოხმარების შედეგად და რომლის გამოცალკევება ობიექტურად შეუძლებელია ან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, არა მხოლოდ არ მიანიშნებს პირის განზრახვამე, შემდეგ ჯერზე კვლავ მოიხმაროს დარჩენილი ნარკოტიკული საშუალება, არამედ არ წარმოშობს მისი მოხმარების ობიექტურ შესაძლებლობასაც კი.¹⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, რომ პირი, შესაძლოა, დაისაჯოს დემომორფინის დამზადებისთვის, ან/და მოხმარებისთვის, თუმცა,

163 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

164 მითითებული მიკროსკოპული ოდენობა აღმოჩნდა შპრიცში, რომლიც საგარეოდ, გამოყენებულ იქნა ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად.

165 იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 14.

მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობით ამ ნივთიერების შენახვა საფრთხეს არ წარმოადგენს. სასამართლოს განმარტებით, „სადავო არ არის ჭურჭელზე არსებული ნარკოტიკული საშუალების კვალის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა ამტკიცონ ამა თუ იმ პირის მიერ მოსახმარად ვარგისი ოდენობით დეზომორფინის დამზადების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით დასჯადია იმ ოდენობით დეზომორფინის დამზადება, რომელიც არ გამოდგება მოსახმარად“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ ჩადენილი ქმედების საშიშროება უნდა შეფასდეს სასჯელის პროპორციულობაზე მსჯელობისას და არა იმ დანაშაულის, რომლის ჩადენის ეჭვებსაც შეიძლება აჩენდეს იგი.¹⁶⁶

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ საზოგადოებრივი საფრთხის მატარებლად მიიჩნია ნარკოტიკული საშუალების ის ოდენობა, რომელიც მოსახმარად არის ვარგისი. გამოუყენებადი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მტკიცებულება დანაშაულის დასადასტურებლად, მაგრამ დამოუკიდებლად ამ ქმედების გამო პირის დასჯა, მის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, ეწინააღმდეგება სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოდგენილი მსჯელობა განავითარა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ქიმიური ეფექტების მქონე ნარკოტიკულ საშუალებასთან მიმართებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სტანდარტი უნდა გავრცელდეს ნებისმიერ სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზეც. კერძოდ, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მოსახმარად გამოუყენებადი ოდენობით ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ სასჯელს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის.¹⁶⁷

4.5. დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებული რისკი: ქმედების განმეორებითი ჩადენა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია ემსჯელა სასჯელის პროპორციულობაზე იმ კუთხით, თუ რამდენად ახდენს მასზე გავლენას დანაშაულებრივი ქმედების განმეორებითი ჩადენა. კერძოდ, საქართველოს უმე-

166 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 15, 16.

167 აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მოსარჩელე მხარე არ მოითხოვდა ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების არაკონსტიტუციურად ცნობას, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს N1318 კონსტიტუციურ სარჩელს, რომელშიც სადავოდ არის ქცეული გამოუყენებელი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების ფლობის გამო არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ, ზოგადად, ამგვარი დანაშაულის არსებობის კონსტიტუციურობა. ამდენად, ამ სამართლებრივ პრობლემას ცხადი პასუხი დასახელებულ სარჩელზე სამართალწარმოების დასრულების შემდგომ გაცემა.

ნაესი სასამართლოს წარდგინებების განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 273-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს მარიხუანის მოხმარებისთვის, თუ ქმედების ჩამდენ პირს იმავე ქმედებისთვის უკვე ჰქონდა შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი ან იყო ნასამართლავი სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადად, გასაკვიცი ქმედების განმეორებით ან/და არაერთგზის ჩადენა შეიძლება განაპირობებდეს ყოველი ახალი დანაშაულის ფაქტის სიმძიმეს. შესაბამისად, ამა თუ იმ დანაშაულის განმეორებით ან არაერთგზის ჩადენის შემთხვევაში, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროპორციულობის საკითხი შეიძლება საჭიროებდეს დამოუკიდებლად შეფასებას. კერძოდ, ამა თუ იმ ქმედებისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სასტიკ, არაადამიანურ სასჯელად მიჩნევა თავისთავად არ გულისხმობს იმავე ქმედების არაერთგზის ჩადენისათვის ანალოგიური სასჯელის გამოყენების არაკონსტიტუციურობას.

შესაბამისად, სასჯელის პროპორციულობაზე გავლენას ახდენს ქმედების განმეორებით ჩადენა. კერძოდ, სასჯელი, რომელიც ზოგადად არაპროპორციულია კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის, შესაძლოა, გამოყენებული იყოს იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში. სასჯელის კონსტიტუციურობის განსაზღვრისას, პიროვნებისგან მომდინარე სამართლებრივი საფრთხეები ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია. სხვაგვარად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს დანაშაულის სუბიექტების პირთა წრე, ვინაიდან, საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებით, შესაძლოა, არსებობდეს განსხვავებული ლეგიტიმური მოლოდინები და ინტერესები, რომლებიც შეფასების მიღმა ვერ დარჩება.

5. ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის აშკარად არაპროპორციულ სასჯელად კვალიფიკაცია

მას შემდგომ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს ზემოთ დასახელებულ გარემოებებს, კერძოდ, შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობიდან მომდინარე საფრთხეებს, ისევე როგორც დანაშაულის სუბიექტის პირთა წრეს, სასამართლო იწყებს სასჯელის ინტენსივობის განსაზღვრას. სასჯელთა სახისა და ინტენსივობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არ არსებობს და ვერც იარსებებს რაიმე, წინასწარ განსაზღვრული ტესტი ან შეფასების კრიტერიუმები. ამის ნაცვლად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს სასჯელის სახე და მისგან მომდინარე ნეგატიური ეფექტები.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავისუფლების აღკვეთა არის ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრესი ფორმა. ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მის უკიდურეს

შემთხვევაში გამოყენებაზე. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასჯელის პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს ბრალის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, რელევანტურ გარემოებებს წარმოადგენს: ა) რამდენად განასხვავებს კანონმდებლობა ნარკოტიკულ საშუალებებს მათგან მომდინარე საფრთხეების მიხედვით; ბ) რამდენად იმიჯნება სასჯელები ჩადენილი ქმედების სიმძიმის მიხედვით (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, გასაღება, რეალიზაცია); გ) როგორია მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები.¹⁶⁸ თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გარემოებები არ არის ამომწურავი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასტიკი, არაადამიანური სასჯელის აკრძალვა ღირსების უფლების ნაწილია. სასჯელთა გამოყენებისას, ინდივიდუალური შეფასების ნაკლებობა და ბლანკეტური წესების დამკვიდრება, სხვა გარემოებებთან ერთად, შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ სასჯელის უმთავრესი მიზანი არა პირის რესოციალიზაცია ან/და სამართლიანობის აღდგენა, არამედ მისი „სანიშნო“ დასჯა და ამით სხვა, პოტენციურ დამნაშავეთა დაშინებაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამგვარი მიდგომით ხდება ადამიანის მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად გამოყენება, რაც არღვევს ღირსების უფლებას და სასტიკი სასჯელის გამოყენების აკრძალვის პრინციპს.¹⁶⁹ გარდა ნორმის ბლანკეტურობისა, სასჯელის აშკარად არაპროპორციულ ბუნებას შეიძლება წარმოაჩენდეს ამ სასჯელის შედარება მსგავს, ან უფრო მძიმე დანაშაულებთან. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მიდგომის გამოყენების შესაძლებლობა დაუშვა, მაგრამ ამ ეტაპისთვის არ გამოუყენებია.¹⁷⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის აშკარად არაპროპორციულად მიჩნევას, შესაძლოა, მოჰყვეს ორი შედეგი. პირველი - სასჯელის განხილული სახის სრულად არაკონსტიტუციურად ცნობა. მაგალითად, N592 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანის შექმნა/შენახვისთვის. განსხვავებული შემთხვევა სასჯელის ზომის არაკონსტიტუციურად ცნობა. ასეთ დროს შესაძლებელია სასჯელის გაუქმებული სახის გამოყენება, მაგრამ არა იმ მოცულობით, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.¹⁷¹

168 საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადაწყვეტილება. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 98, 99, 100.

169 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 100, 101, 102, 103.

170 იქვე.

171 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701, 722, 725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

§ 3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება: ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ქმედების კრიმინალიზაცია

სასტიკი, არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვისგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულებრივი ქმედების კონსტიტუციურობის შეფასება. კერძოდ, დანაშაულებრივ ქმედებად მიჩნეული ნორმის, სამართალდარღვევის შემადგენლობის არაკონსტიტუციურობის მოთხოვნა და ამგვარი მოთხოვნის გაზიარება გულისხმობს, რომ ის არ უნდა წარმოადგენდეს დანაშაულს.

ქმედების კონსტიტუციურობის თაობაზე მსჯელობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ არგუმენტს ეფუძნება დანაშაულებრივი ქმედების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა. მაგალითად, თუ სამართლებრივი პრობლემა შეეხება პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობას, სიცხადეს - სახელმძღვანელო კონსტიტუციურ დებულებას წარმოადგენს კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის კონსტიტუციური ნორმა-პრინციპი.¹⁷²

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ნარკოტიკული დანაშაულის კონსტიტუციურობის თაობაზე იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა კითხვები დამდგენი დანაშაულებრივი ქმედების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთა კონსტიტუციურობა, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან, უნდა შეფასდეს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული უფლება) კონტექსტში.¹⁷³

1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას მინიჭებული აქვს ე.წ. შემავსებელი დანიშნულება. კერძოდ,

172 საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კანონმდებლობა, განსაკუთრებით, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები, უნდა პასუხობდეს განჭვრეტადობის მაღალ ხარისხს. კერძოდ, ნორმის ადრესატს უნდა შეეძლოს აკრძალული ქცევის წესის გარკვევა. ეს კანონის ხარისხობრივი მოთხოვნის ნაწილია. იმავდროულად, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის სიცხადესთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლებელია შეფასდეს სხვა უფლებებთან კავშირშიც. მაგალითად, N516 კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლომ დანაშაულის დამდგენი ნორმა შეაფასა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში და დაადგინა, რომ სადავო ნორმა იყო ბუნდოვანი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ბუნდოვანება არ შეესაბამებოდა პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს და იმავდროულად, ჰქონდა მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებაზე. შესაბამისად, სასამართლომ შესაბამისი ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო როგორც გამოხატვის თავისუფლებასთან, ისე - კანონის გარეშე პასუხისმგებლობის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპთან მიმართებით. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის N2/2/516, 542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

173 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით.

აღნიშნულ სფეროში თავსდება უფლებები, რომლებიც არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა ნორმებით, თუმცა პიროვნების თავისუფალი განვითარების, ქმედების ზოგადი თავისუფლების ნაწილია.¹⁷⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის განსახილველ უფლებას „აქვს შემავსებელი ფუნქცია და იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უზოგადესი უფლების ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ არის დაცული აღნიშნული უფლების კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებულ ცალკეულ სეგმენტებში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი წესი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, მისი ქმედებების ავტონომიურობას ან პიროვნების მიმართ სამოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, მისი არჩევანის შესაბამისად განსაზღვრის პრინციპს ზღუდავს, შემხებლობაშია საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პირადი ცხოვრების უფლებებთან“.¹⁷⁵

სხვადასხვა საშუალებით და აქტივობებით - იქნება ეს ნარკოტიკული, ალკოჰოლური, თუ სპორტული - სიამოვნების მიღება თითოეული ადამიანის არჩევანია. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის სხვა დებულებები აღნიშნული უფლებებისთვის სპეციფიკურ გარანტიებს არ ადგენს. შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და ქმედების თავისუფლების ამ გზით რეალიზება საკონსტიტუციო სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ნაწილად მიიჩნია.¹⁷⁶

2. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობის კონსტიტუციურობის შეფასების ტესტი და მისი გამოყენების თავისებურებანი

N732 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად ცნო არაკონსტიტუციურად ნარკოტიკული დანაშაული - პასუხისმგებლობის დაკისრება მარიხუანის განმეორებით მოხმარებისთვის. ხოლო, N1282 კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად, გაუქმდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ ნარკოტიკული საშუ-

174 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.“ აღნიშნული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად პირველად განმარტა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული სფერო და მასში მოიაზრა, მათ შორის, უანგარო დონორობა და სხვა ალტრუისტული ქმედებები.

175 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოგუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 15.

176 აღნიშნულისგან უნდა გავმიჯნოთ ნარკოტიკული დანაშაულები, რომლებიც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას არ შეეხება. მაგალითად, თუ პირი მიიჩნევს, რომ რომელიმე ნარკოტიკული საშუალების რეალიზება უნდა იყოს კანონიერი ეკონომიკური საქმიანობა, მან უნდა იდავოს საკუთრების ან/და თავისუფალი მენარმეობის უფლებებთან მიმართებით.

ალების მოხმარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დასაბუთება სრულად ემყარება საკონსტიტუციო სასამართლოს სასჯელის პროპორციულობის შეფასებასთან დაკავშირებით დამკვიდრებულ სტანდარტებს, რომლებიც 2.3 ქვეთავში მიმოვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ როგორც N732, ისე N1282 კონსტიტუციურ სარჩელებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში, საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა თანაბრობის პრინციპით. საკონსტიტუციო სასამართლომ, თანაბრობის პრინციპის სხვადასხვა ეტაპზე მიმოიხილა ნარკოტიკული საშუალებებით დაცული ინტერესები, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, ზოგადად, მარიხუანის მოხმარება არ იყო იმ ტიპის საზოგადოებრივი საშიშროების ქმედება, რომლისთვისაც საჭირო იქნებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.¹⁷⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს, რა თქმა უნდა, არ გამოურიცხავს გარკვეულ ტერიტორიებზე, საზოგადოებრივი წესრიგის და არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, გარკვეული შეზღუდვების დაწესება.¹⁷⁸

აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რჩება რამდენიმე კითხვის ნიშანი, რომელზეც ცხადი პასუხი არ არსებობს და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უნდა განიმარტოს. მათგან უმნიშვნელოვანესია ქმედების თავისუფლების ფარგლები საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების კონტექსტში. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა, საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით, ვერ პასუხობს კონსტიტუციის მოთხოვნებს, ვინაიდან „მარიხუანის მოხმარება არ არის დაკავშირებული მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენებასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება პირი საკუთარი თავისათვის ასეთი ზიანის მიყენებისგან დაიცვას საკუთრივ ზიანის მიმყენებელი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებით.“¹⁷⁹

ერთი შეხედვით, საკონსტიტუციო სასამართლომ შემოიტანა ზიანის მოცულობის ტესტი. კერძოდ, თუ საკუთარი თავისთვის მიყენებული ზიანი არ არის სერიოზული და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ ქმნის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხეს, სახელმწიფოს არ აქვს ქმედების აკრძალვის უფლებამოსილება. საპირისპიროდ, გადაწყვეტილების იმავე შინაარსობრივ მონაკვეთში, სასამართლო ქმედების აკრძალვის აუცილებელ პირობად მესამე პირებისთვის შექმნილ საფრთხეს ასახელებს. კერძოდ, სასამართლო აღ-

177 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 36.

178 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 35.

179 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 32.

მიზნებს, რომ „სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ადამიანის ავტონომიურობას, მის ნებაყოფლობით არჩევანს, მისი ცხოვრების წესს და არ ჩაერიოს მასში, თუკი იმავდროულად არ არსებობს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების თუ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების რეალური ხელყოფის რისკი“.¹⁸⁰

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მნიშვნელოვანია დადგენილი სტანდარტის სხვა ნარკოტიკულ დანაშაულებზე¹⁸¹ გავრცელების საკითხის გადასაწყვეტად, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვან შინაარსობრივ მიმართულებას არ იძლევა.

დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, შეიცვალა სასამართლოს როლი დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკის კონსტიტუციურობის შეფასების პროცესში. ეს ყველაზე მეტად შეეხო ნარკოტიკულ დანაშაულებს. რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილების მიუხედავად, კვლავ არსებობს ღიად დარჩენილი საკითხები ნარკოტიკული დანაშაულისა და სასჯელების კონსტიტუციურობის თაობაზე. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს რამდენიმე სარჩელს, რომლებზე მიღებულ გადაწყვეტილებებსაც დიდი მნიშვნელობა ექნება არსებული ბუნდოვანების გაფანტვის და ახალი სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული დანაშაულებისთვის დადგენილი სასჯელის პოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს არაადამიანური, სასტიკი სასჯელის გამოყენების აკრძალვის კონტექსტში. ამისთვის, სასამართლო იყენებს აშკარად არაგონივრული, არაპროპორციული სასჯელის ტესტს. ტესტის უმთავრესი მიზანია განსაზღვროს, ხომ არ ხდება დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის ობიექტივიზაცია - დანაშაულის გამოყენება სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი მიზნების მისაღწევად. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

სსკ-ით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით დადგენილი დანაშაულების კონსტიტუციურობა ფასდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით, თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით ხდება იმ საკითხების გამოკვლევა, რომლებიც წარმოადგენს აშკარად არაპროპორციული სასჯელის ტესტის ნაწილს.

180 იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 30.

181 ისეთი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დასჯადობაზე, რომელიც არ ქმნის საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დარღვევის რისკებს.

თავი III. ნარკოდანაშაულები ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში

§ 1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქო-აქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხ. 260)

1. ზოგადი მიმოხილვა

ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებული საკითხები ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული დისკუსიის საგანია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს ცალსახად უპირისპირდება ადამიანის პირადი თავისუფლება და საზოგადოებრივი ინტერესები¹⁸². გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნარკოტიკულ საშუალებებს, გარკვეულწილად, ორმაგი ბუნება აქვს – ერთი მხრივ, სამკურნალო (მაგ. მორფინი, როგორც ტკივილგამაყუჩებელი) და მეორე მხრივ - დამამიანებელი.¹⁸³ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება შედარებით კონსერვატიულია, ბოლო პერიოდში, როგორც საზოგადოებრივ, ისე - სამართლებრივ დონეზე, ლიბერალური ტენდენციები შეიმჩნევა, განსაკუთრებით ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სანქციებთან თუ ზოგადად აღნიშნული ქმედების დასჯადობასთან მიმართებით.¹⁸⁴

სისხლის სამართლის კოდექსით, ნარკოდანაშაულებს ცალკე თავი ეთმობა. თუმცა, მიუხედავად თავის დასახელებისა, იგი არეგულირებს არა მხოლოდ უშუალოდ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ გვხვდება რეგულაციები ნარკოტიკების ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ან ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებაც.

ზოგადად, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებული ნებისმიერი ნორმა, გარკვეული სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება. ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიების ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტი სწორედ ისაა, თუ რა სამართლებრივ სიკეთეს იცავს სსკ-ის 33-ე თავში არსებული ნორმები. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში¹⁸⁵, ეს მიზანი ზოგადად არის ჩამოყალიბებული.

182 შეად. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N1/3/1282; ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ასევე კანადა, სადაც კანაფის არასამედიცინო მიზნებით გამოყენების ლეგალიზება მოხდა (გასაღებაც დაშვებულია) - <https://www.theguardian.com/world/2018/jun/06/all-eyes-on-canada-as-first-g7-nation-prepares-to-make-marijuana-legal> (ნანახია 13.7.2018; ასევე <https://www.theguardian.com/world/2018/jun/06/Canada-cannabis-legalization-questions-answered> (ნანახია 13.7.2018).

183 Weber, BitMG, §1 Rn. 1.

184 მაგ. იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N1/3/1282; 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/13/732.

185 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/22132/>(ნანახია 13.7.2018).

კერძოდ, აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძოდ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას (მუხ. 1).

შედარებით უფრო კონკრეტულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი¹⁸⁶, რომელშიც საუბარია ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის დაცვაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე (მუხ. 1, ნაწ. 1).¹⁸⁷

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი დასახელებული რეგულირების მიზნების განსაზღვრისას, ორ ძირითად ასპექტს გამოყოფს: ინდივიდის დაცვა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.¹⁸⁸ ვფიქრობთ, დასახელებულ კანონებში მოცემული მიზნები სისხლის სამართლის კოდექსზეც ვრცელდება. თუმცა, პირადი თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, სულ უფრო ჭირს იმის დასაბუთება, რომ თვითდაზიანება უნდა იყოს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება. აქცენტი გადასულია მოსახლეობის, ანუ კოლექტიური საზოგადოებრივი სიკეთის დაცვაზე.¹⁸⁹ ამასთანავე, გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაცვის ობიექტია მოსახლეობის მწივობრივი ჯანმრთელობა,¹⁹⁰ საერთოდ აცდენილია თანამედროვე სტანდარტებს და არ პასუხობს სისხლის სამართლის ამოცანებს. მწივობის დაცვა და მორალურად კარგი ადამიანების „გამოყვანა“ არ არის და ვერ იქნება, ზოგადად, სამართლის და მათ შორის, ამ დარგის ამოცანა. სისხლისსამართლებრივი ნორმების შემოღება არ ხდება უზნეო ქმედებების გამო. სისხლისსამართლებრივი რეგულაციები კონკრეტულ სიკეთეებს იცავენ (სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვ).

შედარებისთვის, ანალოგიური დისკუსია დღემდე მიმდინარეობს გერმანული იურისპრუდენციაშიც. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, კანაფის შეძენის ლეგალიზებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში (რომელშიც უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე) ირიბად, სწორედ „სახალხო ჯანმრთელობის“ დაცვის ინტერესები მოიშველია არგუმენ-

186 [https://matsne.gov.ge/ka/document/view/16700322\(ნანახია13.7.2018\)](https://matsne.gov.ge/ka/document/view/16700322(ნანახია13.7.2018)).

187 შუად. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 16.6.2016 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

188 შუად. Oğlakcioğlu, Der Allgemeine Teil des Betäubungsmittelstrafrechts, 72.

189 ამაში იგულისხმება ფიზიკური ჯანმრთელობის და არა მწივობრივი ინტერესების დაცვა-ობ. თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 10. მწივობრივი ინტერესების დაცვა თანამედროვე სისხლის სამართლისთვის უცხო კატეგორიაა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მწივობა არ არის ერთმნიშვნელოვნად განმარტებადი.

190 ლეკვეიშვილი/თოდუა /მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 17.

ტად¹⁹¹. აღნიშნულმა მიდგომამ კი, სამეცნიერო ლიტერატურაში ცხარე დისკუსია გამოიწვია, დაწყებული პატერნალიზმის ბრალდებით,¹⁹² დამთავრებული ინდივიდუალური ინტერესების ხელყოფაზე მითითებით, იმ ფონზე, როცა მოხმარება, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ცალკე აღებული არ ისჯებოდა (და არც ახლა ისჯება).¹⁹³

ამასთანავე, რამდენიმე წლის წინ, სისხლის სამართლის პროფესორებისგან შემდგარმა ჯგუფმა (120-ზე მეტი ხელმომწერი) გერმანიის პარლამენტსაც კი მიმართა საერთო რეზოლუციის ფორმით, გადაეხედათ ეკონომიკურად არაეფექტიანი და სოციალურად საშიანო ნარკოპოლიტიკისთვის, მათ შორის, კანაფის ლეგალიზების კუთხით.¹⁹⁴

საბოლოო ჯამში, უკიდურესად რთულია სისხლის სამართლის კოდექსის მთლიანი თავისთვის ერთიანი, უნივერსალური და იმგვარი სამართლებრივი სიკეთის ცნების მისადაგება, რომელიც თანაბრად მოერგებოდა ყველა მუხლს. იგი ცალკეული შემადგენლობების განხილვისას, საჭიროების მიხედვით დაკონკრეტდება.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება, დაარეგულიროს და აკრძალოს თუნდაც საკუთარი თავის დამაზიანებელი ქმედებები (გავისხენოთ ტრანსპორტის მართვისას ღვედის გაკეთების ვალდებულება). თუმცა, მოქმედი სისხლისსამართლებრივი სტანდარტები ნარკოტიკებთან დაკავშირებით ახლებურად არის გასააზრებელი ჩარევის პროპორციულობის, ინდივიდუალური თავისუფლებისა და არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, ვინაიდან, მოქმედი ნორმები, თუნდაც გერმანულ კონცეფციას რომ დაგვერდნოთ, სახალხო ჯანმრთელობას ვერ უზრუნველყოფს და არაეფექტიანია.¹⁹⁵

ფაქტია, რომ ნარკოპოლიტიკა ეყრდნობა არა ერთმნიშვნელოვნად სამედიცინო მაჩვენებლებს (კანაფის სასარგებლოობა-მაგნებლობამც კი განსხვავებული კვლევები არსებობს),¹⁹⁶ არამედ კონკრეტულ საზოგადოებრივ სულისკვეთებას, იდეოლოგიას, არსებულ კულტურულ ღირებულებებს, პოლიტიკურ სიტუაციასა თუ ეკონომიკურ გამოწვევებს.¹⁹⁷ ამიტომ, სისხლის სამართლის დონეზე ამ კომპლექსური საკითხის გადაწყვეტის ნებისმიერი მცდელობა, ინვესტის დისკუსიას. არასწორია იმის მოლოდინი, რომ ამ სფეროს სრულად მოწესრი-

191 BVerfGE 90, 145.

192 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 2.

193 Weber, BtMG, § 1 Rn. 6.

194 Duttge/Steuer, ZRP 2014, 181.

195 დაწვრ. შეად. თავი II.

196 შეად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 90,145, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ექსპერტების მოსაზრებებიც იქნა გაანალიზებული. მოგვიანებით მსგავსი პრობლემების წინაშე დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, იხ. საქმე N1/4/ 592.

197 Oğlacioğlu, in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I, BtMG Vor § 1, Rn. 2.

გება, მხოლოდ სამართლის ყველაზე მკაცრი დარგის საშუალებით არის შესაძლებელი.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილი ეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, წარმოებასა და სხვა ქმედებებს. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადობის საკითხის განყენებულად განხილვისას ფონს ვერ გავალოთ, ვინაიდან ის ბლანკეტურად დაკავშირებულია ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტებთან, კერძოდ, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონთან. დასახელებულ კანონში დანართის სახით მოცემულია როგორც ნივთიერებების ჩამონათვალი, ისე - განსაზღვრულია მათი ოდენობები (მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა. ასევე, მცირესა და დიდს შორის - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საკმარისი ოდენობა). ჩამონათვალი დაყოფილია კონტროლის ხარისხის მიხედვით სამ ჯგუფად: სია I – ბრუნვისათვის მკაცრად შემზღვეული ნარკოტიკული საშუალებები; სია II – ბრუნვისათვის შემზღვეული საშუალებები; სია III – ფსიქოტროპული ნივთიერებები; სია IV – პრეკურსორები. ასევე, აკრძალული ნივთიერებების იდენტიფიცირებისთვის უნდა გამოვიყენოთ „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ცალკე სიას შეიცავს.

ზემოხსენებული პირველი კანონის თანახმად, ბრუნვისათვის მკაცრად შემზღვეულ ნარკოტიკულ საშუალებებში იგულისხმება ის ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სამედიცინო მიზნებითაც კი დაუშვებელია. გამონაკლისია სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მათი გამოყენება (მუხ. 3 ქვეპ. „თ“). ყოველ შემთხვევაში, ითვლება, რომ ამ ნივთიერებებისგან მომდინარე საფრთხე ბევრად უფრო დიდია, ვიდრე პოტენციური სარგებელი.¹⁹⁸ ნიშანდობლივია ისიც, რომ სიაში ჯერ კიდევ მოქცეულია კანაფი, თუმცა, მისი მავნებლობის საკითხი მედიცინაში ერთმნიშვნელოვნად გარკვეული არ არის.¹⁹⁹

ბრუნვისთვის შემზღვეულ საშუალებებში შედის ის ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სამედიცინო მიზნებით არ არის აკრძალული (მუხ. 3 ქვეპ. „ი“). თუმცა, მათი მოხმარება, მაინც დასჯადია.

ერთი შეხედვით, აღნიშნული სიები, ამომწურავია. წესით, ანალოგიის აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი შემზღვევები სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე არ უნდა ვრცელდებოდეს.²⁰⁰ თუმცა, ამ პრინციპს

198 Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, Kap. 2 Rn. 13.

199 Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, Kap. 2 Rn. 13.

200 ჭეაძ. Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn.5.

ენინააღმდეგება კოდექსშივე ნახსენები ნარკოტიკული საშუალების „ანალოგი“, რომლის დეფინიციაც პირდაპირ არსად არის მოცემული და მისი შინაარსი ბუნდოვანია. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც არც ერთ სიაში არ არის შეტანილი, მაგრამ ადამიანის ორგანიზმზე მისი ზემოქმედება ნარკოტიკების მსგავსია.²⁰¹ აღნიშნული აკრძალვა კოდექსში არ შეესაბამება ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს, ვინაიდან მოქალაქისთვის გაუგებარია, თუ რისი გამოყენებისთვის შეიძლება მიეცეს ის პასუხისგებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ჯერ ექსპერტიზით უნდა დადგინდეს ნივთიერების მოლეკულური სტრუქტურა, არის თუ არა იგი ორგანიზმზე ნარკოტიკის მსგავსი ზემოქმედების მომხდენი, ხოლო შემდეგ, უნდა მიენიჭოს შესაბამისი სახელწოდება და შევიდეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიაში.²⁰² როგორც ვხედავთ, საკმაოდ რთული პროცედურაა განსაზღვრული ნივთიერების ზემოქმედების ხარისხის დასადგენად. შესაბამისად, ამ ფონზე, წინასწარვე პირის დასჯა „რადაცის“ მოხმარებისთვის ან თუნდაც გასაღებისთვის, არ იქნებოდა გამართლებული.

სანამ თითოეული ქმედების ცალ-ცალკე განხილვას შევუდგებით, მანამდე უნდა ვახსენოთ დანაშაულის სუბიექტი. სსკ-ის 260-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ფიზიკური და იურიდიულიც, გარდა გარკვეული გამონაკლისი შემთხვევებისა, სადაც მაგ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე (ნაწ. 5 ქვეპ. „გ“) ან ადრე ჩადენილ დანაშაულზე საუბარი (ნაწ. 3 ქვეპ. „ე“).²⁰³

რაც შეეხება დანაშაულის საგანს, როგორ უკვე აღინიშნა, 260-ე მუხლი, რამდენიმე ნივთიერებას ეხება – ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. ანალოგზე ვისაუბრეთ და აღარ შევხებით. რაც შეეხება დანარჩენ ნივთიერებებს, ამ შემთხვევაშიც, ისევ ე.წ. სპეციალურ კანონებს უნდა მივმართოთ. პირველ რიგში, ეს არის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება - ეს არის ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციის საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკულ საშუალებათა I და II სიაში (ოპიუმი, ჰეროინი, ყაყაჩოს ნაშა, ამფეტამინი, კოკაინი და ა.შ.). ფსიქოტროპულ ნივთიერებად ითვლება III სიაში შეყვანილი ნივთიერებები (ეფედრინი, კეტამინი, ლორაზეპამი და ა.შ.), ხოლო პრეკურსორებად - IV სის N 1-2 ცხრილებში ჩამოთვლილი ნივთიერებები.

201 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 14.

202 ლეკვეიშვილი/თოდუა/მაშელაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 21.

203 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 10.

აღნიშნული სიები არ არის მყარი და კანონმდებელს შეუძლია, მასში ცვლილებების შეტანა არსებული გამოწვევების მიხედვით. თუმცა, სიის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ სამედიცინო მაჩვენებლებს არ ეყრდნობა და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ნარკოპოლიტიკის გატარებას ისახავს მიზნად ხელისუფლება (ლიბერალურს, მკაცრს, შერეულს). მაგალითად, ერთი და იგივე ნივთიერება, რომელთან დაკავშირებითაც, არ არსებობს რამე ახალი სამედიცინო კვლევა თუ მიგნება, შეიძლება ამოვარდეს სიიდან და გახდეს ლეგალური. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მოქმედი კანონმდებლობა და მასში მოცემული სიები.

გადავიდეთ ცალკეული ქმედების განხილვაზე. რა იგულისხმება სსკ-ის 260-ე მუხლში ნახსენები ნივთიერებების **დამზადებაში**? ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ობიექტური შემადგენლობის თითოეულ ქმედებაზე მსჯელობისას, არ უნდა დაგვავინწყდეს სიტყვა „უკანონო“, რაც მთლიან მუხლს ლაიტმოტივად გასდევს და გამორიცხავს შესაბამისი წესების დაცვით აღნიშნულ ქმედებათა დასჯადობას. მაგალითად, თუ ფარმაცევტული კომპანია კანონიერი ნებართვის საფუძველზე სამედიცინო მიზნებით აწარმოებს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მედიკამენტს, საერთოდ არ გვექნება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა.

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დამზადება გულისხმობს ყველა პროცესს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღებული იქნას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება. აგრეთვე, მცენარის, ნივთიერების ან პრეპარატის უცხო მინარევებისგან გაწმენდა, მისგან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გამოყოფა, ამ ნივთიერების კონცენტრაციის შეცვლა (მუხ. 3. ქვეპ. „ყ“).²⁰⁴ საინტერესოა, რომ იმავე კანონში ტერმინები დამზადება და გადამუშავება ერთდროულად არის გამოყენებული

მაგალითისთვის, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პირი, რომელიც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარისგან, კუსტარულად გამოიყვანს აკრძალულ ნივთიერებას (მაგ. მოხარშვის ან გამოშრობის მეშვეობით).²⁰⁵ ნარკოტიკული ნივთიერების დამზადების დასჯადობისთვის არ აქვს მნიშვნელობა ქმედების განხორციელების ხერხს, მოხდება ეს მექანიკურად, თუ ქიმიური მეთოდებით.²⁰⁶ ასევე, ეს ქმედება გულისხმობს ნებისმიერ მანიპულაციას, სხვადასხვა ნივთიერების ერთმანეთში შერევას ნარკოტიკის შემოქმედების უნარის გაძლიერების მიზნით;²⁰⁷ მინარევებისგან გაწმენდას, აკრძალული ნივთიერების სხვა აკრძალულ ნივთიერებად გადაქცევას (მაგ. მორფინის ბაზაზე ქიმიური პროცესების

204 შეად. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 24.

205 შეად. სუსგ #2კ-522აპ-10.

206 Weber, BitMG, § 29 Rn. 132.

207 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 18.

შედგება ჰეროინის გამოყვანას).²⁰⁸

საინტერესოა, როგორ უნდა შევავსოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა მანიპულაციების გზით, კონკრეტულ ნივთიერებაში ნარკოტიკების კონცენტრაციის დონე არათუ გაზარდა, არამედ შეამცირა. ვფიქრობთ, აღნიშნული ქმედება მაინც უნდა დაისაჯოს, ვინაიდან, მოქმედი კანონიდან გამომდინარე, იგი უნებართვო საქმიანობას ეწევა, ამზადებს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას და არ აქვს მნიშვნელობა, გაიზრდება თუ შემცირდება მასში ნარკოტიკების კონცენტრაცია. კანონმდებლობის მიზანია, ზოგადად, ამ სფეროს მკაცრი რეგულირება და ნებისმიერი უნებართვო ჩარევის თავიდან აცილება.

ნარკოტიკული საშუალების დამზადების დასჯადობისთვის არ არის აუცილებელი შედეგის სახით ისეთი პროდუქტის მიღება, რომელიც მყისიერად გამოყენებადია. მთავარია, რომ აღნიშნული საშუალება უკვე დამზადდა, ხოლო იმნუთიერი მოხმარების შესაძლებლობა-შეუძლებლობა (მაგ. დამატებით შესაფუთია ან დასაფუთავია) არ ახდენს გავლენას კვალიფიკაციაზე.²⁰⁹ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადობისთვის საკმარისია თვითონ დამზადების ფაქტი და არ არის დამატებითი მითითება პროდუქტის მოხმარებაუნარიანობაზე. დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა მაშინაც გვექნება, თუ პირი ისეთ შუალედურ პროდუქტს დაამზადებს, რომელიც, თავის მხრივ, მერე აკრძალული ნივთიერების გამოსაყვანად გამოიყენება.²¹⁰ მაგალითად, დაამზადა პრეკურსორი და თავისი განზრახვა ამით ბოლომდე მიიყვანა. დამზადების შემადგენლობად ფასდება თუნდაც კანაფის გამოშრობა და ამ გზით მარიხუანის მიღება.²¹¹

თუმცა, მნიშვნელოვანია, დამზადებისგან გავმიჯნოთ წარმოება, ვინაიდან მათ შორის განსხვავება საფრთხის მასშტაბებში მდგომარეობს. **დამზადება** შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი, მაგრამ სერიული სახით დამზადება უკვე წარმოებას ნიშნავს. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხ. 3 ქვეპ. „ფ“), წარმოება დაშვებულია ფარმაცევტულ საწარმოებში შესაბამისი წესების დაცვით, ანუ ამის მიღმა რაც ხდება სერიულად, გვაძლევს სსკ-ის 260-ე მუხლის შემადგენლობას.

კვალიფიკაციის თვალსაზრისით, პირი ნარკოტიკულ საშუალებას ან/და სხვა აკრძალულ ნივთიერებას ერთჯერადად დაამზადებს თუ სერიულად, ფორმალური თვალსაზრისით არაფერი იცვლება, ვინაიდან ორივე მათგანი საბოლოოდ მაინც სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფასდება. მიუხედავად

208 Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, Kap. 2 Rn. 64.

209 Weber, BtMG, § 29 Rn. 139; Oğlakcıoğlu in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I, BtMG § 29, Rn. 139.

210 შეად. BGH NJW 1998, 836.

211 სუსგ # 522-აპ-10.

ამისა, გამიჯვნა მაინც მნიშვნელოვანია სასჯელის შეფარდების კუთხით. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილით, სასამართლოს, სასჯელის შერჩევისთვის ფართო მიხედულება აქვს, კერძოდ, ამ ქმედებისთვის განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 6 წლამდე, რაც არადამახასიათებელია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის. თუმცა, ვფიქრობთ, ამ ფორმით კანონმდებელმა მოახდინა იმ გამოწვევებზე რეაგირება, რომლებიც მანამდე მოქმედი კანონმდებლობისთვის იყო დამახასიათებელი, კერძოდ, მედმეტად ხისტი და არაპროპორციულად მკაცრი სასჯელები, რაც უნდა შეეფარდებინა სასამართლოს (ქვედა ზღვარი ბევრად უფრო მაღალი იყო). მოქმედი რედაქციით კი, შესაძლებელია, ქმედების საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე, შედარებით უფრო კონკრეტულ შემთხვევათა თავისებურებაზე მორგებული სანქციების გამოყენება.

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი **შეძინის** ცნებას ფართოდ განმარტავს და მასში მოიაზრებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დაუფლებას (მუხ. 3, ქვეპ. „ჰ“). პრაქტიკასა და დოქტრინაში საუბარია ასევე მოპოვებაზე.²¹² შეძენა დამთავრებულია ამსრულებლის მხრიდან ნივთიერების რეალურად დაუფლების მომენტიდან.²¹³ მას უკვე უნდა შეეძლოს შეძენილი ნივთიერების, როგორც საკუთრის, განკარგვა.²¹⁴ წინასწარი შეთანხმება და თუნდაც ფულის გადახდა არ არის საკმარისი ქმედების დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის.²¹⁵

უკანონო შეძენა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს, იქნება ეს ფულის გადახდით, სხვა ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლის სანაცვლოდ მიღების თუ სხვა გზით.²¹⁶ ქმედების შეძენად დასაკვალიფიცირებლად, მთავარია წინა მფლობელთან შეთანხმება. სწორედ ამით განსხვავდება სსკ-ის 260-ე მუხლი 264-ე მუხლისგან, რომელშიც საუბარია მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასა და გამოძალგაზე, ანუ, განსხვავება ისაა, რომ აკრძალული ნივთიერების პირველ მფლობელთან არ მომხდარა შეთანხმება.²¹⁷ მაგალითად მას მოკა-

212 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 16.6.2016 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718); ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 26.

213 Weber, BtMG, § 29 Rn. 1191.

214 შეად. სუსგ #2კ-508აპ.-17., რომელიც, მართალია, ეხება საბრძოლო მასალის უკანონო შეძენას, მაგრამ სასამართლო აღნიშნავს, რომ ის დამთავრებულია პირის მიერ აღნიშნული მასალის განკარგვის შესაძლებლობის მომენტიდან; მსგავსი მიდგომაა ქურდობასა და ძარცვასთან მიმართებითაც, რომლებიც, სასამართლოს მოსაზრებით, დამთავრებულია მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთების განკარგვის რეალური შესაძლებლობის წარმოშობის მომენტიდან - სუსგ #13აპ.-17; შეად. ასევე BGH NJW 1952, 754.

215 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 7.5.2012, #1/2045-12; შეად. BGHSt 40, 208.

216 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 20.

217 შეად. BGHSt, 40, 208.

რეს ან იარაღის მუქარით წაართვეს აკრძალული ნივთიერება.²¹⁸

წარმოვიდგინოთ მოკლე კაზუსი: ა-მ შეიძინა ბ-სგან დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება, რისთვისაც ფული გადაიხადა. მოგვიანებით კი ფულის უქონლობის გამო, ბ-ს ჯიბიდან ამოაცალა იმ ნივთიერების დარჩენილი ნაწილი, ასევე დიდი ოდენობით. პირველ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო მეორე ეპიზოდი კი 264-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ქმედების უკანონო შეძენად კვალიფიკაცია არ არის დამოკიდებული კანონიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაზე. პირთა შორის შეთანხმება არ გულისხმობს იმას, რომ შემძენი მესაკუთრედ გადაიქცევა. ეს შეთანხმება სამოქალაქოსამართლებრივად ისედაც ბათილია.²¹⁹ ამიტომ, კანონმდებლობაში ცალსახად ხაზგასმულია, რომ დასჯადობისთვის საკმარისია დაუფლება.

წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი: ა-მ დროებით შესანახად მიიბარა ნარკოტიკული ნივთიერება თავის მეგობარ ბ-ს, ვინაიდან თვითონ საზღვარგარეთ მიდიოდა. არის თუ არა მეგობარი ამ ნივთიერების შემძენი?

ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს. მართალია, ბ ფიზიკურად დაეუფლა აღნიშნულ ნივთიერებას, მაგრამ ის რეალურად არ გასულა ა-ს მფლობელობიდან; ეს იყო მხოლოდ დროებითი მიბარება და არა შეთანხმება სრულ გადაცემაზე, რის საფუძველზეც ბ-ს შეეძლებოდა ნივთიერების თავისი სურვილისამებრ განკარგვა²²⁰. ბ შენახვაში დახმარებისთვის აგებს პასუხს. ამსრულებელი კი იქნება ა. მუსტად იმავეს თქმა შეიძლება კურიერზე, რომელსაც გაატანეს ნარკოტიკული საშუალება.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითი: ა ნარკოტიკებით არაღეგალურად ვაჭრობდა და კურიერ ბ-ს გაატანა აკრძალული ნივთიერებები ციხეში მჯდომ გ-სთან, რომელიც იყო შემძენი. შეფასდება თუ არა ბ-ს ქმედება, როგორც შემძენის, თუ ის შეთანხმებას დაარღვევს და ცოტა ხანში თავად განკარგავს მისთვის მინდობილ ნარკოტიკს?²²¹

მართალია, ბ გადაცემის შემდეგად დაეუფლა აკრძალულ ნივთიერებას და მისი განკარგვა ობიექტურად უპრობლემოდ შეეძლო, მაგრამ ეს არ ყოფილა გამსაღებელსა და მას შორის დადებული შეთანხმების საგანი.²²² ა-მ ის პროცესში მხოლოდ დროებითი მომსახურების მიზნით ჩართო და არ გადაუცია განკარგვის უფლებამოსილება. სამართლებრივი შეფასებისთვის გადამწყვეტია

218 შეად. სუსგ #2კ-43კოლ-2001; ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 26.

219 Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, Kap. 2 Rn. 65.

220 Weber, BtMG, § 29 Rn. 1202.

221 BayObLGSt 2003, 116.

222 BayObLGSt 2003, 118.

მხარეებს შორის არსებული შეთანხმების ანალიზი.²²³ მოგვიანებით, ბ-ს მიერ აზრის შეცვლა ვერც ა-ს გადააქცევს ბ-ზე ნარკოტიკის გამსაღებლად და ვერც ბ-ს ნარკოტიკის შემძენად. ასეთ შემთხვევაში, ბ, მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის, სსკ-ის 264-ე მუხლით აგებს პასუხს.

პრობლემატური შედეგი კაზუსი: ა ბ-ს თავის წილ ნარკოტიკს უწილადებს და თვითონვე შეუყვანს ორგანიზმში არის თუ არა ბ შემძენი?

რეალურად, ნარკოტიკის მფლობელი ა თავისი ხელიდან არ უშვებს კონტროლს და არ გადასცემს ნივთიერებაზე მფლობელობას მეორე პირს. სწორედ ეს არის შეფასებისთვის გადამწყვეტი²²⁴ მნიშვნელობის მქონე.²²⁵ როგორც კი ნარკოტიკის მიმღები მოშორდება გადაცემის ადგილს და თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას, სად და როგორ მოიხმაროს იგი, ეს უკვე მისი მხრიდან შეძენა იქნება.²²⁶ იგივე ითქმის გადაცემის მომენტიდან თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობის წარმოშობის დროსაც (მაგ. პირმა ფული გადაუხადა გამსაღებელს და ნივთიერება გამოართვა). მაგრამ ამგვარი მიდგომის შემთხვევაში, ა-ს ქმედება ქართული კანონმდებლობით დაუსჯელი დაგვრჩებოდა. შესაძლოა, ვიფიქროთ სსკ-ის 272-ე მუხლზე, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე დაყოლიება, მაგრამ როცა ბ-ს თვითონ ჰქონდა უკვე მოხმარების სურვილი თავიდანვე, ეს შემადგენლობა ა-ს მიმართ არ გამოგვადგება და გამოვიდოდა, რომ იგი საერთოდ დაუსჯელი დარჩებოდა. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მართალია, ბ არ არის შემძენი (ის არაფერს დაუფლებია და ნარკოტიკს ბოლომდე ა განკარგავდა), მაგრამ ა მაინც გამსაღებელია, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალება გაავრცელა.

პირმა თუნდაც იჩუქოს აკრძალული ნივთიერება, ესეც დანაშაულად ჩაითვლება. მაშასადამე, სულაც არ არის აუცილებელი ნივთიერების მიღებისას რაიმეს სანაცვლოდ მიცემა წინა მფლობელისთვის. გარდა ამისა, სსკ-ის 260-ე მუხლი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ პირი ნაპოვნი ნარკოტიკული ნივთიერების თან წაღებისთვისაც კი დავსაჯოთ. ამ დროს შეფასებისთვის, გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მან ნარკოტიკი თავის მფლობელობაში მოაქცია.²²⁷ ეს მიდგომა კანონმდებლობის სულისკვეთებას შეესაბამება, ვინაიდან, მთავარია, აკრძალული ნივთიერებები არ მოექცეს არაუფლებამოსილ პირთა ხელში.

უკანონო შეძენასთან გვექნება საქმე ველურად აღმოცენებული ნარკოტიკული მცენარეების შეგროვების დროსაც. ნაკვეთს რომც ჰყავდეს მესაკუთრე, მაგრამ მას მცენარეებზე შრომა არ გაუწევია და ისინი თავისით აღმოცენდნენ, გამოდის, რომ მას არც აქვს მათი მფლობელობის სურვილი, ამიტომ აღნიშნული სი-

223 BayObLGSt 2003, 118.

224 OLG München NStZ 2006, 580.

225 OLG München NStZ 2006, 580.

226 Weber, BtMG, § 29 Rn. 1206.

227 ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, გამოძიების #010100116001286847.

ტუაცია პოვნას გაუთანაბრდება და უკანონო შექმნად დაკვალიფიცირდება.²²⁸ იგივე ითქმის მოსავლის აღების მერე მეპატრონის მიერ მიტოვებული მცენარეების დაუფლებამზე, ვინაიდან ისინი პირველი მფლობელობიდან უკვე ნებით გასულია.²²⁹

იმ შემთხვევაში, თუ პირს აკრძალულ ნივთიერებას აღმოუჩინენ და ვერ დგინდება, რომ მან თავად დაამზადა ეს ნივთიერება, ქართული პრაქტიკით, მას შენახვასთან ერთად, განაჩენში შექმნაც დაუკვალიფიცირდება. მაგალითად, პოლიციამ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ჩაატარა ჩხრეკა საეჭვო პირის სახლში და მას აღმოუჩინა დიდი ოდენობით ნარკოტიკი. გამოძიებამ ვერ დაადგინა შექმნის წყარო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირი პასუხისმგებამი მიეცემა როგორც შენახვისთვის, ისე - შექმნისთვის²³⁰. ამ შემთხვევაში, განაჩენში მიეთითება, რომ შექმნა მოხდა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში.

ერთი შეხედვით, ეს ლოგიკურია, ვინაიდან ნივთიერება სადღაც უკანონოდ მოპოვების გარეშე ბრალდებულთან ვერ აღმოჩნდებოდა, თუმცა, არის თუ არა მართებული, განაჩენში მიეთითოს ის ქმედება, რის ჩადენაც ვერ დასტურდება? ნორმაში მითითებული თითოეული ქმედება, შინაარსობრივად ხომ ნორმაში სხვადასხვა რამეს გულისხმობს. ამ ლოგიკით, ნებისმიერი პირი, ვისაც ნარკოტიკის მოხმარება დაუდგინდება, ამავედროულად შემძენიცაა, რაც არასწორი იქნებოდა.

ქართულ სამართალში, **შენახვაც** საკანონმდებლო დონეზე განმარტებული და გულისხმობს ნებისმიერ გამიზნულ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ფლობასთან შენობაში, სამალავში ან სხვაგვარად, თუ ეს ქმედება დაკავშირებული არ არის მის გადატანასთან, მიუხედავად შენახვის ხანგრძლივობისა („ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის მუხ. 3, ქვეპ „ჰ“¹¹).

შენახვა დენადი დანაშაულია და შესაბამისად, პირველი დღიდან ბოლო ნუთამდე, ნებისმიერ პერიოდში, როდესაც კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება უკანონოდ სხვის ხელში იყო, ერთ შემადგენლობას ქმნის. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა, პირი ნივთზე ბატონობას თავისი ნებით გაუშვებს ხელიდან თუ აღნიშნული არანებაცოფლობით მოხდება²³¹. როგორც კი აკრძალული ნივთიერება მისი კონტროლიდან გავა, დანაშაული მატერიალურად დამთავრებულია.

228 თოღუა/გოგმელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 20; ლეკვეიშვილი/თოღუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 26.

229 თოღუა/გოგმელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 20; ლეკვეიშვილი/თოღუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 26.

230 სუსგ #2კ-697აპ.-17; #2კ-716აპ.-17; #2კ-678აპ.-17.

231 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 222.

განვიხილოთ შემდეგი კაზუსი: ა თავისთან ინახავდა ნარკოტიკულ ნივთიერებას და მას მოულოდნელად კარზე პოლიციამ დაუკაკუნა. მტკიცებულების განადგურების მიზნით, ა-მ ნარკოტიკი ფანჯრიდან გადააგდო.

ეს ქმედება უკვე დამთავრებული დანაშაულია და ა დაისჯება ნარკოტიკის უკანონოდ შენახვისთვის, ვინაიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ნივთიერება მის ხელში იყო. ფორმალურად, დანაშაულის შემადგენლობა შენახვის დაწყებისთანავე განხორციელდა და შესაბამისად, შეწყვეტის ფორმას მნიშვნელობა არ აქვს. ასევე, მნიშვნელობა არ აქვს შენახვის ფორმას, ადგილს და ხანგრძლივობას (სახლში, მანქანაში, სარდაფში, სხეულში და ა.შ.).²³² თუმცა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა განზრახვით ახორციელებს პირი ამ ქმედებას.

ისევ წარმოვიდგინოთ კაზუსი: ა-მ უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება თბილისში და სურს მისი გადატანა ქუთაისში. მან ნაყიდი ნივთიერება მაშინვე პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო და მანქანით დანიშნულების ადგილისკენ გაემგზავრა. როგორ შეფასდება მისი ქმედება?

პირველი ქმედება შეფასდება როგორც აკრძალული ნივთიერების უკანონო შექმნა, ხოლო მეორე ეპიზოდი არ მოგვცემს შენახვის შემადგენლობას, ვინაიდან ა-ს მიზანი იყო ნარკოტიკის სხვა ადგილას გადატანა და ლოგიკურია, გადატანის პროცესში, ნივთიერება სადმე უნდა მოეთავსებინა.²³³ მაშასადამე, მეორე ქმედება დაკვალიფიცირდება გადაზიდვად. კვალიფიკაცია შეიცვლება, თუ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეინახავდა ამ ნივთიერებას, რათა მოგვიანებით სხვაგან წაეღო. დროის ამ შუალედში, უკვე შენახვის განზრახვაც დგინდება.

უკანონო შენახვისთვის დამატებით პასუხისგებაში მიეცემა შემძენიც – მაგალითად, პირმა ერთ დღეს შეიძინა აკრძალული ნივთიერება, მერე კი რამდენიმე დღე სახლში ინახავდა.²³⁴ ხოლო, თუ შექმნილი ნივთიერება მყისიერად მოიხმარა, ეს უკვე აღარ მოგვცემს შენახვის შემადგენლობას.

კაზუსი: ა-მ ლეგალურად, აფთიაქში შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება და მოულოდნელად მოუწია სხვაგან წასვლა. მან ეს ნივთიერება რამდენიმე დღით შესანახად მიიბარა თავის ახლობელ ბ-ს. დაისჯება თუ არა ბ უკანონო შენახვისთვის?

პასუხი უარყოფითია. ამ შემთხვევაში, ბ გამოდის უბრალოდ დამხმარე, ხოლო როცა ამსრულებლის ქმედება ლეგალურია, დამხმარის ქმედების შეფასება დანაშაულად არასწორია. საქმე გვაქვს დროებით მიბარებასთან, რომელიც

232 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 20.

233 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 21; ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 27.

234 შეად. სუსგ #2კ-238აპ.-17.

არ ქმნის უკანონო გავრცელების საფრთხეს.²³⁵ პირიქით, აკრძალული ნივთიერების უმეტესად უფროდ დატოვების შემთხვევაში, შესაძლოა, უფრო მეტი საფრთხე შეიქმნას აღნიშნული ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევის თვალსაზრისით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისთვის, აუცილებელი არ არის აკრძალული ნივთიერების „თავისთან“ შენახვა. როგორც წესი, ნარკომოვაჭრები თავს არიდებენ მსგავს ქმედებას და სხვადასხვა სახის სამალავს იყენებენ, იქნება ეს შემნახველი სალარო თუ სხვა „უსაფრთხო“ ადგილი მათი საცხოვრებლისგან მოშორებით.²³⁶ მართალია, ამ დროს, აკრძალული ნივთიერება ფიზიკურად მათ კონტროლქვეშ უშუალოდ არ არის, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისთვის ამ გარემოებას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ დამნაშავეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია, სურვილისამებრ მისი განკარგვა. ასეთ დროს, სახეზე გვაქვს ე.წ. შუალობითი შენახვა (შემნახველი სალაროს თანამშრომელი, როგორც ბრმა იარაღი).²³⁷

კაზუსი: ა-მ თავის შვილს აღმოუჩინა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც აღშფოთებულმა წაართვა პოლიციაში ჩაბარების მიზნით, რაც მეორე დღესვე გააკეთა კიდევ. დაისჯება თუ არა ა უკანონო შენახვისთვის?

ა არ დაისჯება უკანონო შენახვისთვის, ვინაიდან მას არ ჰქონია აკრძალული ნივთიერების ფლობის, მასზე „ბატონობის“ სურვილი.²³⁸ პირიქით, მან ეს ქმედება აკრძალული ნივთიერებით უკანონო ბრუნვიდან ამოღების მიზნით განახორციელა. მისი საქციელი, შესაძლოა, უკიდურესი აუცილებლობითაც გამართლდეს (სსკ მუხ. 30).²³⁹ იმავენაირად შეფასდება ა-ს ქმედება ნივთიერების ადგილზევე განადგურების შემთხვევაშიც, ხოლო, როცა მისი გადანყვრელება ზოგადია და წართმეულ ნივთიერებას უბრალოდ შეინახავს, ეს უკვე უკანონო შენახვაა.

ასევე, აკრძალული ნივთიერების უკანონო შენახვისთვის არ დაისჯება პირი, რომელიც მხოლოდ დახმარებას უწევს რეალურ მფლობელს დროის მცირე მონაკვეთში.²⁴⁰ მაგალითად, პირმა მეზობელს სარდაფიდან ნივთიერება გადააბრუნა სახლის ზედა სართულზე და რამდენიმე წუთის განმავლობაში, იგი ხელში ეჭირა. ამ დროს, დამხმარე არ ბატონობს ნივთიერებაზე და ამის არც სურვილი აქვს²⁴¹. ის მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და ამიტომ პასუხს აგებს თანამონაწილეობისთვის.

235 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 21.

236 Kotz/ Oğlakcioğlu, in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I, BtMG, § 29 Rn. 1114.

237 Kotz/Oğlakcioğlu, in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I, BtMG, § 29 Rn. 1114.

238 OLG Hamm NSTz 2000,600.

239 Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, Kap. 2 Rn. 98.

240 BGH NJW 1975,1741.

241 BGH NJW 1975,1741.

იმავე ლოგიკით, ვერ დავსჯით პირს, თუ მაგალითად, იგი საპოლიციო კონტროლის დროს თავის მეგობარს დაეხმარება და რამდენიმე წუთით, სანამ პოლიციელები მეგობარს ჩხრეკენ, მის ნარკოტიკს თავის ტანსაცმელში შეინახავს. მცირე დროის მონაკვეთი არ აფუძნებს ნივთიერებაზე ბატონობას.²⁴² მეორე პირი მხოლოდ დამხმარეა და არა ამსრულებელი.

შენახვის ფართოდ განმარტების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ კანონში საუბარია ფაქტობრივ ფლობაზე და ფორმალურად, ამის საშუალებას იძლევა) წაიშლებოდა ზღვარი თანამონაწილესა და ამსრულებელს შორის. სწორედ ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობა უნდა განიმარტოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პრინციპებთან კავშირში, კერძოდ: არის თუ არა პირი მეორეხარისხოვანი ფიგურა? რა ინტერესით მოქმედებდა იგი? სურდა თუ არა მას ნივთზე მფლობელობის დაფუძნება? და სხვ.

ასევე, უკანონო შენახვის შემადგენლობას არ გულისხმობს შემდეგი შემთხვევა: ა-მ იცის, რომ მისი მეგობარი ბ, ვისთან ერთადაც იგი საცხოვრებელ ბინას იყოფს, სახლში ნარკოტიკულ საშუალებას ინახავს, თუმცა მეგობრის ხათრით ამას ითმენს.²⁴³

ასეთ შემთხვევაში, ა არც ამსრულებელია და არც დამხმარე, ვინაიდან, იგი უკანონო შენახვის არც ერთ კრიტერიუმს არ ახორციელებს და მხოლოდ თმენისთვის ვერ დაისჯება. ცალკე აღებული ცოდნის ფაქტი არ არის საკმარისი უკანონო შენახვის დაფუძნებისთვის. ნებისმიერ სახლში ან ბინაში, სადაც რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს, ბუნებრივია, რომ ცალკეული პირებს დამოუკიდებლად, საკუთარ მფლობელობაში გააჩნიათ ნივთები, რომლებიც სხვებისგან გამიჯნულია და ისინი მათზე მხოლოდ პირადად ახორციელებენ ინდივიდუალურ ბატონობას.²⁴⁴ სიტუაცია შეიცვლება, თუ გამოძიებით დადგინდება, რომ ამ ნარკოტიკებით მეორე პირიც სარგებლობდა და თვითონაც გააჩნდა შენახვის სურვილი. თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ ერთობლივად რამდენჯერმე ადგილზევე ისარგებლეს აღნიშნული ნივთიერებით, ეს მაინც არ არის საკმარისი მისი შენახვისათვის პასუხისმგებლობაში მიცემისთვის.²⁴⁵

შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, ა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაისაჯოს.

კაზუსი: ა თავის ძმასთან ერთად იყოფდა ბინას და სახლში ინახავდა ნარკოტიკებს. იგი, მოულოდნელად, ქუჩაში პოლიციამ გაჩხრიკა და მცირე ოდენობით ნარკოტიკი აღმოუჩინა. ა-მ ასთმის შეტევის სიმუღირება მოახდინა, რის გამოც, საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც მან ბ-სთან დარეკვა მოახერხა და უთხრა, სახლში შენახული ნარკოტიკები სხვაგან გადაემალა, ვინაიდან შე-

242 Kotz/Oğlacioğlu, in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I, BtMG, § 29, Rn. 1117.

243 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 220.

244 OLG München, NStZ-RR 2011, 56.

245 OLG München, NStZ-RR 2011, 56.

იდლება პოლიციას ბინა გაეჩხრიკა. ბ-მ ეს თხოვნა შეასრულა და აკრძალული ნივთიერება ეზოში გადამალა. დაახლოებით 45 წუთში, პოლიციამ მართლაც ჩაატარა ჩხრეკა და ნარკოტიკიც აღმოაჩინა. როგორ შევაფასოთ ბ-ს ქმედება?²⁴⁶

გემოხსენებელი მსჯელობის გათვალისწინებით, ბ-სთან მიმართებით, გადამალვამდე არსებული სიტუაცია, შენახვად ვერ დაკვალიფიცირდება. კაზუსიდან იკვეთება, რომ აკრძალული ნივთიერებები ინახებოდა საერთო სახლში, რაც ბ-ს პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

თუმცა, გადამალვის განხორციელების მომენტიდან, დაფუძნდა ახალი მფლობელობა, რომელიც დროის უმნიშვნელო, მცირე მონაკვეთს გასცდა და დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში, აღნიშნული ნივთიერება სწორედ ბ-ს ხელში იყო.²⁴⁷ ამასთანავე, მხოლოდ მას ჰქონდა სამალავის თაობაზე ინფორმაცია და თავის ნებაზე შეეძლო მისი ბედის გადაწყვეტა.²⁴⁸ ყოველივე ეს კი, გასცდა დამხმარის შედარებით მეორეხარისხოვან ფიგურას და იგი გახდა ამსრულებელი. ის გარემოება, რომ ა-ც ამსრულებლობისთვის დაისჯება, ფაქტზე გავლენას ვერ მოახდენს.

როდესაც საუბარია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფლობაზე, დასჯადობა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ოდენობაზე, რომელიც პოტენციურად გამოყენებადია. მაგალითად, თუ საქმე ეხება რომელიმე ნივთიერების უნიშვნელო (არაგამოყენებად) ნარჩენს, მართალია, ნარკოტიკი მაინც ნარკოტიკად რჩება, თუმცა, მისი გამოყენება რეალურად შეუძლებელია და დასჯადობასაც აზრი არ აქვს.²⁴⁹ ნივთიერებათა სპეციალური კონტროლი და აკრძალვები იმისთვის არსებობს, რომ სახიფათო ნივთიერებები არ გავრცელდეს და ვინმემ არ მოიხმაროს და არა იმისთვის, რომ ვინმე სიმბოლურად დაისაჯოს წინასწარვე უშედეგო და არასაშიში ქმედებისთვის.²⁵⁰

თუმცა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც პირი პასუხისგებაში მიეცემა თუნდაც სხვა მომხმარებლის მიერ გადაგებული, გამოყენებული შპრიცის პოვნისა და თან წაღებისთვის.²⁵¹ იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი ოდენობა ძალიან მცირე ოდენობისაა, მაგრამ მაინც შეიძლება მისი გამოყენება, პირის დასჯა შეძენა-შენახვისთვის სწორია, მაგრამ თუ ეს ოდენობა არაგამოყენებადია, მაშინ პირი არ უნდა დაისაჯოს. ამიტომ, სასამართლომ, გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ იმ ფაქტით არ უნდა იხელმძღვანელოს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ნარჩენები შპრიცში იყო. რეალურად, დანაშაულის საგანი გამოყენებისთვის უვარგისია. მსგავსი კაზუსი, უფრო მცდე-

246 OLG München, NStZ-RR 2011, 56.

247 OLG München, NStZ-RR 2011, 56.

248 OLG München, NStZ-RR 2011, 56.

249 OLG Düsseldorf, NStZ 1992, 443.

250 OLG Düsseldorf, NStZ 1992, 443.

251 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი #1/17-18.

ლობის შემადგენლობას მოგვცემს, ვიდრე დამთავრებული დანაშაულის (პირს შეგნებული აქვს ქმედების უმართლობა, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს, თუმცა, ჰგონია, რომ ეს ნარჩენი გამოადგება).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითაც, „ამა თუ იმ უკანონო ნივთიერების/საგნის ფლობის, შექენის, შენახვის დასჯადობა, როგორც წესი, დაკავშირებულია სწორედ მათი ბრუნვაში გაშვებისა და რეალიზაციის რისკებთან. ნარკოტიკული ნივთიერებები/საშუალებები, მათი მავნე თვისებების მიუხედავად, ასეთი თავისთავადი რისკის მატარებელი არ არის, ამიტომ მათი დამზადების, შექენის, შენახვის და ა.შ. რეგულირება/აკრძალვა ხდება სწორედ იმ საფრთხეების გამოსარიცხად, რომლებიც მათ მოხმარებას, რეალიზაციას უკავშირდება“.²⁵²

გადაზიდვა - ეს არის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება, გადატანა ნებისმიერი საშუალებით, მისი განმკარგავის ან მფლობელის მიერ („ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის მუხ. 3, ქვეპუნქტი „ჩ“). აკრძალული ნივთიერების გადაზიდვა შენახვისგან უნდა გაიმიჯნოს. კერძოდ, სხვა ადგილას მოთავსების მიზნით გადაადგილება არის გადაზიდვა, ხოლო ამის გარეშე - შენახვა.²⁵³ მაშასადამე, საქმის განხილვისას, სასამართლომ, ყურადღება მიზანს უნდა მიაქციოს.²⁵⁴

ამ მხრივ, სადავოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის აღრიხილი მიდგომა. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ მიზანს კანონმდებელი შექენის, შენახვისა და გადაზიდვის დროს განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ეს მაგალითად, მოხმარებასთან მიმართებით არის კანონში აღნიშნული.²⁵⁵ ამ მიდგომით, ფაქტობრივად, ზღვარი წაიშლებოდა შენახვასა და გადაზიდვას შორის, რაც არასწორია.

ამასთანავე, გადაზიდვაში არ იგულისხმება, აკრძალული ნივთიერების მაინცდამაინც შორ მანძილზე ან სხვა ტერიტორიულ ერთეულში გადატანა. ერთი ქუჩიდან მეორეზე გადატანაც კი მოგვცემს მის შემადგენლობას.²⁵⁶

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით, ასევე დასჯადია აკრძალული ნივთიერებების **გადაგზავნა**, რომელშიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახ-

252 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-65.

253 თოღუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 23.

254 სუსგ N815-აპ-09.

255 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2015, 135.

256 სუსგ #43-აპ-09.

მარების შესახებ“ კანონის თანახმად, იგულისხმება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება (გადამისამართება) ნებისმიერი საშუალებით, ამ ნივთიერების გამგზავნის, ადრესატისა და უფლებამოსილი პირის დაუსწრებლად (მუხ. 3, ქვეპ. „შ“). სწორედ აღნიშნული პირის დაუსწრებლობა არის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რაც ამ ქმედებას გადაზიდვისგან განასხვავებს (მაგ. ფოსტით გაგზავნა).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება აკრძალული ნივთიერების ფოსტაში ან სხვა დაწესებულებაში ჩაბარების მომენტიდან,²⁵⁷ რაც დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან, აკრძალული ნივთიერების დანიშნულების ადგილამდე ჩატანა რეალურად არ მომხდარა. სამწუხაროდ, კანონმდებლობაში ერთმნიშვნელოვნად არ იკითხება გადაგზავნის შინაარსი. კანონი მიუთითებს გადაადგილება/გადამისამართებაზე, თუმცა გადამისამართება არ გულისხმობს მარტო გზავნილისთვის მისამართის შეცვლას. ის უფრო გადაადგილების ტერმინოლოგიური შემავსებელია და კანონი, ცალკე აღებული, მისამართის შეცვლას არ სჯის.

აქედან გამომდინარე, საჭიროა, ამ ორი ქმედების დიფერენცირება პრაქტიკული მაგალითის მოშველიებით.

კაზუსი: ა-მ დაიბარა თავისთან სახლში ნარკოკურიერი ბ და მას ხელში დააკავა შეფუთული ნარკოტიკული საშუალება. იქნება თუ არა ეს დამთავრებული დანაშაული?

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ქმედება დამთავრებული დანაშაულია. კერძოდ, ბ-ს გადაადგილება არც კი დაუწყია (ეს ქმედება უფრო მომზადებად ან მცდელობად შეიძლება შეფასდეს), ხოლო, როგორც კი კურიერი დატოვებს სახლს და გაემართება დანიშნულების ადგილისკენ, გადაგზავნა უკვე დამთავრებულია, ვინაიდან კანონი გადაადგილებაზე აკეთებს აქცენტს და არა მიანიცდამინიც დანიშნულების ადგილას მითანაზე. განსხვავებულად უნდა მივუდგეთ ფოსტის საკითხს. ფოსტაში გზავნილის ჩაბარებისთანავე იწყება ერთიანი პროცესი (აღრიცხვა, დახარისხება, ჩალაგება მისამართების მიხედვით და ბოლოს, ფოსტალიონის მიერ გზავნილის განაწილება), რომელიც აითვლება ამანათის ფოსტის თანამშრომლისთვის გადაცემისთანავე (ის დააკრავს მარკას და დაარეგისტრირებს ბაზაში და ა.შ.). ამით უკვე გადაგზავნის პროცესი დაწყებულია, შესაბამისად, გამგზავნი დამთავრებული დანაშაულისთვის აგებს პასუხს.

გადავიდეთ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზზე. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია **ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა**. ჩამოთვლილი ქმედებები, ამავე მუხლის პირველ ნაწილში განხილული ქმედებების მსგავსია და დამატებითი განმარტებები არ სჭირდება. მოცემულ შემთხვევა-

257 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 27.

ში, განსხვავება მხოლოდ დანაშაულის საგანში მდგომარეობს. სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, რომლებიც არ მოიაზრება ნარკოტიკულ საშუალებაში, მის პრეკურსორსა თუ ანალოგში, შესაბამისად, არსებობს მათი ცალკე სია. თავად ტერმინი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება“ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2014 წელს შემოვიდა, მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ორგანომ მიიღო „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი. 2014 წლამდე, აღნიშნული ნივთიერების როგორც მოხმარება, ისე - მათი ბრუნვაში არსებობა არ ისჯებოდა.²⁵⁸

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება“ განიმარტება, როგორც დასახელებული კანონის დანართებით განსაზღვრული ნივთიერება ან მინარევი, რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის სხეულში ფსიქოაქტიური ზეგავლენის (აღქმის, გუნება-განწყობის, ცნობიერების, შემეცნებისა და ქცევის შეცვლის თანამდევი ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობა) გამოწვევა შეუძლია (მუხ. 3, ქვეპ. „ა“, „ბ“).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეგულაციები მხოლოდ ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება. გერმანული კანონმდებლობაც იცნობს სპეციალურ კანონს, რომლითაც რეგულირდება აღნიშნულ ნივთიერებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ზოგადად, ამ ნივთიერებების ცალკე საკანონმდებლო მონესრიგება აუცილებელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ სხვადასხვა ნივთიერების შერევით თუ სტრუქტურის შეცვლით, მიიღება ისეთი ახალი ნივთიერებები, რომლებიც მანამდე არსებულ სიებში არ ექცეოდა, არ წარმოადგენდა რა ნარკოტიკულ ნივთიერებას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების ხარისხი ანალოგიური იყო.²⁵⁹

სწორედ საკანონმდებლო ხარვეზის გამო, ამ ნივთიერებებს Legal highs-ს უწოდებდნენ. საუბარია, მაგ. აბაზანის მარილზე, ჰაერის დებოლორანტებსა თუ სხვადასხვა მცენარეზე, რომელთა მანიპულაციების გზით მიიღება ნერვულ სისტემაზე ძლიერი ზემოქმედების მქონე ნივთიერებები.²⁶⁰ სპეციალური კანონების მიღების გზით, კანონმდებლებმა ამოავსეს ის არადასჯადი სივრცე, რომელიც მანამდე სისხლის სამართალში არსებობდა.

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი ეხება ამავე მუხლის წინა ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების დამამძიმებელ გარემოებებს. თავდაპირველად, საუბარია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების **დიდ ოდენობაზე**. ოდენობების ნუსხა მოცემულია უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებე-

258 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 27.

259 <https://beck-online.beck.de/Dokument?vpath=bibdata%2ffreddok%2Fbecklink%2F20003430.htm&pos=1&hlwords=on> (ნანახია 8.8.2018).

260 Patzak/Volkmer, NSiZ 2011, 498.

ბის მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხაში.²⁶¹ ოდენობის გამოთვლის წესთან დაკავშირებით, ამავე ნუსხის შენიშვნაში მოცემულია განმარტებები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება საკითხის უკეთ გაგებისთვის (მაგ. ნივთიერებები მესამე ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით მიჩნეულია მცირე ოდენობად, გარდა მეთადონისა და ჰერონისა).

სამწუხაროდ, ზოგიერთ ნივთიერებაზე მესამე გრაფაში, ანუ რის შემდეგაც უნდა იწყებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ოდენობა საერთოდ არ არის მითითებული (მაგ. ამფეტამინი), რაც შენიშვნის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე ნიშნავს იმას, რომ რაც მეოთხე გრაფაში წერია (1 გრამი), მანამდე ნებისმიერი ოდენობა (ამ ერთისვე ჩათვლით), ქმნის დიდ ოდენობას და დამამძიმებელი გარემოებით პასუხისმგებლობას გამოიწვევს, რაც კითხვებს აჩენს სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით. ასეთი ნივთიერებების მეასედი გრამით უკანონო ბრუნვაც კი, თავისუფლების მრავალწლიან აღკვეთას იწვევს და უგულებელყოფილია საშიშროების მიხედვით ქმედებათა გამიჯვნის პრინციპი.²⁶²

კაზუსი: ა-ს პირადი ჩხრეკისას, პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს საინექციო შპრიცი, რომლის კედლებზეც, საექსპერტო კვლევის შედეგად, აღმოჩნდა მეთამფეტამინის მარილი, წონით 0,0003 გრამი. ვინაიდან ზემოხსენებულ ნარკოტიკულ საშუალებას არ გააჩნია მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, სასამართლოს განაჩენით, ა ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 8 ივლისის შემდგომ მოქმედი რედაქცია) და ძირითადი სასჯელის ზომად და სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით, რაც ჩათვალა პირობითად ექვსი წლის ვადით. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა ექვსი ათასი ლარის ოდენობით.²⁶³

ოდენობები, უპირველეს ყოვლისა, დგინდება შესაბამისი ექსპერტიზით. იურისტები მხოლოდ ამის შემდეგ აფასებენ სამართლებრივად. ყურადსაღებია ასევე სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნის მეხუთე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე არ ვრცელდება მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები. შესაბამისად, აღნიშნული ნივთიერებებზე არ ვრცელდება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების განმსაზღვრელი ოდენობები.²⁶⁴ ამ ოდენობებზე გავრცელდება მეორე და მე-

261 საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ, დანართი #2.

262 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 30.

263 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 10.5.2016, #1/154-15.

264 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 32 და შემდეგი.

ოთხე ნაწილები ყოველგვარი დამძიმების გარეშე. მაგ. თუ პირმა შეიძინა დიდი ოდენობით აღნიშნული ნივთიერება, პასუხს აგებს სსკ-ის 260-ე მუხლის არა მესამე, არამედ მეორე ნაწილით.

როდესაც საქმე ეხება ე.წ. კომბინირებულ პრეპარატს, ანუ რამდენიმე ნარკოტიკული ნივთიერებისგან შემდგარ ერთიან ნარკოტიკს (რომელსაც მინიჭებული აქვს ერთიანი სახელწოდება და შეტანილია შესაბამის სიაში), მაშინ ოდენობა უნდა განისაზღვროს კომბინაციაში შემავალ აკრძალულ ნივთიერებათა საერთო წონით.²⁶⁵ ხოლო, თუ საუბარია მხოლოდ სხვადასხვა ნივთიერების უბრალოდ შერევაზე, რის შედეგადაც არ წარმოიშობა ახალი, სიაში მყოფი ნივთიერება, მაშინ უკვე ცალ-ცალკე დადგინდება მასში შემავალი ნივთიერებების ოდენობები.

იმ შემთხვევაში, თუ აკრძალული ნივთიერება შერეულია სხვა, ლეგალურ ნივთიერებაში, ოდენობის განსაზღვრისას, გამოთვლა ეყრდნობა უშუალოდ აკრძალული ნივთიერების წონას და არა მინარევს, ანუ არანარკოტიკული მინარევის ოდენობა არარელევანტურია. მაგალითად, პირს უპოვეს 1.5 გრამი მინარევი, რომელშიც 0.5 გრამი იყო ჰეროინი, დანარჩენი კი უბრალო ფხვნილი. სისხლისსამართლებრივად რელევანტურია 0.5 გრამი და არა მინარევის მთლიანი მასა.²⁶⁶

ასევე, დამამძიმებელი გარემოებაა ამავე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება **ჯგუფურად**, კერძოდ, სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში საუბარია წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნულ ქმედებაზე, ვრცელდება სსკ-ის ზოგადი ნაწილის სტანდარტები (მუხ. 27, ნაწ. 2), ანუ ქმედების ჯგუფურად ჩადენის დასაკვალიფიცირებლად, სულ მცირე, ორი ამსრულებელი მაინც უნდა გვყავდეს.²⁶⁷ ჯგუფურობის უფრო მკაცრად დასჯადობის არგუმენტი, მისგან მომდინარე საფრთხის მეტ ხარისხში მდგომარეობს, რაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ექმნება (მეტი კრიმინალური ენერჯიაა ქმედებაში თავმოყრილი).²⁶⁸

ვფიქრობთ, მართებულია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულს მოგვცემს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ორი ან მეტი ამსრულებელი უშუალოდ ახორციელებს

265 ლეკვიიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 33.

266 სუსგ #2კ-1006აპ.-09.

267 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 252, აბზ. 500; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 345; ჭიშკარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 37, აბზ. 63; თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 31; აგტორთა ნაწილი ჯგუფურობისთვის საკმარისად ერთი ამსრულებლისა და თანამონაწილის არსებობასაც თვლის, მაგ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 3, 288, რაც სსკ 27-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან გადახვევა იქნებოდა და წაშლიდა ზღვარს თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.

268 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 252, აბზ. 500; ჭიშკარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 37, აბზ. 64.

შეთანხმებულ ერთ-ერთ ქმედებას,²⁶⁹ მაგალითად, პირებმა მოილაპარაკეს, რომ მესამე პირისგან შეიძინონ ნარკოტიკული საშუალება.

კაზუსი: ა-მ უკანონოდ დაამზადა ნარკოტიკული ნივთიერება და შეუთანხმდა ბ-ს, რომ ის აღნიშნულ აკრძალულ ნივთიერებას შეიძენდა, რაც მოხდა კიდევ. როგორ შევაფასოთ თითოეული მათგანის ქმედება?

აღნიშნული კაზუსი არ მოგვცემს ჯგუფურობის შემადგენლობას. ვინაიდან, ა-ს და ბ-ს შეძენა ან გასაღება რომ განეხორციელებინათ თანაამსრულებლობით, მხოლოდ მაშინ გვექნებოდა ჯგუფურობის დამამძიმებელი გარემოება. ამიტომ, ა და ბ-ს დასჯება დამზადებისა და გასაღებისთვის სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით. ხოლო ბ პასუხს აგებს შეძენისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ა და ბ, ერთად დაამზადებდნენ აკრძალულ ნივთიერებას და მერე გაყიდდნენ, მაშინ უკვე გვექნებოდა ჯგუფურობა, როგორც დამზადების, ისე - გასაღების ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ ბ ა-ს, უბრალოდ ინფორმაციას მიაწვდიდა სარფიანად გასაღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, იგი იქნებოდა გასაღების დამხმარე, ა კი ამსრულებელი.

დასახელებულ კაზუსს თუ განვავრცობთ და ვიტყვი, რომ ა, ბ და გ წინასწარ შეთანხმდნენ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაზე (ჯერ დამზადებაზე, მერე შენახვაზე და ასევე, გასაღებაზე) და უბრალოდ, ფუნქციები გადაინაწილეს საერთო მიზნის მისაღწევად, ესეც მოგვცემს ჯგუფურობის შემადგენლობას²⁷⁰ და თანაამსრულებლობიდან გამომდინარე, ურთიერთშერაცხვის პრინციპის შესაბამისად, თითოეულ მათგანს სხვისი ქმედებაც ჩაეთვლება (მაგ. ა-ს მიერ დამზადება ჩაეთვლება ბ-ს და გ-ს, ბ-ს მიერ შენახვა გ-ს და ა-ს და ა.შ.). ისინი, სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აგებენ პასუხს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითიც:

ა-მ შემოიტანა საზღვარგარეთიდან ჰეროინი და მას სახლში ინახავდა. მოგვიანებით, იგი შეუთანხმდა ბ-ს და გ-ს, რომ მას მათთვის მიეწოდებინა ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც ისინი, თავის მხრივ, სხვებზე გაასაღებდნენ და მიღებულ შემოსავალს სამივე გაინაწილებდა. ბ-მ და გ-მ ჰეროინი მართლაც გაასაღეს სხვა პირებზე. როგორ უნდა შეფასდეს თითოეული ქმედება?

მსგავს საქმეზე, სასამართლო პრაქტიკაში, ა პასუხისგებაში მიეცა უკანონო შემოტანის, შენახვისა და გასაღებისთვის (ვინაიდან მან ბ-ს და გ-ს გადასცა ჰეროინი), ხოლო ბ-ს და გ-ს კი პასუხისმგებლობა დაეკისრა შეძენის, შენახვისა და გასაღებისთვის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.²⁷¹

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია ბოლომდე ზუსტი არ არის. ა-ს ქმე-

269 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 31.

270 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 32.

271 სუსგ #2კ-21აპ.-10.

დების შეფასება შემოტანისა და შენახვისთვის სწორია, ვინაიდან იგი დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაგრამ გასაღების ნაწილში ისიც უნდა ჩათვლილიყო ჯგუფის წევრად ბ-სა და გ-სთან ერთად. მათ სამივემ ერთმანეთში შეათანხმეს გასაღება და თანხა გაინაწილეს, ანუ გამოდიან გასაღების თანაამსრულებლები. ის გარემოება, რომ, თავის მხრივ, ა-მ ბ-ს და გ-ს გადასცა ჰეროინი შემდგომი გასაღებისთვის, ა-ს მხრიდან არ არის დამთავრებული გასაღება. დანაშაული დამთავრებულია ბ-სა და გ-ს მიერ სხვა პირებზე გაყიდვის მომენტიდან. სწორედ ეს არის შეთანხმებული გეგმის ფინალური აქტი და არა შუალედური გადაცემა.

ა-ს ქმედება მაშინ მოგვეცემა დამოუკიდებელი გასაღების შემადგენლობას, თუ მაგალითად, ბ და გ მისგან შეიძენდნენ ნარკოტიკს და მერე, თავის მხრივ, დამოუკიდებლად გაასაღებდნენ ამას სხვებზე უფრო ძვირად. კაზუსში კი, ა ბოლომდეა ჩართული პროცესში და ამას, სხვებზე გასაღების მერე მიღებული თანხის განაწილებაც მიუთითებს.

სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის მორიგი დამამძიმებელი გარემოებაა პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** („გ“ ქვეპუნქტი). დანაშავე ამ დროს სარგებლობს აკრძალულ ნივთიერებასთან წვდომის ისეთი საშუალებით, როგორცაა მისი სამსახურებრივი მდგომარეობა. ამ დროს, სულერთია იგი ზემდგომია თუ რიგითი (ეჭიმი, ფარმაცევტი, დაცვის თანამშრომელი და ა.შ.).²⁷² მთავარია, დანაშავეს, თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას, ლეგალური წვდომა ჰქონდეს დანაშაულის საგანზე.²⁷³

კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, პირი მოხელეა თუ სხვა სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობს. კანონით უფრო მკაცრი დასჯადობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი ბოროტად იყენებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას, რომლის საფუძველზეც, იგი დაუშვებს აკრძალულ ნივთიერებებთან და ამით უფრო საშიშიც კია, ვიდრე სხვები. გარდა ამისა, პირის ამ უკანონო ქმედებით, თავად სამსახურსაც ადგება გარკვეული ზიანი ავტორიტეტის და ნდობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება **არაერთგმისობას**, ქვეპ. „დ“, ამ შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის ზოგადი ნაწილის მე-15 მუხლი. აღნიშნული გულისხმობს, იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენას. მაგალითად, პირმა გაასაღა ნარკოტიკული ნივთიერება და ამისთვის პასუხისგებაში მისცეს სსკ-ის 260-ე მუხლით, სასჯელი მოიხადა და ნასამართლობის ვადის გასვლამდე, ისევ ჩაიღინა იმავე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება. ქმედების არაერთგმისად ჩადენის დასაკვალიფიცირებლად, სწორედ ნასამართლობას აქვს გადამწყვეტი მნიშ-

272 შეად. ჯიჰარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 160, აბზ. 560.

273 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 37.

ვნელობა.²⁷⁴ კერძოდ, პირისთვის ბრალი რომც იყოს წაყენებული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის, მაგრამ განაჩენი ჯერ არ იყოს დამდგარი და ამ პერიოდში ისევ გაიმეოროს იგივე ქმედება, იგი ვერ დაისჯება ვერც არაერთგზისობისთვის და ვერც სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - ქმედების ჩადენა იმის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.²⁷⁵ ვინაიდან, მნიშვნელოვანია, პირი გასამართლდეს ჯერ ერთი დანაშაულისთვის და მხოლოდ ამის მერე მოხდეს გამეორება.

ამ მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებს შორის განსხვავება ისაა, რომ არაერთგზისობისას წინაპირობად საჭიროა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამეორება ნასამართლობის გასვლამდე პერიოდში, ხოლო „ე“ ქვეპუნქტი კიდევ უფრო შორს მიდის და პასუხისმგებლობას ამკაცრებს ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც ადრე ჩადენილი აქვს სსკ-ის 33-ე თავში მოცემული რომელიმე დანაშაული (ნასამართლობის გასვლამდე), 260-ე მუხლის გამოკლებით.

ფეიქრობთ, პრობლემურია სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 273-ე მუხლის ურთიერთმიმართება, მაშინ როდესაც ხდება ნასამართლევი პირის პასუხისგებაში მიცემა მოხმარებისთვის ამ დამამძიმებელი გარემოებით, თუნდაც პირმა კვლავ პირადი მოხმარებისთვის ამ დამამძიმებელი გარემოებით, მიგვაჩნია, რომ სასამართლომ საკანონმდებლო ჩანაწერი ამრობრივად, სისტემურად უნდა განმარტოს და ავტომატურად არ უნდა მიიჩნიოს პირის ქმედება დამამძიმებელ გარემოებად. პირადი მოხმარებისთვის შექმენისთვის ასეთი მკაცრი დასჯადობა არ არის გამართლებული (დაწვრ. იხ. სსკ-ის 273-ე მუხლის კომენტარი).

სსკ-ის 260-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო **გასაღებას**. მოცემულ ქმედებისთვის მკაცრი სასჯელის დაწესებით, კანონმდებელმა ქმედების განსაკუთრებულ საშიშროებაზე მიუთითა. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გასაღება ნიშნავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების კანონმდებლობის დარღვევით გადაცემას ანაზღაურების სანაცვლოდ ან უფასოდ, მიუხედავად გადაცემის მიზნისა (მუხ. 3, „წ“ ქვეპუნქტი).

მაგალითად, ნარკომოვაჭრემ, ღამის კლუბში, რამდენიმე პირს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, გადასცა აბების სახით ნარკოტიკული ნივთიერებები, ხოლო დარჩენილი რამდენიმე აბი იქვე მყოფ მეგობარს აჩუქა, მაინც ვერ ვყიდი, შენი იყოსო. ორივე შემთხვევაში, გვექნება გასაღებისა და შექმენის შემადგენ-

274 სუსგ #155-აპ.; #446-აპ.

275 სუსგ #102-აპ.-10.

ლობა.²⁷⁶ ვინაიდან, ქმედების გასაღებად დაკვალიფიცირებისთვის, მთავარია, რომ აკრძალული ნივთიერება გავრცელდა და სხვის ხელში მოექცა. კანონმდებლობით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელიც სწორედ გავრცელებისგან (როგორც კომერციული, ისე - არაკომერციული) საზოგადოების დაცვაზეა ორიენტირებული.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალდებულთან დიდი ოდენობით აკრძალული ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში, გასაღების მიზანზე ხდება აპელირება, ანუ ობიექტური სურათის მიხედვით, დგინდება სუბიექტური ელემენტი, რაც, *a priori* არასწორი არ არის, თუმცა, ნივთიერების ოდენობა, ცალკე აღებული, ქმედების მიზანს ავტომატურად ვერ განსაზღვრავს. ამაზე მიუთითებს უზენაესი სასამართლოც: „პალატა ვერ გაიზიარებს (წინა ინსტანციის) სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს, რომელიც არ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ სჭირდებოდა არა პირადი მოხმარებისათვის, არამედ მისი შემდგომი გასაღებისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულება და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ ისინი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს აღმოაჩნდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ მან ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა შემდგომი გასაღების მიზნით“.²⁷⁷

გასაღების მიზნის დასადასტურებლად სხვა მტკიცებულებების არსებობის აუცილებლობაზე, უზენაესი სასამართლო სხვა საქმეებშიც მსჯელობს და ბრალდებასა თუ სასამართლოს გამოკვლევის დამატებით აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგალითად, 86 აბი „სუბოტექსის“ აღმოჩენა პირთან, საკასაციო ინსტანციამ, სხვა მტკიცებულებების გარეშე, არ ჩათვალა იმის უტყუარ დასტურად, რომ პირმა თავის დროზე ეს აბები მაინცდამაინც „გასაღების“ მიზნით შეიძინა.²⁷⁸

სსკ-ის 260-ე მუხლის მეხუთე და მეექვსე ნაწილებში მოცემულია სხვა დამამძიმებელი გარემოებები, რომელთა დეტალურად განხილვის საჭიროება არ არის, თუმცა, მაგალითის სახით, შეგვიძლია განვიხილოთ წინასწარ შეთანხმებით **ჯგუფურად გასაღების** შემთხვევა სასამართლოს პრაქტიკიდან.

ა-მ უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, მოათავსა სიგარეტის რამდენიმე ღერში და გადააწყვიტა მისი შეტანა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როგორც ამანათის, მეგობრისთვის გადასაცემად. ა დაუკავშირდა მეორე მეგობარ ბ-ს და საკუთარი განზრახვა გაანდო. ბ-მ უარი არ უთხრა და

276 შეად. სუსგ #63-აპ-09.
277 სუსგ #73-აპ-10; იხ. ასევე სუსგ #546-აპ.
278 სუსგ #963-აპ-09.

ისინი ერთად მივიდნენ სასჯელადსრულების დაწესებულების საამანათო განყოფილებაში, სადაც ბ-მ საკუთარი ხელით შეავსო განაცხადი ამანათის გადაცემის თაობაზე. ტრანსპორტირების ეტაპიდან ამანათის ჩაბარების ჩათვლით, ბ ყველა პროცესში იყო ჩართული. მოგვიანებით, აკრძალული ნივთიერებები აღმოჩენილი იქნა და ა და ბ ჯგუფურად ჩადენილი გასაღებისთვის მისცეს პასუხისგებაში.²⁷⁹

საქმის მასალებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ბ მხოლოდ დამხმარეს წარმოადგენდა. იგი აშკარად არ ყოფილა მეორეხარისხოვანი ფიგურა, რომელიც ძირითად მოქმედ პირს, ამსრულებელს უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, იგი საქმეში ა-ს თანასწორი ფიგურაა, უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, ამიტომ სასამართლოს შეფასება მართებულია.

მისი ქმედება დამხმარის კვალიფიკაციას მაშინ მოგვცემდა, თუ იგი ნარკოტიკული საშუალების მხოლოდ დაწესებულებამდე მითანაში დაეხმარებოდა ა-ს. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნად, ყოველთვის აუცილებელია, დანაშაულის ერთიანი სურათის გაანალიზება და იმის გამოკვეთა, თუ ვის რა როლი ჰქონდა ქმედების ჩადენისას, რამდენად ბატონობდა ქმედებაზე ან რამდენად დამოუკიდებლად შეეძლო მოქმედება; რა ინტერესები ამოძრავებდა თითოეულ პირს და ა.შ.²⁸⁰

ამიტომ, ნარკოდანაშაულების ფარგლებში, კურიერის მოქმედება, ყოველთვის ამსრულებლობად ვერ შეფასდება. კურიერმა, გამსაღებელს, ა-დან ბ-წერტილამდე გარკვეული თანხის სანაცვლოდ რომც მიუტანოს აკრძალული ნივთიერებები, იგი გასაღების თანაამსრულებლობისთვის არ უნდა დაისაჯოს. ხოლო, თუ იგი უშუალოდ ვაჭრობის პროცესშიცააა ჩართული, ეს უკვე მოგვცემს ჯგუფურობის შემადგენლობას. თანაამსრულებლობა გვექნება მაშინაც, როდესაც კურიერი არა მხოლოდ ნივთის გადაცემით შემოფარგლება, არამედ მისი ინტერესები ამას სცდება და იგი მოგების წილშიც არის ჩართული (ანუ, აღარ გამოდის მეორეხარისხოვანი, ქვედა იარარქიის საფეხურზე მდგომი დამხმარე).²⁸¹

საინტერესოა, როგორ უნდა შეფასდეს შემდეგი შემთხვევა: ა-მ აჩუქა ბ-ს გარკვეული ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც ბ-მ მას მეორე დღეს უკან დაუბრუნა.

ა-ს ქმედება პირველ ეპიზოდში ქმნის უკანონო გასაღების, ხოლო ბ-სი კი - უკანონო შეძენის შემადგენლობას. თუმცა, ქმედების მეორე ეპიზოდი ასე მარტივად ვერ გადაწყდება. გამოდის თუ არა ბ გამსაღებელი და ა შემძენი (ანუ როლები შეტრიალდა)? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან იმ პირთა წრე, რომელთა ხელშიც ისედაც იმყოფებოდა აკრძალული ნივთიერ-

279 სუსგ #2225-აპ.

280 BGH NStZ 2007, 338.

281 BGH NStZ 2007, 339.

რება, არ გაზრდილა,²⁸² შესაბამისად, საზოგადოებრივი საფრთხე არ მომატებულა. ამიტომ, ერთი და იმავე ნივთიერების აქეთ-იქით ტრიალის შემთხვევაში, ყოველ ჯერზე, ახალი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია მედმეტი და აზრს მოკლებულია.

აქვე, მოკლედ უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება აკრძალული ნივთიერებების ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში, თუ მის ქმედებებში სხვა დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

გაბატონებული მოსაზრებით, სსკ-ის 260-ე მუხლით აკრძალული ქმედებები განზრახ, უფრო კონკრეტულად კი, პირდაპირი განზრახვით უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ საქმეში, პირმა ექიმის დანიშნულების საფუძველზე, შემოიტანა აკრძალული ნივთიერება საქართველოში და მას ინახავდა, რის გამოც, პასუხისმგებაში მიეცა. თუმცა, საბოლოოდ, სასამართლომ მის ქმედებაში გამოორიცხა პირდაპირი განზრახვის არსებობა და იგი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან, წამლები მას სამკურნალოდ ექიმმა გამოუწერა და ბრალდებულს ვერ ექნებოდა იმის ცოდნა, რომ დანიშნული მედიკამენტები აკრძალული ნივთიერება იყო ქართული კანონმდებლობით.²⁸³

საინტერესოა ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირს შეცდომით ჰგონია, რომ აკრძალულ ქმედებას ახორციელებს განსაკუთრებით დიდი ოდენობის მიმართ, სინამდვილეში კი, მხოლოდ დიდი ოდენობაა სახეზე. მაგალითად, პირმა, თავისი წარმოდგენით, შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი, სინამდვილეში კი მხოლოდ დიდი ოდენობა დადგინდა და შეძენილი ნივთიერება არ აღმოჩნდა აკრძალული. საბოლოოდ როგორ უნდა შეფასდეს აღნიშნული ქმედება? სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით თუ მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით? მსგავსი კაზუსი გვაძლევს უვარგისი მცდელობის კონსტრუქციას და ამიტომ, ხსენებული ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილით უნდა შეფასდეს, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობის შეძენის მცდელობა.²⁸⁴

იმ შემთხვევაში, თუ პირმა, პირიქით, ნივთიერების შეძენისას ჩათვალა, რომ მისი ოდენობა არ არის იმდენი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს, სინამდვილეში კი, შეცდომა დაუშვა, მაშინ სახეზე გვექნება გაუფრთხილებლობა და იგი ვერ დაისჯება განზრახვის არარსებობის გამო.

პირისთვის თუ სულერთია, რა ოდენობასთან მიმართებით ახორციელებს სსკ-ის

282 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 261.

283 სუსგ #2კ-356აპ.-17; #2კ-440.-აპ.

284 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 406.

260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, მაშინ მისი განზრახვა მოიცავს ნებისმიერ იმ ოდენობას, რაც კი ხელში მოხვდება და ამიტომ, საბოლოოდ, მისი დასჯადობაც ფაქტობრივად დადგენილი ოდენობით განისაზღვრება.²⁸⁵

მიუხედავად გაბატონებული მოსაზრებისა, რომ სსკ-ის 260-ე მუხლის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, არც არაპირდაპირ განზრახვაზე მსჯელობა იქნებოდა ალოგიკური, ვინაიდან პირს ამ დროს გულგრილი დამოკიდებულება აქვს ზოგადად მოსალოდნელი შედეგების მიმართ. მისთვის სულერთია, რა მოჰყვება მის ქმედებას. ნარკოდანაშაულების კანონმდებლობაში შემოღების ძირითად მიზნად თუ საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას ვაღიარებთ, მაშინ, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის, მას პირდაპირი განზრახვით შეექმნება საფრთხე თუ არაპირდაპირით. მაგალითად, პირმა მისთვის უცნობი აბების შეძენისას თუ გააცნობიერა, რომ ისინი შეიძლება ნარკოტიკს შეიცავდეს და ამ ფაქტს გულგრილად მოეკიდა (შინაგანად პოტენციურად მოიწონა კიდევ მათი მომავალი ზემოქმედება), გამოდის, რომ შეძენის მომენტიდანვე ნარკოტიკის უკანონო ბრუნვაში მოქცევით საზოგადოებრივი საფრთხე გაიზარდა. მით უფრო, იმავეს თქმა უფრო ლოგიკურია გამსაღებელზე. ამიტომ, ხისტი მიდგომა პირდაპირ განზრახვასთან მიმართებით, შეიძლება, გადაჭარბებულად ჩაითვალოს.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის მიმართ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან გამომდინარე სტანდარტული წესები გავრცელდება. მაგ. პირს თუ უკიდურესი მდგომარეობიდან გამომდინარე სიცოცხლის გადასარჩენად მოუწევს მის ხელთ არსებული ნარკოტიკის სხვისთვის მიცემა, რათა სანაცვლოდ მიიღოს საჭირო დახმარება, ის ვერ დაისჯება გასაღებისთვის (თუმცა, თუ მანამდე უკანონოდ შეიძინა და ფლობდა, ეს დასჯადობა არ გამოირიცხება).

საინტერესოა მოვალეობათა კოლიზიის საკითხი ადვოკატთან მიმართებით, რომელიც თავისი დაცვის ქვეშ მყოფის თხოვნით მას შეუნახავს ნარკოტიკულ საშუალებას. უნდა დაისაჯოს თუ არა ადვოკატი უკანონო შენახვისთვის? გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, არ უნდა დაისაჯოს, ვინაიდან ადვოკატს ერთდროულად ორი მოვალეობა გააჩნია - ერთი მხრივ, ნარკოტიკის არშენახვა და მეორე მხრივ, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის საიდუმლოების დაცვა. ვინაიდან ის ორივე მოვალეობას ერთდროულად ვერ განახორციელებს, კოლიზიის სიტუაცია წარმოიქმნება და საბოლოო ჯამში, ადვოკატი არ უნდა დაისაჯოს.²⁸⁶

ბრალის თვალსაზრისით, დასჯადია ნებისმიერი პირი 14 წლის ასაკიდან.

285 Weber, BtMG, § 29a Rn. 186.

286 Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 13 Rn. 64.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

სხვა მუხლებისგან განსხვავება ეტაპობრივად მომდევნო მუხლების კომენტარებისას გამოჩნდება, თუმცა, აქვე შეგვიძლია ვისაუბროთ სსკ-ის 378¹ მუხლისგან გამიჯვნაზე, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, აგრეთვე, დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუბტვახტში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემას ეხება. ნარკოტიკების შეტანისას რომელ მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, 260-ეს (მაგ. შემტანის გასაღებისთვის დასჯა) თუ 378¹-ს? ვინაიდან 260-ე მუხლი უფრო სპეციალურია და დანაშაულის საგანს ავიწროებს, მსგავს შემთხვევებში ის უნდა გამოვიყენოთ.²⁸⁷ ეს თუნდაც სანქციებიდანაც ჩანს. 260-ე მუხლი ბევრად უფრო მკაცრია და მეორე მუხლის გამოყენების შემთხვევაში დამნაშავე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ანუ, ციხის გარეთ სხვისთვის გადაცემა მკაცრად დაისჯებოდა, ციხეში შეტანის გზით გასაღება კი ლმობიერად, რაც არალოგიკური იქნებოდა.

მაშინ რა ვუყოთ 378¹ მუხლის მეორე ნაწილს, რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებაში ნარკოტიკის, მისი ანალოგის ან პრეკურსორის შეტანა ისჯება? სანქცია ამ ნაწილში მაინც უფრო დაბალია 260-ე მუხლისაზე, ამიტომ გამსაღებლის მიმართ მათი გამოყენება ზემოთ ნამსჯელიდან გამომდინარე ისევე არასწორი იქნებოდა. მაშინ ვის მიმართ გამოვიყენოთ 378¹ მუხლის მეორე ნაწილი? აქ, სავარაუდოდ, კანონმდებელმა იმ პირების დასჯადობა მოიაზრა, რომლებიც უბრალოდ კურიერის როლს ასრულებენ და ციხეში შეაქვთ იქ მყოფი პირისთვის მათ მიერ უკვე შეძენილი ნივთიერება, ანუ შემტანი არაა გამსაღებელი. ის რეალურად სხვების მიერ განხორციელებული შეძენის და გასაღების დამხმარეა, მაგრამ აღნიშნული მუხლით გადაქცეულია 378¹ მუხლის ამსრულებლად.

შესაძლებელია გვეფიქრა დანაშაულის ერთობლიობაზეც (მაგ. გამსაღებელმა თვითონ შეიტანა აკრძალული ნივთიერება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში), ვინაიდან 378¹ სულ სხვა თავშია მოთავსებული - დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ და სხვა მიზნებს ემსახურება. პირი მუხლში ნახსენებ დაწესებულებაში აკრძალული ნივთიერების გადაცემით საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, არამედ სასამართლო აქტების ეფექტიანად აღსრულებასაც, რომლის საფუძველზეც იმყოფებიან შესაბამისი პირები აღნიშნულ დაწესებულებებში. ის თავისი ქმედებებით ერთდროულად სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს უქმნის საფრთხეს, რომლებიც სხვადასხვა მუხლითაა დაცული.

287 სუსგ #2225-აპ.

6. თანამონაწილეობა

თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის საკითხებზე ნაწილობრივ უკვე ვიმსჯელებთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვისას, ამიტომ აქ მათ დეტალურად არ განვიხილავთ. ამსრულებელთან ერთად სსკ-ის 260-ე მუხლის ფარგლებში უპრობლემოდ შეიძლება ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის დასჯა.

ორგანიზატორი იერარქიულად (სსკ-ის მუხ. 24 ნაწ. 1) ყველაზე მაღლა მდგომი ფიგურაა საერთო სურათში და ის ხშირად თანაამსრულებლობასაც ითავსებს, რაც, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ხელს არ უშლის ერთმანეთს. იმავეს ვერ ვიტყვით სხვა თანამონაწილეებზე მათი შედარებით მეორეხარისხოვანი როლიდან გამომდინარე. ამიტომ, სამართალშემფარდებელმა მათი გამიჯვნისთვის საქმის ყველა დეტალს უნდა მიაქციოს ყურადღება. გამიჯვნა განსაკუთრებით რელევანტური შეიძლება გახდეს კურიერების, შუამავლების ან აკრძალული ნივთიერებების დროებით შემნახავების მიმართ.

შეძენის დროს თუ რამდენიმე პირი წინასწარ შეთანხმდება და ცალ-ცალკე სხვადასხვა გამყიდველისგან ერთიანი მიზნით შეიძენს ნარკოტიკებს, რათა საბოლოო ჯამში თავი დიდ ოდენობას მოუყაროს, ეს მოგვცემს დიდი ოდენობით შეძენის შემადგენლობას ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

ჯგუფურობას მოგვცემს გადაზიდვის შემადგენლობაც, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ერთ-ერთი თანაამსრულებელი ტრანსპორტირებისას სულაც არ ყოფილა გზის ყველა მონაკვეთზე მეორე პირთან ერთად,²⁸⁸ ან ისინი შეიძლება გზადაგზა ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. საერთო მიზნისა და საერთო ინტერესების არსებობის შემთხვევაში თითოეულის ქმედება სხვასაც შეერაცხება. სხვა შემთხვევაში (მაგ. უბრალოდ მძლოლი მოემსახურება გარკვეულ მონაკვეთზე) გვექნება დახმარება.

თანაამსრულებლობა, ანუ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად შენახვა, არ გვექნება მაშინ, თუ ორი პირი წინასწარ შეთანხმებით გაინაწილებს აკრძალულ ნივთიერებას და მაგ. გადაყლაპვის გზით საკუთარ სხეულში შეინახავენ მას, ვინაიდან აქ ურთიერთშერაცხვის პრინციპის გამოყენება სხეულის კონტექსტში (ერთის სხეულში შენახვა შეერაცხოს მეორე პირსაც) უცნაური იქნებოდა.²⁸⁹ ეს ქმედება ისეთი კატეგორიისაა, რომლის განხორციელება უშუალოდ მხოლოდ ცალკე აღებულ პირს შეუძლია.

288 Weber, BtMG, § 29 Rn. 1374.

289 BGH NJW 1993, 75.

7. მომზადება და მცდელობა

მომზადებისა და მცდელობის მაგალითებს სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განვიხილავთ. მოკლედ რომ გავაკეთოთ შესავალი, მომზადებასა და მცდელობას შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ პირობების შექმნას, მეორე კი უშუალოდ ქმედების შემადგენლობაზე გადასვლას (სსკ-ის მუხ. 18 და 19).

ერთ-ერთ საქმეში ბრალდებულმა გადანწყვიტა სასჯელადსრულების დაწესებულებაში შეეგზავნა ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც საჩუქრად გადასაცემ ფეხსაცმელში ჩადო. დაწესებულების გამანაწილებელ პუნქტში რეგისტრაციის გავლისას მან სცადა სხვა ნივთებთან ერთად დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეგზავნა. ფეხსაცმელების დათვალიერებისას კონტროლიორებს ეჭვი გაუჩნდათ და მოითხოვეს ფეხსაცმლის შალითის გახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ გადასცემდნენ. ბრალდებულმა უარი განაცხადა და ფეხსაცმელები უკანვე წამოიღო, მაგრამ დაწესებულების ტერიტორიის დატოვების შემდეგ იგი დააკავეს პოლიციელებმა.²⁹⁰

სასამართლომ აღნიშნული ქმედება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობად შეაფასა, რაც, პრინციპში, სწორი მიდგომაა. უბრალოდ, სასურველი იქნებოდა მეტი დასაბუთება მომზადებისგან გასამიჯნად. მცდელობის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულმა თავისი გადმოსახედიდან უკვე დაიწყო ქმედების შემადგენლობის განხორციელება, გასაღების პროცესი და ადრესატისთვის გადასაცემად მხოლოდ ერთი კონტროლის გავლა იყო დარჩენილი. მომზადებად შეიძლება საკონტროლო პუნქტამდე მისვლის პერიოდი შეფასდეს, სანამ ის კონტროლიორებს ნივთებს წარუდგენდა და განაცხადს შეავსებდა.

ბრალდებულის მიმართ შესაძლოა გვეფიქრა ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე (სსკ მუხ. 21), ვინაიდან მან გადაიფიქრა ფეხსაცმლის ჩაბარება და უკან წამოვიდა, თუმცა, ეს მისი მხრიდან არ ყოფილა ნებაყოფლობითი ნაბიჯი. ის უბრალოდ მიხვდა, რომ ვერ გადალახავდა კონტროლის ბარიერს და ამიტომ გადაიფიქრა ქმედების ბოლომდე მიყვანა, რაც გამორიცხავს მის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.

იგივე მიდგომაა გამოყენებული სხვა საქმეშიც, სადაც უკვე კონტროლიორებისთვის გადაცემულ ამანათში აღმოჩნდა აკრძალული ნივთიერება, რის გამოც მერე ადგილზევე დააკავეს შემტანი პირი.²⁹¹ მსგავსი კაზუსი ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს მცდელობის შემადგენლობას და მომზადებაზე საუბარი ბედმეტია.

მცდელობის შემადგენლობას მოგვცემს ის სიტუაციაც, როდესაც გამსაღებელი

290 სუსგ #115 -აპ-09.

291 სუსგ #86-10-10.

სხვა პირისთვის ნივთიერების გადაცემას ცდილობს, თუმცა, პოლიციელები მიუსწრებენ და ორივე პირს გადაცემამდე დააკავებენ.²⁹² ერთი დაისჯება გასაღების მცდელობისთვის, მეორე კი შეძენის მცდელობისთვის. თუ გვეჩვენა მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა ამ პირებს შორის, რათა მათ კონკრეტული გადაცემის ადგილი შეათანხმონ (ანუ რეალურად გადაცემა მერე მოხდება გარკვეული დროის ინტერვალის შემდეგ), ეს უკვე მომზადების შემადგენლობით კვალიფიკაციას გამოიწვევდა.

საინტერესოა შემდეგი საქმე:²⁹³

ა-მ 2016 წლის 21 აპრილს, გამოძიებით დაუდგინელ ზუსტ დროსა და ვითარებაში, თავისთვის და სხვებისთვის გადასაცემად, უკანონოდ შეიძინა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება adb-fibinaca, რომელსაც ინახავდა პირადად. აღნიშნული ნივთიერება დაფასოებული ჰქონდა 11 პაკეტად, მასზე დაწერილი შესაბამისი მინიშნებებითა და სახელებით, რათა მოეხდინა იდენტიფიცირება კონკრეტული პირისთვის გადაცემის დროს.

2016 წლის 21 აპრილს, სალამოს საათებში, თბილისში, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ის დააკავეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მისგან ამოიღეს ზემოთ მითითებული, გასაღებისთვის გამზადებული პაკეტები, მათში მოთავსებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებით. აღნიშნულ პაკეტებს წარწერებიც ჰქონდა შესაბამისი სახელების მითითებით, ვისზეც უნდა გასაღებულიყო ისინი მოგვიანებით.

სასამართლომ ქმედების კვალიფიკაცია მოახდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა და სსკ-ის 18, 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით-ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღების მომზადება.

სამწუხაროდ, საკმაოდ დაუსაბუთებელი და ზედაპირულია თბილისის საქალაქო სასამართლოსვე მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც ერთმანეთშია არეული გასაღების მცდელობის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა (დახმარება). საუბარია პირზე, პირობითად ა, რომელსაც დაუკავშირდა უცნობი პირი და სთხოვა გარკვეული თანხის სანაცვლოდ თბილისის ერთი წერტილიდან იქ დატოვებული, ბუშტებში დაფასოებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების წამოღება და სხვადასხვა მისამართზე განაწილება. ა დათანხმდა და ამავდროულად, თავის მხრივ, დახმარება სთხოვა მეგობარ ბ-ს. ორივე მათგანი მოგვიანებით პოლიციამ დააკავა, როგორც კი დატოვეს ერთ-ერთ მისამართზე აღნიშნული ნივთიერება.²⁹⁴

292 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 12.1. 2017 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

293 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 23. 12. 2016 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

294 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 26.1.2018 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

სასამართლომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე აღნიშნული ქმედებები დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ შექმნა და შენახვა) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ გასაღების მცდელობა), რაც არასწორია. საქმის მასალებიდან ამჟღავნებს იკვებება, რომ ა და ბ იყვნენ დაქირავებული კურიერები, რომლებიც შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცნენ გასაღებაში დახმარებისთვის (ცალკეა გამოსაკვლევი, მცდელობაში თუ მომზადებაში) და არა ამსრულებლობისთვის. გამსაღებელი საქმეში საერთოდ არ ჩანს, მაგრამ ის არის ვიღაც უცნობი პირი, რომელმაც ბუშტებში დაფასოებული ნივთიერებები დატოვა წამოსაღებად და სხვადასხვა მისამართზე გასანაწილებლად. გამსაღებელი შეიძლება ყოფილიყო თუნდაც ის პირი, რომელიც ა-ს დაუკავშირდა.

მართალია, საქმე გვაქვს საპროცესო შეთანხმებასთან და სასამართლო მტკიცებულებებს შეკვეცილად იკვლევს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ის ბრმად დაეთანხმოს ბრალდებას. აღნიშნულ საქმეში საერთოდ წაშლილია ზღვარი ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის. სისხლის სამართალი არის ყველაზე მკაცრი ჩარევა პირის პირად თავისუფლებაში და თითოეული საქმის ანალიზისას, როდესაც მრავალწლიან თავისუფლების აღკვეთაზეა საუბარი, შედარებით მეტი სიფრთხილეა საჭირო.

პრაქტიკაში შეიძლება შუალობითი ამსრულებლობის მაგალითებიც შეგვხვდეს, როდესაც ერთი პირი მეორეს ბრმა იარაღად იყენებს და მას თავისდაუნებურად, მაგ. შეანახვინებს ან გადაატანინებს აკრძალულ ნივთიერებას.

გამსაღებელმა ა-მ თავის შვილს თბილისში ერთ-ერთ მეტროსადგურთან ხელში დააჭერინა შეფუთვა, ბ-ს გადაეცეო. შვილმა არ იცოდა, რომ მას ნარკოტიკული ნივთიერება გაატანეს და დათანხმდა, თუმცა, მან გადაცემა ვერ მოახერხა, ვინაიდან ბ პოლიციელებმა იქვე დააკავეს.²⁹⁵ აღნიშნული ქმედებისთვის მხოლოდ ა-მიეცა პასუხისმგებლობაში გასაღების ნაწილში მცდელობისთვის, შუალობითი ამსრულებლობის ფორმით. ასეთ შემთხვევებში ვერ ვისაუბრებთ ვერც თანამსრულებლობაზე ან თანამონაწილეობაზე, ვინაიდან მეორე პირი განზრახვის გარეშე მოქმედებს.

260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების დროს ხშირად არ არის გამორიცხული, რომ საქმეში უვარგისი ნარკოტიკი (მაგ. პოლიციის ჩანერგილმა აგენტმა დამნაშავეებს მიანოდა ბუტაფორია) ფიგურირებდეს. თუნდაც ასეთი ნივთიერების მიმართ რამე აკრძალული ქმედების განხორციელება იმ განზრახვით, რომ ის ნამდვილია, მოგვცემს დასჯადობას უვარგისი მცდელობისთვის, იქნება ეს შექმნის მცდელობა, გასაღების მცდელობა თუ სხვა.²⁹⁶

295 სუსგ #1601-აპ.

296 სუსგ #1489-აპ.

როგორც უკვე ქმედების შემადგენლობაზე საუბრისას აღინიშნა, დანაშაულის დამთავრებისთვის აუცილებელია გასაღებისა და შეძენისას ნივთიერების ერთი მფლობელობიდან მეორეს მფლობელობაში გადასვლა. თუნდაც წინასწარ თანხის გადაცემა ამის გარეშე არ მოგვცემს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას. თანხის გადახდა წინასწარ, მაგ. რამდენიმე დღით ადრე მოგვცემს მომზადების კვალიფიკაციას.²⁹⁷

მომზადებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში ასევე ზოგჯერ ბუნდოვანია გასაღებამდე პირის დაკავებისას ის საკითხი, არის თუ არა აუცილებელი იმის დადგენა, თუ ვისთან მიმართებით მზადდება გასაღება.²⁹⁸ მომზადებისთვის აბსტრაქტულად დასჯა ამის დადგენის გარეშე არ იქნებოდა მართებული. თუმცა, სხვა საქმეებშიც, რომლებიც თუნდაც ზემოთ განვიხილეთ, ჩანს რომ კონკრეტულ ადრესატებზეა საუბარი, რაც სწორია.

§ 2. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხ. 261)

1. ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლი 260-ე მუხლისგან მხოლოდ დანაშაულის საგნით განსხვავდება, ვინაიდან აქ საუბარია ფსიქოტროპულ (ასევე მის ანალოგზე) ან ძლიერმოქმედ ნივთიერებაზე, რომელიც თავისი ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე, მართალია, სისხლისსამართლებრივ რეგულაციებშია მოქცეული, მაგრამ ამავდროულად, ბევრად უფრო ნაკლები სასჯელებია დადგენილი. თუნდაც იგივე გასაღებისთვის სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას არ სცდება, მაშინ როდესაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გამოიწვევს, ანუ 261-ე მუხლში მოცემული ნივთიერებებიდან გამომდინარე საშიშროება ბევრად უფრო ნაკლებია.

2. ქმედების შემადგენლობა

დანაშაულის საგნის განმარტებისთვის ისევ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონს უნდა მივმართოთ. ფსიქოტროპული ნივთიერება - ეს არის ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამის

297 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 7.5.2012, #1/2045-12.

298 შეად. სუსგ #818-აპ-09.

სი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა III სიაში (კანონის მუხ. 3, ქვეპ. „ბ“). მაგალითად, ესენია: დიაზეპამი, ეფედრინი, კეტამინი, ფენაზეპამი და ა.შ.

იმავე 260-ე მუხლის საგნისგან განსხვავებით, რომელთა ბრუნვაც, როგორც წესი, მეტწილად საერთოდ დაუშვებელია, ფსიქოტროპული ნივთიერებები აქტიურად გამოიყენება მედიცინაში ექიმის დანიშნულების საფუძველზე, ანუ კანონმდებლის მიზანია სისხლისსამართლებრივი რეგულაციებით ხელი შეუშალოს არასამედიცინო მიზნებით მათ გამოყენებას ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საფრთხეებიდან გამომდინარე.²⁹⁹

რაც შეეხება ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგს, ეს არის ის ნივთიერება, რომელიც არ არის სიაში შეტანილი, თუმცა, ზემოქმედების ხარისხი ორგანიზმზე მსგავსია. განსაზღვრულობის პრინციპიდან გამომდინარე, ამის დასჯადობასთან დაკავშირებით იგივე კრიტიკა შეიძლება გამოითქვას, როგორც ეს ნარკოტიკული ნივთიერების ანალოგის შემთხვევაშია (იხ. 260-ე მუხლის კომენტარი), მით უმეტეს იმ ფონზე, რომ მთლიანობაში საფრთხის ხარისხი ბევრად უფრო დაბალია.

კითხვის ნიშნები ჩნდება 261-ე მუხლის მეორე ნაწილში ნახსენებ ძლიერმოქმედ ნივთიერებასთან მიმართებითაც, თუ რამდენად აუცილებელია მაინცდამაინც სისხლისსამართლებრივად მათი ბრუნვის დასჯა. სასჯელის სახით ისედაც საერთოდ არაა თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლოს ლიბერალური პრაქტიკის ფონზე ნარკოტიკული საშუალების, მარიხუანის მოხმარებასთან მიმართებით 261-ე მუხლის მეორე ნაწილი გარკვეულწილად ახლებურ გააზრებას მოითხოვს. მაქსიმუმი, შეიძლება გამსაღებლის კონტროლზე გვეფიქრა, მაგრამ რამდენად აუცილებელია ისეთი ნივთიერების, რომელიც არც ფსიქოტროპულია და არც მისი ანალოგი, შემძენის ან შემნახველის დასჯა, საკმაოდ საკამათოა.³⁰⁰

რა არის ძლიერმოქმედი ნივთიერება? ეს არც ნარკოტიკული, არც ფსიქოტროპული, არც მათი ანალოგი და არც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებაა. ის, ძირითადად, სამედიცინო პრეპარატია, რომლის მიმოქცევის მკაცრი კონტროლი, მათ შორის სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით, კანონმდებელმა აუცილებლად ჩათვალა ორგანიზმზე ზემოქმედებიდან გამომდინარე.³⁰¹

ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებით ცალკეულ ნიშნებს დეტალურად

299 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 45.

300 დასჯადობის მაგალითებად იხ. სუსგ #23-26კოლ.-2001; 23-321აპ.-05.

301 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 46.

აღარ შევეხებით, ვინაიდან ისინი სსკ-ის 260-ე მუხლის ანალოგიურია.³⁰² იგივე შიძლება ითქვას მართლწინააღმდეგობასა და ბრალზეც.

§ 3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქო-აქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხ. 262)

1. ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლი, ისევე, როგორც 33-ე თავის სხვა შემადგენლობები, კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის მიზნებს ემსახურება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მასში მოცემული ქმედებები საქართველოს ფარგლებს სცდება - ან ხდება შემოტანა სხვა ქვეყნიდან, ან გატანა სხვა ქვეყანაში, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში გატანის მიზნით ტრანზიტულად, შუალედურ ეტაპად საქართველოს ტერიტორიის გამოყენება. შემოტანის სანქციებით ქვეყანაში პოტენციური საფრთხეები მცირდება, გატანისა და ტრანზიტის დასჯადობით კი - სხვაგან გავრცელებისა და ზოგადად, უკანონო ბრუნვის.

რა თქმა უნდა, 262-ე მუხლში ჩამოთვლილი ნივთიერების შემოტანა, გატანა ან ტრანზიტი მთლიანობაში არ არის აკრძალული და საკანონმდებლო წინაპირობების დაცვის შემთხვევაში ქმედება ლეგალური იქნება (შეად. 260-ე მუხლის კომენტარი).

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის საგანი სსკ-ის 260-ე მუხლის იდენტურია. რაც შეეხება ქმედების ვარიაციებს, როგორც უკვე აღინიშნა, ის სამი სახისაა: საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან საქართველოს გავლით ტრანზიტული გადაზიდვა.

როდესაც საუბარია **შემოტანაზე**, ლოგიკურია, მასში იგულისხმება სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა,³⁰³ თუმცა, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ამ ცნებას უფრო ავიწროებს. მასში საუბარია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანაზე (მუხ. 3 ქვეპ. „გ“). მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ფორმით მოხდება ეს - იქნება პირადად, ფოსტის გზავნილის თუ სხვა საშუალების გამოყენებით. მთავარია, გადმოიკვეთოს საზღვა-

302 მაგალითების სახით იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 აპრილისა და 2016 წლის 16 ივნისის განაჩენები (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718), ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი #1-56/17.

303 სუსგ #62-აპ-09; #34-აპ; #157-აპ-09.

რი და სასაზღვრო პოსტში მას საერთოდ შეამოწმებენ თუ არა, კვალიფიკაციისთვის არარელევანტურია. აეროპორტის ტრანზიტულ ზონაშიც შემოტანა უკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს, ოღონდ არა შემოტანის, არამედ სხვა ქვეყანაში ტრანზიტის თვალსაზრისით. ის მაინც 262-ე მუხლის პირველი ნაწილით დაისჯება.

წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი: ა-მ უცხოეთში შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მას მერე ფოსტით გამოუგზავნეს საქართველოში, თუმცა, ამანათი, საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს და მან ადრესატამდე ვერც კი მიაღწია. შეფასდება თუ არა ა-ს ქმედება დამთავრებულ დანაშაულად?

ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ადრესატამდე ნივთიერების მიღწევა-არმიღწევას აღნიშნული შემადგენლობისთვის არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ უკვე ქვეყანაში შემოტანილია. მას პასუხისმგებლობა უკანონო შეძენისთვისაც დაეკისრება, თუ ეს ქმედება შეძენის ტერიტორიაზეც დასჯადია ან თუ ჩავთვლით, რომ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაული (სსკ-ის მუხ. 5, ნაწ. 1, 2).

სიტუაცია იცვლება, როდესაც ა თვითონ არც კი იმყოფება შეძენის ადგილას და საქართველოდან დისტანციურად, ინტერნეტის მეშვეობით უკვეთავს აკრძალულ ნივთიერებას, მერე კი უბრალოდ სახლში ელოდება გზავნილის მოტანას. არის ა ასეთ შემთხვევაში შეძენასთან ერთად უკანონო შემოტანის ამსრულებელი?

აქცენტს მხოლოდ იმ ფაქტზე თუ გავაკეთებდით, რომ სწორედ მისი შეკვეთის საფუძველზე შემოვიდა ქვეყანაში ნარკოტიკი, ის ამისთვისაც დაისჯებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დანაშაულის ამსრულებელი თვითონ, ან სხვა პირის მეშვეობით უშუალოდ შემოტანის პროცესზე უნდა ბატონობდეს, მოვლენების განვითარებაზე სურვილისდა მიხედვით მიმართულებების მიცემა უნდა შეეძლოს (მაგ. კურიერს ტელეფონით აძლევს მითითებებს), აქ კი ა-ს ქმედება მხოლოდ შეკვეთით შემოიფარგლა და უშუალოდ შემოტანის პროცესში არც ფიზიკურად და არც ინტელექტუალურად არანაირი წვლილი არ შეუტანია. შესაბამისად, ის შეძენის ამსრულებელია და არა შემოტანის. ის იმდენად პასიურ როლშია, რომ დამხმარეც კი არ გამოდის.³⁰⁴ შემომტანია ის პირი, ვინც მას გზავნილი ან კურიერი გამოუგზავნა. სამართლებრივი შეფასებისთვის გადამწყვეტია უშუალოდ შემოტანის პროცესში ჩართულობის ხარისხი, ვინაიდან ის შეძენისგან დამოუკიდებელი შემადგენლობაა და მხოლოდ შეკვეთის გამო პირი ვერ გადაიქცევა ავტომატურად შემომტანადაც.³⁰⁵

აკრძალული ნივთიერებების საქართველოში შემოტანის ბევრი გზა არსებობს,

304 აღნიშნულ პრაქტიკას მიჰყვება გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო - BGH NStZ 2017, 713.

305 BGH NStZ 1990, 130; BGH NStZ 1991, 537.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ხერხს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე მეთოდი: ჰეროინის უცხოეთში შექმნის შემდეგ დამნაშავეები მას აძლევენ სითხის სახეს და ამ სითხით ჟღინთავენ ტანსაცმელს, რომლის შემოტანაც ბევრად უფრო ადვილია საზღვარზე. საზღვრის გადმოკვეთის მერე კი ტანსაცმელს ცხელ წყალში ალბობენ და წურავენ. წამოქმნილ სითხეში კი ურევენ ნატრიუმკარბონატის მინარევს, რომლის შედეგადაც სითხიდან უკან გამოიყოფა ჰეროინი. ხდება ასევე ალკოჰოლში აკრძალული ნივთიერებების გარევა და ისე შემოტანა, მოგვიანებით კი აორთქლებულზე ისევ უკან გამოიყოფა ნარკოტიკი. მეთოდები იმდენად შორს მიდის, რომ ცხოველების ან საკუთარ სხეულშიც კი ხდება ნივთიერებების გადამალვა და ისე შემოტანა.³⁰⁶

რაც შეეხება საქართველოდან ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ **გატანას**, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ არის ეს საერთოდ დასჯადი და პირიქით, უკეთესი ხომ არ იქნებოდა საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, რომ მის ტერიტორიაზე ნაკლები აკრძალული ნივთიერება დარჩება? როცა ვამბობთ, რომ ნორმის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, ერთი შეხედვით გამოვიდოდა, რომ გატანა საფრთხეს კი არ ქმნის, არამედ პირიქით, ამცირებს. ასეთი ვიწრო გაგება არ იქნებოდა სწორი მიდგომა, ვინაიდან საქართველო მიერთებულია საერთაშორისო აქტებს, რომლიც მიზანიც აკრძალული ნივთიერებების სწორედ უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგ ბრძოლაა და მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების მოქალაქეებით არ შემოიფარგლება ჯანმრთელობის დაცვის საკითხი.³⁰⁷

შემოტანისგან განსხვავებით, გატანა გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქით გადატანას, თუმცა, ხერხები შეიძლება იდენტური იყოს, ამიტომ მათი დანვრილებით განხილვა არ არის აუცილებელი.

განვიხილოთ შემდეგი კაზუსი: ა-მ უცხოეთიდან თავის კურიერს ჩამოატანინა აკრძალული ნივთიერება, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ის დაბალი ხარისხის იყო და გამომგზავნს უკანვე დაუბრუნა თავის სამშობლოში. რისთვის უნდა დაისაჯოს ა?

პირველ რიგში, ის პასუხს აგებს უკანონოდ შემოტანისთვის, მაგრამ უკან დაბრუნება არ მოგვცემს უკანონოდ გატანის შემადგენლობას, ვინაიდან ამით მთლიანობაში არანაირი საფრთხე არ გაზრდილა და აკრძალული ნივთიერება ორ პირს შორის ტრიალებს. ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ ა-ს დაბალი ხარისხის კი არა, საერთოდ სხვა ნივთიერება გამოუგზავნეს და ის უკან გააბრუნებს, მით უმეტეს არ გვექნება სხვა ქვეყანაში გატანის მოცემულობა. დანაშაუ-

306 დაწვრ. ob. Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 5 Rn. 31 ff.

307 Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 6 Rn. 1.

ლის საგანი ამ კაზუსში საერთოდ არ არსებობს.³⁰⁸ თუმცა, შემოტანის მცდელობისთვის პასუხისმგებლობა დადგება (უვარგისი ობიექტი).

რაც შეეხება ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას, ამ დროს დანიშნულების ადგილი საქართველო არ არის. ქვეყნის ტერიტორიას უბრალოდ ნივთიერების სხვაგან გადასატანად იყენებენ. მაგ. პირმა რუსეთში გასაღების მიზნით წამოიღო ნარკოტიკი თურქეთიდან და გადააქვს საქართველოს გავლით. კვალიფიკაციაში ამ დროს დამატებით საქართველოში უკანონოდ შემოტანაზე მსჯელობა არ არის საჭირო, ვინაიდან ტრანზიტი ამას ისედაც გულისხმობს. უკანონოდ გატანაზეც იმავეს თქმა შეიძლება. არც სსკ-ის 260-ე მუხლით დასჯადობა იქნებოდა გამართლებული ერთობლიობით 262-ესთან, თუნდაც შენახვისთვის, ვინაიდან ტრანზიტით გადამტანს, ისედაც ლოგიკურია, რომ ნივთიერება სადღაც მოთავსებული ექნება. დამნაშავეს ის შენახული აქვს არა საქართველოში განთავსების, არამედ სხვაგან გადატანის მიზნით, ამიტომ გამოიყენება 262-ე მუხლი.

262-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები სხვა შემადგენლობებზე საუბრისას უკვე განხილულია და მათგან არ განსხვავდება.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

გაბატონებული მოსაზრებით სსკ-ის 262-ე მუხლის განსახორციელებლად აუცილებელია პირდაპირი განზრახვის არსებობა, ანუ პირს უნდა ჰქონდეს იმის ცოდნაც და სურვილიც, რასაც აკეთებს, რაც სუბიექტურად საკმაოდ მაღალი სტანდარტია პრაქტიკისთვის. საკითხავია, რატომ არ შეიძლება არაპირდაპირი განზრახვის დაშვებაც?³⁰⁹ პირდაპირი განზრახვის სტანდარტის არსებობის გამო, ქართული საგამოძიებო თუ სასამართლო პრაქტიკა, ცალკეულ შემთხვევებში, იძულებული გახდება პირის დაუსჯელად არდატოვების გამო, რეალურად არაპირდაპირი განზრახვის კაზუსები გარკვეულწილად პირდაპირ განზრახვად შეფუთოს და ისე დააყენოს პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ამახინჯებს საერთო სურათს.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

აღნიშნულ მუხლზე სტანდარტულად ვრცელდება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან გამომდინარე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები. თეორიულად შესაძლებელია, მაგალითად, წარმოვიდგინოთ უკიდურესი აუცილებლობის კონსტრუქცია, როდესაც პირს უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად, იძულების გზით უწევს ნარკოტიკის საზღვარზე

308 BGH NStZ, 2005, 232.

309 გერმანული რეგულაცია იმდენად შორს მიდის, რომ გაუფრთხილებლობაც კი დასჯადია - § 29 Abs. 4 BtMG.

უკანონო გადმოტანა (მაგ. მას ნარკოდილეგები აიძულებენ ამის გაკეთებას მუქარის ხარჯზე).

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი უკიდურესი აუცილებლობის კონსტრუქცია გვექნება მაშინაც, როდესაც პირი მაგ. კანაფს შემოიტანს უცხოეთიდან მხოლოდ და მხოლოდ პირადი სამკურნალო მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან მან ადგილზე კანაფის შემცველი მედიკამენტები ლეგალურად ვერ მოიპოვა და ტკივილის ეფექტიანად გასაყუჩებლად სხვა ალტერნატივა არ არსებობდა (კანაფი შეიძლება ეფექტიანი იყოს ისეთ დაავადებებთან მიმართებით, როგორცაა სკლეროზის გარკვეული ფორმები, შიდსი და ა.შ.).³¹⁰

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში პირი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან კანაფის უკანონო ფლობისა და მისი მოყვანის გამო (შემოტანამაც იმავე სტანდარტის გავრცელება შეიძლება), ვინაიდან ის მძიმედ ავადმყოფი იყო და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველ ლეგალურ წამლებს შეუთავსებლობის გამო ვერ იღებდა და თან მათ ხარჯებს დაზღვევა არ ფარავდა. სასამართლომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებზე მაღლა ინდივიდების ინტერესები დააყენა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების საფუძველზე ის არ დასაჯა.³¹¹

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გავრცელდება ნებისმიერ შერაცხად ფიზიკურ პირზე 14 წლის ასაკიდან.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

უცხოეთიდან აკრძალული ნივთიერების შემოტანისას ავტომატურად 260-ე მუხლითაც დასჯა ერთობლიობით შეძენისთვის 262-ესთან ერთად არასწორი იქნებოდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს, საერთოდ რა გზით მოხდა ნივთიერების მოპოვება - შეძენით, დამზადებით თუ სხვა ფორმით. ამის გარკვევის გარეშე, რასაც უცხოეთშივე მტკიცებულებების მოპოვება დასჭირდება, პირი 260-ე მუხლით, ფაქტობრივად, ვარაუდების დონეზე დაისჯებოდა, რაც დაუშვებელია.³¹²

უზენაესი სასამართლოს მიდგომით, 260-ე და 262-ე მუხლები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დანაშაულებია და შემოტანას წინ თუ უსწრებს შეძენა და შენახვა, ის ქმედებები 260-ე მუხლით უნდა შეფასდეს შემოტანასთან ერთობლიობით.³¹³

262-ე მუხლი თავისი შინაარსით 214-ე მუხლის მსგავსია, რომელიც ასევე საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთების კონტროლს გვერდის ავლით

310 დაწვრ. იბილეთ, Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 13 Rn. 60 ff.

311 AG Berlin-Tiergarten, NStZ RR 2004, 281.

312 ლეკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 51.

313 AG Berlin-Tiergarten, NStZ RR 2004, 281.

გადატანას ან გადმოტანას ეხება, თუმცა, დანაშაულის საგნიდან გამომდინარე, 262-ე მუხლი სპეციალური შემადგენლობაა.³¹⁴

6. თანამონაწილეობა

თანამონაწილეობისგან უნდა გავმიჯნოთ თანაამსრულებლობა, რომელიც ჭკუფური დანაშაულის სახით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული სსკ-ის 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტსა (წინასწარი შეთანხმებით ჭკუფურად) და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში (ორგანიზებული ჭკუფი).

როდესაც პირი წინასწარ თანხმდება და ვინმესთან ერთად შემოაქვს საქართველოში აკრძალული ნივთიერება (თუნდაც გადანაწილებული სხვადასხვა მანქანაში), გვექნება თანაამსრულებლობა და არა თანამონაწილეობა.³¹⁵ შემოტანილი ნივთიერების ოდენობა ერთიანად შეერაცხება ორივეს დაჯამებულად და არა ცალ-ცალკე, ვინაიდან მათი მიზანი იყო მთლიანი ოდენობის გადმოტანა და უბრალოდ გადაინაწილეს უკეთ გადამალვის მიზნით.

თანამონაწილეობა, კერძოდ, დახმარება არ გვექნება მაშინაც, როდესაც ერთი პირი მეორეს ბრმა იარაღად გამოიყენებს და მისდაუნებურად შემოატანინებს აკრძალულ ნივთიერებას (მაგ. გამოატანს ვითომ ლეგალურ წამალს). შემოტანის ამსრულებელი იქნება ნივთიერების გამომტანი, ხოლო უშუალო წამომღები კი ბრმა იარაღია და საერთოდ არ დაისჯება არაფრისთვის.

თუ პირმა საქართველოში ნივთიერება უკვე გადმოიტანა და ამის შემდეგ მას შიდა ტრანსპორტირებაში დაეხმარება სხვა პირი, მეორე პირის ქმედება შეფასდება გადაზიდვაში დახმარებად, ვინაიდან პირველი ქმედება უკვე დამთავრებულია. მაგრამ სურათი იცვლება მაშინ, როცა წინასწარ დაპირებასთან გვაქვს საქმე და დამხვედრი საზღვარს აქეთ ელოდება თანაამსრულებელს.

თანამონაწილეობად კვალიფიკაციისთვის არ არის აუცილებელი მაინცდამაინც უშუალოდ საზღვარზე გადმოტანისას ან საზღვრიდან გატანისას ამსრულებლისთვის დახმარება. მომზადების ეტაპზე დახმარებაც საკმარისია პასუხისმგებლობისთვის.³¹⁶ მაგ. ა-მ გადაიტანა აზერბაიჯანში ნარკოტიკი უკანონოდ, ბ კი მას აღნიშნული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე მანქანის საბურავში ჩამალვაში დაეხმარა.

თანამონაწილეობა შესაძლებელია წაქეზების ფორმითაც განხორციელდეს. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ა უცხოეთში ცხოვრობდა და სხვადასხვა ქვეყანაში არალეგალურად აგზავნიდა ნარკოტიკებს, საქართველოში კი არასდროს გამოუგზავნია. თბილისში მცხოვ-

314 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 50.

315 სუსგ #157-აპ-09.

316 BGH StV 1985, 106.

რებმა ბ-მ მას დაურეკა და უთხრა, ბარემ აქაც გამოაგზავნე, გ-ს უნდა შეძენაო. ა ასეც მოიქცა. დაისჯება თუ არა ბ შემოტანაში წაქეზებისთვის?

მოუხედავად იმისა, რომ ა ისედაც აგზავნიდა სხვადასხვა ქვეყანაში აკრძალულ ნივთიერებებს, საქართველოსთან მიმართებით კონკრეტული გადაწყვეტილება მას ბ-მ მიაღებინა, ამიტომ ბ დაისჯება წაქეზებისთვის. ა-ს ზოგადი მზაობა სხვადასხვა ქვეყანაში ნარკოტიკების გაგზავნისა არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მას არავითარი წაქეზება არ სჭირდებოდა. შეფასებისთვის მთავარია კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებით ვინ წარმოშვა მასში გაზრახვა და ეს იყო ბ.³¹⁷

7. მომზადება და მცდელობა

მომზადების დასჯადობის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, სსკ-ის 262-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით გათვალისწინებულ სანქციებს უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდან, სსკ-ის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, გარკვეული გამოწვევების გარდა, ნაკლებად მძიმე დანაშაულების მომზადება არ ისჯება. მცდელობაზე კი, რა თქმა უნდა, აღნიშნული სტანდარტი არ ვრცელდება და დანაშაულის კატეგორიას არ აქვს მნიშვნელობა.

მომზადება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნაა, იქნება ეს ინფორმაციის მოგროვება, სატრანსპორტო საშუალებაში აკრძალული ნივთიერების ჩამალვა თუ სხვა. მაგალითად, პირმა საზღვარგარეთ ნარკოტიკული ნივთიერების შექმნის შემდეგ ღამისთევა რომ გადაწყვიტოს ადგილზე და მხოლოდ მეორე დღეს დააპიროს საქართველოში გადმოსვლა, გვექნება მუხ. 18, 262 დანაშაულის შემადგენლობა. ხოლო, როგორც კი პირი საბაჟო პროცედურების გასაგლეხად უკვე საზღვარს მიადგება და იქ აღმოაჩენენ, გვექნება მცდელობის შემადგენლობა, ვინაიდან, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, დანაშაული დამთავრებასთან ძალიან ახლოსაა.³¹⁸

მომზადების შემადგენლობას მოგვცემს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში აკრძალული ნივთიერებების გადატანა, საიდანაც ის მერე საქართველოში უნდა გადმოიტანონ. ხოლო, ფოსტით გადმოგზავნის შემთხვევაში, მცდელობა გვექნება ამანათის ფოსტაში ჩაბარების მომენტიდან.³¹⁹

საქართველოდან გატანასა და საქართველოს გავლით ტრანზიტთან დაკავშირებითაც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა შეფასდეს მომზადებისა და მცდელობის საკითხი. მთავარია, სიტუაცია ისე გაანალიზდეს, რომ ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით გაიმიჯნოს მომზადება და მცდელობა. მაგ. თბილისიდან აჭარისკენ გადაადგილების შემთხვევაში, რათა მერე სარ-

317 LG Ravensburg, NStZ RR 2008, 256.

318 Malek, Betäubungsmittelstrafrecht, 2. Kap. Rn. 188.

319 BGHSt 34, 180.

ფის საბაჟოს გავლით აკრძალული ნივთიერება მოხვდეს თურქეთში, პირს თუ სარეგულაციო დააკავებენ, გვექნება მომზადება, ხოლო უშუალოდ სარეგულაციო, საბაჟოსთან ახლოს დაკავების შემთხვევაში კი - მცდელობა.

§ 4. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხ. 263)

აღნიშნული შემადგენლობა, სსკ-ის 263-ე მუხლი, ძირითადად, სსკ-ის 262-ე მუხლის იდენტურია. განსხვავება დანაშაულის საგანშია. ასევე, კანონმდებელი დასჯადად აცხადებს მხოლოდ დიდი ოდენობით ნივთიერების უკანონოდ შემოტანას, გატანას და მათ ტრანზიტულ გადაადგილებას. სასჯელებიც, აქ ნაგულისხმევი ნივთიერებისგან მომდინარე ნაკლები საფრთხის გათვალისწინებით, შედარებით ნაკლებია.

პირის მიერ ერთდროულად ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ შემოტანის, გატანის ან ტრანზიტის შემთხვევაში გვექნება დანაშაულის ერთობლიობა სსკ-ის 262-ე და 263-ე მუხლებს შორის.³²⁰

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დანაშაულის ერთ საგანთან მიმართებით ქმედების შემადგენლობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ეტაპზე იყოს, მეორე საგანთან მიმართებით კი - დამთავრებულზე. მაგალითად, პირმა არალეგალურად შემოიტანა ნარკოტიკი და ისევე გაბრუნდა საზღვარს მიღმა ფსიქოტროპული ნივთიერების გადმოსატანად, რა დროსაც ის შემოტანის მცდელობისას დააკავეს. აქაც გვექნება ორმაგი კვალიფიკაცია, სსკ-ის 262-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით დამთავრებული დანაშაულისთვის და ასევე, სსკ-ის 19, 263-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით, მცდელობისთვის.

§ 5. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხ. 264)

1. ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მსგავსი სისტემით არის აგებული, როდესაც მოძრავი ნივთი ერთი პირის მფლობელობიდან მეორის მფლობელობაში უნებართვოდ გადადის. ორივე შემთხვევაში მეორე პირის მხრიდან საქმე გვაქვს უკანონო შეძენასთან, რაც სსკ-ის 260-ე მუხლის შემადგენლობასაც შეესაბამება, მაგრამ კანონმდებელმა 264-ე მუხლში მოაქცია ისეთი ქმედებები, რომლებშიც პირველი

³²⁰ ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 56.

მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ხდება დაუფლება. პირველ მფლობელს კანონიერად აქვს თუ უკანონოდ თავისი მფლობელობა დაუფლებული, ამას 264-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა.

ცალკე შემადგენლობის გამოყოფით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა დანაშაულის ჩადენის ხერხიდან გამომდინარე (ქურდობა, ძარცვა და ა.შ.) მის განსხვავებასა და მომეტებულ საშიშროებას 260-ე მუხლში გათვალისწინებულ შეძენასთან შედარებით, თუმცა, სამწუხაროდ, სანქციების დადგენისას ეს მხედველობიდან გამორჩა და 264-ე მუხლში უფრო ნაკლები სანქციები დაადგინა, ვიდრე 260-ე მუხლში.

წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი: ა-მ ქუჩაში იპოვა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის შეკვრა და მას დაეუფლა. როგორ დაისჯება ა?

ა დაისჯება ნარკოტიკის უკანონო შეძენისთვის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამისათვის ნორმაში სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან ექვს წლამდე ვადით.

შევცვალოთ იგივე კაზუსი: ა-მ ჰეროინის შეკვრა ფარულად ჯიბიდან ამოაცალა ბ-ს და მას დაეუფლა. როგორ შეფასდება ეს კაზუსი?

ა ამ შემთხვევაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ეუფლება ნარკოტიკს და ეს უკვე 264-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას გვაძლევს. იმის ნაცვლად, რომ ა-ს ქურდობის ფორმით დანაშაულის ჩადენისას მეტი სასჯელი ემუქრებოდა, კანონმდებელმა დაუშვა შეცდომა და პირიქით, უფრო დაბალი სასჯელი დაადგინა - ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, ან მაქსიმუმ, ოთხ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. ანუ, გამოდის, რომ მოსამართლეს შეუძლია, საერთოდაც, ჯარიმით შემოიფარგლოს ან რომც გადაწყვიტოს თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, ოთხ წელს ვერ გასცდება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება სპეციალური ნორმის მიზანს და ამიტომ კანონმდებელმა ის უნდა გამოასწოროს.³²¹

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, დაცული ობიექტი კი როგორც საზოგადოებრივი, ისე - ინდივიდის უსაფრთხოება. რაც შეეხება ქმედებას, პირველ ნაწილში შეგვიძლია მოვიაზროთ ქურდობის, თაღლითობის, მითვისების ან გამოძალავის მეშვეობით დაუფლების ხერხები.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მეორე პირს მიეცემა დაუფლებული ნივთიერების თავისუფალი განკარგვის შესაძ-

321 შეად. ასევე ლეკვიეშვილი/თოდუა/შამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 61.

ლებლობა.³²²

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: 2015 წლის 12 ნოემბერს, თბილისში, ა ბ-ს საცხოვრებელი სახლიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და მიისაკუთრა მის კუთვნილ 10 ცალ მიწის ამპულაში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება - 0.099 გრამ მორფინის ჰიდროქლორიდის (მარილი) შემცველი სითხე. მან 5 ცალი ამპულიდან სითხე გადაასხა მიწის ფლაკონში და უკანონოდ შეინახა შარვლის ჯიბეში, ხოლო 5 ცალი ამპულა მოათავსა საფულეში და შეინახა ქურთუკის ჯიბეში. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები, 2015 წლის 12 ნოემბერს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ა-ს პირადი ჩხრეკის შედეგად.³²³

ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომელიც სასამართლომ დაამტკიცა და ა პასუხისგებაში მიეცა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 264-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება), რაც არ არის სწორი, ვინაიდან 260-ე მუხლით კვალიფიკაცია შექმნისა და შენახვისთვის სრულიად ზედმეტია.

პირი როდესაც ისჯება 264-ე მუხლით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის ქურდობის ხერხით, ბუნებრივია, მისი სასჯელი მოიცავს მოპარული ნივთიერების შექმნასა და შენახვასაც. ცალკე, იმავე ქმედებისთვის, განმეორებით 260-ე მუხლით მისი პასუხისგებაში მიცემა ხელოვნური ერთობლიობაა. ეს იგივეა, ეკონომიკური დანაშაულების დროს, ქურდი დამატებით პასუხისგებაში მიეცემა ნაქურდალის შენახვისთვის. ამით ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი (ne bis in idem) ირღვევა.

ძარცვის ხერხით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ დაუფლების მაგალითთა შემდეგი კამუსი: ა-მ შეიტყო, რომ ბ-მ სამედიცინო ცენტრიდან კანონის დაცვით გამოიტანა ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ შესაბამისი ულუფები და იგი ქმარს უნდა შეხვედროდა დათქმულ ადგილას მის გადასაცემად. ა დაუდარაჯდა ბ-ს და დილის საათებში ქუჩაში მიმავალს ხელიდან გასტაცა პარკი მასში მოთავსებული ნარკოტიკული ნივთიერებით.³²⁴

ეს ქმედება შეესაბამება 264-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს - ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის. სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ნარკოტიკის უკანონო მოხმარების კვალიფიკაცია დაემატებოდა.

სასამართლო პრაქტიკაში ჯგუფის მიერ ნარკოტიკების ან სხვა აკრძალული ნივთიერებების წინასწარ შეთანხმებული დაუფლებაც გვხვდება, ანუ როდესაც

322 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 61.

323 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 26.1.2016 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

324 სუსგ #524აპ-17.

რამდენიმე პირი შეთანხმებულად, დავუშვათ, დაემუქრება მესამე პირს და ამ გზით წაართმევს მას მის მფლობელობაში არსებულ ნივთიერებას³²⁵.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამსრულებლები ერთდროულად რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებენ 264-ე მუხლთან ერთად.

რამდენიმე პირი თავს დაესხა ცოლ-ქმარს რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე და ისინი დანის მუქარით, ჭრილობების მიყენებით, გადასვეს თავიანთ ავტომანქანაში და მოგვიანებით ავტოფარეხში გამოკეტეს. მერე კი წაართვეს ძვირფასი ნივთები და ავტომანქანა. გარდა ამისა, მათ ქმარს მოსთხოვეს ჰეროინის მოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეუღლის მოკვლით დაემუქრნენ. მათი მოთხოვნა შესრულდა.³²⁶

როგორც ვხედავთ, ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლის შესაბამის სურათს გვაძლევს - თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ (მუხ. 143, ნაწ. 3), ყაჩაღობა ჯგუფურად და სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ (მუხ. 179, ნაწ. 2) და გამოძალგა ჰეროინის ეპიზოდში (მუხ. 264, ნაწ. 2 და 4, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით).

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 264-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვაში გამოიხატება. პირს უნდა ჰქონდეს იმის ცოდნა და სურვილი, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება აკრძალულ ნივთიერებას.

ა-მ მოპარა ბ-ს საფულე, ვინაიდან ფული სჭირდებოდა. საფულეში კი, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ნარკოტიკული ნივთიერებაც აღმოაჩინა. მან ეს ნივთიერება დაიტოვა. როგორ შევაფასოთ ა-ს ქმედება?

ა, უპირველეს ყოვლისა, პასუხს აგებს ქურდობისთვის, სსკ-ის 177-ე მუხლით საფულესთან მიმართებით. მაგრამ, რაც შეეხება ნარკოტიკს, დაუფლების მომენტში ა-ს არ ამოძრავებდა განზრახვა და ამის გარეშე 264-ე მუხლით დასჯა გამორიცხულია. პირს განზრახვა უნდა ამოძრავებდეს ქმედების განხორციელების მომენტში და არა - მერე. ა დაისჯება 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მხოლოდ უკანონო ფლობისთვის.

მართალია, ერთი შეხედვით 264-ე მუხლის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, მაგრამ პრობლემა წარმოიშობა მაშინ, თუ წინა კაზუსს

325 სუსგ #315აპ. - ამ საქმეში საუბარია ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა, რატომღაც სუვენირული ხანჯლით მუქარა არ არის შეფასებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშად.

326 სუსგ # 1911-აპ.

შეცვლით და ვიტყვით, რომ ა-სთვის სულ ერთი იყო, საფულებში რა იდო. ეს ალტერნატიული განზრახვის მაგალითია, თუმცა, ალტერნატიული განზრახვა, თავის მხრივ, გარკვეულწილად, არაპირდაპირი განზრახვების ჯამია, როცა მოქმედი პირი უშვებს ან ერთ ან მეორე შესაძლებლობას. შეცვლილ კაზუსში ა არაპირდაპირი განზრახვით ნარკოტიკის უკანონო დაუფლებისთვის აგებდა პასუხს.³²⁷

საბოლოო ჯამში, ამ კაზუსს პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით შევაფასებთ, კვალიფიკაცია მაინც 264-ე მუხლით მოხდება. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ გარკვეულ კონსტრუქციებში არც არაპირდაპირი განზრახვით დასჯადობაზე უნდა ითქვას უარი, მით უმეტეს, ნორმა არსად მიუთითებს მაინცდამაინც პირდაპირ განზრახვაზე.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები 264-ე მუხლთან მიმართებით არ გამოირჩევა რამე თავისებურებით. პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან იწყება.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

სხვადასხვა მაგალითში უკვე განვიხილეთ ამ მუხლის სხვა შემადგენლობებისგან გამიჯვნის სტანდარტები, ამიტომ აქ განმეორებით არ შევხებით (შეად. მაგ. 260-ე მუხლის კომენტარები).

6. თანამონაწილეობა

თანამონაწილეობის იმავე სტანდარტების გამოყენება შეიძლება, როგორც ეს ეკონომიკური დანაშაულების შემთხვევაშია, იქნება ეს ორგანიზება, ნაქეზება თუ დახმარება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ა-მ გადაწყვიტა მოეპარა ექიმ ბ-ს ოთახიდან ნარკოტიკული ნივთიერება. მან ეს გეგმა თავის ნაცნობ გ-ს გაანდო, რომელმაც ურჩია, რატომ ზვალთ ამდენს, ჯობია პირდაპირ დანით დაადგე თავზე და შეშინებული უცებ მოგცემსო. ა ასეც მოიქცა. მართალია, ა-ს უკვე გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა ამ დანაშაულის ჩადენის თაობაზე, თუმცა გ მაინც დაისჯება მისი ნაქეზებისთვის, ვინაიდან მან ამსრულებელს სხვა უმართლობის, კერძოდ, 264-ე მუხლის მეოთხე ნაწი-

³²⁷ დაახლოებით მსგავსი მაგალითია მოყვანილი სახელმძღვანელოში ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 64, თუმცა არ არის მითითებული, განზრახვის რომელ სახეზეა საუბარი.

ლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მიაღებინა. აღნიშნული დაყოლიების გარეშე, ა ამავე მუხლის პირველი ნაწილით დაისჯებოდა, რაც უფრო ნაკლები ხარისხის უმართლობაა.

7. მომზადება და მცდელობა

დაბალი სანქციიდან გამომდინარე, 264-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის მომზადება ვერ დაისჯება, თუმცა, მეორე ნაწილიდან ეს უკვე შესაძლებელია.

მცდელობას რაც შეეხება, ეს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას გულისხმობს, რომლის მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი კაზუსი:

ა-ს ექიმი ბ-მ ადგილზევე ჩასაყლაპად მისცა ლეგალურად ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც ა-მ ენის ქვეშ დამალა და არ გადაყლაპა იმ მიზნით, რომ მერე მოგვიანებით თავის ნებაზე განეკარგა ის (მაგ. სხვებისთვისაც ეწილადებინა). ეს იქნება უკანონო დაუფლების მცდელობა, 19, 264. იგულისხმება ენის ქვეშ ამოღების პერიოდი და არა უკვე ექიმის კაბინეტიდან გამოსვლა და დაუფლების დამთავრება.³²⁸ კაბინეტიდან გასვლამდე მას ამ ნივთიერების თავისუფალი განკარგვა არ შეუძლია, ამიტომ ეს დაუმთავრებელი დანაშაულის ეტაპია.

§ 6. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა და კულტივირება (მუხ. 265)

1. ზოგადი მიმოხილვა

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა და კულტივირება ისევ და ისევ პრევენციულ მიზნებს ემსახურება, რათა შემდგომში მათგან მიღებული პროდუქტი არ მოექცეს უკანონო ბრუნვაში, იქნება ეს პირადად მოხმარების თუ სხვებზე გასაღების სახით.

კონსტიტუციურსამართლებრივად, ზოგადად, დასჯადობის პრობლემა არ იქმნება (გამონაკლისია პირადი მოხმარების მიზნით ვანაფის დათესვა გარკვეულ ოდენობამდე, რომელთან მიმართებითაც თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ გამოიყენება),³²⁹ თუნდაც საქმე ეხებოდეს რელიგიური რიტუალიდან გამომდინარე მოყვანას, ვინაიდან რელიგიის თავისუფლება, ამ შემთხვევაში, არ დგას უფრო მაღლა, ვიდრე საერთო ჯანმრთელობის ინტერესები.³³⁰

328 Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 11 Rn. 18.

329 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება N1/9/701.

330 დაწვრ. შედარებისთვის იხ. BVerwG NJW 2001, 1365.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის საგანია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მცენარეები და სოკოები (კოკას ბუჩქი, კანაფი, ოპიუმის ყაყაჩო და ა.შ.).

ქმედება კი შემდეგი ფორმებით შეიძლება განხორციელდეს: დათესვა, მოყვანა, კულტივირება. მათი განმარტება ზემოაღნიშნულ კანონშივეა მოცემული. დათესვა - ეს არის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარის თესლის ბუნებრივ ან ხელოვნურ ნიადაგში შეტანა, ან მცენარის ნერგის დარგვა მიწის ნებისმიერ ნაკვეთზე, მათ შორის, აუთვისებელ მიწაზე, აგრეთვე ხელოვნურ ან/და საოჯახო პირობებში (მუხ. 3, ქვეპ. „ჰ^ა“). მოყვანა კი დათესილი და დარგული მცენარისა და სოკოს მოვლაა მათი ფიზიოლოგიური სიმწიფის ფაზის მიღწევის მიზნით (მუხ. 3 ქვეპ. „ჰ^ა“),³³¹ რაც შეეხება კულტივირებას – ესაა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარისა და სოკოს სელექცია; მოქმედება, რომელიც მიმართულია მცენარის ან სოკოს ახალი სახეობის ან ჰიბრიდის მიღებისაკენ, რომლებიც ან რომელთა ნაწილებიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას (მუხ. 3 ქვეპ. „ჰ^ა“).

როგორც ვხედავთ, არც ერთ მათგანს დამთავრებულ დანაშაულად ცნობისთვის არ სჭირდება შედეგის დადგომა. საკმარისია ჩამოთვლილი ქმედებების უბრალოდ განხორციელება კი. დათესილი, მერე მოვლილი ან კულტივირებული მცენარე საბოლოოდ გაიზრდება თუ არა, არარელევანტურია.

საინტერესოა ის, რომ დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, 265-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის დადგენილია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, ანუ, სასამართლოს სხვა სასჯელის არჩევის ალტერნატივა არ აქვს, რასაც იქამდე მივყავართ, რომ კანაფის პირადი მოხმარების მიზნებისათვის ამ ნაწილების შესაბამისი დანაშაულის ჩადენისას პირს სასამართლო ცნობს დამნაშავედ, მაგრამ სასჯელის დაუნიშნავად და ეს გამოწვეულია იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმაში მოცემული თავისუფლების აღკვეთის სასჯელები,³³² კანონმდებელს კი ცვლილებები არ განუხორციელებია ამ რეალობის გამოსასწორებლად.

დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ფორმასა და ადგილს კვალიფიკაციისთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს შესაძლებელია განხორციელდეს საკუთარ ან სხვის მიწის ნაკვეთზე, სათბურში, ოთახში, ქოთანში თუ სხვა-

331 მაგალითისთვის იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის და 5 ოქტომბრის განაჩენები (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

332 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 29.8.2017 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება #1/9/701.

გან. უკვე მიღებული მოსავლის შეგროვება, მოკრეფა და გადამუშავება გადავა დამატებით სხვა მუხლის, კერძოდ სსკ-ის 260-ე მუხლის შემადგენლობაში (დამზადება) და მოგვეცემს დანაშაულის ერთობლიობას.

დანაშაულის ამსრულებელია ის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს 265-ე მუხლში ჩამოთვლილ ქმედებებს და არა ის, ვის მიწის ნაკვეთზეც ხდება დანაშაულის ჩადენა (მაგ. პირმა სხვის ნაკვეთზე მალულად მოიყვანა ყაყაჩო).³³³ თუმცა, მიწის ნაკვეთის მეპატრონე შეიძლება უმოქმედობისთვის დაისაჯოს იმ შემთხვევაში, როცა მან ამის თაობაზე იცის, ოღონდ მიწის ნაკვეთი ავტომატურად არ წარმოშობს გარანტიის ვალდებულებას. ის არ არის რამე განსაკუთრებული საფრთხის წყარო. ამიტომ, უმოქმედობით დასჯადობისთვის ნაკვეთს რამე ისეთი განსაკუთრებული თვისება ან ადგილმდებარეობა უნდა გააჩნდეს, რომ მოყვანის ან კულტივირებისთვის განსაკუთრებულ პირობებს ქმნიდეს, ანუ მიწიდან უნდა მომდინარეობდეს დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რათა პატრონი გარანტიის ფუნქციით დავტვირთოთ.³³⁴ სხვა შემთხვევაში მეპატრონეს უმოქმედობისთვის ვერ დავსჯით. ის არ არის გარანტი. თუმცა, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დანაშაულის შეუტყობინებლობაზე მსჯელობა.

დამამძიმებელი გარემოებები განხილული მუხლების იდენტურია, ამიტომ თავიდან არ განვიხილავთ. ერთადერთი, ოდენობების დადგენას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

კანაფთან მიმართებით ოდენობა დგინდება შემდეგნაირად - მცენარე იჭრება ნიადაგიდან ხუთი სანტიმეტრის სიმაღლეზე და მერე იწონება. უშუალოდ მცენარეში შემავალი აკრძალული ნივთიერების წონას არ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან დასჯადია თვითონ მცენარის დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.

რაც შეეხება თესლის ბრუნვას, ეს საკითხიც საინტერესოა კვალიფიკაციის თვალსაზრისით. კანაფის თესლი არ შეიცავს რამე აკრძალულ ნივთიერებას, ამიტომ მისი ბრუნვა, ერთი შეხედვით, ლეგალურია, მაგრამ თუ საქმეში დამტკიცდება, რომ დავუშვათ, ჯგუფურად მოხდა მისი შექმნა დათესვის მიზნით, გვექნება 265-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მომზადების შემადგენლობა.

სოკოს სპორები კი (რომლისგანაც მერე აკრძალული ნივთიერების შემცველი სოკო გამოდის) შეიცავს აკრძალულ ნივთიერებებს და როგორ შევაფასოთ მათი შექმნა - სსკ-ის 260-ე თუ 265-ე მუხლით? ვინაიდან 265-ე მუხლი უფრო სპეციალურია, ვიდრე 260-ე, მოყვანის ან კულტივირების მიზნით სპორების შექმნა მის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, პრობლემას სანქციებში სხვაობა ქმნის 260-ე და 265-ე მუხლებს შორის. კერძოდ, მაგალითად, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით აკრძალული ნივთიერების

333 Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, § 29, Teil 2 Rn. 26.

334 Zweibrücken NStZ RR 2000, 119.

შეძენისას, რომელიც თესლში ან სპორშია, მაგრამ შემდენს საერთოდ არ აქვს 265-ით გათვალისწინებული მიზნები, გამოყენებული იქნებოდა ძალიან მალა-ლი სასჯელი (260-ე მუხლის დამამძ. გარ.), ხოლო, როცა პირი იმავე ქმედებას ახორციელებს, ოღონდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირების მიზნით (რაც საფრთხის და უკანონო ბრუნვის პოტენციალის ჭრილში იგივეა), მოგვიწვედა ბევრად უფრო მსუბუქი სასჯელების გამოყენება, რაც 265-ე მუხლშია მოცემული.

საბოლოო ჯამში, 265-ე მუხლის გამოყენების დასაბუთება იმით შეიძლება, რომ აკრძალული ნივთიერების შემცველი თესლის/სპორის შეძენა პოტენციურად მხოლოდ მომავალში შექმნის საფრთხეს და ნაკლები სასჯელიც გამართლებულია.

გამოსავალი შეიძლება იყოს ასევე სსკ-ის 260-ე (დამთავრებული) და 265-ე მუხლებით (დაუმთავრებელი) ერთობლიობით კვალიფიკაცია. პირმა შეიძინა აკრძალული ნივთიერების შემცველი თესლი და ამით განახორციელა შეძენის დამთავრებული შემადგენლობა, თუმცა, ამ გზით, ამასთანავე, ის ამზადებდა დათესვას. მისი ქმედებით ორი მუხლი ირღვევა.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც, სამწუხაროდ, სუბიექტურ ელემენტზე მსჯელობა განაჩენის დასაბუთებისას ან საერთოდ უგულებელყოფილია, ან ძალიან სუსტია. ჩვენ მიერ აღნიშნული კომენტარის დამუშავებისას გამოყენებულ საქმეებში ბევრგან 265-ე მუხლთან მიმართებით სასამართლო ობიექტური ფაქტორების აღწერილობით შემოიფარგლება და თითქოს მკითხველს ეუბნება, რომ თვითონ გააკეთოს დასკვნები განზრახვასთან დაკავშირებით.³³⁵

მთლიანობაში, 265-ე მუხლთან მიმართებით, აქამდე განხილული სხვა შემადგენლობების მსგავსად, მაინც უფრო პირდაპირი განზრახვის სტანდარტია გავრცელებული.³³⁶ თუმცა, ამავედროულად, საინტერესოა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც წერია, რომ 265-მუხლის განხორციელების სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში, კერძოდ, პირის მიერ იმის გაცნობიერებაში, რომ თესავს და მოჰყავს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე, სურს ამ ქმედების ჩადენა (ეს პირდაპირი განზრახვაა) ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მას (ეს კი არაპირდაპირი განზრახვის დეფინიციაა).³³⁷ ეს მიდგომა, პრინციპში, გასაზიარებელია, ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვის დასჯადობას დოგმატურად ხელს არაფერი უშლის. ამ გზით ნარკოტიკული ნივთიერებების არალეგალური გავრცელების

335 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის, 29 აგვისტოსა და 5 ოქტომბრის განაჩენები, ასევე 2018 წლის 9 იანვრის განაჩენი (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

336 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 94.

337 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი #1/480 -17.

საფრთხე იქმნება.

სხვა სიტუაცია გვექნებოდა გაუფრთხილებლობისას, როცა პირი შეცდომას უშვებს და თავისდაუნებურად ქმნის საფრთხეს. ასეთ დროს დასჯადობა მას დიდ ტვირთად დაანგებოდა. არაპირდაპირი განზრახვის დროს კი ის აცნობიერებს სავარაუდო შედეგებს, მაგრამ შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულებით (მისთვის სულ ერთია) გამოირჩევა.

რაც შეეხება შეცდომას, ის განვიხილოთ შემდეგი მარტივი მაგალითების საფუძველზე:

ა-მ, მისი წარმოდგენით, მოუარა და სათბურში მოიყვანა სხვადასხვა ბოსტნეული, თუმცა, მათში ნარკოტიკის შემცველი მცენარეებიც ყოფილა გარეული, რომელიც ადრე სხვამ დათესა. დაისჯება თუ არა ა?

ა-მ დაუშვა ფაქტობრივი შეცდომა. მას არ ჰქონდა ცოდნა დანაშაულის საგნის, ანუ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშნის მიმართ, ამიტომ განზრახვა გამოირიცხება, რაც ავტომატურად სსკ-ის 265-ე მუხლით დასჯადობასაც გამოირიცხავს.

ა-მ მოიყვანა ყაყაჩო ეზოს გასალამაზებლად და არც კი უფიქრია, რომ ეს წარმოდგენდა დასჯად ქმედებას მისგან ნარკოტიკის გამოყვანის შესაძლებლობიდან გამომდინარე. უნდა დაისაჯოს თუ არა ის?

ა-მ, მართალია, იცოდა, რომ ყაყაჩო მოჰყავდა, ანუ არ შემცდარა ფაქტობრივ გარემოებებში, მაგრამ ის შეცდა სამართლებრივ შეფასებაში, რაც ისევ და ისევ გამორიცხავს განზრახვასა და 265-ე მუხლით დასჯადობას.

დასჯადობა გამოირიცხება ე.წ. წარმოსახვითი დანაშაულების შემთხვევაშიც, ანუ, როდესაც პირს ჰგონია, რომ მცენარე, რომელიც დათესა და მოიყვანა, აკრძალულ მცენარეთა სიაშია, სინამდვილეში კი ის აბსოლუტურად უვარგისია შედეგის მისაღწევად და მისგან ნარკოტიკს ვერასდროს გამოიყვანს, უბრალოდ, პირს აქვს აკვიატება თავისი უცოდინრობიდან გამომდინარე, რომ ქმედება დასჯადია (სსკ-ის მუხ. 20). მაგ. ოხრახუშის დათესვისთვის ვერავის მივცემთ პასუხისგებაში, ვინაიდან ეს კანონმდებლობით დაშვებულია.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული საგამონაკლისო სიტუაცია, როდესაც პირს, მაგ. კანაფი მოჰყავს მხოლოდ და მხოლოდ სამკურნალო მიზნებიდან გამომდინარე იმ ოდენობით, რაც ამისთვის საჭიროა და სხვა გამოსავალი არ აქვს დარჩენილი (მაგ. გაუსაძლის ტკივილებს მხოლოდ ის აყუჩებს). მსგავსი საქმეები გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათია. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი:

პირს წლების განმავლობაში სტანჯავდა სკლეროზის მძიმე ფორმა, რასაც თან ახლდა მეტყველებისა და მოძრაობის უნარის დაქვეითება, დეპრესია და ა.შ.

ერთადერთი, რაც მას გარკვეულწილად ტკივილებს უყუჩებდა და მთლიანობაში მის უნარებს აუმჯობესებდა, იყო მის მიერ მოყვანილი კანაფის რეგულარული მოხმარება, რომლის ნებართვაც მას ლეგალურად არ ჰქონდა. ლეგალური მედიკამენტები მას ან არ შველოდა, ან სადამზღვევო კომპანია უარს ეუბნებოდა მათ დაფინანსებაზე და საკუთარი სახსრები კი მათ შესაძენად არ გააჩნდა. გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ პირის ქმედება არადასჯად ქმედებად შეაფასა, ვინაიდან მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნდა და იტანჯებოდა, სახლში მოყვანილი კანაფის მოხმარების შედეგად კი მისი მდგომარეობა ამკარად უმჯობესდებოდა - მეტყველება უფრო გასაგები ხდებოდა, გადაადგილებაც უფრო ღიბხანს შეეძლო და ა.შ.³³⁸

მსგავსი მიდგომის გამოყენება ქართულ პრაქტიკაშიც არის უპრობლემოდ შესაძლებელი სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის კონტექსტში, როგორც უკიდურესი აუცილებლობა. ერთმანეთს უნდა შევადაროთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ინდივიდის ინტერესები. ინდივიდი იტანჯება, საზოგადოებას კი გავრცელების აბსტრაქტული საფრთხე ექმნება, ამიტომ ინდივიდის ინტერესს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. შესაბამისად, ეს იქნება არა უკანონო მოყვანა ან მოხმარება, არამედ სსკ-ის 30-ე მუხლის საფუძველზე გადაიქცევა კანონიერად.

ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. ასევე, იურიდიული პირიც, თუმცა ეს არა ბრალის, არამედ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე უნდა შემოწმდეს.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო მოყვანის ან კულტივირების შემდეგ თუ მოხდება მოსახმარად ნარკოტიკის დამზადება, შენახვა ან თუნდაც გასაღება, ეს გასცდება სსკ-ის 265-ე მუხლის შემადგენლობას და ერთობლიობით კვალიფიკაციაში სსკ-ის 260-ე მუხლიც დაემატება³³⁹. იგივე კონსტრუქცია წარმოიქმნება სხვა ნარკოდანაშაულებთან მიმართებითაც (მაგ. მოაწყლო ლაბორატორია).

6. თანამონაწილეობა

თანამსრულებლობისთვის, ზოგადი სტანდარტიდან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი განზრახვის არსებობა ქმედების შემადგენლობის განხორციე-

338 BVerwG NVwZ 2016, 1413.

339 განსხვავებული მოსაზრებით 260-ე მუხლი შთანთქმავს 265-ეს და ერთობლიობა არ არის საჭირო, ვინაიდან მცენარეს იმისთვის თესავენ, რომ მერე რამენაირად გამოიყენონ - ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 95. აღნიშნული ლოგიკით გამოდის, რომ სხვა მუხლებთან ერთობლიობაც ვერ გამოვა, მაგ. მოხმარებასთან (მუხ. 273), რაც არასწორია. თითოეული მუხლით ხორციელდება განსხვავებული უმართლობა და ისინი დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. სასამართლო პრაქტიკაც ამ ტენდენციებს მიჰყვება - სუსგ #150 აგ- 16; #36აგ-16; #2კ-1112აპ.-08.

ლებასთან მიმართებით. ამის მიღმა კი წარმოიშობა თანამონაწილეობა, იქნება ეს ორგანიზატორობის, წაქეზების თუ დახმარების ფორმით.

მაგალითად, მიწის ნაკვეთის მეპატრონის მიერ წინასწარი ცოდნით სხვა პირისთვის ნაკვეთის დათმობა აკრძალული ნივთიერების შემცველი მცენარეების მოსაყვანად მოგვცემს დახმარების შემადგენლობას.

თუ მივუბრუნდებით მართლწინააღმდეგობის ქვეთავში განხილულ კაზუსს, რომელშიც პირს კანაფი ავადმყოფობის გამო მოჰყავს პირადი მოხმარების მიზნით, მის წამქეზებელს ან დამხმარესაც ვერ დავსჯით, ვინაიდან ამსრულებლის ქმედება კანონიერია.

7. მომზადება და მცდელობა

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, დასჯადია მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადება (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), 265-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ნაკლებად მძიმე დანაშაულების კატეგორიას განეკუთვნება, ამიტომ მომზადების ეტაპზე მასში გათვალისწინებული ქმედებები ვერ დაისჯება.

მომზადებად შეფასდება ნებისმიერი ქმედება, რომელიც დათესვის, მოყვანის ან კულტივირების პირობებს შექმნის, მაგ. მიწის დამუშავება, სასუქების შექმნა და ა.შ. როგორც კი დათესვის პროცესი დაიწყება, თუნდაც თესლის ხელში მომარტვების მომენტიდან, ქმედება უკვე გადაიქცევა მცდელობად, რაც უკვე დასჯადია. დათესვის, ან ნიადაგში შეტანის მომენტიდან კი დანაშაული დამთავრებულია, თესლმა რომც არ გაიხაროს.

§ 7. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა (მუხ. 266)

1. ზოგადი მიმოხილვა

სსკ-ის 266-ე მუხლის მიზანია, 265-ე მუხლის მსგავსად, ადრეულ ეტაპზევე მოსამზადებელი ქმედებების კრიმინალიზება, რათა მინიმუმამდე დავიდეს ნივთიერებების მოხმარების ან გავრცელების საფრთხე. უკანონო წარმოება, როგორც ვიცით, სსკ-ის 260-ე მუხლით ისჯება. კანონიერი წარმოება კი ნიშნავს შესაბამისი ნებართვის მქონე ფარმაცევტულ საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა, მათი წამლის ფორმებისა და პრეპარატების სერიულ მიღებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, მუხ. 3 ქვეპ. „ფ“). სსკ-ის 266-ე მუხლის განმარტებისთვისაც ამ დეფინიციამე, ანუ სერიული წარმოების პოტენციალზე უნდა ვორიენტირდეთ.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირები, ხოლო დაცული სამართლებრივი სიკეთე სხვა აქამდე განხილული შემადგენლობების იდენტურია.

დასჯადობისთვის აუცილებელია მოხდეს ლაბორატორიის ან მოწყობა (ანუ ჯერ არ არსებობდა და პირმა შექმნა, ააწყო) ან არსებულის შენახვა. ანუ დამნაშავე თვითონ არ აწყოფს, მაგრამ მერე უკანონო წარმოებისთვის ინახავს.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის საჭირო უკანონო წარმოების დაწყება, ვინაიდან მუხლის შემადგენლობა უშუალოდ ფარული ლაბორატორიის მოწყობაზე ან შენახვაზე მიუთითებს.³⁴⁰ წარმოების პროცესის დაწყება უკვე დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს სსკ-ის 260-ე ან 261-ე მუხლით,³⁴¹ ოღონდ თუ პირმა ვერ მოასწრო ნივთიერების მიღება, მაგრამ პროცესები დაწყებული ჰქონდა, ეს იქნება 266-ე და 19, 260-ე ან 19, 261-ე მუხლების ერთობლიობა.

ლაბორატორიის დეფინიცია ცალკე აღებული რომელიმე ნორმაში ჩვენ არ გვაქვს მოცემული, მაგრამ მასში გარკვეული მოწყობილობების ერთობლიობა იგულისხმება. ლაბორატორიად ვერ შეფასდება მომზადების მიერ საკუთარ სამზარეულოში, თუნდაც ქვაბში აკრძალული ნივთიერების ყოველდღიური ხარშვა. ხოლო, თუ ეს სერიული წარმოებისთვის გამოსადეგია, მაშინ გვექნება 266-ე მუხლის შემადგენლობა. მაინცდამაინც მაღალი ტექნოლოგიების ქონა არ არის აუცილებელი. ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ კარგად უნდა გააანალიზოს ეს საკითხი და განზრახვასაც მიაქციოს ყურადღება (მასობრივი წარმოების თუ ერთჯერადი ან პირადი მოხმარების სურვილი).

აკრძალული ნივთიერებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიღება სწორედ არალეგალურ ლაბორატორიებში ხდება, გარკვეული ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებების გადამუშავების შედეგად³⁴² (სამწუხაროდ, საქართველოში ამის სასამართლო პრაქტიკა არ იძებნება, თუმცა, სხვაგან ეს აქტუალურია და არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება. უბრალოდ, გამოვლენა ვერ ხერხდება). ეს პროცესი იმდენად კომპლექსურია და მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რომ ლიტერატურაში არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ გარემოს წინააღმდეგ რისკებზეც კი მიუთითებენ, როგორცაა აფეთქების შედეგად ხანძრის გამოწვევა, მაგნი ნივთიერებების უკონტროლო გაჟონვა

340 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 97.

341 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 98.

342 დანჯრ. იხ. Caldicott/Pigou/Beattie/Edwards, Australian and New Zealand Journal of Public Health, vol. 29 #2, 2005, 155.

და ა.შ.³⁴³ ეს რისკი მაღალია განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ აღმოჩენილი ლაბორატორიების უმეტესობა დასახლებულ პუნქტებში იყო მოწყობილი.³⁴⁴

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, ვინაიდან ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დროს პირს ამოძრავებს უკანონო წარმოების მიზანი. მას აქვს იმის ცოდნა და სურვილი, რომ აწყობს ან ინახავს ფარულ ლაბორატორიას და ასევე მიზანი, ეს ლაბორატორია გამოიყენოს კონკრეტული დანიშნულებით.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

სსკ-ის 266-ე მუხლზე სტანდარტულად ვრცელდება მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

თუ პირი აწარმოებს, შეინახავს, მოიხმარს ან გაასაღებს აკრძალულ ნივთიერებას, კვალიფიკაციისას მივიღებთ დანაშაულის ერთობლიობას.

როგორ გადავწყვიტოთ შემდეგი კაზუსი: ა-მ ფარულად მოაწყო ლაბორატორია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის საწარმოებლად და გასასაღებლად. როგორ უნდა აგოს მან პასუხი?

ერთი შეხედვით, ქმედება შეიძლება შეფასდეს სსკ-ის 266-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სწორია, თუმცა, თუ გავიხსენებთ სსკ-ის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილს, ა მისი მომზადების შემადგენლობასაც ახორციელებს. მართალია, 266-ე მუხლი თვითონ მომზადების კონსტრუქციაა მთლიანად და ამ მუხლით კვალიფიკაცია უფრო შესაფერისი იქნებოდა, მაგრამ გამოვიდოდა, რომ ა-ს, ყველაზე მეტი, შვიდწლიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელი დაემუქრებოდა, როცა 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის სანქცია ბევრად მაღალია. ამიტომ, 266-ე მუხლის გამოყენებით დამნაშავე აღმოჩნებოდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში. იგივე ქმედება, ოღონდ ლაბორატორიის გამოყენების გარეშე, სხვას რომ ჩაედინა, პასუხს აგებდა 260-ე მუხლით, ა-ს კი ლაბორატორიის გამოყენების გამო 265-ე მუხლით დავსჯიდით, რაც სასჯელებში მნიშვნელოვან აცდენას მოგვცემდა.

ამიტომ, საბოლოო ჯამში, უმჯობესი იქნებოდა ამ კაზუსის მიმართაც დანაშაულის ერთობლიობის კონსტრუქციის გამოყენება - მუხ. 266 (დამთავრებული) და მუხ. 260 (მომზადება).

343 Callidocott/Pigou/ Beattie/ Edwards, Australian and New Zealand Journal of Public Health, vol. 29, #2, 2005, 159.

344 Chiu/Leclerc/Townsley, British Journal of Criminology, #51, 2011, 356.

6. თანამონაწილეობა

სსკ-ის 266-ე მუხლის განხორციელებისას თანამონაწილეობის სამივე ფორმა უპრობლემოდ არის შესაძლებელი (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). ორგანიზატორთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ის შეიძლება, ამავდროულად, ამსრულებელიც იყოს, ვინაიდან ეს ორი ფორმა ერთმანეთს ხელს არ უშლის.

7. მომზადება და მცდელობა

რეალურად, როგორც უკვე აღნიშნა, ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა თვითონვე წარმოადგენს მომავალში ჩასადენი სხვა ქმედების, უკანონო წარმოებისთვის პირობების შექმნას, ანუ მომზადებას, მაგრამ კანონმდებელმა ის დამოუკიდებელ, დასრულებულ დანაშაულად გამოყო, შესაბამისად, სამართლებრივად თვითონ 266-ე მუხლის მომზადებაც შეიძლება დაისაჯოს. მაგრამ, საკითხს თუ უფრო ფართო ჭრილში შევაფასებთ, საკითხავია, რამდენად გამართლებული იქნებოდა მომზადების მომზადების დასჯა?

რაც შეეხება მცდელობას, მასზეც იგივე შეიძლება ითქვას. თუმცა, მთლიანობაში, კიდევ ერთხელ თუ შევაფასებთ, არსებული საკანონმდებლო რეგულაციები დაუმთავრებელი დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემის საშუალებს იძლევა.

§ 8. ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხ. 267)

1. ზოგადი მიმოხილვა

აღნიშნული შემადგენლობის შემოღებით სისხლის სამართლის კოდექსში ამსრულებლობად გადაიქცა იმ პირის ქმედება, რომელიც სხვა შემთხვევაში შეფასდებოდა დახმარებად. დანაშაულის არსი მდგომარეობს სწორედ სხვა პირისათვის მოგვიანებით მის მიერ ნარკოტიკის შესაძენად საჭირო საშუალების დამზადებაში, რაც სსკ-ის 267-ე მუხლის არარსებობის გარეშე დახმარება იქნებოდა.³⁴⁵

ა უმზადებს ბ-ს ყალბ რეცეპტს, რათა მერე ბ-მ უკანონო შეძენა განახორციელოს. ა არის 267-ე მუხლის ამსრულებელი დ არა უკანონო შეძენაში დამხმარე (სსკ მუხ. 25, 264).

შემადგენლობით დაცული სამართლებრივი სიკვთე ისევ და ისევ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაა, თუმცა, ამასვე ემატება დოკუმენტაციის მიმოქცევის კანონით დადგენილი წესი.

345 შვად. ასევე, საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხ. 2, ქვეპ. „გ“, რომელიც ხელშემწყობზე საუბრობს.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის ამსრულებელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, ხოლო დანაშაულის საგანს წარმოადგენს ყალბი რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი. ქმედება გამოიხატება ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებაში ან მის გასაღებაში. გასაღება შინაარსობრივად იმ ხერხებით შეიძლება განხორციელდეს, როგორც ეს სსკ-ის 260-ე მუხლის შინაარსშია ნაგულისხმევი (გაცვლა, ჩუქება, გაყიდვა და ა.შ.).

მაგალითად, ა-მ ექიმთან ვიზიტისას დაინახა რეცეპტი და მოგვიანებით სახლში ფერადი პრინტერის გამოყენებით მისი ზუსტი ასლი გააკეთა, მერე კი მეგობარს მისცა აფთიაქში ნარკოტიკის მისაღებად. ეს იქნებოდა 267-ე მუხლის მარტივი შემადგენლობა. ხოლო თუ ექიმი გამონერდა ყალბ რეცეპტს, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა 267-ე მუხლის მეორე ნაწილით, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

ყალბ რეცეპტში არ იგულისხმება მაინცდამაინც ის, რომ ის ბლანკია ყალბი, რომელზეც გამოიწერა აკრძალული ნივთიერება. დასჯადობისთვის მთავარია თვითონ დოკუმენტის შინაარსის სისწორე. თორემ გამოვიდოდა, რომ თუ ბლანკი ნამდვილია, მაშინ ექიმს ვერ დავსჯით რეცეპტის იმ პირისთვის გამონერვისთვის, რომელსაც არ ეკუთვნის აკრძალული ნივთიერების მიღება.

თავისთვის გამოსაყენებლად დამზადების შემთხვევა მოგვცემს სსკ-ის 362-ე მუხლის შემადგენლობას დამატებული ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის მომზადება (სსკ. მუხ. 18, 260).³⁴⁶

როგორ შეიძლება შეფასდეს იმ პირის ქმედება, რომელიც გაყალბებულ რეცეპტს გამოიყენებს? განვიხილოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

გამოძიებით დაუდგენელ დროს, შემდგომში ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განმახორციელებელ დაწესებულებაში, სამედიცინო-სოციალურ კულტურულ საკითხთა ცენტრში წარდგენის მიზნით, შპს-ს გენერალური დირექტორისგან, ა-მ შეიძინა და შეინახა ყალბი ცნობები, კერძოდ: 2015 წლის 16 ივლისით დათარიღებული ცნობა, თითქოს იგი მუშაობდა შპს-ში მენეჯერის თანამდებობაზე და 2015 წლის 16 ივლისით დათარიღებული ცნობა, ასევე შპს-ს სახელით მივლინებით გაგზავნის შესახებ, რაც 2015 წლის 17 ივლისს წარადგინა და გამოიყენა სამედიცინო-სოციალურ-კულტურულ საკითხთა ცენტრის განყოფილებაში და განცხადებით მოითხოვა ორი დღის სამყოფი დომის სამკურნალო საშუალება „მეთადონის“ (მარილი) ხელზე გატანება, რაც მიიღო კიდევ.³⁴⁷

ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება,

346 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 100.

347 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 27.4.2016 (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის #1-01225/17718).

რომლის საფუძველზეც ა-ს ქმედება დაკვალიფიცირდა შემდეგი მუხლებით: 260-ის პირველი ნაწილი (უკანონო ფლობა), 264-ის პირველი ნაწილი (ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) და 362-ის პირველი ნაწილი (ყალბი დოკუმენტის გამოყენება).

სასამართლო, საპროცესო შეთანხმების დადებიდან გამომდინარე, არ ასაბუთებს ამ თითოეულ მუხლის გამოყენებას, თუმცა, კითხვები ჩნდება 260-ე მუხლთან დაკავშირებით. პირი, რომელიც პასუხს აგებს 264-ე მუხლით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მიღებისთვის, ლოგიკურია, რომ მერე ამ ნივთიერებას დაეუფლება და ამისათვის დამატებით, 260-ე მუხლით დასჯა ზედმეტია. 264-ე მუხლი ამას ისედაც მოიცავს.

რაც შეეხება თვითონ შპს-ს ხელმძღვანელ პირს, განაჩენში მასზე მსჯელობა არ არის. მისი ქმედება დაკვალიფიცირდებოდა 267-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გასაღებისთვის.³⁴⁸

267-ე მუხლი სხვა დამამძიმებელ გარემოებებსაც შეიცავს, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. ეს დამამძიმებელი გარემოება საკმაოდ ბუნდოვნად აქვს კანონდებელს ჩამოყალიბებული, ვინაიდან 267-ე მუხლის შემადგენლობა მთლიანად ისედაც სხვისთვის და არა თავისთვის დამზადებას გულისხმობს, ამიტომ ცალკე კიდევ ერთხელ ამის მეორე ნაწილში გადმოტანა აზრს მოკლებული იქნებოდა.

აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებაში შეგვიძლია მოვიამზოთ არაერთგვარადი დამზადება, რომელიც გარკვეულწილად სერიულ ხასიათს ატარებს. სწორედ ეს ზრდის საფრთხის ხარისხს ობიექტურად და უფრო მკაცრი სასჯელიც დასაბუთებული იქნება. მაინცდამაინც ფინანსური სარგებლის მიღება არ არის აუცილებელი (მაშინ ანგარებაზე კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებდა).³⁴⁹

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში, ვინაიდან მუხლში საუბარია ამსრულებლის მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებაზე. მან იცის, რომ მის მიერ დამზადებული ყალბი რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი მომავალში ნარკოტიკული საშუალების შესაძენადაა განსაზღვრული (თავად გამოყენების მიზანი არ იგულისხმება)³⁵⁰. ანუ, სუბიექტურ მხარეში უნდა შემომდგეს პირის ცოდნა იმის თაობაზე, რომ რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი ყალბია, სურვილი მისი დამზადების თაობაზე და ასევე სხვაზე გასაღების მიზანი.

348 შეად. სუსგ #2კ-60აპ.-2001.

349 შეად. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 102.

350 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 101.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებების თვალსაზრისით 267-ე მუხლი რაიმე თავისებურებით არ გამოირჩევა. დასჯადია ნებისმიერი, 14 წლის ასაკს მიღწეული, შერაცხადი ფიზიკური პირის ქმედება.

5. სხვა მუხლებთან მიმართება

სსკ-ის 267-ე მუხლი მთლიანობაში სსკ-ის 362-ე მუხლის იდენტურია, რომელიც, ასევე, ყალბი დოკუმენტის გასაღებას ან გამოყენებას ეხება. განსხვავება იმაშია, რომ 267-ე მუხლი უფრო სპეციალურია. შესაბამისად, თუ პირი ყალბ დოკუმენტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად დაამზადებს, მის მიმართ გამოიყენება აღნიშული ნორმა, სხვა შემთხვევაში კი მუხ. 362.³⁵¹

6. თანამონაწილეობა

თანამონაწილეობის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ, თუნდაც ის პირი, რომელიც დანაშაულის საგნის დასამზადებლად ამსრულებელს მიაწვდის მელანს, სპეციალურ ბეჭედს ან დაუთმობს სარდაფს და ა.შ. წამქეზებელი კი ამსრულებელში განზრახვის წარმომშობი პირია. დავუშვათ, ვიღაცას აინტერესებს ყალბი დოკუმენტები, შენს ფინანსურ პრობლემებს მოიგვარებ და ბარემ დაუმზადებო, რაზეც ამსრულებელი დათანხმდება.

თუმცა, ამსრულებლობისთვის სულაც არ არის აუცილებელი მაინცდამაინც საკუთარი ხელით ყალბი ცნობის ან სხვა დოკუმენტის დამზადება. თუ ორი პირი შეთანხმდება და ერთიანი ინტერესებით მოქმედებენ, რათა მიღებული შემოსავალი გაიყონ და ერთი ამზადებს, მეორე კი მასალებით მომარაგებას უზრუნველყოფს, ეს მოგვცემს თანაამსრულებლობის კონსტრუქციას (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა).

7. მომზადება და მცდელობა

სსკ-ის 267-ე მუხლი მძიმე დანაშაულია და ამიტომ მისი მომზადება ფორმალურად ისჯება. თუმცა, საკითხავია, რამდენად გამართლებული იქნებოდა მთლიანობაში ამ დანაშაულის მომზადების დასჯა, ვინაიდან ის ისედაც ადრეულ ეტაპზევე, აკრძალული ნივთიერების შესაძენად დოკუმენტის დამზადებას აცხადებს დასჯადად, რაც, თავის მხრივ, ნარკოტიკის უკანონოდ შექმნის მომზადებაა. ანუ, გამოდის, რომ მომზადების მომზადება დაისჯება.

თუ მომზადების დასჯადობას მაინც ვაღიარებთ, მომზადებად ვერ შეფასდება თავდაპირველი შეთანხმება დამამზადებელსა და პოტენციურ შემძენს შორის. ეს ძალიან ნაადრევი საფეხური იქნებოდა. დასჯადობა დაიწყება ყალბი დოკუ-

351 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 101.

მენტის დასამზადებლად ობიექტურად პირობების შექმნის მომენტიდან (შესაბამისი მასალების შექმნა, ხელსაწყოების დამზადება და სხვა).

რაც შეეხება მცდელობას, მართალია, 267-ე მუხლი ფორმალური დანაშაულია და რამე შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი, თუმცა, მცდელობად მაინც შესაძლებელია შეფასდეს ქმედება, რომელიც უშუალოდ დამზადებისკენ არის მიმართული, მაგრამ, ასე ვთქვათ, ბოლო წუთში, ამსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ბოლომდე მიყვანა.

§ 9. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხ. 268)

აღნიშნული ქმედების შემადგენლობა, მისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე სსკ-ის 267-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების იდენტურია, განსხვავება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის საგანშია. 268-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არა ნარკოტიკის, არამედ ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებისთვის გასაღების მიზნით ან გასაღებისთვის. ის, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ საშუალებებში, თავის მხრივ, განმარტებულია სსკ-ის 263-ე მუხლის კომენტარში. ამიტომ ის აქ დამატებით აღარ განიმარტება.

დამატებით რისი თქმაც საჭიროა ამ მუხლთან მიმართებით, სასჯელის პროპორციულობას შეეხება³⁵², მის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებასთან, კერძოდ არაერთგმისობასთან დაკავშირებით. სსკ-ის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაერთგმისობისთვის ითვალისწინებს სასჯელს სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით, მაშინ როცა პირველი ნაწილით სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ე.ი. მხოლოდ იმის გამო, რომ პირმა ნასამართლობის პერიოდში იგივე ქმედება კვლავ ჩაიდინა, შესაძლებელია დაისაჯოს სამიდან ექვს წლამდე ვადით. ასეთი სასჯელი არაპროპორციულია ქმედებასთან მიმართებით და არ შეესაბამება თანამედროვე სისხლის სამართლის ბუნებას. ამიტომ, ამ მხრივ, აუცილებელია კანონის გადახედვა.

§ 10. ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხ. 269)

1. ზოგადი მიმოხილვა

სსკ-ის 269-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტი უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალებების ან პრეკურსორის კანონიერად დამზადების, წარმოების,

³⁵² სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით იხ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, 496-647.

მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის და შემოტანის წესების დაცვას. დადგენილი წინდახედულების ნორმების უგულვებელყოფა დასჯადია, თუ ეს გამოიწვევს აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში მოქცევას. ამდენად, დაცული სამართლებრივი სიკეთეა მოსახლეობის ჯანმრთელობა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების კანონიერ ბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობის სუბიექტი სპეციალურია (როგორც ფიზიკური, ისე - იურიდიული პირი), რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი ნორმის დარღვევა შეუძლია მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის კანონიერად წარმოების, შენახვის, გაცემის თუ სხვა ჩამოთვლილი ქმედებების წესების შესაბამისად განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს და არა ნებისმიერ ადამიანს ან იურიდიულ პირს.

ქმედება გამოიხატება ნარკოტიკული საშუალებების, ან პრეკურსორის კანონიერად დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, ან შემოტანის წესების დარღვევაში. ის, თუ რამდენად დაარღვია პირმა დადგენილი წესები, ამისთვის ნორმა მიუთითებს იმ სპეციალურ რეგულაციებზე, რომლებიც ჩამოთვლილი ქმედებების კანონიერად განხორციელების წესებს ადგენს. მაგალითად, ერთ-ერთი სპეციალური სამართლებრივი აქტის³⁵³ მიხედვით, რომელიც ნარკოტიკული საშუალებებისა და პრეკურსორის კანონიერ ბრუნვასთან დაკავშირებულ წესებს ადგენს, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, გაცემისა და რეალიზაციის უფლების მქონე სუბიექტი - ფარმაცევტული საბითუმო ბაზა, ვალდებულია პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით) და ნარკოტიკული საშუალებების შენახვა უზრუნველყოს სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლგამძლე სეიფში (სეიფებში); ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები, ადგილობრივი შუქმომოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; ბაზა, სადაც ინახება გათვალისწინებული ნივთიერებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით³⁵⁴. შესაბამისად, თუ წესების დაცვაზე უფლებამოსილი პირი რომელიმე ზემოთ აღნიშნულ წესს უგულვებელყოფს, რასაც შედეგად აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში მოქცევა მოჰყვება, გვექნება სსკ-ის 269-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

353 ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #150/ნ ბრძანება. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/document/view/56032?publication=0> (ნანახია 23.1.2019)

354 იქვე, მე-7 პუნქტი.

აღნიშნული დელიქტი შედეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ქმედების ჩადენა არ არის საკმარისი 269-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის შესრულებისთვის, ასევე აუცილებელია კონკრეტული შედეგიც - აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში აღმოჩენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალდარღვევა საერთოდ არ იქნება, რადგან სწორედ შედეგი აფუძნებს ამ დელიქტს.

კაზუსი: პოლიციელ ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალების დაცვა სპეციალურ სეიფში ევალუბოდა. მუსტად მაშინ, როდესაც ნივთიერება სეიფში განათავსა, ტელეფონზე ოჯახის წევრის ავარიაში მოყოლის შესახებ შოკისმომგვრელი ინფორმაცია მიიღო, რის გამოც სეიფის კარის დაკეტვა დაავიწყდა, ისე გაიქცა ოთახიდან. სეიფის ღია კარი ერთი საათის შემდეგ სხვა თანამშრომელმა შენიშნა და მომენტალურად დაკეტა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მასში განთავსებული ნარკოტიკული ნივთიერება ხელუხლებელი იყო. შეესაბამება თუ არა პოლიციელი ა-ს ქმედება სსკ-ის 269-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას? არა, რადგან მისი მხრიდან შენახვის წესის დარღვევას არ მოჰყოლია ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვაში მოქცევა.

კაზუსი: ა-ს სამსახურებრივად იმ სპეციალურად გამოყოფილი ოთახისა და სეიფის გასაღებების შენახვა ევალუბოდა, სადაც ნარკოტიკული საშუალებები იყო განთავსებული. მან გასაღებების შეკვრა სამუშაო ოთახის მაგიდაზე უყურადღებოდ მიატოვა ტელეფონზე საუბრის დროს, რა დროსაც მასთან მისასალმებლად შემოსულმა თანამშრომელმა გასაღებები ჩუმად აიღო. სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ა, გასაღებს რომ ვერ მიაგნო, დაცვის თანამშრომელთან ერთად წავიდა ნარკოტიკის შესანახი ოთახისა და სეიფის სანახავად, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ სპეციალურ ოთახზე დატოვებული ლუქის მთლიანობა დარღვეული იყო, რის შესახებაც სასწრაფოდ აცნობეს პოლიციას. სეიფიდან გატანილი იყო ნარკოტიკული საშუალებები. გამოძიებით დადგინდა თანამშრომლის მხრიდან გასაღების მოპარვის ფაქტი და ისიც, რომ მან ნივთიერება იმავე საღამოს უბნის რამდენიმე ნაცნობს გადასცა გასასაღებლად.

შეესაბამება თუ არა ა-ს ქმედება სსკ-ის 269-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას? შეესაბამება, რადგან მისი მხრიდან წინდახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა.

რამდენადაც აღნიშნული დელიქტი შედეგია, ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, ქმედებისა და შედეგის გარდა, ვადგენთ სხვა აუცილებელ კომპონენტებსაც. კერძოდ, ესენია: მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა და შედეგის ობიექტური შერაცხვა.

ისევ ზემოთ მოყვანილ მაგალითს რომ გავყვეთ, პირის ქმედებასა და დამდგარ

შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი აშკარაა. ა-ს მხრიდან წინდახედულობის ნორმის დარღვევაც აშკარაა, რადგან დანერგილი ნორმა ითხოვდა მისგან, როგორც უფლებამოსილი პირისგან, მისთვის მინდობილი გასაღებების სათანადო წესის შესაბამისად შენახვას, რაც მან ობიექტურად დაარღვია (მაგიდაზე უმეთვალყურეოდ დატოვა, მაშინ, როცა თავად ტელეფონზე საუბრობდა). მაშასადამე, პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, ამის გათვალისწინება მას ევალუბოდა და შეეძლო კიდევ.

მოყვანილ მაგალითში ა-ს ნორმატიულადაც (ობიექტურად) უნდა შეერაცხოს შედეგი, როგორც მისი ქმედებით აგორებული გასაკიცხი საფრთხის რეალიზების შედეგი³⁵⁵.

რამდენადაც განსახილველი დანაშაული გაუფრთხილებლობით დელიქტია, ხოლო გაუფრთხილებლობას ორმაგი ფუნქცია აქვს, ის ორ ეტაპად დგინდება: ერთი - ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე (წინდახედულობის ნორმის დარღვევის ფაქტის დადგენა), ხოლო მეორე ფუნქცია ე.ი პერსონალური შერაცხვა (პირის პერსონალური უნარისა და შესაძლებლობის დადგენა) - ბრალის ეტაპზე³⁵⁶.

აღნიშნული დელიქტის მაგალითია, ასევე, შემთხვევა, როდესაც აფთიაქის პასუხისმგებელი პირი შესაბამისი რეცეპტის საფუძველზე გასცემს ნარკოტიკულ საშუალებას სრულიად სხვა პირზე და არა წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულ ადამიანზე, რადგან უგულისყუროდ დახედავს პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან მონაცემების შესაბამისობას, რაც გამოიწვევს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვაში მოქცევას³⁵⁷.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 269-ე მუხლი არ ითვალისწინებს განადგურების წესების დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ისევე შეიძლება მოჰყვეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, როგორც ყველა ჩამოთვლილი ქმედების არასათანადოდ შესრულებას³⁵⁸.

მაგალითი: პოლიციელთა ჯგუფმა, რომელსაც შესაბამისი ბრძანებით დაევა-
ლა სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი ნარკო-

355 ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველ გარემოებებზე ანალიზისთვის იხ. ჯიშკარიანი, კაპუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, 92-98; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 108-126; ვესელისი/ბოილჯე, ზოგადი ნაწილი, 94-117.

356 ჯიშკარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 84-89; მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 379; შეად. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 250-252.

357 აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 221/ნ ბრძანება, 30 სექტემბერი 2003. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/56560> (ნანახია 23.1.2019).

358 თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 100.

ტიკული საშუალებების განადგურება³⁵⁹ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის გამო, განადგურების წესები სათანადოდ ვერ უზრუნველყო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჯგუფის წევრებმა მხოლოდ ნაწილი დაწვეს, ხოლო ნაწილი, რომელსაც ცეცხლი არ მოსდებია, უყურადღებოდ დატოვეს. ნარკოტიკული საშუალების გაუნადგურებელ ნაწილს დაეუფლნენ სხვა ადამიანები შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

დაისჯებიან თუ არა პოლიციელები სსკ-ის 269-ე მუხლის საფუძველზე? ვერ დაისჯებიან, რადგან მსგავსი ქმედება - განადგურების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ნარკოტიკის უკანონო ბრუნვაში მოქცევა არ არის კრიმინალიზებული. აღნიშნულმა ხარვეზმა შესაძლოა დაუსჯელობის თვალსაზრისით გაუმართლებელი ვაკუუმი წარმოშვას. სისხლის სამართალი ემყარება კანონიერების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. ნორმის აღრესატს უფლება აქვს, წინასწარ იცოდეს აკრძალული ქმედების შესახებ. თავის მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს ნორმის აღრესატები აკრძალვის შესახებ³⁶⁰. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალს საგარანტიო ფუნქცია აქვს ადამიანებისთვის³⁶¹. შესაბამისად, თუკი განადგურების წესების დარღვევაზე და შედეგზე არაფერი წერია კანონში, სისხლის სამართლის წესით აკრძალულიც არ არის. თუმცა პოლიციელების შემთხვევაში, რომლებიც საჯარო მოხელეები არიან, 269-ე მუხლით დასჯის შეუძლებლობიდან გამოსავალი არის სსკ-ის 342-ე მუხლი, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი გულგრილობისთვის. განადგურების წესის 269-ე მუხლით გათვალისწინება უფრო სწორი იქნება, რადგან სანქცია უფრო ადეკვატურია იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ნივთიერება აღმოჩნდება უკანონო ბრუნვაში. ამდენად, ეს საკითხი მოწესრიგებას საჭიროებს.

3. დამამძიმებელი გარემოებები

მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება - იგივე ქმედება, რამაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

ლოგიკურია, რომ ამ ნორმის პირველ ნაწილში იგულისხმება ნარკოტიკუ-

359 „უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვისა და განადგურების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №295 ბრძანება. 6 მარტი 2006. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/63298> (ნანახია 23.1.2019).

360 Pendas, Central European History, 2010, 439; Ashworth, Principles of Criminal Law, 59; Samaha, Criminal law, 41-42; Alder, Fla. L. Rev. 1987, 1196-1197.

361 აღნიშნული საკითხისთვის იხ. გეგელია, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2016, 134-135. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <http://constcourt.ge/uploads/other/3/3812.pdf> (ნანახია 23.1.2019).

ლი საშუალების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობა. უფრო მეტი ოდენობით უკანონო ბრუნვაში მოხვედრა ამძიმებს გარემოებას. ხოლო, თუკი მხოლოდ მცირე ოდენობა აღმოჩნდება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საერთოდ არ დადგება.

სხვა მძიმე შედეგში შესაძლო მოვიაზროთ განსაკუთრებით დიდი ოდენობა ან თუკი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიხატება ბავშვის მხრიდან მის მოხმარებაში და სხვა.

4. სხვა მუხლებთან მიმართება

აღნიშნული დელიქტი გაუფრთხილებლობითი ფორმისაა. როდესაც პირი განზრახ არღვევს წესებს, რათა შემდეგ აკრძალული ნივთიერების რეალიზება შეძლოს, ეს შემთხვევა სხვა მუხლებით არის მოცული. ქმედება ასეთ დროს შეიძლება შეფასდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადებად, ან გასაღებად (თუ ბოლომდე მიიყვანა), ან სხვა ქმედებად (შეძენა-შენახვა და სხვა), რომელიც განზრახი დელიქტია (მუხ. 260).

5. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი წესები გავრცელდება. დელიქტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შესაძლოა, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობასთან გვექონდეს საქმე.

6. ბრალი

ბრალუწარიანობის გამომრიცხავი გარემოებები ჩვეულებრივად გავრცელდება³⁶². ბრალის ეტაპზე ასევე დგინდება წინდახედულობის ნორმის დაცვის ინდივიდუალური შესაძლებლობა და შედეგის დადგომის გათვალისწინების ინდივიდუალური შესაძლებლობა³⁶³. ასეთივე ზოგადი წესით გავრცელდება ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.

მაგალითი: პოლიციელ ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალების სპეციალურ სეიფში დაცვა ევალებოდა. მუსტად მაშინ, როდესაც ნივთიერება სეიფში განათავსა, ტელეფონზე ოჯახის წევრის ავარიაში მოყოლის შესახებ შოკისმომგვრელი ინფორმაცია მიიღო, რის გამოც სეიფის კარის დაკეტვა დაავიწყდა, ისე გაიქცა ოთახიდან. სეიფის ღია კარი ერთი საათის შემდეგ სხვა თანამშრომელმა შენიშნა და იქ არსებულ ნივთიერებებს ფარულად დაეუფლა.

362 გაუფრთხილებლობითი დელიქტის ბრალის საფეხურზე დადგენის ეტაპების შესახებ იხ. ჭიშკარიანი, კამუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, 97-98.

363 ამ საკითხისთვის იხ. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 260-261.

დაისჯება თუ არა ა 269-ე მუხლის დარღვევისთვის? პასუხი უარყოფითია, რადგან მან, მართალია, ობიექტურად დაარღვია წინდახედულობის ნორმა, რამაც შედეგი გამოიწვია, მაგრამ მხოლოდ ქმედების შემადგენლობა და მისი მართლწინააღმდეგობა (უმართლობა) არ არის საკმარისი პირის მსჯავრდებისთვის, ასევე აუცილებელია ბრალის შერაცხვაც. მოცემულ მაგალითში კი აშკარაა, რომ წინდახედულობის ნორმის დაცვისა და შედეგის დადგომის გათვალისწინების ინდივიდუალური შესაძლებლობა დათრგუნულია, რაც გამონგველია ახლობელი ადამიანის აგარიაში მოყოლის შესახებ ინფორმაციით განცდილი ემოციებით.

§ 11. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხ. 270)

აღნიშნული ქმედების შემადგენლობა, მისგან დაცული სამართლებრივი სიკვითე, სსკ-ის 269-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების იდენტურია. განსხვავება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის საგანშია. 270-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არა ნარკოტიკის, არამედ ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევისთვის. ის, თუ რა მოიაზრება აღნიშნული საშუალებების ქვეშ, თავის მხრივ, განმარტებულია სსკ-ის 263-ე მუხლის კომენტარში, ამიტომ მისი განმარტება დამატებით აღარაა საჭირო.

§ 12. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხ. 271)

1. ზოგადი მიმოხილვა

ნორმის დისპოზიციიაში ჩამოთვლილი აკრძალული ნივთიერების მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა აკრძალულია. ამ დელიქტისგან დაცული სამართლებრივი სიკვითეა მოსახლეობის ჯანმრთელობა და კანონით მოწესრიგებული ნარკოტიკის ბრუნვის წესები. ნორმის მიზანი არის აკრძალული ნივთიერებების გავრცელებისთვის ხელის შეშლა აღრეული სტადიიდან.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დელიქტი დანაშაულში თანამონაწილეობის სპეციალური შემადგენლობაა. კერძოდ, 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილი წარმოადგენს დამხმარის (უკანონო მოხმარებისათვის ბინის, ან სხვა სადგომის დათმობა), ხოლო მე-3 ნაწილი ორგანიზატორის დასჯადობის სპეციალურ შემადგენლობას (უკანონოდ მოხმარებისათვის სპეციალური სადგომის, ანდა

ასეთ სადგომში მისი უკანონოდ მოხმარების ორგანიზება)³⁶⁴. თანამონაწილეთა სპეციალური მუხლით დასჯა თავად 273-ე მუხლის სპეციფიკურობით უნდა აიხსნას. ის თვითდამაზიანებელი დელიქტია და გარდა ამისა, პერსონალური ნიშნით დაფუძნებული, რომლის აღქმის დასაბუთებაც ძალზე პრობლემური იქნებოდა თანამონაწილებთან მიმართებით.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

აღნიშნული დელიქტის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი (როგორც ფიზიკური, ისე - იურიდიული).

ქმედება გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობაში.

აღსანიშნავია, რომ ნორმაში ჩამოთვლილ აკრძალულ ნივთიერებებს შორის არის ისეთებიც (ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება და მისი ანალოგი), რომელთა უკანონო მოხმარება არ ისჯება სსკ-ის 273-ე მუხლით, მაგრამ კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა მისი მოხმარებისთვის ხელის შეშლა და სპეციალური ნორმით დასჯა.

ამდენად, ქმედების 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ობიექტური ნიშნებია: ჩამოთვლილი აკრძალული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის ბინის ან სადგომის დათმობა. ბინის ან სადგომის დათმობა შეუძლია მას, ვინც ამ სივრცის დროებითი ან მუდმივი მფლობელია. მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ შენობაში უკანონოდ ჩასახლებული პირიც³⁶⁵. მთავარი კვალიფიკაციისთვის არის ის, რომ ქმედებას ახორციელებს ბინაზე ან სხვა სადგომზე ფაქტობრივი ბატონობის მქონე პირი.

რა იგულისხმება ბინასა და სადგომში? ეს საკითხი საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს ეკონომიკურ დანაშაულებთან მიმართებით (ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა ბინაში და სადგომში უკანონო შეღწევით).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით ბინა არის ის, სადაც ადამიანი ცხოვრობს მუდმივად, ან დროებით³⁶⁶. მათ შორის შეიძლება მოვიზროთ, როგორც დამოუკიდებელი ბინა, ისე ოთახი საერთო საცხოვრებელში ან სას-

364 აღნიშნული ქმედების შემადგენლობის სუბიექტს ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი ჰქვია ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონის მიხედვით. მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. <https://www.matsne.gov.ge/document/view/22132?publication=9> (ნანახია 21.1.2019).

365 მსგავსი შეფასება მისცა ინგლისის სასამართლომ შემდეგ საქმეში: R v. Josephs 1977. 65 Cr App R 253.

366 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები, 2007, 15.

ტუმროში³⁶⁷ და სხვა. ბინის ქვეშ მოიაზრება ის ავტოფარეხიც, სადაც ადამიანი ცხოვრობს და შექმნილი აქვს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობა³⁶⁸. ბინად შეიძლება მივიჩნიოთ მარანიც, თუ ის ადამიანის საცხოვრებლად გამოიყენება. ხოლო ავტოფარეხი, რომელიც მხოლოდ ავტომანქანის სადგომად გამოიყენება, სადგომია და არა ბინა³⁶⁹. სასამართლოს განმარტების მიხედვით, ბინად და სადგომად არ მიიჩნევა სატრანსპორტო საშუალება,³⁷⁰ რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ სატრანსპორტო საშუალება არ არის უძრავი ნივთი.

სადგომი - ბინის გარდა ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, რომელიც არ არის მონყობილი ადამიანის საცხოვრებლად და გამოიყენება სხვა მიზნებისთვის. ეს შეიძლება იყოს: ავტოფარეხი, სარდაფი, სამსახურის სამუშაო ოთახი და სხვა³⁷¹.

ბინასთან დაკავშირებით მსგავსი ნორმის უფრო ფართო განმარტებებიც არსებობს სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის დოგმატიკაში³⁷². აღნიშნული მოსაზრების თანახმად, თუკი ნორმის მიზანი აკრძალული ნივთიერებების გავრცელებისთვის ხელის შეშლაა, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ნარკოტიკის მოხმარებისთვის ადგილის დათმობა სად მოხდება - აგურის შენობაში თუ რკინის მოძრავ კონსტრუქციაში. ბინის მსგავსი ფართო განმარტება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ მოიძებნა.

ქმედების 271-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს ბინის ან სხვა სადგომის დათმობის ხანგრძლივობას³⁷³. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სწორი მოსაზრებით, ნარკომომხმარებლისთვის ბინის მიყიდვა ვერ მოგვცემს განსახილველი ქმედების შემადგენლობას³⁷⁴. ამ ნორმის მიზანი არ შეიძლება იყოს მესაკუთრისთვის ან ნარკომომხმარებლისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა. ბინის ან სადგომის დათმობა იმას ნიშნავს, რომ ის კვლავ დამთმობის ბატონობის ქვეშ რჩება და სწორედ ამის გამოა დასჯადი მისი ქმედება, როგორც მოხმარებისთვის ხელშემწყობის.

განსახილველი ქმედების ზუსტი კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ ბი-

367 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 109.

368 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები, 2007, 15.

369 იქვე, 16.

370 მსგავსი აზრია გამოთქმული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 110.

371 სადგომის და ბინის მსგავსი განმარტებისთვის იხ. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 109.

372 ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც. გაბატონებული მოსაზრებით, ქმედების შემადგენლობაში გამოყენებული ტერმინი - შენობა-ნაგებობა - იძლევა უფრო ფართოდ გაგების შესაძლებლობასაც და მთლიანად სასამართლოს ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული მისი საზღვრები. იხ. Jason-Lloyd, Misuse of Drugs, 45.

373 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 110.

374 იქვე, 110.

ნის ან სადგომის დათმობა მოხდეს აკრძალული ნივთიერებების მოხმარებისათვის და არა სხვა სახის ნარკოტიკული დანაშაულის ხელშეწყობისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედება უფრო მკაცრად დაისჯება, კერძოდ, იმ კონკრეტული ქმედების შემადგენლობაში თანამონაწილეობისთვის³⁷⁵.

მაგალითად, ა-მ მის ბიძაშვილ ბ-ს ხათრი ვერ გაუტეხა და კვირაში ორი დღე რამდენიმე საათით დაუთმო მის საკუთრებაში არსებული ბინა, რათა ბ-ს ნარკოტიკული საშუალებებით ევაჭრა. შეთანხმებისამებრ ბ კვირაში ორჯერ ა-ს ბინაში იბარებდა პირებს თანხის მისაღებად და მათთვის სანაცვლოდ ნარკოტიკის გადასაცემად. ქმედება ა-სთან მიმართებით შეფასდება არა 271-ე მუხლით, არამედ ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში დახმარებისთვის (25, 260-ე მუხლი).

დაისჯება თუ არა პირი განსახილველი დელიქტისთვის მაშინ, როდესაც სახლში ეძახის მეგობრებს და მათთან ერთად მოიხმარს რომელიმე აკრძალული ნივთიერებას ექიმის დანიშნულების გარეშე? ამ კითხვას უარყოფითად პასუხობენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში³⁷⁶. თუმცა, სხვა ინტერპრეტაციისთვისაც რჩება ადგილი, კერძოდ, თუკი აკრძალული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისთვის ბინის ან სადგომის დათმობის აკრძალვის არსი იმაში გამოიხატება, რომ მფლობელმა სხვებს არ შეუწყოს ხელი მოხმარებაში, წინამდებარე მაგალითში პირი თავად უშუალო მოხმარებელია, მაგრამ, ამავდროულად, სხვებსაც უთმობს ბინას. სხვები რომ არ ყოფილიყვნენ, ბუნებრივია, „დათმობისთვის“ არ დაისჯებოდა, რადგან ნარკოტიკის მოხმარებლის დამატებით იმისთვის დასჯა, რომ საკუთარ სახლში მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, გაუმართლებელი იქნებოდა. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს ერთ-ერთი საქმე ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდან³⁷⁷: ოთახის ოთხი საერთო მფლობელი ერთად მოიხმარდა აკრძალულ ნივთიერებას. სასამართლომ ოთხივე პირი დასაჯა ბინის ერთმანეთისთვის დათმობისთვის, ისე, თითქოს მეგობარი მოეპატიჟათ ნარკოტიკის მოხმარებისთვის. მსგავსი განმარტება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან თითოეული ადამიანი თავის მფლობელობაში ეწეოდა და არა სხვის მიერ დათმობილ ბინაში. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი პრობლემური საკითხები არ წამოჭრილა და შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რა პოზიციას დაიჭერს მართლმსაჯულება.

დაისჯება თუ არა სახლის მესაკუთრე განსახილველი დელიქტისთვის მაშინ, როდესაც ზუსტად იცის, რომ მისი მდგმური ნარკოტიკების უკანონო მოხმარებელია და ხშირად მოიხმარს ნარკოტიკს ოთახში მეგობრებთან ერთად? მესაკუთრის ქმედება არ უნდა შეფასდეს 271-ე მუხლით, რადგან მას ოთახი არ დაუთმია უკანონო მოხმარებისათვის. ეს ოთახი უკვე დამქირავებლის ხელშია და მასვე მისი ბატონობა ვრცელდება. მესაკუთრის უმოქმედობა შეიძლება შეიცავდეს

375 იქვე.

376 იქვე.

377 R v. Ashdown. 1974. 59 Cr. App. R. 193 CA (Crim. Div.)

დეს დანაშაულის შეუტყობინებლობის ნიშნებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულია, ეს ქმედება არ დაისჯება. გარდა ამისა, მოხმარებაც ყოველთვის არ ქმნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

აღნიშნული დელიქტი შედეგგარეშეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების დასრულება კანონმდებელმა დაუკავშირა არა იმ სიკეთის ხელყოფას, რის დაცვასაც ისახავს მიზნად ქმედების კრიმინალიზებით, არამედ ქმედების ჩადენას, რომელსაც საფრთხე თავისთავად ახასიათებს³⁷⁸. შესაბამისად, 271-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ფორმალური დასრულებისთვის საკმარისია ბინის ან სადგომის აკრძალული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის დათმობა.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ამ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. პირმა ზუსტად იცის, რომ აკრძალული ნივთიერების მოხმარებისათვის უთმობს სხვას ბინას ან სადგომს და სურს ეს ან არ სურს, მაგრამ ზუსტად იცის, თუ რისთვის იქნება გამოყენებული (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა). არაპირდაპირი განზრახვით, ასეთი ქმედების ჩადენის მაგალითი მარტივი წარმოსადგენია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დელიქტი თანამონაწილეობის სპეციალური შემადგენლობაა, რაც, ძირითადად, დამხმარის ფორმით ხორციელდება, ძალიან გაზრდიდა პასუხისმგებლობის ფარგლებს აღნიშნული ქმედებისთვის, რისი საჭიროებაც არ იკვეთება კრიმინალურ-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარეც.

4. დამამძიმებელი გარემოებები

271-ე მუხლის მეორე ნაწილი, ჩადენილი არაერთგზის, რაც ნიშნავს იმას, რომ 272-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას სჩადის 272-ე მუხლისთვის ნასამართლევი პირი (მუხლი 15).

ქმედება, ჩადენილი **ანგარებით** - პასუხისმგებლობა მძიმდება, თუკი აკრძალული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის ბინის ან სადგომის დათმობა მოხდება მატერიალური გამორჩენის სანაცვლოდ, რაც გულისხმობს პირის მისწრაფებას, მიიღოს სარგებელი ან თავი გაითავისუფლოს ფინანსური დაგალიანებისგან³⁷⁹. ანგარებითი მოტივი ბრალის ნიშანი³⁸⁰, რადგან ის არა უმარ-

378 აბსტრაქტული საფრთხის შემქნელი დელიქტების დახასიათებისთვის იხ. ცქიტიშვილი, საფრთხის შემქნელი დელიქტები, 24-25.

379 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 111.

380 ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 261.

თლობის დამაფუძნებელი, არამედ დამამძიმებელი გარემოებაა³⁸¹. ამ საკითხის სწორად გადანწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეთა და თანაამსრულებელთათვის მისი შერაცხვის საკითხის გადანწყვეტისთვის³⁸², ვინაიდან მსგავსი პერსონალური ნიშნები (როდესაც ისინი უმართლობის დამაფუძნებელი ნიშნები არ არიან) მხოლოდ მის მატარებელს შეერაცხება და არა იმ პირებს, რომელთაც, მართალია, შეცნობილი აქვთ სხვა მონაწილის მატარებელი ინტერესი, მაგრამ თავად არ ამოძრავებთ ეს მოტივი.

ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვნის ან იმის მიმართ, ვინც გადის დემინტოქსიკაციური თერაპიის კურსს. ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელი გარემოება ობიექტური ნიშანია, კერძოდ, გარემოებას ამძიმებს იმ პირის ასაკი ან განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც დაუთმო ამსრულებელმა საკუთარი ბინა ან სადგომი აკრძალული ნივთიერების მოხმარებისათვის. ამ დამამძიმებელი გარემოების შერაცხვისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ობიექტური ნიშნის არსებობა, მაგალითად, 18 წელს მიუღწეველი უნდა იყოს პირი, ვისაც სახლს უთმობს, არამედ, აუცილებელია სუბიექტური ნიშანიც - ამსრულებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი პირის არასრულწლოვნება. იგივე წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ბინა ეთმობა იმ პირს, რომელიც დემინტოქსიკაციის თერაპიის კურსს გადის.

271-ე მუხლის მე-3 ნაწილი - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის სპეციალური სადგომის ანდა ასეთ სადგომში მისი უკანონოდ **მოხმარების ორგანიზება**. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ქმედება იმავე მუხლის პირველი ნაწილისგან დამოუკიდებელი შემადგენლობაა. ის არ გულისხმობს სხვისთვის ბინის ან სადგომის დათმობას. ამ ქმედებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც პირი თავად მის მფლობელობაში არსებულ სადგომში ქმნის აკრძალული ნივთიერებების მოხმარებისთვის კომფორტულ გარემოს (რაც მას სპეციალურ სადგომად აქცევს), ანდა ასეთ სპეციალურ სადგომში ორგანიზებას უწევს უშუალოდ უკანონო მოხმარებას.

აკრძალული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისთვის სპეციალური სადგომის შექმნა შეიძლება გამოიხატოს ამ სადგომში ოთახების სპეციალურად მოწყობაში, რაც გულისხმობს მისი ნარკოტიკის მოხმარებისთვის საჭირო ყველა საგნით აღჭურვას, მაგალითად, ჰეროინის კოვზი, აბების საპრესი მანქანა, ერთჯერადი შპრიცები, ბონგი, გამჭურა და სხვა საგანი, რაც საჭიროა სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისთვის. ასევე შესაძლებელია სადგომისთვის მომსახურე პერსონალიც ჰყავდეს დაქირავებული, რომელიც

381 იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი. კომენტარისთვის იხ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 204.

382 ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებით თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის საკითხის გადანწყვეტისთვის იხ. თოღუა, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული-75, 23-38.

ინსტრუქციას მისცემს მსურველს აკრძალული ნივთიერებების მოხმარებისათვის.

რაც შეეხება ასეთ სადგომში უკანონოდ მოხმარების ორგანიზებას - ეს სადგომის ფუნქციონირებას³⁸³ და მის ხელმძღვანელობას გულისხმობს. ეს შეიძლება გამოიხატოს მომსახურე პერსონალებს შორის ფუნქციების განაწილებაში და მასზე ზედამხედველობაში³⁸⁴, ბუღალტერიის წარმოებასა და სხვა მსგავს ქმედებებში, რაც ხელს უწყობს ამ ტიპის საქმიანობას, მომსახურების განევას კლიენტებისთვის და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ სპეციალური სადგომის შექმნა უშუალოდ მოხმარების ორგანიზების მოსამზადებელი ეტაპია, თუმცა, ორივე მათგანი დასრულებულ ქმედებად არის აღწერილი 271-ე მუხლში. შესაძლებელია ამ ქმედებებს რამდენიმე ამსრულებელი ჰყავდეს. ასეთ შემთხვევაში, თითოეული დაისჯება ინდივიდუალურად 271-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საქმიანობას და ერთობას სტრუქტურული ხასიათი აქვს (სხვა პირობებთან ერთად - ორგანიზებული ჯგუფის განმარტებისთვის იხ. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაშინ ორგანიზებული ჯგუფის წევრები დაისჯებიან 271-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. დანაშაულის მომზადება და მცდელობა

ქმედების შემადგენლობა, რომელიც სიკეთის ხელყოფის დაზიანებისგან ძალიან ადრეულ სტადიაზე უკვე კრიმინალიზებულია, ძნელად წარმოსადგენია დაუმთავრებელ სტადიაზე დაისაჯოს.

6. დანაშაულში თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა

განსახილველ დელიქტს დამამძიმებელ გარემოებად არ აქვს იგივე ქმედება ჩადენილი ჯგუფის მიერ, შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თითოეული დაისჯება ინდივიდუალურად. ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ერთობლივად ჩადენას, თუ მათი ერთობა ორგანიზებული ჯგუფს ქმნის, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მიესადაგება.

7. სხვა მუხლებთან მიმართება

იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ სადგომში უკანონო მოხმარების ორგანიზებას თან ახლავს მომხმარებელთა აკრძალული ნივთიერებებით მომარაგება ან მათი დამზადებისთვის ხელშეწყობა, ეს სცდება განსახილველი ქმედების შემადგენლობას და საქმე გვექნება 271-ე და 260-ე (ან 261-ე) მუხლების ერთობლიობასთან.

383 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 113.

384 იქვე.

8. მართლწინააღმდეგობა

აღნიშნულ შემადგენლობაზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი წესები გავრცელდება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ნარკოდამოკიდებული ა უცებ ბ-ს სახლში კრუნჩხვებში ჩავარდა და მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ერთადერთი გამოსავალი იყო, ისევე ნარკოტიკის მიღება, რათა ის კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსულიყო. ბ-მ ა-ს უარი ვერ უთხრა და ა-მ მის თვალწინ აკრძალული ნივთიერების შემცველი აბები მიიღო. დაისჯება თუ არა ბ? მიუხედავად იმისა, რომ ბ-მ ქმედების შემადგენლობა ჩაიდინა (დაუთმო ბინა სხვას აკრძალული ნივთიერების მოხმარებისთვის), მისი ქმედება მართლზომიერია უკიდურესი აუცილებლობის ვითარებიდან გამომდინარე. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფრო მაღალი სამართლებრივი სიკეთეა, ვიდრე ნარკოტიკის ბრუნვისთვის დადგენილი წესები, რაც, თავის მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს ემსახურება. შესაბამისად, ბ არ დაისჯება.

9. ბრალი

მინიმალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი არის 14 წელი.

§ 13. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებამდე დაყოლიება (მუხ. 272)

1. ზოგადი მიმოხილვა

განსახილველი ქმედება გამოიხატება სხვა ადამიანის ნარკოტიკული საშუალების (მაგალითად, ჰეროინი, ოპიუმი, კოკაინი), მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების (მაგალითად, ე.წ. ბიო), ფსიქოტროპული ნივთიერების (მაგალითად, ბარბიტალი) ან მისი ანალოგის მოხმარებამდე დაყოლიებაში. დაცული სამართლებრივი სიკეთე მოსახლეობის ჯანმრთელობაა, ნარკოტიკული საშუალების ბრუნვის კანონით დადგენილი წესი და იმ პირის ჯანმრთელობა, ვისი დაყოლიებისკენაც არის ქმედება მიმართული.

აღნიშნული ნორმა იმ ფართო მნიშვნელობით³⁸⁵, როგორც ის არსებობს სის-

385 ნარკოტიკის მოხმარებამდე დაყოლიება, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, უცხო არც სხვა ქვეყნებისთვის არის. მათ შორის არიან: საფრანგეთი (ნარკოტიკული საშუალების შეთავაზება (მუხლი 222-39.); გერმანია (ნარკოტიკების შესახებ კანონის 29ა პარაგრაფი); ლატვია (ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალების მოხმარებისკენ წაქეზება). დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის, ფსიქიკურად დაავადებულის ან ამსრულებელზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ (სსკ-ის მუხლი 251.); ჩეხეთი (სსკ-ის მუხლი 287), ბოსნია და ჰერცეგოვინა (სსკ-ის მუხლი 239); ხორვატია (დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის, ფსიქიკურად

ხლის სამართლის კანონმდებლობაში, ძალიან მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე, ლიბერალური სისხლის სამართლის მოთხოვნებს³⁸⁶. თანამედროვე სისხლის სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალურ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, იქ, სადაც საფრთხეზე და მის შედეგებზე ბატონობა მთლიანად დამარალელების ბატონობის ქვეშაა, წინარე ქმედების სუბიექტის პასუხისმგებლობა გამოირიცხება³⁸⁷. სწორედ ამიტომაც, რომ თვითმკვლელობაში თანამონაწილეობა მაშინ, როცა თავად თვითმკვლეელი განაგებს თავის გადაწყვეტილებას, არ ისჯება (სხვა ლოგიკურ არგუმენტებთან ერთად). იგივე პრინციპი უნდა მოქმედებდეს იმ დროსაც, როდესაც თვითდაზიანების საშუალებად დამარალეული იყენებს ნარკოტიკულ საშუალებას. თუმცა, იმავე ნორმის (ნარკოტიკულ საშუალებაზე არასრულწლოვნის დაყოლიება) არსებობა არასრულწლოვნების დასაცავად გამართლებულია.³⁸⁸ ის, ასევე, გამართლებულია ნებისიერი ასაკის ადამიანის დასაცავად, როდესაც მოხმარებაზე დაყოლიება ძალადობის ფორმით (როგორც იძულების სპეციალური შემადგენლობა) ან მოტყუებით ხორციელდება.

272-ე მუხლით აკრძალული ქმედება, შეიძლება ითქვას, რომ ნაქმეების სპეციალური შემადგენლობაა³⁸⁹. ქმედებას ჰყავს როგორც წამქმეებელი, ისე - ამსრულებელი. თუმცა, აღნიშნული მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მხოლოდ წამქმეების ქმედებისთვის (რომელიც ამ შემადგენლობის ამსრულებელია)³⁹⁰. ამსრულებელი ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით დაისჯება, ან 273-ე მუხლით (მომხმარებელი შესაძლოა საერთოდ ვერ დაისაჯოს, თუ ის, მაგალითად, ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარებაზე დაითანხმეს, რაც არ არის არც ადმინისტრაციული გადაცდომის და არც სისხლის სამართალდარღვევის საგანი).

საინტერესოა, რატომ დასჯირდა კანონმდებელს ამ ქმედების სპეციალური მუხლით განსაზღვრა იმ ნორმატიულ სივრცეში, სადაც დასჯადია თანამონაწილეობა? ერთ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც ერთი აქტებზე მეორეს (რომელიც პირველად მოიხმარეს), მოიხმაროს ჰეროინი (ან სხვა მითითებული აკრძალული ნივთიერება), მომხმარებელი არ სჩადის სსკ-ით გათვალისწინებულ ქმედებას, მისი ქმედება ადმინისტრაციული გადაცდომაა, შესაბამისად, მასში თანა-

დაავადებულის ან ამსრულებელზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ. სსკ-ის მუხლი 191).

386 Ashworth, Principles of criminal law, 22-38.

387 განმარტებისთვის იხ. ვესელსი/ბოილვე, ზოგადი ნაწილი, 101, 104.

388 დ. ჰუსაკი, რომელიც ყველა ტიპის ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციის მომხრეა, ის არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნების ნარკოტიკების მოხმარებაზე ჩაბმისთვის პასუხისმგებლობას. იხ. Husak/Maneffe, The Legalization of Drugs.

389 შუად. ლევევიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 114.

390 აღნიშნული ქმედების შემადგენლობის სუბიექტს ნარკოტიკული საქმიანობის ხელშეწყობით ჰქვია ნარკოტიკული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონის მიხედვით - მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. <https://www.matsne.gov.ge/document/view/22132?publication=9> (ნანახია 23.1.2019).

მონაწილეობაც გამოირიცხულია. თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში³⁹¹.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, რომელშიც მომხმარებელი უკვე სახდელდადებული ან იმავე ქმედებისთვის ნასამართლევა და ნასამართლობის პერიოდში განმეორებით მოიხმარს, ის სჩადის სსკ-ის 273-ე მუხლით აკრძალულ ქმედებას. შეიძლება განჩნდეს კითხვა, რატომ არ შეიძლება ასეთ დროს წამქეზებელი დაისაჯოს არა 272-ე მუხლით, არამედ 25, 273-ე მუხლით, ე.ი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაში წაქეზებისთვის? ერთი შეხედვით, ეს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილსაც სრულად შეესაბამება, რომლის თანახმად, „როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.“ 273-ე მუხლთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ „ნასამართლობა“ პერსონალური ნიშანია, მაგრამ ის, ამავდროულად, ქმედების დამაფუძნებელი ნიშანია. ამდენად, მისი მართოდენ გაცნობიერება საკმარისად უნდა ჩაითვალოს. მაშინ რა გვიშლის ხელს, წამქეზებლის ქმედება 25, 273-ე მუხლით დაგაკვალიფიციროთ? ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დროს პირი საკუთარ თავს ამიანებს. ის, რომ ადამიანი ამ დროს სისხლის სამართლის წესით ისჯება, უკიდურესი პატერნალიზმის გამოვლინებაა და სამწუხაროდ, ეს ქმედება დასჯადია დღემდე, ხოლო ამ ქმედებაში თანამონაწილეობა (წამქეზებლის დასჯა 25-ე მუხლზე მითითებით) ლოგიკური ახსნა-განმარტების მოშველიებით უნდა გამოვრიცხოთ. კერძოდ, ერთი, რომ არ არსებობს რაიმე გონივრული არგუმენტი, თუ რატომ უნდა გაეხლიჩა ზემოთ აღნიშნული ორი შემთხვევა კანონმდებელს და სხვადასხვა მუხლით განესაზღვრა, და მეორე, 273-ე მუხლით სანქციის სახით გათვალისწინებულია ჭარბმა ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ხოლო 272-ე მუხლის პირველი ნაწილით 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. თუკი მეორე შემთხვევას თანამონაწილეობას ვუწოდებდით, ისე გამოვიდოდა, რომ ნაკლებად საშიში ქმედებისკენ (პირველად მოხმარებას იმდენად უმნიშვნელო ქმედებად მიიჩნევს სახელმწიფო, რომ მას ადმინისტრაციული წესით სჯის) წაქეზება უფრო მკაცრად დაისჯებოდა, ვიდრე უფრო საშიშ ქმედებაში (უფრო საშიშად აღიქვამს მას სახელმწიფო და ამიტომაც სჯის განმეორებით მოხმარებას სისხლის სამართლის წესით). ამდენად, არ არის გასაზიარებელი იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს დასახელებული მუხლი მხოლოდ პირველ შემთხვევას ფარავდეს³⁹². კანონმდებელმა 272-ე მუხლი ორივე დასახელებული შემთხვევის დასაფარად შემოიტანა. აღსანიშნავია, რომ ქართულ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ერთი შემთხვევაც ვერ მოიძებნა ქმედების 25, 273-ე მუხლებით კვალიფიკაციისა.

391 დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებაზე იხ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 204; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 332-334.

392 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 114.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტი საერთოა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. მის განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს ან სამსახურებრივ მდგომარეობას ნორმა არ ადგენს.

რაც შეეხება ქმედების ობიექტს, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი (როგორც სრულწლოვანი, ისე - არასრულწლოვანი), რომლის დაყოლიებასაც ცდილობენ ნარკოტიკის ან ამ ნორმის დისპოზიციიში მითითებულ სხვა აკრძალული ნივთიერების მოხმარებაზე. აღსანიშნავია, რომ დაყოლიება უნდა მოხდეს მცირეზე მეტი ოდენობის აკრძალულ ნივთიერების მოხმარებაზე, რომ ეს შემადგენლობა გამოიკვეთოს. ასეთ შეფასებას ნორმატიული საფუძველი აქვს. მცირე ოდენობა არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის საკმარისი. მხოლოდ ადმინისტრაციულ პრეიუდიციებთან (273-ე და 273¹ მუხლები) მიმართებით ადგენს კანონმდებელი სახელდებით მცირე ოდენობას, შესაბამისად, იქ, სადაც ასეთ დათქმას არ აკეთებს, მასში იგულისხმება მცირეზე მეტი ოდენობა. მაგალითად, ა-მ დაიყოლია ბ ეთილმორფინის მოხმარებაზე. ქმედების გამოვლენის შემდეგ, გამოძიებით დადგინდა, რომ ბ დაითანხმეს 0.5 გრამ ეთილმორფინზე, რაც უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის მიხედვით წარმოადგენს მცირე ოდენობას, შესაბამისად, დამყოლიებელი ვერ დაისჯება სსკ-ის 272-ე მუხლის საფუძველზე.

ქმედება გამოიხატება ნორმაში ჩამოთვლილი თუნდაც ერთ-ერთი აკრძალული ნივთიერების მოხმარებაზე დაყოლიებაში. დაყოლიება შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ აქტიური ქმედებით³⁹³. დაყოლიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თანამონაწილის, კერძოდ, წამქმებლის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს და სისხლის სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ის სხვა თანამონაწილეზე ან ამსრულებელზე აქტიური ზემოქმედებით გამოიხატება³⁹⁴, რაც შეიძლება იყოს მუქარა, თხოვნა, მოქრთამვა და სხვა³⁹⁵. წაქეზება ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის ძლიერი მოტივის³⁹⁶, ან როგორც მას სხვა მეცნიერი ახასიათებს, გადამწყვეტი მოტივის³⁹⁷ აღძვრაში გამოიხატება. ამსრულებელი წამქმებლის გავლენით იღებს

393 მჭედლიშვილი-შედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 220. ვესელსი/ბოილკე, ზოგადი ნაწილი, 326.

394 გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 195, 198.

395 იქვე, 196.

396 წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 156; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 323; სხვა ინტერპრეტაციით, დაყოლიება გამოიხატება ქმედების შესრულების გადაწყვეტილების სურვილის აღძვრაში. იხ. ვესელსი/ბოილკე, ზოგადი ნაწილი, 325.

397 გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 196; ჭიშკარიანი, კამუხები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, 113.

გადაწყვეტილებას, ჩაიდინოს დანაშაული. სისხლის სამართლის დოქტრინის მიხედვით, წაქეზება წამქეზებელსა და ამსრულებელს შორის კომუნიკაციის ფორმით ვლინდება³⁹⁸. ი. ვესელსის თქმით კი დაყოლიება ადრესატის ნებაზე ზეგავლენის მოხდენაა სულიერი კონტაქტის გზით³⁹⁹. სსკ-ის 272-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებასთან მიმართებით დაყოლიება დიდწილად ისე უნდა გავიგოთ, როგორც თანამონაწილის დროს. ის შეიძლება გამოიხატოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების განუსაზღვრელი ფორმით. კითხვას, გავრცელება თუ არა 272-ე მუხლი, თუკი ვინმეს მხრიდან უბრალო შეთავაზებას მაგანი მომენტალურად დაჰყვება, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. დაყოლიება აქტიური ზემოქმედებით ვინმეში სურვილის აღძვრას გულისხმობს. თუკი პირს ეს ისედაც უნდოდა (მოხმარება), მაშინ დაყოლიებასთან არ გვქონია საქმე. იგივე წესი გამოიყენება დანაშაულში თანამონაწილეობის დროსაც.

მაგალითად, თუკი ა ცდილობს მისი მეზობელი ბ-ს ცდუნებას, რომ მოიხმაროს მის უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული ნივთიერება (ჰეროინი) და ამ მიზნით მაგიდაზე დადებს. ა-ს არყოფნის დროს ბ მართლაც დაეუფლება მას და მოიხმარს. ა-ს ქმედება არ უნდა შეფასდეს 272-ე მუხლით, რადგან მისი მხრიდან ბ-ზე არ განხორციელებულა აქტიური ზემოქმედება. ასეთ დროს პირი დაისჯება მხოლოდ გასაღებისთვის.

რაც შეეხება მუქარის ფორმას, აქ არა მხოლოდ სამომავლო, არამედ იმწუთიერიც უნდა მოვიაზროთ. ამ უკანასკელ შემთხვევაში იძულების ზოგადი ნორმის (150-ე მუხლი) გამოყენების საჭიროება არ არსებობს⁴⁰⁰, მით უმეტეს, რომ იძულების ზოგადი შემადგენლობისთვის გაცილებით ნაკლები სანქციაა დადგენილი. ნორმის ვიწრო განმარტების პირობებში ისე გამოვიდოდა, რომ პირი, რომელიც იმწუთიერი მუქარით აიძულებს მეორეს, მოიხმაროს ნარკოტიკი, დაისჯებოდა გაცილებით მსუბუქად (150-ე მუხლით), ვიდრე ის ადამიანი, რომელმაც სხვა დაითანხმა მოხმარებაზე იძულების გარეშე. ნორმის ვიწრო განმარტებას როდესაც უსამართლო შედეგამდე მივყავართ, ის აუცილებლად სხვაგვარად უნდა განიმარტოს⁴⁰¹. იძულებად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ამ ფორმით მცირე ოდენობის ნარკოტიკის მოხმარებაზე დაყოლიება, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევას არ მოიცავს 272-ე მუხლი. იძულების ფორმით დაყოლიების დასჯადობა მაშინაც კი გამართლებული უნდა იყოს, თუ საგანი მცირეა, რადგან ირღვევა სხვისი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია 150-ე მუხლისთვის.

398 მჭედლიშვილი-პედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 219; კომუნიკაციის თეორიას ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში მხარს უჭერს ასევე ჯიშკარიანიც - იხ. კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, 114; გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინისთვის იხ. ვესელსი/ბოილკე, ზოგადი ნაწილი, 325; Bohlander, *Principals of German criminal law*, 169.

399 ვესელსი/ბოილკე, ზოგადი ნაწილი, 325.

400 შეად. ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 115.

401 ციპელუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 70.

განსხვავებით წაქეზებისგან, ამ ნორმის მიზნებისთვის (რასაც ნორმის ლოგიკური და სისტემური გააზრება განაპირობებს) დაყოლიებამ ასევე უნდა მოიცვას ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადრესატი პირის ქმედებას ვერ აღიქვამს (მაგალითად, როდესაც პირი შეცდომაშია შეყვანილი)⁴⁰². თუკი ჩვენ ამ ნორმის მიზნებისთვის (ხელი შეუშალოს ნარკოტიკის გავცელებას) დაყოლიებას ვიწროდ განვმარტავთ, რიგი პრობლემური შემთხვევების სხვა მუხლებით შეფასება მოგვიწევდა, რაც გაუმართლებელი იქნებოდა სპეციალური ნორმის არსებობის პირობებში.

დელიქტი შედეგგარეშე შემადგენლობის არის, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი, ვინმეს მოხმარებაზე დაყოლიებას ამ უკანასკნელის დაცული სიკეთის, ჯანმრთელობის დაზიანება ან გაუარესება მოჰყვეს. საკმარისია, თუკი დაყოლიების ადრესატი მოიხმარს შეთავაზებულ ნარკოტიკს. ამდენად, დასრულებისთვის დაყოლიებულის მხოლოდ თანხმობა არ არის საკმარისი, აუცილებელია მოხმარებაც. დანაშაულში თანამონაწილეობის დროსაც აუცილებელია, რომ ამსრულებელმა თანხმობის შემდეგ გარკვეული ქმედებები ჩაიდინოს (სულ მცირე, მოსამზადებელ სტადიამდე მივიდეს), რათა თანამონაწილეობა შედგეს⁴⁰³. ამდენად, 272-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება რამდენიმეაქტიანი შედეგგარეშე დელიქტია.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

დაყოლიების სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით გასაზიარებელია იმ ავტორთა მოსაზრებები, რომლებიც დაყოლიებას შესაძლებლად მიიჩნევენ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არსებობისას⁴⁰⁴. ევენტუალური განზრახვის დაშვება ძალიან გააფართოებდა პასუხისმგებლობის ფარგლებს⁴⁰⁵.

როდესაც დაყოლიება მიმართულია არასრულწლოვნის მიმართ, ასევე აუცილებელია პირის ასაკის წინასწარი ცოდნაც (მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი).

402 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 115. ავტორი მოტყუების გზით სხვის ორგანიზმში ნარკოტიკული საშუალების შეყვანას 272-ე მუხლით აფასებს.

403 დანაშაულის შემადგენლობის დასრულებასთან დაკავშირებით იგივე აზრია გამოთქმული ავტორთა ჯგუფის სახელმძღვანელოში, თუმცა, განსხვავებული ინტერპრეტაციით. იხ. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 115-116.

404 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 224; გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 199.

405 ევენტუალური განზრახვით წაქეზების დასჯადობას მხარს უჭერს არაერთი ქართველი მეცნიერი, მათ შორის არიან, თინათინ წერეთელი და მერაბ ტურავა. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 164; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 334.

4. დამამძიმებელი გარემოებები

არაერთგმისობა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მოხმარებაზე დაყოლიება ჩაიდინა 272-ე მუხლისთვის ნასამართლევა პირმა (მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი). რა თქმა უნდა, წინა ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული (მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი).

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ. აქ დაზარალებულს ახასიათებს განსაკუთრებული ნიშანი, ის 21 წელს მიუღწეველი უნდა იყოს (ობიექტური ნიშანი), ხოლო სუბიექტურად ამსრულებელს დაზარალებულის ასაკი შეცნობილი უნდა ჰქონდეს (სუბიექტური ნიშანი).

დაყოლიება ორი ან მეტი პირის მიმართ - ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობისთვის აუცილებელია, სულ მცირე, ორი პირის დაყოლიება აკრძალული ნივთიერების მოხმარებაზე. თუ, მაგალითად, პირი ცდილობდა სამი ადამიანის დაყოლიებას და მხოლოდ ორის მოახერხა, ქმედება ამ დამამძიმებელი გარემოებით მაინც დასრულებული იქნება. ორი, ან მეტი პირის მიმართ ქმედების ჩადენის სუბიექტური მხარისთვის აუცილებელია ერთიანი განზრახვის დადგენა, რასაც, როგორც წესი, დროში მცირე წყვეტა ახასიათებს და არ უნდა იყოს რომელიმე ხელახლა აღმოცენებული განზრახვით ჩადენილი. თუ, დავეუშვათ, პირი ერთ პირს დაიყოლიებს მოხმარებაზე, შემდეგ გავა გარეთ და კიდევ ერთ არასრულწლოვანს გადაეყრება ქუჩაში და მასაც დაითანხმებს, მისი ქმედება ხელახლა აღმოცენებული განზრახვის გამო ცალ-ცალკე, ორ დამოუკიდებელ ეპიზოდად შეფასდება 272-ე მუხლით.

5. დანაშაულის მომზადება და მცდელობა

აკრძალულ ნივთიერების მოხმარებაზე სხვისი დაყოლიების შემადგენლობა შედეგგარეშე დანაშაულია, თუმცა, მისი დაუსრულებელ სტადიაზე შეფასება შესაძლებელია, რადგან არ არის იმდენად შეკვეცილი შემადგენლობის, რომ ამის შესაძლებლობა არ იყოს. მაგალითად, თუკი ა შეეცდება ბ-ს იძულებით დაყოლიებას მოხმარებაზე და დათანხმების მიუხედავად, პირი არ მოიხმარს ნივთიერებას, ა-ს ქმედება სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით⁴⁰⁶ შეიძლება შეფასდეს 19, 272-ე მუხლით.

მცდელობის მაგალითია, ასევე, როდესაც დაყოლიება ერთიანი მიზნით მიმართული იყო რამდენიმე ადამიანის მიმართ, მაგრამ მხოლოდ ერთმა დაყოლიებულმა მოასწრო ნივთიერების მიღება, დანარჩენებმა კი ვერ მოასწრეს, რადგან ისინი პოლიციამ დააკავა. დამყოლიებლის ქმედება უნდა შეფასდეს 19, 272-ე მუხლის მე-3 ნაწილით (აკრძალული ნივთიერების მოხმარებაზე ორი

406 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 116.

ან მეტი პირის დაყოფის მცდელობა)⁴⁰⁷.

მოსამზადებელი სტადია ძნელი წარმოსადგენია ამ დანაშაულთან მიმართებით. დაყოფის სტადიამდე მოქმედებები, ვთქვათ, ნივთიერების შექმნა იმ მიზნით, რომ კონკრეტული პირი შემდეგ დაითანხმოს მის მოხმარებაზე, ან სხვა ძალზე ადრეული ქმედება, იმდენად დაშორებულია დანაშაულის შემადგენლობის დასრულებისგან, რომ პირი არ უნდა დაისაჯოს ამ მუხლით (აქ პირი შეიძლება დაისაჯოს ნარკოტიკის უკანონო შექმნისთვის - 260-ე მუხლი). გარდა ამისა, ამ მუხლის პირველი ნაწილი ნაკლებად მძიმე კატეგორიის არის, რაც ისედაც არ ისჯება (იხ. სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი).

6. თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა

272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია. მაგალითად, ერთი აქტებს მეორეს, რომ მესამე დაიყოლიოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე. წინა სუბიექტი, ანუ ის, ვინც უშუალოდ დაითანხმებს სხვას მოხმარებაზე, ამსრულებელია და დაისჯება 272-ე მუხლით. ხოლო მეორე, ანუ პირი, რომელმაც მთავარი დამყოლიებელი დაიყოლია, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა მავანზე, რათა ამ უკანასკნელს მოეხმარა ნარკოტიკი, დაისჯება, როგორც წამქმნებელი, ე.ი 25, 272-ე მუხლით. ასევე, შესაძლებელია ქმედებაში დახმარებაც. მაგალითად, პირი, რომელიც დამყოლიებელს იმის შეცნობით, რომ მას არასრულწლოვნის დაყოფისთვის სჭირდება აკრძალული ნივთიერება, გადასცემს რამდენიმე აბს. დამხმარე დაისჯება დამამძიმებელ გარემოებაში (არასრულწლოვნის მიმართ) ჩადენილი მოხმარებაზე დაყოფის დახმარებისთვის⁴⁰⁸, ნარკოტიკული საშუალების გასაღებასთან ერთობლიობით, ხოლო, ამსრულებელი 272-ე მუხლის მე-3 ნაწილით და უკანონო შექმნისთვის (260-ე მუხლი).

რაც შეეხება თანაამსრულებლობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თითოეული დაისჯება ინდივიდუალურად, 272-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ეს მუხლი დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს იმავე ქმედების ჭკუფურად ჩადენას.

407 მცდელობის საკითხთან ასევე დაკავშირებულია ობიექტური ნიშნით დამამძიმებელ გარემოებაში შეცდომის სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის საკითხებიც. იხ. მაღლაკელიძე, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-3 გამოცემა, 2016, 12-17.

408 ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებით თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის საკითხის გადაწყვეტისთვის იხ. თოდუა, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული-75, 2016, 23-38.

7. სხვა მუხლებთან მიმართება

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სხვას მოხმარებაზე დაყოლიებასთან ერთად მიყიდის აკრძალულ ნივთიერებას, გარდა 272-ე მუხლისა, ის ასევე დაისჯება 260-ე მუხლისთვის (გასაღება).

თუკი ნარკოტიკულ საშუალებაზე იძულებით დაყოლიებას ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება, დამყოლიებელი, ასევე, შესაძლოა დაისაჯოს ჯანმრთელობის დაზიანებისთვისაც (124-ე მუხლი). თუკი ამ იძულებით ქმედებას სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ასევე, შესაძლებელია 116-ე მუხლის გამოყენება.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს იძულების და მოტყუების გარეშე დაიყოლიებენ მოხმარებაზე, რის შედეგადაც ეს პირი გარდაიცვლება, დაყოლიებასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, დამყოლიებელი ვერ დაისჯება ობიექტური შერაცხვის არარსებობის გამო, რადგან დაზარალებული პირადი პასუხისმგებლობით მოქმედებდა⁴⁰⁹ (დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობა ვერ გვექნება მაშინ, თუკი დამყოლიებელმა მომეტებულ რისკზე ინფორმაცია დაფარა)⁴¹⁰. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაყოლიებული არასრულწლოვანია, აქ შესაძლებელია შედეგის ობიექტურად შერაცხვა, ვინაიდან, ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს რისკები ბოლომდე გაცნობიერებული.

8. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი პირობები გაგრცელდება 272-ე მუხლთან მიმართებითაც, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

9. ბრალი

დამყოლიებელი უნდა იყოს, სულ მცირე, 14 წლის ასაკს მიღწეული, რომ ბრალად შეერაცხოს ჩადენილი უმართლობა.

409 ობიექტური შერაცხვის საკითხისთვის იხ. ვესელსი/ბოილვე, ზოგადი ნაწილი, 94-106.

410 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. საქმეები ინგლისისა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან: პირი პერონის მოხმარების შედეგად გარდაიცვალა. ნარკოტიკის გადამცემი არ დაისაჯა, რადგან სასამართლოს თქმით, დაზარალებული მოქმედებდა შეგნებულად და საკუთარი პასუხისმგებლობით - 1 StR 808/83. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://openjur.de/u/59767.html> (ნაწახია 7.8.2018); BGHSt 32, 262; R v Kennedy [2007] 3 WLR 612 House of Lords. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://publications.parliament.uk/pa/ld200607/djudgmt/jd071017/kenny-1.htm> (ნაწახია 7.8.2018). ასევე იხ. R v Dias [2002] 2 Cr App R 5.

§ 14. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (მუხ. 273)

1. ზოგადი მიმოხილვა

მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზებით (მათ შორის, როგორც ადმინისტრაციული გადაცდომის) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ინდივიდის თავისუფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას⁴¹¹. თუმცა, მიუხედავად ამ და სხვა ისტორიული გადაწყვეტილებებისა, სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ჯერ კვალავაც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებით⁴¹², მარიხუანა აღარ წარმოადგენს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის საგანს. მარიხუანის ბრუნვის წესების დარღვევასთან დაკავშირებით სპეციალური ნორმა (273¹ მუხლი) იქნა მიღებული.

273-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებები უკანონო უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი კანონიერად ჩადენის ნორმატიული საფუძველი არსებობს. მაგალითად, ნარკოტიკის მოხმარება კანონიერია, თუ ის ექიმის დანიშნულებით ხდება⁴¹³, ხოლო ნარკოტიკული საშუალების აფთიაქიდან გაცემის წესები რეგულირდება უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ბრძანებით⁴¹⁴. ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტის დადგენა კი ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე დგინდება⁴¹⁵.

სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისთვის დასჯას წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული პრეიუდიცია - იმავე ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელი ან ნასამართლობა სსკ-ის 273-ე მუხლისთვის. შესაბამისად, მისი პირველი ჩადენა გვაძლევს არა სისხლის სამართალ-

411 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/1282 გადაწყვეტილება, 30 ივლისი, 2018. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4283100#> (ნანახია 23.1.2019).

412 საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1221. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3754086#DOCUMENT:1>. (ნანახია 23.1.2019).

413 ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ჭ“ ქვეპუნქტი. სხვა ქმედებათა კანონიერად განხორციელების შესახებ რეგულაციები იხ. იმავე კანონის 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლები.

414 აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 30 სექტემბრის #221/ნ ბრძანება.

415 აღსანიშნავია ერთ-ერთი ბოლო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც სსკ-ის 276-ე მუხლმა განიცადა. ცვლილების თანახმად, დასჯადი გახდა ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის, ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემოქმედების ქვეშ მართვა.

დარღვევას (273-ე მუხლი), არამედ აღსკ-ის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას, მისი მხოლოდ განმეორებით ჩადენა ექცევა 273-ე მუხლის ქვეშ. კანონმდებელმა ამ მიდგომით, ფაქტობრივად, აჩვენა, რომ მას ქმედება იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნია, რომ მისი პირველი ჩადენისთვის ადმინისტრაციული (უფრო მსუბუქი სანქციით) სახდელით დაიმუქრა და მხოლოდ განმეორებას დაუკავშირა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. განმეორებით ჩადენა ქმედების საშიშროებას კი არ ზრდის, არამედ აქცენტი პირის საშიშროებაზე კეთდება, რომ ის ვერ გამოსწორდა⁴¹⁶. ნასამართლობის ქმედების დამაფუძნებელ ნიშნად აღიარება სოციოლოგიური სკოლის გადმონაშთია⁴¹⁷. თანამედროვე სისხლის სამართალი, რომელიც ქმედების სამართალია, ემყარება კლასიკური სკოლის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც კრიმინალიზაციის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედება, პიროვნებას და მის მახასიათებელ თვისებებს კი მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს ენიჭება მნიშვნელობა⁴¹⁸.

სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტების დიდი ნაწილი (შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა) ემთხვევა 260-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას. ამ ნაწილში მათ შორის განსხვავება ქმედების საგნის ოდენობაშია. 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების საგანი მცირე ოდენობის უნდა იყოს, ხოლო 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებისთვის აუცილებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის საკმარისი რაოდენობის ქონა, ე.ი უფრო მეტი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა, ვიდრე იმავე აკრძალული ნივთიერების მცირე ოდენობაა, თუმცა, იმაზე ნაკლები, ვიდრე უკვე დიდ ან განსაკუთრებით დიდ ოდენობას ქმნის, რომელიც 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით ისჯება. განსხვავება, ასევე, საგნის სახეებშია. 260-ე მუხლი მოიცავს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსაც (260-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 273-ე მუხლი სჯის მოხმარებას (აქ მნიშვნელობა არ აქვს მოხმარებული ნივთიერების ოდენობას), 260-ე მუხლი კი ასეთ ქმედებას არ ითვალისწინებს.

რამდენადაც ნარკოტიკული დანაშაულების თავი საზოგადოების უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კარში შედის, მისგან ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, იცავს უნივერსალურ სიკეთეს - მოსახლე-

416 საქართველოს საერთო სასამართლოების განაჩენებში ხშირად შემდეგი ფორმულირებით ვხვდებით ქმედების დახასიათებას: უკანონო მოხმარებისთვის ბ.გ. (სახელი შეცვლილია) ცნობილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ შეიძინა მცირე ოდენობით თბილისის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რაც მოხმარდა უკანონოდ ექიმის დანიშნულების გარეშე. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი, 30.1.13, #1/21-2013.

417 სოციოლოგიური სკოლის დახასიათებისთვის იხ. ავტორთა ჯგუფი, ზოგადი ნაწილი, 475-479; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 350-351; მჭედლიშვილი-შედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 386-387.

418 ტურავა, ზოგადი ნაწილი, 350.

ობის ჯანმრთელობას. 273-ე მუხლთან მიმართებით კი უფრო ინდივიდუალური სიკეთის დაცვის მიზანი იკითხება - მომხმარებლის ჯანმრთელობა. სწორედ აქ ავლენს სახელმწიფო პატერნალიზმს, იცავს ზრდასრულ მოქალაქეს საკუთარი თავისგან და ექვევს მას, როგორც გადანყვეტილებად⁴¹⁹, რომელსაც თავად არ შეუძლია განკარგოს თავისი სხეული და ცხოვრება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ქმედებისგან დაცული სიკეთე არის მომხმარებლის „... მნებობრივი ჯანმრთელობა“⁴²⁰, რაც არ არის გასაზიარებელი შეხედულება⁴²¹. მნებობა და მორალი ძალზე ბუნდოვანი ცნებებია. ყველას თავისი მორალური გადმოსახედი აქვს. ადამიანს უფლება აქვს საკუთარი მორალით იცხოვროს და დაცული იყოს მესამე პირთა შეხედულებებისგან. ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს მოქალაქის ქმედების შესაზღუდად, სხვათა დაცვაა ზიანისგან⁴²². რ. დვორკინის თქმით, ხელისუფლება თავის მოქალაქეებს პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს, ისე როგორც ეს ადამიანს შეშვების, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად გადანყვეტოს, თუ როგორც ცხოვრებით ურჩევნია ცხოვრება⁴²³. ქმედების კრიმინალიზება არა ქმედების ამორალურობის, არამედ სოციალური საშიშროების გამო ხდება (ან უნდა ხდებოდეს)⁴²⁴. დ. ჰუსაკის თქმით, ადამიანს უფლება აქვს, არ დაისაჯოს, ხოლო როდესაც სახელმწიფო ახდენს ქმედების კრიმინალიზებას, მტკიცების ტვირთი, თუ რატომ არის საჭირო ქმედების პრევენცია მაინცდამაინც სასჯელის დანესებით, სახელმწიფოს ეკისრება⁴²⁵, რაც სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ნარკოტიკის მოხმარების კრიმინალიზებასთან დაკავშირებით არ არის დასაბუთებული⁴²⁶.

419 Feinberg, Harm to self, 5.

420 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 118; ამ საკითხზე იხ. Ostrowski, Hofstra L. Rev. Vol 18, iss. 3, 610 კრიტიკისთვის იხ. Husak/ Marneffe, The Legalization of drugs. 72-74.

421 რიგ ქმედებათა დასჯადობას დღემდე რელიგიური მორალი და ცოდვის შესახებ წარმოდგენები უდევს საფუძვლად, რაც თანამედროვე, სეკულარული სახელმწიფოსთვის არ არის მისაღები და სწორედ ამიტომაც, სახელმწიფოები ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ, მაგალითად, ნარკოტიკის მოხმარებით საფრთხე ექმნება საზოგადოების ჯანმრთელობას და დაცულ სიკეთედაც მას აცხადებენ - Luna, Am. U. L. Rev. 54, N 3, 2005, 720-721.

422 J.S.Mill, 1859. On Liberty. Ed. 2001, 13

423 Dworkin R., Taking rights seriously, 272-273; ასევე იხ. Husak/ Marneffe, The Legalization of drugs, 84.

424 ვესელსი/ბოილვე, 2010, 4.

425 Hukas D., Overcriminalization. The limits of the criminal law, 57.

426 Husak/ Marneffe, The Legalization of drugs, 48, 93; გეგელია/იზნაძე/დავითური, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, 22; RTI საერთაშორისოს და ერიკ კარლინის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მომზადებული ნარკოპოლიტიკის გზამკვლევი: საქართველოში ნარკოპოლიტიკის გზამკვლევი. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: http://aitgeorgia.ge/2012/myfiles/Georgian_%20GHPP_Georgia%20Drug%20Policy%20Report_May%2020_2011.pdf (ნანახია 23.1.2019).

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობის სუბიექტი არის წინათ იმავე ქმედებისთვის ადმინისტრაციულად სახდელდადებული ან ნასამართლევი პირი.

მაგალითი: ა პოლიციამ შეაჩერა და მის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე. ა-მ სახდელის დადებამდე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. ა მეორე ქმედებისთვისაც ადმინისტრაციული წესით დაისჯება და არა სისხლისსამართლებრივი წესით, რადგან წინა ქმედებისთვის ჯერ არ ყოფილა სახდელდადებული.

რა ვადაა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ადმინისტრაციულად სახდელდაუდებლად? ადმინისტრაციული სახდელის მოხდის დღიდან 1 წელი (აღსკ-ის 39-ე მუხლი). შესაბამისად, თუკი სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ პირი კვლავ ჩაიდენს იმავე ქმედებას, წინა ქმედება აღარ ითვლება სამართლებრივად და პირი, როგორც სახდელდაუდებელი, ისევ დაისჯება აღსკ-ის 45-ე მუხლის საფუძველზე. მსგავსი წესი მოქმედებს ნასამართლობასთან მიმართებითაც. თუკი პირი ნასამართლობის გაქარწყლების⁴²⁷ ან მოხსნის (ამნისტის ან პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე) შემდეგ მოიხმარს ან შეიძენს მცირე ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას, ის დაისჯება არა 273-ე მუხლის დარღვევისთვის, არამედ აღსკ-ის 45-ე მუხლის საფუძველზე, რადგან ნასამართლობის გაქარწყლება/მოხსნის შემდეგ ის ნასამართლევი აღარაა.

საინტერესო საკითხი დაისვა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროისთვის არ უნდა ჰქონდეს პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული - განმეორებითი ქმედების ჩადენამდე თუ ამ განმეორებითი ქმედების ჩადენისთვის საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპისთვის?⁴²⁸ შეკითხვის ავტორის ამრით, ეს ნიშანი (ნასამართლობა) სუბიექტს უნდა ჰქონდეს გამოძიების დაწყებიდან საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მუხლით მსჯავრდება დაუშვებელია⁴²⁹. თუმცა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი საკითხები სხვაგვარად წყდება. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უშუალოდ ქმედების ჩადენის დროს ჰქონდა პირს ნასამართლობა, ხოლო მის შემდგომ მოხსნას ან გაქარწყლებას, მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, არ ანიჭებს სამართლებრივ მნიშვნელობას⁴³⁰. მაგალითად, საქმეში, რომელშიც პირს ახალი

427 იმის მიხედვით, თუ როგორი სასჯელი შეეფარდა პირს 273-ე მუხლის დარღვევისთვის, ნასამართლობის გაქარწყლების ვადებიც შესაბამისია. ნასამართლობა ქარწყლება: პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ. სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

428 ლეკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 122.

429 იქვე, 122-123.

430 სუსგ #192-აგ-16.

განაჩენით ნასამართლობის გამო სასჯელი დაედო სასჯელთა შეკრების პრინციპით, პირი ითხოვდა მის მიმართ შთანთქმის პრინციპის გამოყენებას, რადგან 2013 წელს, როდესაც პირველმა ინსტანციამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, მას უკვე ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა (2009 წელს გაუქარწყლდა). სასამართლოს შეფასებით კი, რამდენადაც მან აკრძალული ქმედება ჩაიდინა 2007 წელს, ე.ი. მანამ, სანამ ნასამართლობა გაუქარწყლებოდა, სწორედ ამას ჰქონდა განმსაზღვრელი მნიშვნელობა სასჯელის წესის გამოყენებისთვის და არა იმ ფაქტს, რომ განაჩენის დადგენის მომენტისთვის ნასამართლვეი აღარ იყო⁴³¹. მართალია, უშუალოდ 273-ე მუხლთან მიმართებით პრაქტიკა არ შეგვხვდრია, მაგრამ სავსებით ლოგიკურია, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მასზეც გავრცელდება. არსებული მიდგომით მნიშვნელობა მიენიჭება უშუალოდ ქმედების ჩადენის დროს ნასამართლობის ფაქტს.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: 2012 წლის 13 ნოემბერს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო შემდეგ, 2012 წლის 14 დეკემბერს, განმეორებით მოხმარების გამო, მას წარედგინა ბრალდება სსკ-ის 273-ე მუხლით და 2013 წლის 12 თებერვალს გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. 2013 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის №... განკარგულებით ვ. ბ-ა შეიწყალეს და მოეხსნა 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენით წარმოშობილი ნასამართლობა. ახალი ქმედებისთვის (გაქარწყლების შემდეგ კვლავ მოიხმარა) რაიონულმა სასამართლომ ვ.ბ. გაამართლა იმ არგუმენტზე დაყრდობით, რომ სახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარებისათვის პირის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წყვეტს პირის, როგორც ადმინისტრაციულ სახდელდადებულად ყოფნის, სამართლებრივ რეჟიმს და ასეთ შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ ნარკოტიკული საშუალების მესამედ მოხმარება წარმოადგენს არა ახალი დანაშაულის (როგორც სახდელშეფარდებული პირის მიერ მოხმარება) შემადგენელ კომპონენტს, არამედ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუკი პირს განაჩენით წარმოშობილი ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვს. იმავე პოზიციაზე დადგა სააპელაციო სასამართლოც. ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის გაანჩენი სრულიად საპირისპირო მოსაზრების საფუძველზე, რომ „...იმ შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 273-ე მუხლით და კანონით გათვალისწინებული რომელიმე სამართლებრივი საფუძვლით ის გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ან მოეხსნა ნასამართლობა, ის ითვლება ისევ ადმინისტრაციულ სახდელდადებულად და გრძელდება მისი, როგორც ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირად ყოფნის, სამართლებრივი რეჟიმი, თუ მის მიმართ არ არის გასული ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის და-

431 სუსგ #192აგ-16. სამოტივაციო ნაწილი, მე-3-5 პუნქტები.

კისრების დღიდან 1 წელი...⁴³²

ამდენად, მსგავსი საქმეები ისე გადაწყდება, როგორც ეს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომლის განმარტებებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის.

როგორ უნდა გადაწყდეს საქმე, რომელშიც სახდელდადებულმა პირმა რამდენჯერმე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება? მაგალითად, მოხმარებისთვის სახდელდადებულმა ა-მ ერთი წლის განმავლობაში ხუთჯერ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე. ხუთივე შემთხვევა დაადგინა პოლიციამ. დანაშაულთა ერთობლიობა იქნება, ე.ი. ხუთივე ეპიზოდი დამოუკიდებლად შეფასდება, თუ მხოლოდ ერთი ქმედებისთვის დაისჯება? საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებითა და დანერგილი პრაქტიკით ასეთ დროს პირი ხუთი (ან რამდენიც იქნება) ეპიზოდისთვის დამოუკიდებლად ისჯება, ე.ი. დანაშაულთა ერთობლიობისთვის⁴³³.

შემდეგი საკითხი განსახილველი ქმედების შემადგენლობის სუბიექტის მინიმალური ასაკის გამორკვევას ეხება. მართალია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრა ბრალუზნარიანობის საკითხია, მაგრამ მისი კომპლექსურობის გამო უმჯობესია, თუკი აქვე მოკლედ აღინიშნება. მოცემული დელიქტის მინიმალური ასაკი არის არა 14,⁴³⁴ არამედ 16 წელი. რამდენადაც 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ჩადენას წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული პრეიუდიცია - სახდელი, პასუხისმგებლობის ასაკიც განისაზღვრება ადმინისტრაციული წესის მიხედვით. ადმინისტრაციული გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის (აღსკ-ის მე-13 მუხლი) მინიმალური ასაკი 16 წელია. თუ უფრო ნაკლები ასაკის ბავშვი მოიხმარს, ის ვერც ადმინისტრაციული წესით დაისჯება და შესაბამისად, ვერც სისხლისსამართლებრივად. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ 273-ე მუხლით დისპოზიციის ამ ნაწილში „... ამ დანაშაულისათვის ნასამართლვე პირის მიერ“ ლოგიკურად უნდა მოიაზრებოდეს 260-ე მუხლისთვის ნასამართლობაც⁴³⁵. ამ ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში, 14 წლის მიღწევა საკმარისი იქნებოდა 273-ე მუხლთან მიმართებითაც, მაგრამ აღნიშნული გან-

432 სუსგ #2კ-134აპ.-14; სუსგ #183აპ.-14.

433 „...ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარება (თუნდაც რამდენჯერმე) 1 წლის განმავლობაში, თუ არც ერთ ფაქტზე არ არის მიღებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენი, გვაძლევს მოცემულ თითოეულ შემთხვევაში სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას - ადმინისტრაციულ სახდელმუფარდებული პირის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ე.ი. სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა.“ სუსგ #134აპ. ასეთივე მიდგომა იყო შედარებით ძველ პრაქტიკაშიც, რაც პირის უფრო მკაცრად დასჯას იწვევდა, რადგან დანაშაულთა ერთობლიობის დროს გამოიყენებოდა სასჯელთა შეკრების პრინციპი. იხ. სუსგ # 2კ-446აპ.-09.

434 273-ე მუხლის პასუხისმგებლობის ასაკად 14 წელია მიჩნეული დასაბუთების გარეშე შემდეგ ლიტერატურაში: თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, 120.

435 ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 128.

მარტება არ არის გასაზიარებელი (არც სასამართლო პრაქტიკით დასტურდება) შემდეგი არგუმენტით: 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კრიმინალიზების მიზნად სახელმწიფო უშუალოდ მომხმარებლის გამოსწორებას ასახელებს, რათა მას სასჯელის მუქარით უარი ათქმევინოს ნარკოტიკის მოხმარებაზე. ამდენად, აქ სხვა სუბიექტების შემოყვანა (თუნდაც უფრო მძიმე ნარკოტიკული დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის) არ შეესაბამება ნორმის მიზანს⁴³⁶. გარდა ამისა, როდესაც კანონმდებელს სურს დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის უფრო მეტი შემადგენლობის ჩადენით განსაზღვრა, ის სხვა სიტყვებს იყენებს, მაგალითად, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი: „...ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული“. რა შეუშლიდა ხელს კანონმდებელს, რომ ზუსტად იგივე დათქმა გამოეყენებინა 273-ე მუხლის დისპოზიციაში? ამდენად, სიტყვები „ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ“ უნდა გავიგოთ ერთმნიშვნელოვნად, ე.ი. 273-ე მუხლით ნასამართლევი პირის მიერ კვლავ იმავე მუხლის დარღვევა ნასამართლობის პერიოდში⁴³⁷. გარდა ამისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცდებოდით ნორმის ერთმნიშვნელოვან შინაარსსაც, რაც ბრალდებულის საუარესოდ აკრძალულია.

ქმედების საგანი არის მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი და პრეკურსორი. მოხმარებასთან მიმართებით ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს. რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას მცირე ოდენობა საერთოდ არ აქვს, რაც, ბუნებრივია, ამ მუხლით გათვალისწინებული შეძენის, შენახვის, გადაზიდვის და გადაგზავნის საგანი ვერ იქნება. ასეთი ნარკოტიკული საშუალებებია: დებომორფინი, ამფეტამინი, ალილპროდინი და ბევრი სხვა.

აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა გამოიხატება შემდეგ ქმედებებში: მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკურსორის უკანონო შეძენა, შენახვა, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, 273-ე მუხლის საფუძველზე პირის დასჯისთვის აუცილებელია, რომ ის მანამდე იგივე ქმედებისთვის ადმინისტრაციული წესით იყოს დასჯილი ან ნასამართლევი 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

უკანონო შეძენა, შენახვა, დამზადება, გადაზიდვა და გადაგზავნა მოხმარებამდე ქმედებებია (ამ ქმედებათა განმარტებისთვის იხილეთ 260-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის კომენტარები), რომელთა კრიმინალიზებით კიდევ მეტად გადმოსწია კანონმდებელმა პასუხისმგებლობის საზღვრები. ჩამოთვლილ ქმედებებს შორის არ არის გასაღება, შემოტანა-გატანა და წარმოება, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ დასახელებული ქმედების აკრძალვის მიზანი ინდივიდუალური გამოყენების თავიდან აცილებაშია, ხოლო ნარკოტიკის მცირე ოდენობა კი იმდენად უმნიშვნელო ოდენობაა, რომ მისით ვაჭრობისთვის

436 მსგავსი მოსაზრებისთვის იხ. ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 123-124.

437 გეგელია/იმნაძე/დავითური, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, 36.

ხელის შეწყობის საფრთხე არ ჩანს.

რაც შეეხება მოხმარებას, ის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებაში გამოიხატება⁴³⁸. ნარკოტიკის მიღება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით: შესუნთქვით, ინექციით, აბების სახით, ან სხვა.

მაგალითი: 273-ე მუხლის დარღვევისთვის მსჯავრდებულმა ა-მ ნასამართლობის პერიოდში, უკანონოდ მოიხმარა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რაც მას დაუდგინდა ნარკოლოგიური შემოწმების დროს. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტს.

მაგალითი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე სახდელდადებულმა ა-მ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა 0.5 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ზიპეროლს (რაც უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის მიხედვით წარმოადგენს მცირე ოდენობას). სახლისკენ მიმავალ გზაზე პოლიციამ ის გააჩერა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოუღო ჯიბიდან კაფსულა, რომელშიც ნარკოტიკი იყო მოთავსებული. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტს.

მაგალითი: ა-მ პირადი მოხმარების მიზნით შეიძინა 1 გრამი ნარკოტიკული საშუალება ბუპრენოფრინი (რაც უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის მიხედვით, წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას). სახლისკენ მიმავალ გზაზე პოლიციამ ის გაჩხრიკა და დააკავა. მიუხედავად იმისა, რომ უტყუარად დგინდება მოხმარების მიზანი, პირის ქმედება შეფასდება არა 273-ე მუხლით, რომლის საგანიც მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალებაა შეძენასთან მიმართებით, არამედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა).

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ნარკოლოგიური შემოწმებით დაუდგინდება ნარკოტიკის მოხმარება, შესაძლებელია თუ არა, რომ სხეულში ნარკოტიკის არსებობა შენახვად შეფასდეს - ე.ი სხეული შეფასდეს შესანახ ადგილად? რა თქმა უნდა, არა. ის, რაც პირმა გამოიყენა და მოიხმარა, მისი კვლავ გამოყენების და გავრცელების საფრთხე საერთოდ აღარ არსებობს. ქართული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართებით სწორად ვითარდება⁴³⁹. რაც შეეხება საკითხს, მცირეზე მეტი ოდენობით ნარკოტიკის მოხმარების

438 მოხმარებლის სახეების განმარტებისთვის იხ. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონში (მუხლი 3, 3²⁴, 3²⁵, 3²⁶ ქვეპუნქტები) - <https://www.matsne.gov.ge/document/view/1670322?publication=13> (ნანახია 23.1. 2019).

439 აღსანიშნავია ინგლისისა და ამერიკის ძველი სასამართლო პრაქტიკა, სადაც პირები,

შემდეგ, მისი შეძენის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა მოხმარებასთან ერთად 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დასჯა (უკანონო შექენა), ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უარყოფითად პასუხობენ და სწორედაც, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ნარკოტიკი უკვე მოხმარებულია, რაც მისი გავრცელების საფრთხის არარსებობაზე მიუთითებს⁴⁴⁰. მხოლოდ მოხმარებად უნდა შეფასდეს შემთხვევა, როდესაც პირი მოასწრებს და დაკავებამდე მიიღებს ნარკოტიკულ საშუალებას⁴⁴¹, თუნდაც პოლიცია უშუალოდ შეესწროს მოხმარების ფაქტს.

მაგალითი: 273-ე მუხლისთვის ნასამართლევა ა-მ უკანონოდ დაამზადა მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება და შემდეგ მოიხმარა. ეს ქმედებაც, მსგავსად წინა მაგალითისა, მხოლოდ მოხმარებად უნდა შეფასდეს, რადგან მოხმარების შემდეგ აზრს კარგავს დამზადების შეფასება. ამდენად, ძალიან წინააღმდეგობრივია ავტორთა ჯგუფის სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრება, რომელიც მცირეზე მეტი ოდენობით ნარკოტიკის უკანონო შენახვისთვის დასჯას არ ეთანხმება, თუ ის უკვე მოხმარებულია, ხოლო მსგავს მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ მოხმარებას წინ უსწრებდა მცირე ოდენობით ნარკოტიკის უკანონო დამზადება, ემხრობიან დამზადების ცალკე შეფასებას⁴⁴².

კიდევ ერთი საკითხი, რაც ძალზე პრობლემურია და არ შეესაბამება წამალ-დამოკიდებული პირების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების საჭიროებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს რიგი ნარკოტიკული საშუალებებისა, რომელთაც კანონმდებლის გადაწყვეტილებით, არ გაჩნიათ მცირე ოდენობა (მაგალითად დემომორფინი ე.წ. „ნიანგი“), მსგავსი სახის ნარკოტიკებთან დაკავშირებით საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა იმგვარად ვითარდება, რომ პირი ისჯება გამოყენებისთვის უვარგისი ოდენობის ნივთიერების ფლობისთვის 260-ე მუხლის საფუძველზე.

მაგალითი: ა-მ ინექციით მოიხმარა დემომორფინი. მოხმარების შემდეგ ის პოლიციამ დააკავა, შპრიცში ჩარჩენილი წვეთის საფუძველზე, რაც მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებისთვის უვარგისია, ფორმალურად უკვე დიდ ოდენობას ქმნის.

პოლიცია იწყებს გამოძიებას სსკ-ის 260-ე მუხლით, საბოლოოდ კი ასეთი საქმეები გამამტყუნებელი განაჩენით გვირგვინდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 0.00009 გრამი დემომორფი-

რომელთაც ნარკოლოგიური შემონმებით ზემოქმედება დაუდგინდებოდათ, მათ ასევე სჯიდნენ ნარკოტიკის უკანონო ფლობისთვის, რაც უფრო ახალი პრეცედენტებით დაიძლია და დღეს მხოლოდ მოხმარებისთვის სჯიან. State v. Vorm, 570 N.E.2d 109, 1991. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://law.justia.com/cases/indiana/court-of-appeals/1991/46a04-9009-cr-436-7.html> (ნანახია 9.8.2018). მეტი საქმისთვის იხ. Gardner/Anderson, Criminal law, 445. Note 6.

440 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი სწორად არის შეფასებული. იხ. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 120

441 ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 121.

442 იქვე.

ნის ფლობის დასჯადობის არაკონსტიტუციურობა დაადგინა⁴⁴³, პრაქტიკა ისევ გრძელდება სხვა ნარკოტიკებზე და თუნდაც იმავე დეზომორფინის სხვა უფრო მეტ, მაგრამ გამოყენებისთვის რეალურად უვარგის ოდენობაზე.

აღნიშნული დელიქტი შედეგგარეშე შემადგენლობისაა. ქმედების დასრულებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ნამდვილად დაზიანდება თუ არა დაცული სიკეთე (ინდივიდის ჯანმრთელობა). ქმედების შემადგენლობის დასრულებისთვის საკმარისია აბსტრაქტული საფრთხე, რომელიც უშუალოდ ქმედებას ახასიათებს⁴⁴⁴ და არ წარმოადგენს შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშანს - შედეგს. მაგალითად, მცირე ოდენობით ნარკოტიკული, ან სხვა მითითებული საშუალების უკანონო შექმნა დასრულებულია შექმნის ე.ი. აკრძალული ნივთიერების გამსაღებლიდან შემქმნის მფლობელობაში გადმოსვლის მომენტიდან. მოხმარება დასრულებულია ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის სხეულში აღმოჩენის მომენტიდან და ა.შ. მნიშვნელობა არ აქვს დასახელებული ქმედებებით დაზიანდება თუ არა მომხმარებლის ჯანმრთელობა.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან მაღალი სუბიექტური ტენდენციის უნდა იყოს შექმნა, შენახვა, მოხმარება თუ სხვა ქმედება, რომ მისი შემადგენლობის სუბიექტური მხარე დააკმაყოფილოს. პირი აცნობიერებს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას და სურს ეს⁴⁴⁵.

4. დანაშაულის მომზადება და მცდელობა

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის დაუმთავრებელ სტადიაზე დასჯა გაუმართლებელია. აკრძალული ნივთიერების მოხმარებამდე ქმედებები ისედაც განწერა კანონმდებელმა (შექმნა, შენახვა და სხვა.) შესაბამისად, მან დასრულებული სახით აღწერა ისინი და დამატებით მათი დაუსრულებელი სტადიის დასჯა გაუმართლებელია 273-ე მუხლთან მიმართებით. მით უმეტეს, რომ ქმედების უმნიშვნელო სოციალურ საშიშროებას თავად კანონმდებელი უსვამს ხაზს, როდესაც მის დასჯადობას წინ აღმინისტრაციულ პრიეუდიცის უკავშირებს. გარდა აღნიშნული მსჯელობისა, თუკი მაინც წარმოვიდგენთ მცირე ოდენობის ნარკოტიკის უკანონო შექმნის მცდელობას, ვთქვათ, პირს

443 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილება N1/8/696.

444 აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დახასიათებისთვის იხ. ცქტივილი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები, 24-25.

445 აღნიშნული დელიქტის სუბიექტურ შემადგენლობასთან მიმართებით ასეთივე აზრია გამოთქმული სხვა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. იხ. ლეკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 125.

ყიდვის პროცესში დააკავებს პოლიციელი, ქმედების დასჯადობა უნდა გამოირიცხოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“.

5. თანამონაწილეობა/თანაამსრულებლობა

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის თანამონაწილეობით ჩადენა შეუძლებელია. სისხლის სამართლის კოდექსში, ნარკოტიკული დანაშაულების თავში თანამონაწილის დასჯადობის სპეციალური შემადგენლობებია, რითაც კანონმდებელმა აჩვენა თავისი ნება მათი ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით (მაგალითად, 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილი დამხმარის სპეციალური დელიქტია, იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ორგანიზატორის, ხოლო 272-ე მუხლი - ნაქმედის).

თანამონაწილეთა დასჯადობისთვის სპეციალური მუხლის შემოღება 273-ე მუხლის სპეციფიკურობით უნდა აიხსნას. ის თვითდამაზიანებელი დელიქტია და გარდა ამისა, პერსონალური ნიშნით დაფუძნებული, რომლის აღქმის დასაბუთებაც თანამონაწილეებისთვის ძალზე პრობლემური იქნებოდა.

მაგალითი: ა-მ და ბ-მ (ორივე მათგანს ადმინისტრაციული სახდელი აქვს დადებული) ერთად შეიძინეს მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება და შემდეგ ერთმანეთის დახმარებით ინექციის გზით მოიხმარეს. თითოეული მათგანი დაისჯება მხოლოდ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტის ამსრულებლობისთვის და არა დამატებით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში დახმარებისთვის (25, 273-ე მუხლი).

მაგალითი: ა-ს ესტუმრა მეგობარი ბ. მან მოულოდნელად გადაწყვიტა თანაქონი ჰეროინის მოხმარება, რისთვისაც ა-ს კოვში სთხოვა. ა-მ თხოვნა შეუსრულა. ფაქტის დადგენის შემთხვევაში დაისჯება თუ არა ა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში თანამონაწილეობისთვის (როგორც დამხმარე)? პასუხი აქაც უარყოფითი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არ შეგვხვედრია საპირისპირო პოზიცია. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ერთი შემთხვევაც არ მოიძებნა 25, 273-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისა, რაც გონივრულია.

6. სხვა მუხლებთან მიმართება

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საკუთარ უკანონო მფლობელობაში არსებულ მცირეზე მეტი ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას თავისივე ხელით შეიყვანს

მეორე ადამიანის სხეულში (მისი თხოვნით), პირი დაისჯება ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის (თუნდაც ჩუქებით), ე.ი. 260-ე მუხლის პირველი ნაწილი (ან ოდენობის მიხედვით იმავე მუხლის სხვა ნაწილით).

კოდექსის მოქმედი რედაქციით 260-ე მუხლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა იმავე ქმედების ჩადენა პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ეს მითითება ერთნაირად ეხება ყველა ნარკოტიკულ დანაშაულს, მათ შორის, ერთი შეხედვით, სსკ-ის 273-ე მუხლსაც, რაც არაერთი გადაწყვეტილებით დაადასტურა სასამართლომ⁴⁴⁶. შესაბამისად, თუკი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ნასამართლევ პირს აღმოაჩნდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც არ არის სწორი. ნარკოტიკის მოხმარებისთვის ნასამართლობა არ უნდა ინვევდეს პასუხისმგებლობის დამძიმებას 260-ე მუხლთან მიმართებით, ასეთი კვალიფიკაცია კანონის სისტემური და ტელეოლოგიური ახსნა-განმარტების მეთოდით უნდა გამოირიცხოს სასამართლომ.

მაგალითი: ა-მ, რომელიც სსკ-ის 273-ე მუხლით იყო ნასამართლევი, პირადი მოხმარების მიზნით შეიძინა 0.2 გრამი ჰეროინი. ეს მცირევე მეტ ოდენობად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და მოხმარებამდე აღმოჩენის შემთხვევაში, პირის ქმედება შეფასდება სსკ-ის 260-ე მუხლით. მაგრამ, სასამართლომ წინა ქმედებისთვის ნასამართლობა (ე.ი. 273-ე მუხლით), რაც თავისი არსით თვითდამამიანებელი ქმედებაა, არ უნდა მიიღოს მხედველობაში კვალიფიკაციის დასამძიმებლად იმ სხვა მუხლთან მიმართებით (ამ შემთხვევაში 260-ე მუხლი), რომელიც აკრძალული ნივთიერების სხვისთვის გადაცემის პრევენციას ემსახურება. შესაბამისად, მოცემულ კაზუსში პირი უნდა დაისაჯოს არა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, არამედ მხოლოდ 1-ლი ნაწილით.

შეიძლება თუ არა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში ხელშემწყობი (როდესაც თავისთავად ეს ქმედება არ არის დასჯადი) დაისაჯოს მოხმარების შედეგად გარდაცვლილი ადამიანის უმოქმედობით სიცოცხლის მოსპობისთვის? ამ შემთხვევას ადგილი კალიფორნიის სასამართლო პრაქტიკაში ჰქონდა, სადაც სასამართლომ კითხვას დადებითად უპასუხა და პირი დასაჯა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის.

მაგალითი: ა-მ და ბ-მ ერთმანეთი ბარში გაიცნეს. შემდეგ ისინი ა-ს სახლში წავიდნენ. ბ-მ ჰეროინის მოხმარება გადაწყვიტა, რისთვისაც ა-ს კოვზი სთხოვა. ა-მ თხოვნა შეუსრულა. ამის შემდეგ ბ სააბაზანოში შევიდა მოხმარების პროცედურისთვის. ნარკოტიკის მიღების შემდეგ ბ-მ გონება დაკარგა. აღნიშნული, რა

446 მსგავს შემთხვევებში პირი რომ დამამძიმებელი გარემოებით ისჯება, კარგად ჩანს მითითებულ საქმეში - სუსგ #2კ-365აპ.-17.

თქმა უნდა, ა-მ აღიქვა, მაგრამ იმის გამო, რომ პოლიციის შეეშინდა, სახლიდან გაიქცა და გონწასული ბ მართო მიატოვა. მეორე დღეს სახლში, ბ აბაზანაში გარდაცვლილი იპოვეს.

საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად სამი კუმულაციური პირობაა განსაზღვრული, ესენია: მოქმედების შესაძლებლობა, მოქმედების სპეციალური მოვალეობა და შედეგის თავიდან აცილებადობა. მოცემულ კაზუსში სადავო გახდა სწორედ მოქმედების სპეციალური მოვალეობის არსებობის საკითხი. ბრალდებული ამას სადავოს ხდიდა, რადგან, მისი თქმით, მასსა და გარდაცვლილს შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, ის უცხო იყო მისთვის, შესაბამისად, მის მიმართ ზრუნვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ვერ ექნებოდა. კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მსჯავრდებულს სპეციალური მოვალეობა განსაცდელში მყოფი უცხო მამართ იმიტომ ჰქონდა, რომ შემთხვევა მის საკუთარ სახლში მოხდა და არა სხვაგან. ამასთან, ხაზი გაუსვა მსჯავრდებულის მხრიდან კოვზის გადაცემის ფაქტსაც, რითაც, სასამართლოს განმარტებით, მან წვლილი შეიტანა რისკის ამალღებაში⁴⁴⁷. ეს პირობები ერთობლიობაში კი საკმარისად ჩათვალია სპეციალური მოვალეობის დადგენისთვის (მოვალეობა რომ სასწრაფო დახმარებისთვის გამოეძახა განსაცდელში მყოფი ადამიანის გადასარჩენად). მსგავსი კაზუსები უცხო არ არის ქართული სისხლის სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკისთვის. მაგალითად, ავტომობილის მძღოლის მოქმედების სპეციალურ მოვალეობას მაშინაც ადგენენ, როდესაც ის თავად მართლობრივად მოქმედებდა⁴⁴⁸. აქცენტი გადატანილია მანქანის მომეტებული საფრთხის წყაროზე (როგორც სოციალური რისკის მატარებელზე) და იმაზე, რომ მიზეზობრივ კავშირშია განსაცდელში მყოფი ადამიანის საფრთხეში ყოფნასთან⁴⁴⁹. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მძღოლს გარანტად მიიჩნევს, ქართველ მეცნიერებს შორის კი ეს საკითხი არ არის ერთგვაროვნად გადაწყვეტილი. ჩვენ მიერ მოყვანილ შემთხვევაში, რომელშიც პირები ნებით მოქმედებენ და საფრთხის დამაფუძნებლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებლები საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ, გაუმართლებელი იქნება ერთმანეთის მიმართ გარანტის ფუნქციის დადგენა. ეს ძალიან გააფართოებდა სპეციალური მოვალეობის მქონე პირთა წრეს. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ქეიფი ან ნარკოტიკების ერთად მოხმარება პირებს ერთმანეთის

447 People v. Carol Ann Oliver 210 Cal. App. 3d. 139. 1989. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/3d/210/138.html> (ნანახია 10.8.2018). ანალიზისთვის იხ. Rosenberg, Br. J. Am. Leg. St. 2017, 282. ასეთივე მიდგომა აქვს ინგლისის სასამართლოს. R v Evans (Gemma) [2009] EWCA Crim 650. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://www.lawteacher.net/cases/r-v-evans.php> (ნანახია 22.8.2018).

448 სუსკ #2კ-83აპ.-04.

449 ცქიტიშვილი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები, 331; წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, 286. განსხვავებული აზრისთვის იხ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 139; ჭიშკარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 125.

მიმართ გარანტად არ აქცევს⁴⁵⁰, ამდენად მოცემულ საქმეში უფრო სწორი იქნება, თუკი პირი დაისჯება დაუხმარებლობისთვის და არა სპეციალური მოვალეობის შეუსრულებლობისთვის.

მაგალითი: ა-მ ბ-ს გაუმზადა საჭირო ჭურჭელი ნარკოტიკის მოხმარებისთვის. სრულწლოვანმა და გადაწყვეტილებაუნარიანმა ბ-მ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. ის ზედღობის გამო გარდაიცვალა მომენტალურად. დაისჯება თუ არა ა ბ-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის? პასუხი ცალსახად უარყოფითია⁴⁵¹. მიუხედავად იმისა, რომ ა-მ თავისი ქმედებით მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში წვლილი შეიტანა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი დასჯადობისთვის, ასევე აუცილებელია შედეგის, როგორც საკუთარი ქმნილების ობიექტური შერაცხვა⁴⁵², რაც მოცემულ კაზუსში არ გვაქვს, ვინაიდან სრულწლოვანი ბ საკუთარი თავისუფალი ნებით და პასუხისმგებლობით მოქმედებდა.

7. მართლწინააღმდეგობა

აღნიშნულ დანაშაულის შემადგენლობაზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი წესები გავრცელდება. დელიქტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით შესაძლოა გვექონდეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა.

8. ბრალი

მინიმალური პასუხისმგებლობის ასაკი არის 16 წელი. ამ დელიქტის თავისებურება ის არის, რომ თუ პირი განსაზღვრულ ასაკს მიღწეული არ არის, აღმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვერ დადგება, შესაბამისად, ვერც განმეორებით მოხმარება დააფუძნებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

450 მჭედლიშვილი-პედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 313.

451 ასეთივე კატეგორიული დამოკიდებულებაა ნარკოტიკის გადაცემის პასუხისმგებლობის უარყოფასთან დაკავშირებით ინგლისსა და გერმანიაშიც. 1 StR 808/83 - ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://openjur.de/u/59767.html> (ნანახია 7.8.2018); BGHSt 32, 262; R v Kennedy [2007] 3 WLR 612 House of Lords - ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://publications.parliament.uk/pa/ld200607/ldjudgmt/jd071017/kenny-1.htm> (ნანახია 7.8.2018). ასევე იხ. R v Dias [2002] 2 Cr App R 5.

452 ობიექტური შერაცხვის საკითხისთვის იხ. ვესელსი/ბოილვე, ზოგადი ნაწილი, 94-115; Bohlander, Principles of German Criminal Law, 52-53.

§ 15. მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება (მუხ. 273¹)

1. ზოგადი მიმოხილვა

ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარების და მოხმარების მიზნით ფლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემსუბუქებამ განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსში ახალი მუხლის დამატება, რომელიც 273-ე და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა სპეციალური შემადგენლობაა, რასაც ქმედების საგანი განაპირობებს. 273¹ მუხლით აკრძალული ქმედების საგანია მხოლოდ მარიხუანა და მცენარე კანაფი (ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის N2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“ 73-ე და 92-ე გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებები), შესაბამისად, როდესაც მათი მცირე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა, შენახვა და სხვა უკანონო ქმედება ხორციელდება, დასჯადობა გათვალისწინებულია 273¹ მუხლის შესაბამისი ნაწილებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მარიხუანის ბრუნვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პოლიტიკის დათბობისა, ის მაინც ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების სიაშია.

მარიხუანა არსებობს გამომშრალი და ნედლი, რომელთა ოდენობებიც სხვადასხვაა. მაგალითად, გამომშრალი მარიხუანის მცირე ოდენობა 5 გრამამდეა, ზემოთ და 70 გრამის ჩათვლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობა, 70 გრამზე მეტი და 500 გრამის ჩათვლით კი - დიდი ოდენობა, ხოლო ამის ზემოთ - განსაკუთრებით დიდი ოდენობა⁴⁵³.

მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო მარიხუანის მოხმარების დასჯადობა, ძალადაკარგულად გამოცხადდა სიტყვები - „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“, შესაბამისად, სსკ-ის 273¹ მუხლი აღარ ითვალისწინებს მარიხუანის უკანონო მოხმარების დასჯადობას, თუმცა, რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, იმსჯელა მხოლოდ უკანონო მოხმარების კონსტიტუციურობაზე (საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტების ანალიზისთვის იხილეთ თავი II), იმავე მუხლის პირველი ნაწილით კვლავაც დასჯადია მცირე ოდენობით მარიხუანის ან მცენარე კანაფის უკანონო შეძენა, შენახვა, დამზადება, გადაზიდვა და გადაგზავნა. როდესაც აღნიშნული ქმედებების საგანი მცირე ოდენობაა, ქმედება დასჯადია მხოლოდ გამეორების შემთხვევაში, კერძოდ, აღსკ-ის 45¹ მუხლის 1-ლი ნაწილით აღმინისტრაციული

453 იხ. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის N2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“ 92-ე გრაფა.

სახდელის შეფარდების შემდეგ ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ, გამოსაცდელ პერიოდში. აღნიშნული ქმედებათა კომენტარები მოცემულია სსკ-ის 260-ე მუხლის პარაგრაფში და მის განმეორებით აქ აღარ განმარტავთ. ამავე მუხლით დასჯადია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობის (ასევე დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის) მარიხუანისა და მცენარე კანაფის გასაღება, რომლის განმარტებაც შეგიძლიათ ნახოთ 260-ე მუხლის კომენტარებში.

შემდეგი პრობლემა, რაც შეიძლება წარმოიშვას სსკ-ის 273¹ მუხლთან მიმართებით, არის ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი, პირი, რომელიც სსკ-ის 273-ე მუხლის დარღვევისთვის არის მსჯავრდებული, ნასამართლობის პერიოდში უკანონოდ შეიძენს მცირე ოდენობის მარიხუანას, დაისჯოს 273¹ მუხლისთვის? კითხვა ლოგიკურია, რადგან 273¹ მუხლის პირველი ნაწილი განმეორებით ჩადენაზე მიუთითებს და ამასთან, ავიწროებს შემდეგი სიტყვებით - ჩადენილი ადსკ-ის 45¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. რამდენადაც 273¹ მუხლის დისპოზიციაში ხაზგასმია 45¹ მუხლზე, ნასამართლობასთან მიმართებით „ამ დანაშაულით“ ვიწროდ უნდა გავიგოთ და მასში მხოლოდ 273¹ მუხლი მოვიაზროთ.

რა ხდება მაშინ, როდესაც პირი მსჯავრდებული იყო 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით იმის გამო, რომ ქმედება ჩაიდინა მარიხუანის მოხმარებისთვის ნასამართლობის პერიოდში? რამდენადაც მარიხუანის მოხმარება დეკრიმინალიზდა, ლოგიკურია, რომ ეს დამამძიმებელი გარემოებაც მოეხსენება. სასჯელის შემამსუბუქებელ ახალ კანონს უკუძალა მიენიჭება⁴⁵⁴ (260-ე მუხლის მითითებულ დამამძიმებელ გარემოებაში ნარკოტიკის მოხმარებისთვის ნასამართლობის მოსაზრებაზე კრიტიკისთვის იხ. 273-ე მუხლის კომენტარი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მარიხუანის მოხმარება აღარ ისჯება (სისხლის სამართლის წესით, ხოლო ადმინისტრაციული წესით, განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, კვლავ ისჯება⁴⁵⁵). შეიძლება ითქვას, რომ მარიხუანის და მცენარე კანაფის ბრუნვასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ამკრძალავი ნორმა ტრანსფორმაციას განიცდის, რომელიც დროთა გან-

454 სუსგ #2კ-365აპ.-17.

455 ადსკ 45¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით აკრძალულია „[მცენარე კანაფის ან მარიხუანის] 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“, ხოლო მე-6 ნაწილის მიხედვით აკრძალულია „[მცენარე კანაფის ან მარიხუანის] მოხმარება ქუჩაში, ეზოში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, სასამართლოში, აეროპორტში, სამედიცინო დაწესებულების ან/და ფარმაცევტული დაწესებულების შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, კინოთეატრში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კაფეში, რესტორანში, ნებისმიერი სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტსა და საჰაერო ტრანსპორტში), ავტოსადგურში, რკინიგზის სადგურში ან/და საჯარო სივრცეში სხვა ადგილას“.

მავლობაში შესაძლოა საერთოდ გაქრეს სისხლის სამართლის კოდექსიდან. ამ პროცესებს გადის არა მხოლოდ საქართველო, არამედ ძალიან ბევრი სხვა ქვეყანაც (დანგრ. იხ. თავი I).

§ 16. იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხ. 274)

ქმედების შემადგენლობა - „ნარკომანიის მიერ სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება“, რაც ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება სსკ-ის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ გადმონაშთია ძველი კანონმდებლობიდან, რომლის დასჯადობაც უკვე აღარ შეესაბამება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებულ თანამედროვე სტანდარტებს. ეს კი, თავის მხრივ, აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობითაც⁴⁵⁶. თანამედროვე ეოქაში პაციენტის იძულებითი მკურნალობა გათანაბრებულია წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან⁴⁵⁷.

საქართველოში ნარკოდამოკიდებულების მკურნალობას აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც ნარკომანიით დაავადებულ პირთა ნარკოლოგიური დახმარების ნებაყოფლობითობასა და კონფიდენციალობის დაცვის პირობებს ადგენს⁴⁵⁸. შედარებით უფრო ძველი კანონმდებლობითა და პრაქტიკით⁴⁵⁹, საქართველოში მიღებული იყო წამალდამოკიდებული მსჯავრდებული პირისათვის იძულების ღონისძიების სახით სავალდებულო მკურნალობის დანიშვნა სასჯელთან ერთად, რაც 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილებით ამოღებულია სსკ-დან და მსგავსი მექანიზმი უკვე აღარ არსებობს. მკურნალობის ნებაყოფლობითობის და ბიანის შემცირების აუცილებლობის სულისკვეთებაა გამოხატული ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიაშიც⁴⁶⁰.

456 პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი „სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვნობის, ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ინფორმირებული თანხმობის მიღება წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების გაწევას“.

457 ადამიანის უფლებებთან იძულებითი მკურნალობის შეუთავსებლობაზე იხ. Human Rights and Drug Policy: Briefings for the UN Commission on Narcotic Drugs. Briefing 4: Compulsory Drug Treatment. Open society foundations. December 2010. ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე: <https://www.opensocietyfoundations.org/publications/human-rights-and-drug-policy> (ნანახია 23.1.2019).

458 მუხლი 34.

459 იხ. სუსგ #23-183კოლ.-05. „[მსჯავრდებულს], როგორც ნარკომანიით დაავადებულს, საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაენიშნა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება“.

460 ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია. 12.

რამდენადაც არ არსებობს ქართულ სინამდვილეში ნარკომომხმარებლის იძულებითი მკურნალობის საკანონმდებლო საფუძველი, შესაბამისად, ვერც მისი თავიდან არიდებისთვის იქნება სახელმწიფოს რეპრესიული რეაგირება შესაძლებელი. პირს ნებისმიერ დროს აქვს უფლება უარი თქვას დაწყებულ მკურნალობაზე, რაც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად დანაშაულის შემადგენლობა შემორჩენილია სსკ-ში, ის, ფაქტობრივად, დეკრიმინალიზებულია და დროის საკითხია, როდის ამოიღებენ 274-ე მუხლს, ამიტომ წინამდებარე პარაგრაფში ქმედების შემადგენლობის ელემენტების განმარტება არ არის აუცილებელი.

თავი IV. ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პრაქტიკული საკითხები

წინამდებარე თავში შევხებით რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულის გამოვლენის შემდეგ მიმდინარე პროცესებს, როგორც გამოძიების, ისე - სასამართლოში განხილვის ეტაპებს, კერძოდ სსკ-ის 260-ე, 262-ე, 264-ე, 265-ე, 273-ე და 273¹ მუხლების გამოძიებისას არსებულ გამოწვევებსა და პრაქტიკულ საკითხებს ზოგადად.

საგამოძიებო მოქმედებების განხილვისას, შევხებით საგამოძიებო მოქმედებებს იმ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ასევე, შევხებით საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ნარკოდანაშაულის საქმეების სასამართლოში განხილვისას.

§ 1. ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიების დაწყება და საგამოძიებო მოქმედებები (სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით)

უპირველეს ყოვლისა, საგამოძიებო მოქმედებები იწყება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის მიერ ნარკოტიკული ან სხვა აკრძალული ნივთიერების ფლობის შესახებ ინფორმაციის მიღებით (ძირითადად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება), რაზეც დგება პატაკი, თუმცა, პატაკზე და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებზე, ასევე პრობლემატიკაზე, ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. დანაშაულის შესაძლო საგნის აღმოჩენის შემდეგ იწყება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები. პირველი საგამოძიებო მოქმედება არის პირის ან საცხოვრებელი ადგილის, ავტომანქანის და ა.შ. ჩხრეკა და ამოღებული ნივთმტკიცების (სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და ა.შ.) შესაბამისი წესით დათვალიერება/დალუქვა. ჩხრეკა/ამოღება არის უმნიშვნელოვანესი საგამოძიებო მოქმედება, რომელზეც, პრაქტიკულად, მთელი ნარკოტიკული დანაშაულის საქმე შენდება და ის დარეგულირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე (ამოღებისა და ჩხრეკის წესი) და 121-ე მუხლებით (პირადი ჩხრეკა). ჩხრეკის დაწყებამდე პირს უნდა გაეცნოს ჩხრეკის საფუძველი (განჩინება ან გამოძიების დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების შესახებ) და განემარტოს მისი უფლებები. ეს მოქმედება არის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების კანონიერებისათვის.

ჩხრეკა/ამოღების ოქმი უნდა შედგეს ზედმიწევნით ზუსტად, ყველა დეტალის აღწერითა და დაფიქსირებით. მათ შორის, ჩხრეკა/ამოღების ადგილის ზუსტი მისამართისა და ადგილმდებარეობის დაფიქსირებით, და რაც ყველაზე მთავარია, მასში მონაწილე პირების დასახელებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრე-

ბით მნიშვნელოვანია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვისას, ბრალდებულმა უფრო მეტი პოლიციელის ჩართულობა გამოავლინა საგამოძიებო მოქმედებებში, ვიდრე ბრალდების მხარემ.⁴⁶¹ ცხადია, ამგვარ ფაქტებს სასამართლო არ განმარტავს ბრალდების მხარის სასარგებლოდ (იხილეთ ზემოხსენებული განაჩენი).

რაც შეეხება ჩხრევის შედეგად ამოღებულ ნივთმტკიცებას, ეს მოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც საგამოძიებო ორგანოსთვის, ისე იმ პირისთვის, რომლისგანაც ამოიღეს აღნიშნული ნივთი/ნივთიერება. ნივთმტკიცების დათვალიერებისა და დალუქვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლი. აუცილებელია, რომ ნივთმტკიცების დათვალიერება და აღწერა მოხდეს ზედმინევით ზუსტად, აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, რადგან სსკ-ის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის დროს, მხოლოდ ის მტკიცებულება დასაშვებია, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება, ხოლო ავთენტიკურობის ერთ-ერთი დამადასტურებელი გარემოება, სწორედ ობიექტის ამოღების დროს მისი ზედმინევით აღწერა და დახასიათებაა, ვინაიდან სასამართლო განხილვისა და ნივთმტკიცების დასაშვებობის განხილვის დროს, მხარეები სწორედ ამ გარემოებებზე ამახვილებენ ყურადღებას.

გამოძიების შემდგომი ნაბიჯია დალუქული ნივთმტკიცების ქიმიურ ექსპერტიზაზე გადაგზავნა, სადაც რეალურად უნდა დადგინდეს ამოღებული ნივთიერების შემადგენლობა და ოდენობა. გამოძიებელი მიმართვის საფუძველზე უგზავნის ნივთმტკიცებას საექსპერტო დაწესებულებას და უსვამს ექსპერტს ორ კითხვას:

1. წარმოადგენს თუ არა ამოღებული ნივთიერება ნარკოტიკულ/ფსიქოტროპულ/ახალ ფსიქოაქტიურ საშუალებას და რომელს?
2. რა ოდენობით ნარკოტიკულ/ფსიქოტროპულ/ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს წარმოდგენილი ნივთმტკიცება?

ექსპერტი გამოძიებლის მიმართვის საფუძველზე ატარებს შესაბამის კვლევას და გასცემს ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ნარკოტიკული საშუალების/ფსიქოტროპული ნივთიერების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების სახეობა და რაოდენობა. აღნიშნული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს პროკურორს ბრალის შესახებ დადგენილება კონკრეტულ მუხლთან მიმართებით, რადგან ნივთიერების სახეობა და რაოდენობაა განმსაზღვრელი ფაქტორი ქმედებაზე კონკრეტული მუხლის, მუხლის ნაწილისა და ქვეპუნქტის მისადაგებისათვის.

ასეთ დროს, არსებობს საგამონაკლისო მიდგომა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებასთან მიმართებით, ვინაიდან მას არ გააჩნია მცირე, ე.წ. სისხლის სამართლის საწყისი, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა. ამ შემთხვევაში, თუ

461 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი #1/1623-17, პარაგრაფი 2.5.

ამოღებული ნივთიერება არის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, მიუხედავად მისი ოდენობისა, პირს პასუხისმგებლობა, ყველა შემთხვევაში, დაეკისრება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ექსპერტიზის მიმდინარეობისას, შესაძლოა ამოღებულ ნივთიერებაში აღმოჩნდეს რამდენიმე დასჯადი სუბსტანცია. ამ შემთხვევაში, თითოეული სუბსტანცია დგინდება და იწონება დამოუკიდებლად. პასუხისმგებლობაც პირს დაეკისრება თითოეულ სუბსტანციის კონკრეტული ოდენობის შეძენა-შენახვისთვის.

მაგალითად, პეტრეს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება, რომლის საერთო წონა იყო 1.5 გრამი, შეიცავს 0.005 გრამ ამფეტამინს, 0.003 გრამ მდმა-ს და დანარჩენი კი არანარკოტიკული მინარეგია. შესაბამისად, ვინაიდან ამფეტამინსა და მდმა-ს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არ გააჩნია მცირე ოდენობა, 1 გრამამდე მათი ნებისმიერი დოზა წარმოადგენს დიდ ოდენობას, პეტრეს პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის. ხოლო თუ ამოღებული ნივთიერება შეიცავს 1.01 გრამ მდმა-ს და 0.004 გრამ ამფეტამინს, მაშინ პეტრეს ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ამფეტამინთან მიმართებით), ასევე, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რადგან ზემოხსენებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, 1 გრამზე მეტი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება მდმა წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას.

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, იგი ბრალდებულის სახით გამოიკითხება. ამ მოქმედებას წინ უსწრებს ჩხრეკასა და დაკავებაში მონაწილე პირთა გამოკითხვა. ეს უკანასკნელი, მეტად მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა, ვინაიდან მათ დეტალურად უნდა აღწერონ, თუ როგორ მოხდა პირის ჩხრეკა, სავარაუდოდ აკრძალული სუბსტანციის ამოღება, მისი აღწერა/დალუქვა. ეს მოქმედება აღიწერება ჩხრეკა/ამოღების ოქმში, რომელშიც მიეთითება საგამოძიებო მოქმედების საფუძველი, შემდგომ დეტალურად აღინუსხება საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, მასში მონაწილე პირები და მათი როლები, შედგინებული დეტალურად უნდა აღიწეროს ჩხრეკის/ამოღების ოქმში ამოღებული სავარაუდოდ კანონსაწინააღმდეგო ნივთი/ნივთიერება, სსკ-ის 77-ე მუხლის შესაბამისად. ამ დოკუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხოლმე ნარკოტიკული დანაშაულის არსებობისას, ვინაიდან ჩხრეკის/ამოღების ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შემთხვევაში, ნივთმტკიცებაც მიიჩნევა დაუშვებელ მტკიცებულებად, რაც გამორიცხავს ნარკოტიკული დანაშაულის ობიექტის კანონიერებას, შესაბამისად, დანაშაულის ობიექტის არარსებობის შემთხვევაში, არ არსებობს ნარკოტიკული დანაშაულიც, როგორც ასეთი. შესაბამისად,

მხარეები, კერძოდ კი დაცვის მხარე, ყოველთვის ცდილობს იზოგოს ჩხრეკის/ ამოღების ოქმში იმგვარი უზუსტობა ან შეცდომა, მისი რეალურ ვითარებასთან შეუსაბამობის დამადასტურებელი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ოქმის ავთენტიკურობას ან კანონიერებას.

1. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სამართალდამცველების ჩვენების შეფასება

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, კერძოდ კი, 260-ე, 261-ე, 265-ე, 273-ე, 273¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, გამამტყუნებელი განაჩენი გამოდის მხოლოდ მონმე-პოლიციელების ჩვენებებისა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ეს პრაქტიკა არაერთხელ გააკრიტიკეს საერთაშორისო ავტორიტეტულმა ინსტიტუტებმა, კერძოდ, მხოლოდ პოლიციის ჩვენებაზე დაყრდნობით პირის მსჯავრდებასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც დააფიქსირა პოზიცია საქართველოს მიერ ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების მონიტორინგის ანგარიშში: „გვსურს აღვნიშნოთ, რომ ასამბლეამ სხვა შემთხვევებშიც დააფიქსირა პოზიცია, რომ სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციის მტკიცებულებაზე დაყრდნობით, პირის მსჯავრდება მიუღებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით⁴⁶²“.

რაც შეეხება თავად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ის, ზოგადად, პოლიციელის ჩვენების სანდოობას არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, თუმცა, ამავდროულად, მრავალ გადაწყვეტილებაში უთითებს იმ განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებაზე, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ ინციდენტთან დაკავშირებული პოლიციელის ჩვენების შეფასებისას, მათი მხრიდან მიკერძოებისა და სუბიექტურობის გამოსარიცხად.

წარმოგიდგინთ შესაბამის მაგალითებს:

საქმეში *მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiasvili v. Georgia)*, #18996/06, 9 ოქტომბერი, 2012 სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ პოლიციელთა ჩვენებები, შესაძლოა, ყოფილიყო სუბიექტური და სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა მათი მხრიდან ბრალდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. კერძოდ, წინამდებარე საქმეზე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (პუნქტი 82) აღნიშნულია, შემდეგი:

462 ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოს პატივისცემა ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების მიმართ“, დოკ. 12554, 28 მარტი, 2011, 21, 105-ე პარაგრაფი. <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-EN.asp?FileID=12656&lang=EN> (ნანახია 22.4.19.).

„82. სასამართლო მიუთითებს მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით, ეროვნული ორგანოების მხრიდან, გარკვეულწილად, არაერთგვაროვან მიდგომაზე. ეროვნული ორგანოების გადანწყვეტილებებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი დაეყრდნენ, ძირითადად, ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს. მუხედავად იმისა, რომ მომჩივნის ჩვენების ნაწილი შეიტანეს გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადანწყვეტილებაში, შიდა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ეს განცხადება იყო სანდო, ვინაიდან ის ასახავდა პირად აზრს და წარმოადგენდა მომჩივნის მიერ წამოყენებულ ბრალდებას. თუმცა, შიდა სასამართლოსთვის მისაღები გახდა [ინციდენტში მონაწილე] პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა საკმარისი დამაჯერებელი განმარტებების გარეშე იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მათი ჩვენებები, შესაძლოა, ყოფილიყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა მათი მხრიდან მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. ამ კუთხით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა ასევე უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ვინაიდან გამოძიებას უნდა დაედგინა, უნდა დაკისრებოდათ თუ არა მათ პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის ბრალდებების საფუძველზე (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები *ოგნიანოვა და ჩობანი ბულგარეთის წინააღმდეგ (Ognyanova and Choban v. Bulgaria)*, #46317/99, §99, 23 თებერვალი 2006, და *ანტიპეკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Antipekov v. Russian Federation)*, #33470/03, §69, 15 ოქტომბერი 2009).⁴⁶³

საქმეში *დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Dvalishvili v. Georgia)*, #19634/07, 18 დეკემბერი, 2012⁴⁶⁴, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ

„50. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მიუთითებს მოცემულ საქმეში შესაბამისი ორგანოების მხრიდან მტკიცებულებათა არათანმიმდევრულ შეფასებაზე. აშკარაა, რომ პროკურატურისა და შიდა სასამართლოების გადანწყვეტილებები, ძირითადად, ეფუძნება ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, მომჩივნის აღიარებით ჩვენებასა და მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დროს ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგებს. სასამართლოსთვის გაუგებარია, რომ პასუხისმგებელი ორგანოები არასათანადო მოპყრობის შესახებ მომჩივნის ბრალდებების შემონქმების ნაცვლად, დაეყრდნენ მის აღიარებით ჩვენებას, რომელიც, როგორც მომჩივანმა განაცხადა, ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მისცა (იხ. § 26). ამასთანავე, პროკურატურამ და სასამართლოებმა ყოველგვარი დამაჯერებელი არგუმენტების გარეშე მიიღეს მხედველობაში [ინციდენტში მონაწილე] პოლიციელთა ჩვენებები, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აღნიშნული ჩვენებები შესაძლოა იყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას. აღნიშნულ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა ასევე კითხვის ნიშნის

463 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილება #18996/06.

464 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილება #19634/07.

ქვეშ უნდა დამდგარიყო, ვინაიდან გამოძიებას უნდა დაედგინა მათი დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი (იხ. *ოგნიანოვა და ჩობანი ბულგარეთის წინააღმდეგ*, #46317/99, §99, 23 თებერვალი 2006 და *ანტიპეკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, #33470/03, § 69, 15 ოქტომბერი 2009).

ევროპულმა სასამართლომ პოლიციელების ჩვენებების მტკიცებით ძალასთან დაკავშირებით საქმეში *ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Ochelkov v. Russia)*, #17828/05, § 90, 11 აპრილი, 2013⁴⁶⁵, არასარწმუნოდ მიიჩნია გამოძიება, რომელიც საკუთარ დასკვნებს ამყარებდა მხოლოდ მონმე პოლიციელების ჩვენებებზე და დამატებით აღნიშნა, რომ:

„90. მთავრობა ევროპულად [ინციდენტში მონაწილე] პოლიციის ოფიცრების განცხადებებს... .. ამ ვუთხით, სასამართლო იზიარებს მომჩივნის არგუმენტებს, რომ ამ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს მცირე მტკიცებითი ძალა აქვს (მცირე მნიშვნელობისაა), თუ ისინი არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით)...“

ევროპულმა სასამართლომ საქმეში *ვირაბიანი სომხეთის წინააღმდეგ (Virabyan v. Armenia)*, #40094/05, 2 ოქტომბერი 2012⁴⁶⁶ არასაკმარისად ჩათვალა მხოლოდ ორი პოლიციელის განმარტება გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად და მიიჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნულით სახელმწიფოს თითქმის არაფერი გაუკეთებია სადავო ინფორმაციის გადასამოწმებლად.

საქმეში *ბარაბანშიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Barabanshchikov v. Russia)*, #36220/02, 8 იანვარი, 2009⁴⁶⁷, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოლიციის ოფიცერთა ჩვენებებისას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მათი ჩვენებები შესაძლოა ყოფილიყო თავდაცვითი ტაქტიკის და მიზნად ჰქონოდა განმცხადებლის ჩვენების სარწმუნოების ეჭვქვეშ დაყენება. სახელმწიფოს მხრიდან საქმე გვქონდა ორმაგ სატანდარტთან, რომლითაც განმცხადებლის ჩვენება მიჩნეული იყო სუბიექტურად, ხოლო სამართალდამცველებისა - არა. პოლიციის ოფიცერთა ჩვენებაც უნდა დამდგარიყო ეჭვქვეშ და გამოძიებას უნდა დაედგინა, ხომ არ დაეკისრებოდათ მათ რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

კერძოდ, მემოხსენებული საქმის პარაგრაფი 61: „...სასამართლო შენიშნავს შერჩევით და არათანმიმდევრულ მიდგომას მტკიცებულებათა შეფასებისადმი საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. სასამართლოსათვის წარდგენილი გადაწყვეტილებიდან აშკარაა, რომ პროკურორის ასისტენტი თავის დასკვნებს აყრდნობს მხოლოდ შემთხვევაში ჩართულ პოლიციის ოფიცერთა მიერ მიცემულ ჩვენებებს. გარდა ამისა, ამონარიდები განმცხადებლის ჩვენებებიდან ჩართული იყო გადაწყვეტილებაში, რომ არ დაწყებულიყო სისხლის სამართალწარმოება – პროკურორის ასისტენტმა ეს ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ იგი ასახავდა პირად თვალსაზრისს და

465 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #17828/05.

466 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #40094/05.

467 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #36220/02.

წარმოაჩინდა განმცხადებლის ბრალდებით ტაქტიკას. თუმცა, გამომძიებელმა სარწმუნოდ მიიჩნია პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენებებს შეიძლებოდა წარმოეჩინა თავდაცვითი ტაქტიკა და მიზნად ჰქონოდა განმცხადებლის სარწმუნოების შერყევა. სასამართლოს ამრით, ჩვენებათა შეფასებისას გამოძიების მხარემ გამოიყენა სხვადასხვა სტანდარტი, რამდენადაც განმცხადებლის მიცემული ჩვენება ჩაითვალა სუბიექტურად, ხოლო პოლიციის ოფიცერთა – არა. ამ უკანასკნელთა ჩვენებების სარწმუნოება ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დამდგარიყო, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, ეკისრებოდათ თუ არა ოფიცრებს დისციპლინური ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა⁴⁶⁸.”

ბემოსხენებულ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, პრაქტიკულად, მიანიშნებს გამამტყუნებელი განაჩენის იმგვარ მტკიცებულებებზე დაყრდნობაზე, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენაში, რაც, ასევე, ეროვნულ სტანდარტსაც წარმოადგენს, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ასევე, სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

2. მტკიცებულებების შეფასება სასამართლოს მიერ და ობიექტური მტკიცებულება

ასევე მნიშვნელოვანია, ზოგადად რა საკითხებზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ განაჩენის გამოტანისას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁴⁶⁹, მოსამართლე განმარტავს: „...სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ არ არის საგაღდებულო, სასამართლო გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს პასუხს“. მოსამართლე

468 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #46317/99, § 99.

469 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი #1/1027-17, 23.1.2018.

ამ მოსაზრების გასამყარებლად იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების კონტექსტიდან ამოგლეჯილ მემოთ ციტირებულ ფრაზას. სინამდვილეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *სუომინენი ფინეთის წინააღმდეგ*⁴⁷⁰ (*Suominen v. Finland*) განმარტა, რომ: „...სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ არ არის სავალდებულო, სასამართლო გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს პასუხს“, თუმცა, ამავე გადაწყვეტილების 34-ე პარაგრაფშივე აღნიშნა, რომ: „...დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, რომელიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების ჯეროვან აღსრულებასთან, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები ადეკვატურად უნდა ასაბუთებდნენ იმ მიზეზებს, რომელთაც ისინი ემყარებიან. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოებს არგუმენტებით დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილებები, თუმცა, ეს არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ყველა წამოჭრილ კითხვაზე პასუხის გაცემის ვალდებულება. სასამართლო გადაწყვეტილების არგუმენტირების ფარგლები, რომელიც გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას ეხება, შესაძლოა გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე იცვლებოდეს. მით უმეტეს მნიშვნელოვანია, სასამართლომ *inter alia* გაითვალისწინოს მტკიცებათა მრავალფეროვნება, რომელთაც მხარე წარმოადგენს სასამართლოში...“. ანუ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის სასამართლოსთვის სავალდებულო და ამის გარეშე ის არ დაარღვევს კონვენციით გარანტირებულ მე-6 მუხლის მოთხოვნებს, თუმცა, მეორე მხრივ, ავალდებულებს მას მხარეების მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების და ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებების განმარტებას.

3. რა შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ მტკიცებულებად?

ცხადია, ობიექტურ მტკიცებულებად უნდა მივიჩნიოთ იმგვარი მტკიცებულება, რომელიც მიუკერძოებელია (არა ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცველების და ბრალდებულის ჩვენება) და ემყარება უდავო სამეცნიერო ცოდნას, მაგალითად, გენეტიკური ექსპერტიზა, ე.წ. დნმ-ის კვლევა, რომელიც უდავოდ ადასტურებს პირის შემხებლობას ამოღებულ ნივთმტკიცებასთან, ან აშკარა, თვალსაჩინო მტკიცებულება, მაგალითად, ჩხრეკის მიმდინარეობის ვიდეოფიქსაციის შედეგად მოპოვებული ჩანაწერი, მასზე დეტალურად აღბეჭდილი ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების პროცესით.

რაც შეეხება გენეტიკურ კვლევას, ე.წ. დნმ კვლევას, ამასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა⁴⁷¹. საქმის არსი ის იყო, რომ პირი ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის

470 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #37801/97.

471 სუსგ #96აპ-17.

კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, ასევე სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების მიერ სასამართლო სხდომაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში, სხვებთან ერთად, წარდგენილი იყო შემდეგი ძირითადი მტკიცებულებები: პოლიციელების ჩვენებები, ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა და ჩხრეკის ოქმი. დაცვის მხარის მიერ სასამართლოს წარედგინა ბიოლოგიური (გენეტიკური) და დაქტილოსკოპიური დასკვნა, რომელთა მიხედვითაც, ამოღებულ ნივთმტკიცებაზე არ აღინიშნებოდა ბრალდებულის გენეტიკური პროფილი და არც თითის ანაბეჭდის კვალი. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, როგორც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ, ისე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განმარტეს, რომ მხოლოდ პოლიციელების ჩვენება არ იყო საკმარისი პირის მსჯავრდებისათვის და დაეყრდნენ მემოხსენებელი ექსპერტიზების დასკვნას, რის საფუძველზეც ორივე ინსტანციამ გაამართლა ბრალდებული. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა პროკურორის საკასაციო საჩივარი და გამართლებული პირი ცნო დამნაშავედ. არგუმენტად მოიყვანა გენეტიკური ექსპერტიზის და ასევე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტების განმარტებები, რომ გენეტიკური თუ სხვა კვალის ნივთმტკიცებაზე შენარჩუნება დამოკიდებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორზე და ამ გარემოებაზე არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციოს არ უმსჯელია, „მხოლოდ ბიოლოგიური (გენეტიკური) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, მით უფრო იმ მოცემულობით, როდესაც ექსპერტები განმარტავენ, თუ რა შემთხვევაში და რა ალბათობით არის შესაძლებელი, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე დარჩეს კვალი და რომელი გარემოებები გამოირიცხავს კვალის დარჩენის შესაძლებლობას, არ წარმოადგენს უპირობოდ გამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს“. ეს არგუმენტი, ვფიქრობთ, არ არის მართებული, ვინაიდან მოწმე პოლიციელების ჩვენებების შეფასებაზე წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრეთ, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ სამართალდამცავთა ჩვენებების შეფასების კონტექსტში.

სამწუხაროა, რომ სწორედ უზენაესი სასამართლოს განაჩენშია ამგვარი არგუმენტაცია მოყვანილი, მაშინ, როდესაც სწორედ საკასაციო სასამართლო აღგენს ერთგვაროვან პრაქტიკას.

რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედების ვიდეო-ფოტო ფიქსაციას, ამასთან დაკავშირებით არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის #1/1623-17 განაჩენი, რომელშიც მოსამართლე ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი და მოიპოვოს უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ, მემოხსენებელი განაჩენის 2.10 პუნქტში მოსამართლე აღნიშნავს „საგამოძიებო ორგანოების არაკომპეტენტურობაზე ან/და ბრალდებულის მიმართ პირადი დაინტერესების თაობაზე ეჭვს აჩენს ასევე გამოძიების ეტაპზე განხორციელებული ღონისძიებების არასრულყოფი-

ლი სახე, კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მაშინ როდესაც საგამოძიებო ორგანოს ერთი კონკრეტული სამმართველოს მთელი განყოფილება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიდის ღონისძიების განსახორციელებლად, ისმის კითხვა, რატომ არ ახდენს აღნიშნული ღონისძიების ვიდეო გადაღებას, ასევე არ ასწრებს საგამოძიებო მოქმედებაზე გარეშე პირს... სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო არა დანაშაულზე წასწრების ფაქტი, რაც იმნუთიერია და ობიექტურად შესაძლოა ვერ მოხერხდეს შესაბამისი ტექნიკით პოლიციელთა აღჭურვა, არამედ საგამოძიებო ღონისძიების დაგეგმვას საფუძვლად დაედო ოპერატიული ინფორმაცია. წინასწარ ინფორმაციის მიღება პოლიციელს ავალდებულებს, მოახდინოს მობილიზება სრულყოფილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების და ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის თვალსაზრისით“.

ზემოხსენებული გამამართლებელი განაჩენის სასამართლოს შეფასების ნაწილში, მოსამართლე, პრაქტიკულად, ადგენს სტანდარტს, რომ უნდა არსებობდეს ობიექტური, ყველასთვის უდავო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას კონკრეტული პირის მიერ და პრაქტიკულად, არაკომპეტენტურობაში, ან/და ბრალდებულის მიმართ პირადი დაინტერესების არსებობაში ადანაშაულებს საგამოძიებო ორგანოს, რომელმაც არ მოიპოვა ობიექტური მტკიცებულება პირის ბრალეულობის დასადასტურებლად.

ასევე, მოსამართლე მიუთითებს, რომ მიუხედავად საგამოძიებო მოქმედებაში მოწმის დასწრების ვალდებულების არარსებობისა, გამოძიებამ მაინც უნდა დაასწროს გარეშე პირი საგამოძიებო მოქმედებას, თუ ის იმყოფება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიმდებარედ.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი სტანდარტია, ვინაიდან წინამდებარე ნაშრომში განხილულ საქმეებს აქვს ორი საერთო მახასიათებელი:

1. ყველა მათგანში განაჩენი ემყარება მოწმე პოლიციელების ჩვენებებსა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას;
2. ყველა საქმე იწყება ოპერატიული ინფორმაციის შესახებ პატაკის საფუძველზე.

4. ოპერატიული ინფორმაცია, როგორც მტკიცებულება

რაც შეეხება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას, ამ შემთხვევაში სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე. საქმე იმაშია, რომ ოპერატიული ინფორმაცია წარმოადგენს პირის ჩხრეკის საფუძველს. თავად ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობას არათუ მხარეები, არამედ სასამართლოც კი მოკლებულია. ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების შეუძლებლობა გასაჩივრებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2017 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელე გიორგი ქებურიათ N1276⁴⁷² სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელში აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა რაიმე ფორმით მოიპოვოს თუნდაც შემლუდული წვდომა დანაშაულის შესახებ პირველწყაროს, კონფიდენტის შესახებ ინფორმაციაზე, რაც ბრალდების მიერ შემოთავაზებული ვერსიის უარსაყოფად მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს. ამასთან, ასეთ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს საქმის განმხილველ მოსამართლესაც, რაც პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთ ასპექტთან მიმართებით დამოუკიდებლადაც პრობლემურია. ამ დროს, სასამართლოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებითაც სადავო ნორმებით იქმნება საფრთხე, მოსარჩელის წინააღმდეგ საქმეზე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის, ისეთი ინფორმაციისთვის ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულების სტატუსის მინიჭებით და მისი გამოყენებით, როგორცაა, მაგ. იმ პოლიციელების ჩვენება, რომლებიც არაიდენტიფიცირებადი კონფიდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას პატაკში ასახავენ (ეს არც პირდაპირ და არც ირიბ ჩვენებას არ წარმოადგენს), ან/და ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, როგორცაა ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება და მასთან უშუალოდ დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნები [ამოღებული ნივთიერების ოდენობასა და სახეობაზე], როდესაც მათ სანდოობასთან დაკავშირებით ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი ეჭვების გაბათილება არ/ვერ მოხდა.“

ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების შეუძლებლობა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოშობს დაცვის მხარისა და სასამართლოსთვის, ვინაიდან, პრაქტიკულად, ოპერატიული ინფორმაცია წარმოადგენს პირის ჩხრეკის საფუძველს როგორც გადაუდებელი აუცილებლობით, ისე - სასამართლოს განჩინებით. ცხადია, როდესაც ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება, მისი ავთენტიკურობის დადგენა, სასამართლომ ის არ უნდა მიიღოს როგორც მტკიცებულება, ვინაიდან პატაკის ავტორის გამოკითხვა არც ირიბ და არც პირდაპირ ჩვენებას არ წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ვერ მოვიხივებთ პრეცედენტს, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ პატაკი ცნობილი იქნა დაუშვებელ მტკიცებულებად

472 საკონსტიტუციო სარჩელი, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <http://constcourt.ge/ge/court/sarchelebi> (ნანახია 30.4.2019).

მისი ავთენტიკურობის დაუდასტურებლობის მიზეზით. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან ჩხრეკას საფუძვლად დადებული დოკუმენტის და ინფორმაციის მიმღები სამართალდამცველის გამოკითხვის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, ცხადია, თავად ჩხრეკის უკანონობის შესახებ მსჯელობის ასპარეზს ხსნის. უმნიშვნელოვანესი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოხსენებულ სარჩელთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ადამიანის უფლებთა დაცვის ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*,⁴⁷³ რომელშიც სასამართლომ ჩხრეკის კანონიერებაზე მსჯელობისას განმარტა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არასათანადოდ განიხილეს ჩხრეკის კანონიერება, კერძოდ, მოსამართლეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, შეეფასებინათ ოპერატიული ინფორმაცია და, ასევე, ნამდვილად არსებობდა თუ არა ჩხრეკის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების საფუძველი. ჩხრეკისას პროცედურული დარღვევები ვერ განიხილეს სასამართლო პროცესზე მოწმე პოლიციელების დაკითხვით, რომლებიც, თავის მხრივ, დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ. შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა უმთავრესი მტკიცებულება - პირადი ჩხრეკის ოქმი, ედავა მის და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცების კანონიერებაზე. განხილულ საქმეში მთავარი მტკიცებულება სწორედ ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულება იყო. სასამართლომ ამ შემთხვევაში დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა პატაკის ავტორის მონაწილეობა შემდგომ საგამოძიებო მოქმედებებში. პროცედურის მიხედვით, პატაკის ავტორი, ანუ სამართალდამცველი, რომელიც მიიღებს ოპერატიულ ინფორმაციას, უნდა გამოიკითხოს გამომძიებლის მიერ. სწორედ ამის შემდგომ იძენს პატაკი საგამოძიებო ღირებულებას. ინფორმაციის მიმღები პირი ავტომატურად ხდება მოწმე და იძენს შესაბამის ვალდებულებებს. საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, მოწმის სახით გამოკითხულ პირს, ანუ მოწმეს, აღარ შეუძლია მოცემულ საქმეზე ჰქონდეს გამომძიებლის სტატუსი.

მოწმის სახით გამოკითხული სამართალდამცველის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ემსახურება საქმესთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციის ან მტკიცებულების მოპოვება, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, განიმარტება ამგვარად: „გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება“. შესაბამისად, ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ პატაკის ავტორი, რომელიც გამოიკითხება მოწმის

473 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება #36416/06.

სახით, უნდა ჩამოშორდეს საქმის გამოძიებას, მათ შორის, ტექნიკური, დამატებითი დოკუმენტების მოპოვებასაც კი, ვინაიდან ის უკვე სარგებლობს მოწმის სტატუსით.

რაც შეეხება, ზოგადად, ობიექტური მტკიცებულების მოპოვების საკითხს, ეს ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისას საკვანძო საკითხია. სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოძიებელი ვალდებულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად აწარმოოს გამოძიება. გამოძიებელი ვალდებულია, საქმეზე გამოძიების წარმოებისას მოიპოვოს და დაცვის მხარის მოთხოვნისთანავე გაუცვალოს მას როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ამ კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია, გამოძიებამ გაითვალისწინოს, რომ ბრალდებულს შეუძლია დუმილის უფლება ნებისმიერ დროს ექსკლუზიურად გამოიყენოს, ასევე შეცვალოს ჩვენება. ბრალდებულის ეს შესაძლებლობა, ცხადია, ბრალდების მხარისთვის ყურადსაღებია. სწორედ ამიტომ, გამოძიებამ უნდა შეაგროვოს იმგვარი ობიექტური მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ ქმედების ჩადენაში.

ე.წ. ობიექტურ მტკიცებულებებზე ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. შეჭამებისთვის, კიდევ განვმარტავთ, რომ ობიექტურია ის მტკიცებულება, რომელიც ეფუძნება ობიექტურ სამეცნიერო ცოდნას ან გარემოებების ობიექტურ ვიზუალურ აღწერას (მაგ. ვიდეოჩანაწერი), რომელიც არ აჩენს კითხვებს ამ მტკიცებულების მიკერძოებულობასა და სუბიექტურობაზე.

5. ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით

აღსანიშნავია 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, კერძოდ, აკრძალული ნივთიერების გასაღების პრაქტიკული/პროცესუალური სპეციფიკა. ერთმნიშვნელოვნად, ზემოხსენებული ქმედება, მისი სოციალური საშიშროებიდან გამომდინარე, ნარკოტიკულ დანაშაულთა შორის ყველაზე მძიმე ქმედებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ კონკრეტული კვალიფიკაციით განაჩენის გამოტანისას სასამართლო დიდ ყურადღებას ანიჭებს სწორედ „ობიექტურ“ მტკიცებულებებს. აკრძალული ნივთიერების უკანონოდ გასაღებისთვის პირის მსჯავრდებულად ცნობისთვის, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელია სწორედ ქმედების ვიდეოფიქსაცია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პირი მსჯავრდებულად იქნას ცნობილი მხოლოდ, მაგალითად, მოწმეთა ჩვენებების მიხედვით. გასაღებისას, ბრალდების მხარე არ დავობს კონკრეტული ნივთიერების შეძენა-შენახვაზე, რაც მარტივად დადასტურდება, მაგალითად, ჩხრეკის ოქმით და სხვა ტრასოლოგიური კვლევით, არამედ თავად გასაღების ფაქტზე, ანუ ერთი პირის მიერ მეორეზე ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე. შესაბამისად, სწორედ ამ ქმედების დამადასტურებელი

ობიექტური მტკიცებულების წარდგენა არის აუცილებელი სასამართლოში. ქართული მართლმსაჯულების სტანდარტი გასაღებასთან მიმართებით, საბედნიეროდ, საკმაოდ მაღალია. თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც პირი დამნაშავედ ცნეს ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებაში, სასამართლომ გადანყვეტილება, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დააფუძნა სწორედ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებულ ვიდეოჩანაწერს.

§ 2. სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების საკვანძო საკითხები

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების საგამოძიებო ასპექტებს, აქ მთავარი საკითხია პირის მიერ აკრძალული ნივთიერების საქართველოში შემოტანის ფაქტის დადასტურება.

262-ე მუხლის დისპოზიციის განხილვისას, დეტალურად გაანალიზდა, თუ რას წარმოადგენს შემოტანა და შემოტანის მცდელობა, ასევე, ამ ქმედების მომზადება. რაც შეეხება პრაქტიკულ საკითხებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად შემოტანის ფაქტის დადასტურებას. პრაქტიკის მიხედვით, უნდა არსებობდეს, მაგალითად, უწყვეტი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იქნება პირის მიერ საზღვრის გადმოკვეთა და ყოველგვარი ეჭვი აკრძალული ნივთიერების უკვე საქართველოს ტერიტორიაზე შექმნის შესახებ იქნება გაბათილებული; ან პირის ჩხრეკა და დაკავება მოხდება უშუალოდ საზღვრის გადმოკვეთისას, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს აკრძალული ნივთიერების უკვე საქართველოს ტერიტორიაზე შექმნისა.

ასევე, ხშირად ითვალისწინებენ პოლიციელების ჩვენებას, კერძოდ, მათ მიერ ბრალდებულზე განხორციელებული უწყვეტი თვალთვალის შესახებ, როდესაც აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, ნეიტრალური ზონიდან დაკავებამდე, ბრალდებული არ გასულა პოლიციელების მხედველობის არიდან და მას არ შეეძლო ნარკოტიკული საშუალება შეეძინა უკვე საქართველოს ტერიტორიაზე. ერთი შეხედვით, თუკი ბრალდებული აღიარებს ბრალად შერაცხულ ქმედებას, სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს ამგვარი ჩვენება, მაგრამ სასურველია, 262-ე მუხლის შემთხვევაში, ბრალდების მხარემ მაინც მოიპოვოს ობიექტური, უტყუარი მტკიცებულება, მაგალითად, გამოითხოვოს საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ჩანაწერები, რადგან ბრალდებულს აქვს ექსკლუზიური უფლება, ნებისმერ დროს შეცვალოს თავისი ჩვენება, მათ შორის, სხვა ინსტანციის სასამართლოშიც. შესაბამისად, უმჯობესია, ბრალდების მხარეს თავიდანვე ჰქონდეს მოპოვებული უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა პირის ბრალეულობას.

რაც შეეხება დისტანციურად, ელექტრონულად, უცხო ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების შექენისა და შემდგომ ფოსტის თუ სხვა საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოტანის საკითხს, როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ მთავარია პირის ჩართულობის ხარისხის დადგენა უშუალოდ შემოტანის ქმედებაზე. აუცილებელია, პირს, რომელსაც ბრალად ედება 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ჰქონდეს აკრძალულ ნივთიერებაზე „ბატონობის“ შესაძლებლობა (გზავნილის შეჩერება, მარშრუტის შეცვლა და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი მხოლოდ შექენა-შენახვისთვის უნდა დაისაჯოს მაშინ, როდესაც, მაგალითად, ის აიღებს გზავნილს უკვე საქართველოს ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში ხშირად, 262-ე მუხლთან ერთობლიობაში, პირს ავტომატურად, ბრალად შერაცხული აქვს 260-ე მუხლიც იმავე აკრძალულ ნივთიერებაზე, რაც უმეტესად არასწორია და უკანონოდ ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. 260-ე მუხლითაც (262-ე მუხლთან ერთად) პირის დამნაშავედ ცნობისათვის გამოძიება ვალდებულია, დაადასტუროს პირის მიერ შემოტანილი ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შექენის ფაქტი არა მხოლოდ თავად ბრალდებულის ჩვენებით, არამედ იმავე სტანდარტით, რაც ცალკე აღებული, 260-ე მუხლით პირის პასუხისმგებლისთვის იქნებოდა საკმარისი.

§ 3. ნარკოტიკული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

საქართველოს სისხლის სამართლის 264-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ან გამოძალვას.

ცხადია, მუხლის დისპოზიციიდანაც გამომდინარეობს, რომ, პრაქტიკულად, სპეციალურ ნორმასთან გვაქვს საქმე ზემოხსენებული ნივთიერებების მისაკუთრებისა და გამოძალვისას.

ყველაზე აქტუალური საკითხი, 264-ე მუხლის შემთხვევაში, პრაქტიკაში შემდგომია:

მაგალითად, პირმა, რომელიც მკურნალობს მეტადღონით ჩანაცვლების პროგრამაში, თავისი ულუფა მეტადღონი გამოიტანა დაწესებულების გარეთ, სადაც მას ნარკოტიკული საშუალება უნდა მოეხმარა. რამდენიმე წუთში, რაც მან დატოვა კლინიკა, ის შეაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და პირადი ჩხრეკისას აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალება მეტადღონი.

ამ შემთხვევაში, პრაქტიკა მრავალხრივ შეიძლება განვითარდეს:

1. პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა 264-ე მუხლით გათვალისწინ-

ნებული დანაშაულის ჩადენისთვის, ვინაიდან მას ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ არ შეუძენია, პირიქით, ექიმის დანიშნულებით, სპეციალურ დაწესებულებაში აიღო თავისი ულუფა, თუმცა, დანაშაული სწორედ მაშინ იწყება, როდესაც პირს შესაძლებლობა აქვს განკარგოს მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული ნარკოტიკული საშუალება. მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ პირს, მართალია, ექიმის მიერ დანიშნული აქვს ნარკოტიკული საშუალება, მაგრამ მან ის უნდა მიიღოს სპეციალურ დაწესებულებაშივე, ვინაიდან მას არ აქვს უფლება, განკარგოს მისთვის (მოსახმარებლად) განკუთვნილი ნარკოტიკული საშუალება. ვინაიდან ის ფარულად ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას და აქვს შესაძლებლობა განკარგოს ის, მას არ შეიძლება დაეკისროს უკანონოდ შეძენისათვის პასუხისმგებლობა.

2. რაც შეეხება იმავე მაგალითის მეორე ინტერპრეტაციას, პირს ასევე შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვისათვის, ანუ 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის შემდგომი ინტერპრეტაციით: მართალია, პირს უკანონოდ არ შეუძენია ნარკოტიკული საშუალება, ვინაიდან მას ექიმის მიერ ჰქონდა დანიშნული, თუმცა მას არ ჰქონია მისი შენახვის უფლება. შესაბამისად, იმ მომენტიდან, როდესაც შეუძლია თავისუფლად განკარგოს მის ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალება, ახორციელებს მის უკანონო შენახვას, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 260-ე მუხლით.
3. მესამე ინტერპრეტაცია კი, შესაძლოა, ამგვარი იყოს: პირი უნდა დაისაჯოს თვითნებობისთვის (სსკ-ის 360-ე მუხლი), ვინაიდან მას კონკრეტული უფლება (მიიღოს ნარკოტიკული საშუალება) მინიჭებული აქვს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ექიმის დანიშნულებით. „...თვითნებობა უფლების ისეთი განხორციელებაა, როცა უგულებელყოფილია მისი რეალიზაციის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი წესი⁴⁷⁴.“ შესაბამისად, მართალია, პირი კანონიერად იღებს ნარკოტიკულ საშუალებას, თუმცა, იგი უგულებელყოფს მისთვის კანონიერად მიკუთვნებული ნარკოტიკული საშუალების მიღების წესს (სპეციალურ დაწესებულებაში) და ნარკოტიკული საშუალების მისი კუთვნილი ულუფა გააქვს ამისთვის სპეციალურად განსაზღვრული დაწესებულებიდან შემდგომი მოხმარების მიზნით. ანუ, დგინდება თვითნებობა.

აღნიშნული საკითხი პრობლემურია და არ არსებობს ერთიანი პრაქტიკა, თუ რომელი შეფასება უფრო მართებული, თუმცა, როდესაც პრაქტიკაზე და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვაზე ვსაუბრობთ, ადვოკატს, ან პროკურორს შეუძლია ნებისმიერი მათგანის განვითარება, როგორც არგუმენტირებული მტკიცების.

474 ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა/მუმლაძე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 2005, 215.

კლასიკური შემთხვევა კი, რომელიც შეესაბამება 264-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, ასეთია: პირმა იცის, რომ მის მეგობარს, რომელსაც აქვს ონკოლოგიური დაავადება, ექიმის მიერ დანიშნული აქვს მორფინი და მას ინახავს თავის ოთახში. პირი თავისი მეგობრის ოთახიდან დაეუფლება მორფინის ამპულას. ამ შემთხვევაში პირის ქმედება წარმოადგენს 264-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. საინტერესოა, რომ 264-ე მუხლისთვის მნიშვნელობა არ აქვს მისაკუთრების ხერხს. ის შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქურდობით, ისე - ძარცვით, თაღლითობით და ა.შ. დამამაძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ძალადობა, ან ძალადობის მუქარა, რომელიც მისი სიმძიმიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

§ 4. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება

ისკ-ის 265-ე მუხლის გამოძიების მთავარი საკითხი არის დათესვის, მოყვანისა და კულტივირების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაზეც ზემოთ ნაწილობრივ გვექონდა საუბარი. ყველაზე მთავარი ნიუანსი 265-ე მუხლის შემთხვევაში არის განზრახვის დადგენა დათესვასთან მიმართებით. აუცილებელია პირს განზრახული ჰქონდეს, ნამდვილად იცოდეს, რომ მან დათესა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე და არა, მაგალითად, დეკორატიული ყვავილი, რომელიც შემდგომში, ამ პირისგან დამოუკიდებლად აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალების შემცველი ყაყაჩო.

265-ე მუხლის გამოძიების სირთულეც სწორედ ის არის, რომ აქ გამოძიება, პრაქტიკულად, დამოკიდებულია მოწმეთა ჩვენებებზე (განსაკუთრებით, დათესვის შემთხვევაში). დათესვა დამთავრებულია, თუ პირს შეცნობილი აქვს, რომ ის თესავს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მცენარეს. ცხადია, რთულია ამტკიცო, რომ პირს ნამდვილად შეცნობილი ჰქონდა ზემოხსენებული ქმედების არსი. ტრასოლოგიური კვლევებიც ვერ ეხმარება გამოძიებას დათესვის შემთხვევაში, შესაბამისად, მხოლოდ მოწმეების და სხვა გარემოებითი მტკიცებულებების ანაბარა უწევს გამოძიებას ფონს გასვლა.

მცენარე კანაფის დათესვასთან დაკავშირებით უფრო საინტერესო ვითარებაა, ვინაიდან მისი თესლი არ შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას, შესაბამისად, მცენარის სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე, კანაფის თესლის ნიადაგში მოთავსება არადასჯადი, ლეგალური ქმედებაა, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, თესლი არ შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას, ხოლო კანონით აკრძალულია სწორედ ამგვარი ნივთიერების შემცველი მცენარის დათესვა.

მოყვანის შემთხვევაში, საქმე გვაქვს მცენარის მოვლასთან, ანუ მისი მორწყვა, სარეველასგან გათავისუფლება, შეწამვლა და ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ამ მიზნისკენ არის მიმართული. როგორც დათესვის შემთხვევაში, აქაც განზრახვის არსებობის მტკიცების პრობლემას აწყდება გამოძიება. მაგა-

ლითისთვის, საპირისპიროს მტკიცება მოუწევს გამოძიებას, თუ პირი აცხადებს, რომ მან არ იცოდა, შეიცავდა თუ არა ნარკოტიკულ საშუალებას მის ბაღში არსებული ყაყაჩო, რომელსაც ის უვლიდა. დათესვისა და მოყვანის გამიჯვინსათვის მაგალითად მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევები: ველურად მზარდი კანაფის მოვლის შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მოყვანისათვის. თუ საქმე გვაქვს საცხოვრებელი სახლის პირობებში, ქოთანში არსებულ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მცენარესთან, გამოძიებას დასადგენი აქვს, თუ ვინ დათესა და ვინ უვლიდა აღნიშნულ მცენარეს. მხოლოდ ამ ორი საკითხის გარკვევის შემდეგ არის შესაძლებელი ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭება.

კულტივირებას რაც შეეხება, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, პრაქტიკულად, არ გვხვდება ამგვარი საქმეები.

§ 5. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების და მცირე ოდენობით ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯალობა

1. კანონმდებლობა და პროცედურა

სსკ-ის 273-ე მუხლი დასჯადაც აცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებას. ამ ქმედებას, როგორც 273-ე მუხლის დოგმატური ნაწილის განხილვისას აღინიშნა, წინ უნდა უსწრებდეს ან ადმინისტრაციული სახდელი, ან ამ მუხლით ნასამართლობა. ანუ, განსახილველი ქმედება, ჩადენილი ნასამართლობის არმქონე ან ადმინისტრაციულსახდელდაუდებელი პირის მიერ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, გათვალისწინებულს ადსკ-ის 45-ე მუხლით.

პროცედურა შემდეგია: 2006 წლის 24 ოქტომბრის #1244–№278/ნ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესი, რომლის მიხედვით: „ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენა ხდება კლინიკური, ან/და ლაბორატორიული (ქიმიო-ტოქსიკოლოგიური) გამოკვლევის გზით; პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ კლინიკური, ან/და ლაბორატორიული (ქიმიო-ტოქსიკოლოგიური) გამოკვლევით დადასტურდება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.“ ასევე, პირის გამოსაკვლევად წარდგენის პროცედურას არეგულირებს საქართველოს შინაგან

საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის #725 ბრძანება⁴⁷⁵, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით მოსამსახურე უფლებამოსილია, პირი სამინისტროს საექსპერტო დანესებულებაში გამოსაკვლევეად წარადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსამსახურე უშუალოდ შეესწრო პირის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს;

ბ) მოსამსახურის მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების დროს პირი ცდილობს მიმალვას ან თავს არიდებს კანონიერი მოთხოვნის შესრულებას და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირმა მოიხმარა ან არის ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;

გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სამინისტროს სსიპ „112“-ში შესული შეტყობინება ან უშუალოდ პოლიციისათვის პირდაპირი შეტყობინების გზით იდენტიფიცირებული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ მოხმარების შესახებ.

საერთო სასამართლოებიც სწორედ ამგვარად განმარტავენ „მოხმარებას“ და არა მოხმარების პროცესს (მოწვევას და სხვა). ყველაზე დამაბნეველი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა გამოდგა, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, საქმეზე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁴⁷⁶, „მოხმარებად“ უშუალოდ მოწვევის პროცესიც მიიჩნია (სადაც სკოლებში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა.შ. მოხმარებაზე საუბრობს), რაც, ცხადია, ლოგიკური და სამართლიანია.

რაც შეეხება თავად მოხმარების ფაქტის დადგენას, ესეც პრობლემური საკითხია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილის⁴⁷⁷ თანახმად, არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი, ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. ამ კონსტიტუციური ნორმის თანახმად, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, უარი თქვას ნარკოლოგიური კვლევის კაბინეტში როგორც ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე, ისე - კლინიკურ დათვალიერებაზე (იგივე ნორმა შესაძლოა გაგავრცელოთ სხვა ნებისმიერი ნიმუშის მიცემის შემთხვევაზეც). ანუ, პრაქტიკაში, თუ პირმა კარგად

475 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994508?publication=0> (ნანახია 16.4.19).

476 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3875278?publication=0> (ნანახია 16.4.19).

477 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> (ნანახია 16.4.19).

იცის თავისი უფლებების შესახებ, გამოძიება უძლურია დაადგინოს, მოიხმარა თუ არა მან ნარკოტიკული საშუალება.

თუ დავუშვებთ, რომ პირმა ჩააბარა ბიოლოგიური მასალა ან თანხმობა განაცხადა კლინიკურ შემოწმებაზე და დაუდგინდა ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი, პოლიციის თანამშრომელი (ნარკოლოგიური კვლევის კაბინეტში წარმდგენი უფლებამოსილი პირი) ადგენს, ხომ არ არის პირი ადსკ-ის 45-ე ან/და 45¹ მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ სახდელდადებული ბოლო ერთი წლის განმავლობაში ან/და ნასამართლევი 273-ე ან/და 273¹ მუხლებით. ამ ინფორმაციის მისაღებად სამართალდამცველი ამოწმებს პირს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში და აგზავნის მიმართვეს ზემოხსენებული ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით საერთო სასამართლოების სისტემაში. თუ პირი არც ადმინისტრაციულსახდელდადებული აღმოჩნდება და არც ნასამართლევი, მაშინ დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაზე და საქმის მასალები გადაეგზავნება სასამართლოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ რა სახდელს შეუფარდებს სამართალდამრღვევს. იმ შემთხვევაში, თუ პირი აღმოჩნდება ან ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნასამართლევი შესაბამისი მუხლით, დაიწყება გამოძიება ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაზე და მტკიცებულებების შეგროვების პროცესი და სხვა პროცედურები.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ მარიხუანის მოხმარება არის დეკრიმინალიზებული და მისი მოხმარების დადგენის შემთხვევაში პირს არც ადმინისტრაციული და არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით შექენას, შენახვას, გადაზიდვასა და გადაგზავნას, ამ შემთხვევაში, იგივე წესი მოქმედებს, რაც მოხმარებასთან მიმართებით. თუ პირი ბოლო ერთი წლის განმავლობაში იყო ადმინისტრაციულსახდელდადებული ადსკ-ის 45-ე ან 45¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ან ნასამართლევი 273-ე, 273¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, დაიწყება შესაბამისი გამოძიება ყველა იმ სტანდარტით, რაც აუცილებელია ობიექტური გამოძიების წარმოებისათვის. თუ პირი არც ადმინისტრაციულსახდელდადებული აღმოჩნდება და არც ნასამართლევი, მაშინ დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნაზე და საქმის მასალები გადაეგზავნება სასამართლოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ რა სახდელს შეუფარდებს სამართალდამრღვევს.

2. მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება

თუმცა, ყველაზე საინტერესო საკითხი 273-ე მუხლთან მიმართებით, არის ის, რომ მუხლის დისპოზიციაში (განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლისგან) არ გვხვდება გასაღება, და ზოგადად, 273-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი, ადსკ-ის

45-ე მუხლიც, არ განიხილავს აკრძალული ნივთიერების მცირე ოდენობით გასაღებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. გასაღება მხოლოდ 260-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობებისთვის არის დასჯადი.

მოცემულობა შემდეგია: 260-ე მუხლის ამოქმედებისთვის საჭიროა ე.წ. სისხლის სამართლის საწყისი ოდენობა, ხოლო ადსკ-ის 45-ე მუხლით დასჯადია მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვა-გადაზიდვა-გადაგზავნა-დამზადება და არა გასაღება. შესაბამისად, თუ პირი გაასაღებს მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას, მას ვერ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ვინაიდან არ არის სისხლის სამართლის საწყისი ოდენობა. ამავდროულად, ადმინისტრაციული სახდელი ვერ დაეკისრება, ვინაიდან ადმინისტრაციული ოდენობის ნარკოტიკული საშუალების გასაღება არ ისჯება.

ამგვარად, კანონმდებლობაში არის ხარვეზი, რომლის მიხედვითაც, პრაქტიკულად, ლეგალიზებულია მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღება.

რაც შეეხება სსკ-ის 273¹ მუხლს, ეს მუხლი არეგულირებს კონკრეტულად მცენარე კანაფთან და მარიხუანასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისად, ამ მუხლის სპეციფიკა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის კონკრეტულ ნარკოტიკულ საშუალებებს ეხება.

ზოგადად, მცენარე კანაფისგან ნაწარმოებ ნარკოტიკულ საშუალებებს რაც შეეხება (მარიხუანა, კანაფის ფისი, კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი, კანაფის ზეთი და ტეტრაჰიდროკანაბინოლები, შემდეგი იზომერები და მათი სტერეოიზომიური ვარიანტები (ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის უკანონო მფლობელობიდან, ან ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების სიის 82-85 და 157-ე ნარკოტიკულ საშუალებები)), მათ აერთიანებთ ტეტრაჰიდროკანაბინოლი (THC), რაც თავისთავად არის ის ნივთიერება, რომელიც იწვევს ნარკოტიკულ თრობას. განსხვავება, მაგალითად, კანაფის ფისსა და მარიხუანას შორის არის მხოლოდ ტეტრაჰიდროკანაბინოლის კონცენტრაცია ამ ორ სუბსტანციაში. თუკი მარიხუანის მოხმარება არის დეკრიმინალიზებული, გაუგებარია, იგივე რეგულაცია რატომ არ ვრცელდება მცენარე კანაფისგან ნაწარმოებ სხვა პროდუქტებზეც, მით უფრო, რომ თრობის გამომწვევი ნივთიერება მათში იდენტურია. ასევე, გაუგებარია, რატომ არ განისაზღვრება, მაგალითად, 70 გრამი გამომშრალი/140 გრამი ნედლი მარიხუანის ეკვივალენტი კანაფის ფისი და სხვა პროდუქტები, ვინაიდან ამგვარი განუსაზღვრელობა არათანაბარ, უსამართლო და დისკრიმინაციულ ვითარებას ქმნის პრაქტიკაშიც.

ზოგადად, ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობისას, როგორც ყველა სხვა შემთხვევის გამოძიების დროს, აუცილებელია, გამოძიებამ მოიპოვოს იმგვარი ობიექტური მტკიცებულებები, რომლებიც მიუკერძოებელ

პირს დაარწმუნებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ობიექტური კი ის მტკიცებულებაა, რომელიც დამყარებულია არა სუბიექტურ შეფასებებსა და მოსაზრებებზე, არამედ ობიექტურ რეალობაზე ან სამეცნიერო ცოდნაზე (ვიდეოჩანაწერი, ტრასოლოგიური კვლევა, მათ შორის, დნმ და დაქტილოსკოპიური კვლევები). თუ დავუშვებთ, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და ეთანხმება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაძლოა არ დაინიშნოს, მაგალითად, გენეტიკური/ბიოლოგიური ექსპერტიზა. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, არ არის სწორი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპების მიხედვით, ბრალდებულს გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია შეცვალოს თავისი პოზიცია აღიარებასთან დაკავშირებით. ასევე, ბრალდებულს აქვს ექსკლუზიური უფლება, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს ჩვენება, რისთვისაც მას არ დაეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა პირი გამოძიების ეტაპზე აღიარებდეს დანაშაულს, თუმცა, გამოძიებამ მაინც უნდა მოიპოვოს ობიექტური მტკიცებულებები სწორედ იმიტომ, რომ როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, შესაძლოა, ბრალდებულმა ნებისმიერ დროს შეცვალოს პოზიცია და გამოძიება დარჩეს მხოლოდ მონშე პოლიციელების ჩვენებებისა და მათივე შედგენილი ჩხრევის ოქმის ანაბარა, რაც საფრთხეს შეუქმნის მართლმსაჯულების აღსრულებას.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია ვიმსჯელოთ ე.წ. „ჩადების“ ბრალდებებთან დაკავშირებით. ზემოხსენებული საკითხი არაერთი ათწლეულია, აქტუალური თემაა ქართული მართლმსაჯულებისთვის. ე.წ. ჩადების ბრალდებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს #1623-17 განაჩენის 2.7 პარაგრაფში მოსამართლე განმარტავს: „... როდესაც ბრალდებული და დაცვის მხარე სასამართლო სხდომაზე აწლერებს არგუმენტირებულ პოზიციას იმის თაობაზე, თუ რა პირადი დაინტერესება შეიძლება არსებობდეს დ.ბ.-ს ცრუ ბრალდებით მსჯავრდების თაობაზე, სახელმწიფო ინსტიტუციებს და მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს წარმოეშობა ვალდებულება, რომ ამტკიცონ საპირისპირო და გააბათილონ ბრალდებულისა და დაცვის მხარის არგუმენტები.“ ანუ ამ შემთხვევაში, ამგვარი ბრალდების მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. ე.წ. „ჩადების“ ფაქტების საუკეთესო პრევენცია კი შესაძლოა იყოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ვიდეოფიქსაცია და ამოღებული ნივთმტკიცებების ტრასოლოგიური კვლევები, ვინაიდან საქმე გვექნება ობიექტურ მტკიცებულებებთან და მეცნიერებაზე დაფუძნებულ ცოდნასთან, რაც, ცხადია, მინიმუმამდე ამცირებს პირადი თუ სხვა დაინტერესებით უმართლობის შესაძლებლობას.

თავი V. საერთაშორისო გამოცდილება

ნარკოტიკების წარმოება, მათი ტრანსპორტირება და ვაჭრობა ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, როგორც წესი, ნარკოპოლიტიკაზე მსჯელობა სწორედ გლობალურ კონტექსტში მიმდინარეობს ხოლმე. წინა თავებში განხილული გაეროს კონვენციები დიდწილად განსაზღვრავს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის ჩარჩოს და შესაბამისად, ზღუდავს ხელმომწერი სახელმწიფოებს ამ ჩარჩოთი. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო შეთანხმებები და აქტები არ გვანჯდის სრულყოფილად დეტალიზებულ მითითებებს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან კონკრეტულმა ქვეყნებმა ნარკოტიკების უკანონო მოხმარების და მათი უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ.⁴⁷⁸

სხვადასხვა სახელმწიფოები, ისე რომ ისინი რჩებიან გაეროს კონვენციებით განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში, რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებსა და სტრატეგიებს იყენებენ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სასჯელების განსაზღვრისას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და ზიანის შემცირების პროგრამების შექმნისას და მათი იმპლემენტაციისას. გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული პრობლემების წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პოლიტიკა, საერთაშორისო კონტექსტის გარდა, აგრეთვე განპირობებულია ამ ქვეყნის კულტურულ-ისტორიული გამოცდილებებით და არსებულ სოციო-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარებით.⁴⁷⁹

წარმოდგენილ თავში განხილული იქნება სამი ევროპული ქვეყნის ნარკო-კანონმდებლობა და პოლიტიკა, თუმცა, ამ თავის მიზანი არ არის კონკრეტული ქვეყნების მიერ დანერგილი კანონებისა და პრაქტიკის დეტალური კრიტიკული ანალიზი. უფრო მეტად, ავტორების ინტერესის საგანს წარმოადგენს იმის წარმოჩენა, რომ გაეროს კონვენციების სახით არსებული გლობალური კონსენსუსის მიღმა, ეროვნულ დონეზე არ არსებობს ერთი უნივერსალური მიდგომა და სახელმწიფოებს კვლავაც რჩებათ დიდი სივრცე, თავად განსაზღვრონ, თუ როგორი უნდა იყოს მათი ნარკოპოლიტიკა და ამ პოლიტიკის პრიორიტეტები.

§ 1. საფრანგეთი

მიუხედავად ნარკოპოლიტიკის მიმართ არსებული მაღალი პოლიტიკური ინტერესისა და სახელმწიფოს მიერ ამ პრობლემამზე დახარჯული მასშტაბური თანხებისა, საფრანგეთში ნარკოტიკის მომხმარებლების და ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა მეტად მაღალია, ხოლო უშუალოდ მარიხუა-

478 Stevens, *Drugs, Crimes and Public Health: The Political Economy of Drug Policy*, 108.

479 Newburn/Sparks, *Criminal Justice and Political Cultures: National and International Dimensions of Crime Control*, 7.

ნის მოხმარების მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილზეა ევროპაში.⁴⁸⁰ ბოლო წლების კვლევებით, 16 წლის მოზარდების 24 პროცენტს მარიხუანა გასინჯული აქვს ბოლო 30 დღის განმავლობაში, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპის მასშტაბით. საფრანგეთის შემდეგ, ამ სიაში მოდიან ჩეხეთი და ესპანეთი და ორივეგან მოზარდების 15 პროცენტს აქვს მარიხუანა გასინჯული ბოლო 30 დღის განმავლობაში, ხოლო საშუალო ევროპული მაჩვენებელი ამ კუთხით არის 7%.⁴⁸¹

რაც შეეხება ნარკოკანონმდებლობას, პირველი ნორმატიული აქტი 1916 წელს მიიღო საფრანგეთმა, რომლითაც ქვეყნის ტერიტორიაზე აიკრძალა საჯაროდ ნარკოტიკის მოხმარება. ამის შემდეგ, 1960-იანი წლების ბოლომდე, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა ქვეყნის ნორმატიულ ბაზაში, თუმცა, ამ პერიოდში ნარკოტიკების მოხმარების ზრდამ და მასთან დაკავშირებულმა „მორალურმა პანიკამ“ ხელისუფლება აიძულა, ახალი ზომები მიეღო როგორც მოხმარების პრევენციის, ისე - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის.⁴⁸²

1970 წლის 31 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საფრანგეთის პარლამენტმა მოახდინა ნარკოტიკის მოხმარების კრიმინალიზება როგორც საჯარო, ისე - პირად სივრცეში, აგრეთვე - მისი ნებისმიერი ფორმით პოპულარიზაცია და დადებითად წარმოჩენა. ასევე, გამკაცრდა სასჯელები ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის 5-დან 20 წლამდე, ხოლო მისი განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 40 წლამდე. 1970 წლის კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სისხლის სამართლის კოდექსებში, სამ ძირითად მიზანს ისახავდა: ა) გამკაცრებულიყო მიდგომები ნარკოტიკების ტრეფიკის და მისით ვაჭრობის წინააღმდეგ; ბ) აკრძალულიყო ნარკოტიკის მოხმარება, ოღონდ იმგვარად, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ნაცვლად შესაძლებელი ყოფილიყო სამედიცინო ინტერვენციების გამოყენება; გ) უზრუნველყოფილიყო თავისუფალი და ანონიმური მკურნალობა მათთვის, ვინც ამის სურვილს გამოხატავდა.⁴⁸³

1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის, საფრანგეთში ინექციური გზით ნარკოტიკის მოხმარებლებს შორის აივ ვირუსის ფართოდ გავრცელებამ ხელისუფლება აიძულა, მეტი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემებისთვის და 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა პრევენციული და ჯანდაცვის სერვისები, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამე-

480 European Monitoring Center for Drugs and Drug Addiction (EMCDDA), France Drug Report 2018. წყარო: <http://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/8871/france-cdr-2018-with-numbers.pdf> (ნანახია 28.4.2019).

481 Hibell, et al. The 2011 ESPAD Report – Substance Use Among Students in 36 European Countries. წყარო - http://www.espad.org/sites/espad.org/files/The_2011_ESPAD_Report_FULL_2012_10_29.pdf (ნანახია 28.4.2019).

482 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 88.

483 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 90.

ბი. ამ ნაბიჯებმა საგრძნობლად შეამცირე ინექციური გზით ნარკოტიკის მოხმარების რაოდენობა, ნარკოტიკის ზედღობრებით გამოწვეული სიკვდილიანობა და აგრეთვე, მომხმარებლებში აივ-ვირუსის გავრცელების დონე.⁴⁸⁴

რაც შეეხება კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებს, ფრანგული კანონმდებლობა არ მიჯნავს ნარკოტიკების ფლობას პირადი მოხმარების მიზნით, მისი გასაღების მიზნისგან. კანონის დონეზე ასევე მნიშვნელობა არ აქვს ნარკოტიკული საშუალების ტიპს და მის ოდენობას.⁴⁸⁵ ნარკოტიკის უკანონო მოხმარება, როგორც საჯარო, ისე პირად სივრცეში, ისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 3750 ევროს ოდენობის ჯარიმით. თუმცა, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს განრიდების მექანიზმი და სასჯელის ნაცვლად, პირი გადაამისამართოს სამკურნალო პროგრამაში.⁴⁸⁶

2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა ისეთი შემთხვევების წრე, როდესაც შესაძლებელი გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის არდანწყება/შენწყვეტა და ამის ნაცვლად პირის გადამისამართება ნარკოტიკებზე ცნობიერების ამაღლების თუ სამკურნალო პროგრამებში.⁴⁸⁷ ასეთი მიდგომები ძირითადად ვრცელდება ნარკოტიკების მოხმარებაზე, როდესაც არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებები ან ჩადენილი არაა სხვა დანაშაული. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრის რამდენიმე რეკომენდაცია და დირექტივა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ნარკოტიკის მომხმარებლის მიმართ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული სასჯელის ალტერნატიული მექანიზმები, მათ შორის თერაპიული მხარდაჭერაც, ხოლო თუკი ნარკოტიკის მოხმარებასთან ერთად ჩადენილია სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ასეთ დროსაც საპატიმრო სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. შედეგად, პრაქტიკაში ნარკოტიკის მოხმარებისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება გაფრთხილება ან პირის გადამისამართება სამკურნალო პროგრამებში.⁴⁸⁸

2003 წლიდან საფრანგეთში აგრეთვე სისხლის სამართლის წესით ისჯება ნარკოტიკული საშუალების თრობის ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვა და სასჯელად განსაზღვრულია 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4500 ევრომდე. პოლიცია უფლებამოსილია, საგზაო ტესტირების გზით შეამოწმოს საექვო ან პოტენციურად კანონდამრღვევი მძღოლები. ამავდროულად, ყველა ფატალური საგზაო შემთხვევის დროს, მძღოლის ნარკოტესტირება სა-

484 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 89.

485 http://www.emcdda.europa.eu/countries/drug-reports/2018/france/drug-laws-and-drug-law-offences_en (ნანახია 28.4.2019).

486 წყარო: ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA), 2018, წყარო http://www.emcdda.europa.eu/countries/drug-reports/2018/france_en (ნანახია: 7.5.2019)

487 <https://www.drogues.gouv.fr/ce-que-dit-la-loi/reponse-penales-specifiques/stages-de-sensibilisation-aux-dangers-de-lusage-de-produits-stupefiants> (ნანახია 28.4.2019).

488 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 91.

გალდებულოა.⁴⁸⁹

რაც შეეხება ნარკოტიკებით ვაჭრობას და ტრეფიკინგს, ამ შემთხვევაში მიდგომები მეტად მკაცრია და სასჯელის სახით განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე და ჯარიმა 7.5 მილიონ ევრომდე.⁴⁹⁰ იმავე ზომის სასჯელებია განსაზღვრული ნარკოტიკის უკანონო იმპორტსა და ექსპორტზე, ხოლო თუკი დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, პატიმრობის ვადა იზრდება 30 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით მკაცრი კანონმდებლობის მიუხედავად, ნარკოტიკების მოხმარების მიმართ ფრანგული მართლმსაჯულება მეტად მოქნილია და პროკურატურას და სასამართლოს ფართო შესაძლებლობები აქვთ, სტანდარტული სასჯელების ნაცვლად გამოიყენონ ალტერნატიული მექანიზმები. იუსტიციის მინისტრის 1978 წლის ცირკულარის გამოცემის შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ გაიდლაინს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, უფრო აქტიურად დაიწყო ნარკოტიკების მოხმარებლების მიმართ გაფრთხილებების გამოყენება, ან მათი გადამისამართება ფსიქოლოგიურ თუ საგანმანათლებლო პროგრამებში. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება იმდენად მასშტაბური იყო, რომ ცირკულარის გამოცემის გამო მინისტრს კანაბისის დე-ფაქტო დეკრიმინალიზაციაშიც კი ადანაშაულებდნენ. ფაქტია, რომ მაგალითად, 2013 წელს 200 000 ნარკოდანაშაულიდან 83 პროცენტი მოხმარებას უკავშირდებოდა და ამ შემთხვევების მხოლოდ 1/3-ზე გამოიყენეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, დანარჩენ შემთხვევებში კი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო ალტერნატიული მექანიზმები.⁴⁹¹

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ, სულ მცირე, ფურცელზე, ფრანგული კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია ევროპის მასშტაბით. კანონით ერთმანეთისგან არაა გამიჯნული „მსუბუქი“ და „ძიმე“ ნარკოტიკები და მაგალითად, მარიხუანის მიმართაც ისეთივე ხისტი სანქციებია განსაზღვრული, როგორც სხვა ნარკოტიკებზე. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას სწორედ მარიხუანის ფართოდ გავრცელება წარმოადგენს მოზარდებში. ეს ერთგვარი პარადოქსი შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას, მათ შორის, ახალგაზრდებში თამბაქოს მოწევის მაღალი პრევალენტობით, ნარკოტიკის ხელმისაწვდომი ფასით შავ ბაზარზე, კანაფის მოხმარებასთან ასოცირებული ნაკლები რისკებით და მისი ნარკოგენული ხარისხის მუდმივი ზრდით.⁴⁹²

489 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 91.

490 საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 222-37.

491 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 92.

492 EMCDDA, European Drug Report: Trends and developments, 2015.

§ 2. ნიდერლანდები

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობდა კონკრეტული სახელმწიფოების ძლიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები. ნიდერლანდები ამის ისტორიული მაგალითია, რადგან მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, ქვეყანა უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს იღებდა ოპიუმის და კოკაინის პროდუქციითა და მისი ვაჭრობით ჯერ აზიის ქვეყნებში, შემდეგ კი უკვე მისსავე დედაქალაქ ამსტერდამში. გავრცელებული მოსაზრებით, ამსტერდამის ტურისტულად მომხიბვლელი ისტორიული არხების მშენებლობა სწორედ „ნარკოტიკების ფულით“ იყო დაფინანსებული.⁴⁹³

ნიდერლანდებმა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თქვა უარი ოპიუმის და კოკაინის მასობრივ წარმოებაზე, თუმცა, ის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 1912 წლის ოპიუმის საერთაშორისო კონვენციას მოაწერა ხელი და ეროვნულ დონეზე დაწესდა ანტინარკოტიკული კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალა ოპიუმის და კოკაინის მოხმარება და ვაჭრობა. ამის შემდეგ, ეტაპობრივად, გამკაცრდა კანაფის მიმართ მიდგომებიც - 1928 წელს ჯერ მისი იმპორტი და ექსპორტი მოექცა „ოპიუმის აქტის“ რეგულირების ქვეშ, ხოლო ნივთიერების ფლობა, კულტივირება და მისით ვაჭრობა 1953 წელს გახდა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება.⁴⁹⁴ აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე ნიდერლანდებს ნარკოტიკების უკანონო მოხმარების მხრივ მნიშვნელოვანი გართულებები არ ჰქონია. ამ მხრივ მხოლოდ მცირე გამოწვევები იყო ამსტერდამის და როტერდამის ჩინური კვარტლები, სადაც მეტად პოპულარული იყო ოპიუმი.⁴⁹⁵

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ნიდერლანდების ტრადიციული და რელიგიური სახელმწიფოს ტრანსფორმაცია უფრო სეკულარულ, ინდივიდუალიზმზე დაფუძნებულ საზოგადოებად. ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ კონტრკულტურებში კი მეტად პოპულარული იყო ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, რამაც ნიდერლანდების ხელისუფლება აიძულა, პრობლემაზე საპასუხოდ მკაცრი საპოლიციო ინსტრუმენტები აემოქმედებინა. მიუხედავად სამართალდაცვითი კუთხით გადადგმული აქტიური ნაბიჯებისა, შავ ბაზარზე ნარკოტიკის ხელმისაწვდომობა არ შემცირებულა და არც ნარკოტიკის მოხმარების კუთხით ყოფილა მნიშვნელოვანი კლება. რეპრესიული მიდგომების მიმართ მზარდ კრიტიკას ხელი შეუწყო იმანაც, რომ პოლიციის მიერ დაკავებულთა შორის ხშირად იყვნენ თინეიჯერები საშუალო და მაღალი კლასის ოჯახებიდან. ამ ფონზე, 1969 წლისთვის ნიდერლანდების ხელისუფლებამ სცადა უფრო პრაგმატული მიდგომების დანერგვა და საპოლიციო და საპროკურორო რესურსების გადატანა კანაფის მომხმარებლებიდან ამ ნივთიერების გამსა-

493 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 129.

494 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 129.

495 De Kort, *The Dutch Cannabis Debate, 1968–1976*, 418.

ლებლებსა და უფრო მძიმე ნარკოტიკების მოხმარება/ვაჭრობაზე.⁴⁹⁶

პოლიტიკის ტრანსფორმაციის კუთხით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქ როტერდამში 1970 წელს გამართული „ჰოლანდიის პოპ ფესტივალი“, (Holland Pop Festival), სადაც სამართალდამცავებმა პირველად გამოავლინეს მარიხუანის მოხმარების მიმართ ღიად ტოლერანტული მიდგომები. ამის შემდეგ უკვე უფრო სისტემურად იწყება მთელ ქვეყანაში ლიბერალური მიდგომების დანერგვა მარიხუანის მოხმარების და მისი პირადი მოხმარების მიზნით შექმენა-შენახვის მიმართ. ამის პირველი მაგალითი 70-იან წლებში სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ახალგაზრდული ცენტრებია, რომლებსაც მნიშვნელოვანი კულტურული დანიშნულება ჰქონდა მაშინდელი ახალგაზრდობისთვის. აღნიშნულ ცენტრებში კანაბისის მოხმარება და მისი გაყიდვა ნახევრად ღიად მიმდინარეობდა და სამართალდამცავი უწყებები დადგნენ დილემის წინაშე, ჩარეულიყვნენ თუ არა ამ პროცესებში. საბოლოოდ, ხელისუფლებამ პრაგმატული არჩევანი გააკეთა და თავი შეიკავა რეპრესიული მექანიზმების გამოყენებისგან იმის თავიდან ასაცილებლად, რომ კანაფის მოხმარება და მისი მცირე ოდენობებით ვაჭრობა არ გადანაცვლებულიყო ნაკლებად კონტროლირებად და უფრო სახიფათო სივრცეებში, სადაც ასევე გავრცელებული იყო სხვა მძიმე ნარკოტიკები.⁴⁹⁷ ეს არჩევანი ორ დაშვებას ეფუძნებოდა: 1) კანაფით ვაჭრობის სრულყოფილად გაკონტროლება და მისი აკრძალვა შეუძლებელი იყო; 2) ამ ნივთიერების მოხმარებას სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე ნაკლები რისკები ახლდა და ამიტომ, მისი მომხმარებლები არ უნდა აღმოჩენილიყვნენ ისეთ სივრცეებში, სადაც ხელმისაწვდომი იყო სხვა ნარკოტიკებიც.⁴⁹⁸

1972 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰეროინის პოპულარობა ქვეყანაში და სულ მალე სწორედ ეს ნარკოტიკი იქცა სამოგადოების, პოლიტიკოსების და სამართალდამცველების ძირითადი წუხილის საგნად. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სწორედ ჰეროინის მოხმარების ბრძამ უბიძგა ხელისუფლებას კანაფის მოხმარების ფორმალურად დეკრიმინალიზაციისკენ. ეს გადაწყვეტილება ორი არგუმენტით იყო გამართლებული: ხელისუფლებამ უარყო იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ „მსუბუქი“ ნარკოტიკების მოხმარება (მარიხუანა, ჰაშიში) შემდგომში გამოიწვევდა მომხმარებლის „მძიმე“ ნარკოტიკებზე (ჰეროინი, კოკაინი) გადასვლას; ყურადღება გამახვილდა სოციალურ კონტექსტზე, კერძოდ კი იმაზე, რომ ჰეროინის და მარიხუანის მომხმარებლები განხვავებულ სოციალურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ და შესაბამისად, განსხვავებული კრიმინოგენული საშიშროება მომდინარეობდა მათგან. ამიტომ, ხელისუფლებამ არჩია, მოეხდინა მარიხუანის მომხმარებლების დისტანცირება შავი ბაზრისგან, სადაც უფრო მეტი შანსი იქნებოდა, მათ ექსპერიმენტებისთვის მიემართათ და გაესინჯათ სხვა ნარკოტიკები, მათ შორის ჰე-

496 De Kort, *The Dutch Cannabis Debate, 1968–1976*, 419-420.

497 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 130.

498 Dolf/Svensson/Veldhoen, *The Drug Policies of the Netherlands and Sweden*, 5.

როინი.⁴⁹⁹

1976 წელს ოპიუმის აქტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ორ კატეგორიად დაიყო: 1) ნივთიერებები, რომლებსაც თან ახლავთ გაუმართლებელი რისკები (ამ სიაში შევიდა გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენციით გათვალისწინებული ნივთიერებები, გარდა კანაფის პროდუქტებისა); 2) კანაფისგან დამზადებული პროდუქტები (მოგვიანებით აღნიშნულ სიას დაემატა სხვა ნაკლები საშიშროების შემცველი პრეპარატებიც). შესაბამისად, კანაფის პროდუქტები ნაკლებად მკაცრი კონტროლის რეჟიმს დაექვემდებარა და შემსუბუქდა მათზე მანამდე არსებული სანქციები. აგრეთვე, 30 გრამამდე კანაფის ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ დაიწყებოდა, ან ქმედება ჩაითვლებოდა უმნიშვნელო სამართალდარღვევად, რასაც არ მოჰყვებოდა პირის ნასამართლობა. ამავდროულად, ერთმანეთისგან გაიმიჯნა კანაფის ფლობა პირადი მოხმარების და გასაღების მიზნებით, რისი მიზანიც იყო ამ ნივთიერებების მომხმარებლების სტიგმატიზირების და მარგინალიზების თავიდან აცილება.⁵⁰⁰

ოპიუმის აქტში ცვლილებების განხორციელებიდან ერთ წელიწადში, პროკურატურის ოფისმა აგრეთვე განსაზღვრა, რომ პრივატულ სივრცეში კანაფის პროდუქტებით ვაჭრობასთან ბრძოლა უწყებისთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყო. ამ შემთხვევაში პროკურატურა მოქმედებდა სასჯელების კოდექსით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლითაც უწყებას შეეძლო, უარი ეთქვა კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი პროცესების დაწყებაზე, ან გაგრძელებაზე, თუკი ეს საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურებოდა.⁵⁰¹ შედეგად, სამართალდამცველთა რესურსები მიიმართა „მძიმე ნარკოტიკების“ წინააღმდეგ, ხოლო კანაფის პირადი მოხმარების მიზნით ფლობა ან მისი მცირე ოდენობებით ვაჭრობა (განსაკუთრებით ახალგაზრდულ ცენტრებში), იშვიათად ხდებოდა პოლიციის და პროკურატურის ყურადღების საგანი.

აღნიშნული მიდგომების გამო ნიდერლანდები წლების განმავლობაში ხდებოდა საერთაშორისო დონეზე კრიტიკის ობიექტი და ზოგჯერ გაეროს კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაშიც ადანაშაულებდნენ ქვეყანას. მთავრობის კონტრარგუმენტი კი მუდმივად იყო, რომ არჩეული პოლიტიკა ემყარებოდა საზოგადოებრივ ინტერესს და საპროკურორო დისკრეცია, რომლის ფარგლებშიც სამართალდამცველები თვალს ხუჭავდნენ მარიხუანის მოხმარებასა და მისი მცირე ოდენობით ვაჭრობაზე, შესაძლებლობას იძლეოდა, მნიშვნელოვანი საპოლიციო რესურსები მიმართულიყო უფრო მწვავე პრობლემებთან გასამკლავებლად.⁵⁰²

499 De Kort/Cramer, Pragmatism versus Ideology: Dutch Drug Policy Continued, 473, 482.

500 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 131.

501 სასჯელების კოდექსი, მუხლი 167.

502 Leuw, Drugs and Drug Policy in the Netherlands, 229, 232.

სამართალდამცველთა რბილმა პოლიტიკამ გააჩინა მოტივაცია, რომ კანაფის მცირე ოდენობებით ვაჭრობა მხოლოდ მთავრობის კონტროლის ქვეშ არსებული კულტურული ცენტრებით აღარ შემოფარგლულიყო და კერძო პირებმა ასევე დაიწყეს კანაფის მოწოდება და მისი რეალიზაცია საკუთარ სივრცეებში (house dealing). მთავრობა კიდევ ერთხელ დადგა დილემის წინაშე და აქაც სამართალდამცველებმა, პრაგმატულობის მოტივით, უარი თქვეს ამ დანაშაულის მიმართ მკაცრი რეპრესიული ზომების გამოყენებაზე. პროკურატურის ოფისის 1979 წლის გაიდლაინებში აღნიშნული იყო, რომ ოპიუმის აქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (იგულისხმება სისხლისსამართლებრივი საგამოძიებო და საპროკურორო ზომები) შესაბამისი უწყებები გამოიყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საჭაროდ ხდებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობის რეკლამირება ან წახალისება.⁵⁰³

ამ ფონზე გაჩნდა ე.წ. coffee shop-ების⁵⁰⁴ პირველი ჩანასახები ნიდერლანდებში, თუმცა, პრობლემას ქმნიდა ის, რომ პროკურატურის რეკომენდაციები ბოლომდე ნათელ კრიტერიუმებს არ ადგენდა, თუ როდის შეეძლოთ სამართალდამცველებს რეპრესიული მექანიზმების გამოყენება. შედეგად, პოლიციის მხრიდან ხშირი იყო არათანმიმდევრული მიდგომები და იძულებითი ღონისძიებების (საპოლიციო რეიდები კონკრეტულ დაწესებულებებში, პირთა დაკავებები და ჩხრეკა) შერჩევითად გამოყენება. მიუხედავად ამისა, 80-იან წლებში coffee shop-ების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა⁵⁰⁵ და სახელმწიფო იძულებული გახდა, უფრო ნათლად მოეწესრიგებინა საკითხი. 1991 წელს შემუშავდა სპეციალური კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პროკურატურა გამოიჩინდა ტოლერანტულობას coffee shop-ის მიმართ და არ გამოიყენებდა რეპრესიულ ღონისძიებებს. ეს კრიტერიუმებია:

- დაწესებულება არ უნდა ქმნიდეს არეულობას და არ უქმნიდეს საფრთხეს საჯარო წესრიგს (იგულისხმება ხმაური, ტრანსპორტის პარკირების პრობლემები, ზედმეტი ხალხმრავლობა);
- „მძიმე ნარკოტიკები“ არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ასეთ დაწესებულებებში;
- დაუშვებელია ამ დაწესებულების რეკლამირება, გარდა ზოგადი საინფორმაციო შეტყობინებისა დაწესებულების შესახებ;
- არასრულწლოვნები არ უნდა დაიშვებოდნენ დაწესებულებაში და მათზე არ უნდა ხდებოდეს მსუბუქი ნარკოტიკის მიყიდვა;

503 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 132.

504 Coffee shops - სპეციალური სტატუსის მქონე არაალკოჰოლური ბარები, სადაც დაშვებულია მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება და მათი განსაზღვრული რაოდენობით გაყიდვა.

505 ნიდერლანდების პოლიციის გამოთვლებით, 1995 წლისთვის ქვეყანაში 1100-დან 1200-მდე ასეთი დაწესებულება არსებობდა. წყარო: Ooyen-Houben, *The Dutch Coffee Shop System, Tensions and Benefits*, 628.

- შეზღუდული უნდა იყოს ერთჯერადი ტრანზაქციით გაყიდული ნივთიერების ოდენობა (მაქსიმალურ ოდენობად თავდაპირველად განსაზღვრული იყო 30 გრამი. მოქმედი წესებით, დღიურად ერთი პირის მიმართ გასაყიდი ნარკოტიკის მაქსიმალური ოდენობა 5 გრამია).⁵⁰⁶

ჩამოთვლილ კრიტერიუმებს 1994 წელს მიენიჭა ოფიციალური სამართლებრივი ძალა, როდესაც ისინი მოექცა ოპიუმის აქტის განმარტებით დოკუმენტში. ამავდროულად, ეს სია ამომწურავი არაა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ, coffee shop-ებს დაუწესონ დამატებითი მოთხოვნები ან განსაზღვრონ მათ ტერიტორიაზე რამდენი ასეთი დაწესებულება შეიძლება არსებობდეს. Coffee shop-ის მფლობელები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაცულობა, მათ შორის, გააკონტროლონ დაწესებულებაში შესულ პირთა ვინაობა და ასაკი.⁵⁰⁷ 2012 წელს ორი დამატებითი კრიტერიუმი განისაზღვრა ამ დაწესებულებებისთვის: 1) coffee shop-ები უნდა იყოს მცირე ზომის და მხოლოდ წევრობაზე დაფუძნებული (სერვისით სარგებლობა უნდა შეეძლოს ამ დაწესებულების წევრებს); 2) coffee shop-ებით სარგებლობა უნდა შეეძლოს მხოლოდ ნიდერლანდებში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს. ამ კრიტერიუმებიდან პირველი 2013 წელსვე გაუქმდა, ხოლო მეორეს იმპლემენტაცია ამ დრომდე რთულად ხორციელდება და პრაქტიკაში, coffee shop-ები იშვიათად ასერხებენ მის დაცვას.⁵⁰⁸

Coffee Shop-ებში მცირე ოდენობით მარიხუანის და ჰაშიშის გაყიდვა ფორმალურად მოწესრიგდა და ლეგალურ ჩარჩოებში მოექცა, თუმცა დღემდე არაა მოგვარებული ე.წ. „უკანა კარის“ პრობლემა. კერძოდ, არსებული კანონმდებლობით და პოლიტიკით, დიდი ოდენობით კანაფის წარმოება და გასაღება (მათ შორის coffee shop-ებისთვის მისი მიწოდება) მაღალი პრიორიტეტის მქონე დანაშაულს წარმოადგენს და ბოლო ათწლეულებში კანაფის ადგილობრივი კულტივატორები არაერთხელ გამხდარან სამართალდამცველთა დევნის ობიექტები. ამ ფონზე, კანაფის კულტივაცია ხშირად უკავშირდება ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს და სამოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევას. მიუხედავად ამისა, „უკანა კარის“ პრობლემა ამ დრომდე მოუგვარებელი რჩება ნიდერლანდების კანონმდებლობით.⁵⁰⁹

რაც შეეხება ე.წ. „მძიმე ნარკოტიკებს“ (როგორებიცაა შერონინი, კოკაინი, LSD), მათი ფლობა, შექმნა, წარმოება ან გაყიდვა დანაშაულს წარმოადგენს (ოპიუმის აქტი). თუმცა, ამ ნივთიერებების მიმართაც რიგ შემთხვევებში რბილი

506 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 132.

507 <https://www.government.nl/topics/drugs/toleration-policy-regarding-soft-drugs-and-coffee-shops> (ნანახია 28.4.2019).

508 Breeksema/Grund, Coffee Shops and Compromise: Separated Illicit Drug Markets in the Netherlands, 40.

509 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 133.

პოლიტიკაა შენარჩუნებული.⁵¹⁰ 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ნიდერლანდების დიდ ქალაქებს რამდენჯერმე გადაუარა ჯერ ჰეროინის, შემდეგ კი კოკაინის ეპიდემიის ტალღამ. ამ ნივთიერებების პრევალენტობა პერიოდულად იზრდებოდა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, მიგრაციული და ურბანიზაციული კრიზისების ფონზე.⁵¹¹

80-იანი წლებიდან დიდ ქალაქებში გავრცელდა მძიმე ნარკოტიკებით ვაჭრობა კონკრეტულ საცხოვრებლებში თუ სადგომებში (house dealing). ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მალევე შენიშნეს, რომ ამ პრაქტიკების შედეგად ქალაქების ქუჩებში მნიშვნელოვნად შემცირდა ნარკოტიკების მოხმარებითა და ვაჭრობით გამოწვეული ქაოსი. შედეგად, სამართალდამცავებმა ამ შემთხვევაშიც ლიბერალური მიდგომები არჩიეს და მძიმე ნარკოტიკის მცირე ოდენობით ფლობა ან ვაჭრობაც იშვიათად ხდებოდა საპოლიციო დევნის ობიექტი (ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს ამსტერდამი წარმოადგენდა, სადაც პოლიციას შედარებით უფრო ხისტი მიდგომები ჰქონდა). ზოგიერთი ქალაქის მთავრობამ (მაგალითად, როტერდამში) აგრეთვე დაიწყო ასეთი სადგომებისთვის ზიანის შემცირების პროგრამების მიწოდება, რათა შემცირებინათ მძიმე ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები.⁵¹² მძიმე ნარკოტიკის მიმართ აღნიშნული მიდგომები არაფორმალურ ხასიათს ატარებდა და ისინი არ იყო განერილი რომელიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტში, თუმცა, ეს პოლიტიკაც ეფუძნებოდა საზოგადოებრივ ინტერესს და წარმოადგენდა კომპრომისს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებსა და სხვა ისეთ გამოწვევებს შორის, როგორებიცაა მოსახლეობის დაუსაქმებლობა, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა.

Coffee shop-ების და ზოგადად, ნარკოტიკებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების გარდა, ნიდერლანდების ნარკოპოლიტიკა სხვა კუთხითაც იმსახურებს ყურადღებას. შეიძლება ითქვას, რომ ნარკოპოლიტიკის სწორედ ამ ნაკლებად პოპულარული ასპექტით ახერხებს ნიდერლანდები, იყოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა ნარკოტიკის მოხმარებით გამონვეულ ზიანთან ბრძოლაში. ნიდერლანდები არის პიონერი ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელების მხრივ. ქვეყანაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამკურნალო სერვისები 1960-იანი წლებიდან იწყებს განვითარებას. 70-იანი წლებიდან ყველა დიდ ქალაქში ფუნქციონირებას იწყებს სხვადასხვა ტიპის სერვისები, რომელთა ნაწილის ინიციატორი მუნიციპალური ჯანდაცვის ორგანოები იყვნენ, ნაწილს კი არასამთავრობო ორგანიზაციები და წევრობასა და ნდობაზე დაფუძნებული ჯგუფები ახორციელებდნენ.⁵¹³

მეტადონით ოპიოიდების ჩანაცვლების მკურნალობა ნიდერლანდებში 1977

510 Dolf/Svensson/Veldhoen, *The Drug Policies of the Netherlands and Sweden*, 6.

511 Leuw, *Drugs and Drug Policy in the Netherlands*, 229, 235.

512 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 134-135.

513 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 135.

წლიდან დაინერგა, ხოლო 1996 წლიდან ქვეყანაში ასევე მოქმედებს ჰეროინით მკურნალობის პროგრამა იმ პაციენტებისთვის, რომელთაც ამ ნივთიერებაზე ქრონიკული დამოკიდებულება აქვთ განვითარებული (2006 წლიდან ეს მეთოდი ოფიციალურად დარეგისტრირდა როგორც მკურნალობის ლეგალური გზა). 2000 წლისთვის, ნიდერლანდებში მცხოვრები ჰეროინის მომხმარებელთა 44% ჩართული იყო ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში, რაც, ევროკავშირის მასშტაბით, საუკეთესო შედეგი იყო ესპანეთის შემდეგ. 1970-იანი წლებიდან ამსტერდამში, ხოლო მოგვიანებით - სხვა ქალაქებშიც, აქტიურად ჩნდება drop-in ცენტრები, რომლებიც უფასოდ გაცემდნენ ნარკოტიკის ინექციისთვის საჭირო სტერილურ მონწყობილობებს, ამავდროულად, კონკრეტულ ქალაქებში სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციები თავად ავრცელებდნენ სტერილურ შპრიცებს და ნემსებს, რათა თავიდან აერიდებინათ ჰეპატიტის და აივ-ვირუსის გავრცელება ნარკოტიკის მომხმარებლებში. 1974 წელს ამსტერდამში ფუნქციონირება დაიწყო ნარკოტიკის მომხმარებლის ორმა არაოფიციალურმა ოთახმა (drug injecting room), ხოლო 1982 წელს - როტერდამში ერთ-ერთი ეკლესიის სარდაფში გაიხსნა მსგავსი ოთახი. 1995 წლიდან მსგავსი ოთახები ფუნქციონირებდა ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში, ხოლო 2012 წლისთვის ნიდერლანდებში 37 ასეთი ოთახი იყო რეგისტრირებული, რომელთა სამიზნე ჯგუფები მძიმე ნარკოტიკის მომხმარებელთან ერთად, არიან მწვევლები და პირები, რომლებიც ალკოჰოლს მოიხმარენ.⁵¹⁴

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიდერლანდებმა თვალის გაუსწორა რეალობას და აღიარა, რომ ნარკოტიკები არსებობს ნებისმიერ დემოკრატიულ და ღია საზოგადოებაში. შესაბამისად, ქვეყანამ აქცენტი გააკეთა ნარკოტიკის მოთხოვნის და მისი მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებაზე. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება ლოგიკას, რომ უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების სახიფათო ფარმაცოლოგიური თვისებების გარდა, მნიშვნელოვანი გარემოებაა თავად მომხმარებლის პიროვნული მახასიათებელი და ის პირობები, სადაც მოიხმარება ნარკოტიკი. შესაბამისად, საჭირო შედეგის მისაღწევად, ნარკოპოლიტიკამ ყველა ამ გარემოებას უნდა უზასუხოს.⁵¹⁵

დღევანდელი გადმოსახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიდერლანდების ნარკოპოლიტიკა ეფექტიანი აღმოჩნდა დასახული მიზნების მისაღწევად: ქვეყანაში კანაფის მოხმარების მაჩვენებელი უტოლდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებს შორის პრობლემური ნარკომომხმარებლის რაოდენობა აქ ყველაზე დაბალია;⁵¹⁶ ევროკავშირის მასშტაბით, ნიდერლანდებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ნარკოტიკის ინექციური გზით მოხმარების პრაქტიკა და ბელგიასთან ერთად, აივ-ვირუსის გავრცელების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროპაში. ამავდროულად,

514 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 136.

515 Dolf/Svensson/Veldhoen, *The Drug Policies of the Netherlands and Sweden*, 5.

516 EMCDDA, *Netherlands: Country Drug Report 2018*, წყარო: http://www.emcdda.europa.eu/countries/drug-reports/2018/netherlands_en (ნანახია 28.4.2019).

ნარკოტიკის მოხმარების, ან ფლობის გამო ძალიან ცოტა ადამიანი ხვდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, ხოლო მოხმარების უსაფრთხო მეთოდების წყალობით, მცირდება ზედღობის და დაავადებების გავრცელების რისკები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნარკოტიკის მოხმარებელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას.⁵¹⁷

§ 3. გაერთიანებული სამეფო

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში (შემდგომში - გაერთიანებული სამეფო) არსებული ნარკოპოლიტიკა მეტად არაერთგვაროვანი და ზოგ ნაწილში ურთიერთწინააღმდეგობრივია, რაც გამომწვეულია, ერთი მხრივ, კანონმდებლობასა და პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებებით, მეორე მხრივ კი - გაერთიანებულ სამეფოში შემავალი ქვეყნების მიერ არჩეული აღსრულების ინდივიდუალური მეთოდებით. აღნიშნულ ქვეთავში გაერთიანებულ სამეფოში შემავალი თითოეული ქვეყნის პრაქტიკის ანალიზის ნაცვლად, მიმოხილული იქნება ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა, აგრეთვე სამკურნალო და ზიანის შემცირების უნივერსალური პროგრამები და მექანიზმები.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, გაერთიანებულ სამეფოში ნარკოტიკების მოხმარება ერთდროულად მიიჩნეოდა როგორც მორალურად გაუმართლებელ ქცევად, ისე - დაავადებად. სახიფათო ნარკოტიკების შესახებ 1920 წლის აქტით პირველად აიკრძალა ნარკოტიკების ბრუნვა, თუმცა, შინაგან საქმეთა ოფისისთვის (The Home Office) 1926 წელს მომზადებულ ანგარიშში, როულსტონის კომიტეტმა⁵¹⁸ გასცა რეკომენდაცია, რომ სათანადო მკურნალობის მიზნებისთვის, ექიმებს უფლებამოსილება ჰქონოდათ, გამოეწერათ მორფინი და ჰეროინი წამალდამოკიდებული პირებისთვის. ამ რეკომენდაციებმა დიდწილად განსაზღვრა მომდევნო ათწლეულების ნარკოპოლიტიკა და საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ბრიტანულ სისტემას“, რომლის ფარგლებშიც კონკრეტულ ლიცენზირებულ ექიმებს მალალი ხარისხის პროფესიული დამოუკიდებლობა მიენიჭათ და მკაცრი სამართლებრივი კონტროლის გარეშე შეეძლოთ ნარკოტიკის მოხმარება.

517 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 140.

518 როულსტონის (იგივე მორფინის და ჰეროინის დეპარტამენტის) კომიტეტი შეიქმნა შინაგან საქმეთა ოფისის (The Home Office) შემადგენლობაში და მისი მოვალეობა იყო, შესაბამისი უწყებებისთვის მიეწოდებინა ექსპერტული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, დასაშვები იყო თუ არა, და რა შემთხვევაში, ჰეროინის და მორფინის სამედიცინო მიზნებით გამოყენება. კომიტეტმა ამ საკითხზე 1926 წლის 4 აპრილს სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ნარკოდამოკიდებულება ცალსახად მიჩნეული იყო ჯანმრთელობის დაცვის პრობლემად და შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ექიმებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, გამოეწერათ მორფინი და ჰეროინი ისეთი პაციენტებისთვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს ნარკოტიკებისთვის თავის დანებება. როულსტონის ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://drugslibrary.wordpress.stir.ac.uk/files/2017/05/rolleston.pdf> (ნანახია 28.4.2019).

რებლებისთვის ჰეროინის ან მორფინის გამოწერა.⁵¹⁹

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ლონდონში და სხვა დიდ ქალაქებში არსებული ნარკოსცენა რადიკალურად იცვლება. თუკი მანამდე ნარკოტიკის პრობლემურ მომხმარებელთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ პაციენტები, რომლებსაც მკურნალობის დროს განუვითარდათ კონკრეტულ პრეპარატზე დამოკიდებულება, 60-იანი წლებიდან, ჰიპების კულტურის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების პოპულარობა, აგრეთვე ჩნდება არალეგალური წყაროებით შემოსული იაფი ჰეროინი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ნივთიერების მოხმარების დონე.⁵²⁰ ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, 1967 წლის სახიფათო პრეპარატების აქტით (Dangerous Drugs Act 1967) გამკაცრდა კონტროლის ზომები იმ ექიმებზე, რომლებსაც პაციენტებზე ნარკოტიკების გამოწერის უფლება ჰქონდათ.⁵²¹

1960-იან წლებში მოქმედი კანონმდებლობით,⁵²² ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები ერთნაირი სიმკაცრით ისჯებოდა. მაგალითად, კანაფის და ჰეროინის ფლობისთვის იდენტური სასჯელები იყო გათვალისწინებული და ეს ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი, როგორც გაუმართლებლად არაპროპორციული და უსამართლო მიდგომა. 1971 წლის ნარკოტიკების აგადმომხმარების აქტით (შემდგომში - 1971 წლის აქტი)⁵²³ პირველად მოხდა ნარკოტიკული საშუალებების კლასიფიკაცია სამ კატეგორიად მათ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

აღნიშნული აქტი, მასში განხორციელებული მცირე ცვლილებებით, დღემდე ქმნის ძირითად ნორმატიულ ჩარჩოს ნარკოტიკებთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, მან სამ განსხვავებულ კლასად დაყო ნარკოტიკული საშუალებები და შესაბამისად, განსხვავებული სიმკაცრის სასჯელები განისაზღვრა ამ კლასებში შეყვანილ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე. A სიაში შესულია ყველაზე სახიფათოდ მიჩნეული ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა კოკაინი, დეზომორფინი, ლიზერგიდი (იგივე LSD), მეტადონი და სხვა; B სიაში შეტანილია შედარებით ნაკლები რისკის მატარებელი ნივთიერებები, მათ შორის ამფეტამინი, კანაფი და კანაფის ფისი, კეტამინი; ხოლო C სიაში გაერთიანებული ნივთიერებები მიჩნეულია ყველაზე ნაკლები რისკის მქონედ და მათ შორისაა ბუპრენორფინი (იგივე სუბოტექსი), კათინი, დიაზეპამი და სხვა.⁵²⁴

1971 წლის აქტი დასჯად ქმედებებად აცხადებს კონტროლს დაქვემდებარე-

519 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 217.

520 Stevens: Principles, Pragmatism, and Prohibition: Explaining Continuity and Change in British Drug Policy, in *The Oxford Handbook of Criminology*, 831.

521 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 220.

522 Drugs (Prevention of Misuse) Act 1964; Dangerous Drugs Act 1967.

523 Misuse of Drugs Act 1971, წყარო: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1971/38/contents> (ნაბახია 28.4.2019).

524 Misuse of Drugs Act 1971, Schedule 2.

ბული ნივთიერებების ფლობას, მათ დამზადებას, კულტივაციას, წარმოებას, იმპორტს, ექსპორტს, გავრცელებას, აგრეთვე ამ ნივთიერებების მოხმარებისთვის ადგილის დათმობას ან მათი დამზადებისთვის საჭირო მასალის მიწოდებას. კანონის სპეციალური მუხლით, აგრეთვე აკრძალულია ოპიუმის მოხმარება ან მისი მოხმარებისთვის საჭირო ხელსაწყოების ფლობა.⁵²⁵

1971 წლის აქტით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო (Advisory Board on the Misuse of Drugs), რომელიც უფლებამოსილი იყო, გაცეა რეკომენდაციები ახლად გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების სიებში შეტანაზე ან უკვე რომელიმე სიაში შეტანილი ნივთიერების სხვა სიაში გადატანაზე. სწორედ საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციით, პარლამენტმა 2004 წელს B სიიდან C სიაში გადაიტანა კანაფი. ამას წინ უძღოდა საპოლიციო ექსპერიმენტი (Brixton Experiment), რომლის ფარგლებშიც კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში პოლიცია კანაფის უკანონო ფლობის გამოვლენისას, შემოიფარგლებოდა ადგილზე გაფრთხილებით და ნარკოტიკის კონფისკაციით, ხოლო პირის მიმართ არ იწყებდა სხვა ფორმალურ პროცედურებს. კანაფზე უფრო მსუბუქი კონტროლის რეჟიმის გავრცელება ორი გარემოებით იყო ნაკარნახევი: პირველ რიგში, ამით იზოგებოდა მნიშვნელოვანი საპოლიციო რესურსი, რის გამოყენებაც შესაძლებელი იყო მძიმე ნარკოტიკების მოხმარების და გავრცელების წინააღმდეგ; ამავდროულად, არაერთი კვლევა მიუთითებდა, რომ კანაფს ჰქონდა A და B კატეგორიებში შეტანილ სხვა ნივთიერებებთან შედარებით უფრო მსუბუქი ტოქსიკურობა და მისი მოხმარებით გამოწვეული ზიანიც ნაკლები ხარისხის იყო.⁵²⁶

აღნიშნული ცვლილების განხორციელებიდან მოკლე დროში, ბრიტანულ ტაბლოიდურ პრესაში დაიწყო წერა იმაზე, რომ კანაფის მოხმარება პირდაპირ იყო დაკავშირებული ფსიქომური დაავადებების განვითარებასთან და ძალიან დიდ რისკს ქცევებთან. ამავ პერიოდში ნარკოსცენაზე გავრცელდა მაღალი ნარკოგენული თვისებების მქონე კანაფი (ე. წ. Skunk Weed), რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მედიაში და საზოგადოებაში არსებული მორალური პანიკა. ამ ფონზე, მთავრობამ 2008 წელს მიიღო გადაწყვეტილება კანაფის B კატეგორიაში დაბრუნების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე საკონსულტაციო საბჭომ ორჯერ გამოსცა რეკომენდაცია მისი C კატეგორიაში დატოვების შესახებ. 2009 წელს საბჭოს კიდევ ერთი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა მთავრობამ, რომელიც შეეხებოდა MDMA-ს A კატეგორიიდან B-ში გადატანას. ამის გამო საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, დევიდ ნათმა საჭაროდ გააკრიტიკა ბრიტანეთის ხელისუფლება, რის საპასუხოდაც ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მთავრობის ამ ნაბიჯზე, პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა საბჭოს დანარჩენმა შვიდმა წევრმა იმის საჩვენებლად, რომ ხელისუფლება ექსპერტული მოსაზრებების გამოარების ნაცვლად, მედიისა და ლობისტური

525 Misuse of Drugs Act 1971, Sections 3 – 9A.

526 Monaghan, The Complexity of Evidence: Reflections on Research Utilisation in a Heavily Politicised Policy Area, 3.

ჯგუფების გავლენით იღებდა გადაწყვეტილებას.⁵²⁷

2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, გაერთიანებულ სამეფოშიც ფართოდ გავრცელდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, 2010 წელს დაინერგა ე.წ. დროებითი აკრძალვის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმით შესაძლებელი გახდა ახლად გავრცელებული ნივთიერების 12 თვემდე ვადით აკრძალვა და ამ პერიოდში მისი გაყიდვისთვის სასჯელად განისაზღვრა 14 წლამდე პატიმრობა (ამ ნივთიერების ფლობა არ ითვლებოდა დანაშაულად). დროებითი აკრძალვის პერიოდში საკონსულტაციო საბჭო იკვლევდა ნივთიერებას და გამოსცემდა საბოლოო რეკომენდაციას, კონტროლის რა რეჟიმი უნდა დაეწესებინა პარლამენტს ამ ნივთიერებაზე. 2015 წელს ეს მექანიზმი შეცვალა ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ აქტმა (The Psychoactive Substance Act), რომელიც 2016 წელს ამოქმედდა. აღნიშნული აქტი დასჭადად აცხადებს ნებისმიერი ფსიქოაქტიური ეფექტის მქონე ნივთიერების დამზადებას, მიწოდებას, მის ფლობას საპატიმრო დაწესებულებებში, ან ფლობას გავრცელების მიზნით, იმპორტს და ექსპორტს. ჩამოთვლილი დანაშაულებისთვის მაქსიმალური სასჯელი შეიძლება იყოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. აქტი გამონაკლისის სახით არ ვრცელდება ფსიქოაქტიური ეფექტის მქონე ისეთ ნივთიერებებზე, როგორებიცაა ალკოჰოლი, თამბაქო, კოფეინი, კონკრეტული კვების პროდუქტები და მედიკამენტები, აგრეთვე 1971 წლის აქტით უკვე კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები.⁵²⁸

სასჯელების თვალსაზრისით, გაერთიანებულ სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა აქვს ევროპაში: ნარკოტიკის გავრცელებისთვის განსაზღვრულია 14 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა (იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიაშია ნივთიერება შეტანილი), ხოლო მისი ფლობისთვის პირი შეიძლება დაისაჯოს 2, 5, ან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით და სასჯელის ზომა აქაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის ნივთიერება. თუმცა, პრაქტიკაში სასჯელების პოლიტიკა ბევრად ლიბერალურია. მაგალითად, ნარკოტიკების ფლობისთვის თითქმის საერთოდ არ გამოიყენება საპატიმრო სასჯელი და ამ დანაშაულზე, როგორც წესი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან პირობითი მსჯავრით სრულდება პროცესი. რაც შეეხება გავრცელებას, იმპორტს და ექსპორტს, 2014 წლის მონაცემებით, ამ დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა 86 პროცენტს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა და სასჯელის საშუალო ხანგრძლივობა 67 თვე იყო. კანაფის უკანონო წარმოებაზე შეფარდებული საპატიმრო სასჯელების საშუალო ხანგრძლივობა კი მცირედით აღემატება 1 წელს.⁵²⁹

527 Monaghan, Drug Policy Governance in the UK: Lessons from Changes to and Debates Concerning the Classification of Cannabis under the 1971 Misuse of Drugs Act, 1026, 1027.

528 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 224.

529 Colson/Bergeron (Editors), European Drug Policies: The Ways of Reform, 229.

რაც შეეხება ჯანდაცვის პროგრამებს, ბრიტანეთს ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა აქვს და სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობაზე. მაგალითისთვის, 2001-2002 წლიდან 2009-2010 წლამდე ამ მიმართულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსები 142 მილიონი ფუნტიდან 406 მილიონ ფუნტამდე გაიზარდა; დაახლოებით იმავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ სფეროში დასაქმებულ პროფესიონალოთა რაოდენობა. შედეგად, მხოლოდ 2008-2009 წლებში სამკურნალო პროგრამებში 207 580 პირი ჩაერთო.⁵³⁰

მიუხედავად, ერთი მხრივ, გამართული ჯანდაცვის სისტემისა და, მეორე მხრივ, მკაცრი ნარკოკანონმდებლობისა, გაერთიანებულ სამეფოში ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებლები საშუალოევროპულზე ბევრად მაღალია.⁵³¹ აგრეთვე მაღალია ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელიც და მხოლოდ შოტლანდიაში 2013 წელს 448 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა.⁵³² გარდა ამისა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ციხეებში არსებული მდგომარეობა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 2014 წლისთვის თითქმის 13 000 პატიმარი იხდიდა სასჯელს ნარკოტიკული დანაშაულისთვის, რაც ციხის საერთო პოპულაციის 15%-ზე მეტს შეადგენს. პატიმართა დაახლოებით 2/3 ციხეში მოხვედრამდე მოიხმარდა ნარკოტიკს, ხოლო უშუალოდ საპატიმრო დაწესებულებებში მარტივად ხელმისაწვდომია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები და ოპიატები.⁵³³

ბრიტანული ნარკოპოლიტიკის კონტექსტში კიდევ ერთი პრობლემაა პოლიციის მიერ შეჩერების და დათვალიერების (Stop and Search) მექანიზმის დისკრიმინაციული და არაპროპორციული გამოყენება ფერადკანიანი მამაკაცების წინააღმდეგ. ამავდროულად, აღნიშნული საპოლიციო ღონისძიება ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოდ გამოიყენება და მაგალითად, 2009-2010 წლებში ინგლისსა და უელსში განხორციელებული 550 000 შემოწმებიდან მხოლოდ 7% დასრულდა პირის დაკავებით.⁵³⁴

§ 4. შეჯამება

განხილული მაგალითები ნათლად წარმოაჩენს, რომ ნარკოტიკების კონტროლის მიმართ არსებული საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩო არ არის ყოვლისმომცველი. მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ნარკოტიკული დანაშაულის ტრანსნაციონალური ასპექტი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს,

530 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 221.

531 EMCDDA, *European Drug Report: Trends and Developments 2015*, 44, 48.

532 Barnsdale/Gordon/McAuley, *The National Drug-Related Deaths Database (Scotland) Report: Analysis of Deaths occurring in 2013*, 1. წყარო: <https://www.isdscotland.org/Health-Topics/Drugs-and-Alcohol-Misuse/Publications/2015-04-28/2015-04-28-NDRDD-Report.pdf> (ნანახია: 7.5.2019).

533 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 226.

534 Colson/Bergeron (Editors), *European Drug Policies: The Ways of Reform*, 229.

სახელმწიფოებს მაინც რჩებათ ფართო ავტონომია და კომპეტენცია, თავად განსაზღვრონ პრობლემის მოგვარების გზები.

საფრანგეთის, ნიდერლანდების და გაერთიანებული სამეფოს ნარკოპოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ არ არსებობს ერთი ან თუნდაც რამდენიმე უნივერსალური მოდელი ნარკოტიკის მოხმარების და მისი გავრცელების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის. ეროვნული ხელისუფლებები თავად განსაზღვრავენ, როგორი უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნარკოტიკებთან დაკავშირებით, რამდენად ლიბერალურად, ან მკაცრად სრულდებოდეს ეს კანონები ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორი ჯანდაცვის და ზიანის შემცირების სისტემა უნდა ჰქონდეს ქვეყანას და ზოგადად, ნარკოტიკის მოხმარება სად უნდა იყოს დანახული - საზოგადოებრივი ჯანდაცვის თუ კრიმინალის სფეროში. შესაბამისად, სახელმწიფოები თავად იღებენ გადაწყვეტილებას მათ ხელთ არსებული ფინანსური თუ საპოლიციო რესურსების შესაბამისი პრიორიტეტებით განაწილებაზე.

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მიდგომაა უფრო ეფექტიანი, კატეგორიული პასუხი არ არსებობს და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მივიჩნევთ პოლიტიკის წარმატებად. თუკი ჩავთვლით, რომ ნარკოპოლიტიკის უმთავრესი მიზანი იმ ზიანისა და რისკების შემცირებაა, რაც თან ახლავს ნარკოტიკების მოხმარებას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ, ამ შემთხვევაში, სასჯელის სიმკაცრეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს ძლიერი სამკურნალო და სარეაბილიტაციო სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნარკოტიკის მომხმარებლებისთვის.

კიდევ ერთი ხშირად დასმული პრობლემა ნარკოტიკის მოხმარების პრევენცია და ნარკომომხმარებელთა რაოდენობაა. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ეთიკურია საკითხის ამგვარად დასმა, აქაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე მეტად, ნარკოტიკის მოხმარების მასშტაბები დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყნებსა თუ რეგიონებში არსებულ სოციო-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებებზე. ამავდროულად, გამართული განათლების და ჯანდაცვის სისტემებით შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, მოსახლეობის და განსაკუთრებით, მოზარდების ინფორმირება ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, მეორე მხრივ, კი ხდება პრევენცია, რომ ნარკოტიკის მოხმარებამ არ მიიღოს უფრო სახიფათო ფორმები და ხასიათი.

გამოყენებული წყაროები

- გამყრელიძე, ოთარ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი 2010 (ციტირებულია: გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება).
- გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბილისი, 2013.
- გეგელია, თამარ, კანონის განუსაზღვრელობის აკრძალვა თანამედროვე სისხლის სამართალში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა #10, 2016 (ციტირებულია: გეგელია, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2016).
- გეგელია, თამარ/დავითური, გიორგი/იმნაძე, გურამ, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა: ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2014 (ციტირებულია: გეგელია/დავითური/იმნაძე, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა: ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი). წყარო: <https://emc.org.ge/ka/products/araetikuri-narkopolitika-erovnuli-kanonmdeblobisada-praktikis-analizi> (ნანახია: 28.4.2019).
- გეგელია, თამარ/იმნაძე, გურამ/დავითური, გიორგი, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2014 (ციტირებულია: გეგელია/იმნაძე/დავითური, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა).
- ვესელსი, იოჰანეს/ბოილკე, ვერნერ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010 (ციტირებულია: ვესელსი/ბოილკე, ზოგადი ნაწილი).
- თოდუა, ნონა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანაამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული - 75, თბილისი 2016 (თოდუა, გურამ ნაჭყებიას საიუბილეო კრებული - 75, 2016).
- თოდუა, ნონა/მამულაშვილი გოჩა/ლევკვიშვილი, მზია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (ციტირებულია: თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, 2012).
- თოდუა, ნონა/გოგშელიძე რევაზ, ნარკოტიკული დანაშაული, თბილისი 2004 (ციტირებულია: თოდუა/გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული).
- ლევკვიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბილისი 2017 (ციტირებულია: ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II).

მალლაკელიძე, ლავრენტი, შეცდომა ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლევლობის უმართლობასთან მიმართებით). გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-3 გამოცემა, 2016 (ციტირებულია: მალლაკელიძე, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-3 გამოცემა, 2016).

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი 2011 (ციტირებულია: მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამვლინების ცალკეული ფორმები).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი 2007 (ციტირებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები, 2007).

ტურავა, მერაბ, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011 (ციტირებულია: ტურავა, დანაშაულის მოძღვრება).

ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი 2013 (ციტირებულია: ტურავა, ზოგადი ნაწილი).

ციპელიუსი, რაინჰოლდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, სამართლის ნორმების აგებულება და ურთიერთკავშირი, მიუნხენი 2006 (ციტირებულია: ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება).

ცქიტიშვილი, თემურ, ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი 2014 (ციტირებულია: ცქიტიშვილი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები).

ცქიტიშვილი, თემურ, სასჯელის პროპორციულობა, კრებულში: თოდუა, ნონა (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016.

წერეთელი, თინათინ, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი 1965 (ციტირებულია: წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში).

წერეთელი, თინათინ, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი 2007 (ციტირებულია: წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები).

ჭიშკარიანი, ბაჩანა, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015 (ციტირებულია: ჭიშკარიანი, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში).

ჭიშკარიანი, ბაჩანა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი 2016 (ციტირებულია: ჭიშკარიანი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ).

- Adler Derek J. T. Ex post facto limitations of changes in evidentiary law: repeal of accomplice corroboration requirements, Florida law review, vol. 55, #6, 1987 (ციტირებულია: Alder, Fla. L. Rev. 1987).
- Ashworth, Andrew, Principles of Criminal Law, New York 2009 (ციტირებულია: Ashworth, Principles of Criminal Law).
- Barnsdale, Lee/Gordon, Ruth/McAuley, Andrew, The National Drug-Related Deaths Database (Scotland) Report: Analysis of Deaths occurring in 2013, 2015 (ციტირებულია: Barnsdale/Gordon/McAuley, The National Drug-Related Deaths Database (Scotland) Report: Analysis of Deaths occurring in 2013), წყარო: <https://www.isdscotland.org/Health-Topics/Drugs-and-Alcohol-Misuse/Publications/2015-04-28/2015-04-28-NDRDD-Report.pdf> (ნანახია: 28.4.2019).
- Berridge, Virginia, Demons: Our Changing Attitudes to Alcohol, Tobacco & Drugs, Oxford 2013 (ციტირებულია: Berridge, Demons: Our Changing Attitudes to Alcohol, Tobacco & Drugs).
- Bohlander, Michael, Studies in International and Comparative Criminal Law: Principals of German criminal law. Vol. 2, Portland 2009 (ციტირებულია: Bohlander, Principals of German criminal law).
- Breeksema, Joost/Grund, Jean-Paul, Coffee Shops and Compromise: Separated Illicit Drug Markets in the Netherlands, New York 2013 (ციტირებულია: Breeksema/Grund, Coffee Shops and Compromise: Separated Illicit Drug Markets in the Netherlands). წყარო: <https://www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/coffee-shops-and-compromise-20130713.pdf> (ნანახია: 28.4.2019).
- Caldicott, David G.E./Pigou, Paul E./Beattie, Robert/Edwards, John W., Clandestine drug laboratories in Australia and the potential for harm, Australian and New Zealand Journal of Public Health, vol. 29, #2, 2005.
- Chatterjee, S. K. Legal Aspects of International Drug Control, The Hague, 1981 (ციტირებულია: Chatterjee, Legal Aspects of International Drug Control).
- Chiu, Yi-Ning/Leclerc, Benoit/Townsley, Michael, British Journal of Criminology, #51, 355, 2011.
- Colson, Renaud/Bergeron, Henri (editors), European Drug Policies: The Ways of Reform, New York 2017 (ციტირებულია: Colson/Bergeron (editors), European Drug Policies: The Ways of Reform).
- De Kort, Marcel, The Dutch Cannabis Debate, 1968–1976, Journal of Drug Issues, vol. 24, no. 3, 1994, pp. 417–427 (ციტირებულია: De Kort, The Dutch Cannabis Debate, 1968–1976).
- De Kort, Marcel/Cramer, Ton, Pragmatism Versus Ideology: Dutch Drug Policy Continued, Journal of Drug Issues, vol. 29, no. 3, 1999, pp. 473–492 (ციტირებულია: De Kort, Marcel/Cramer, Ton, Pragmatism Versus Ideology: Dutch Drug Policy Continued, Journal of Drug Issues, vol. 29, no. 3, 1999, pp. 473–492).

- ლოა: De Kort/Cramer, Pragmatism versus Ideology: Dutch Drug Policy Continued).
- Dolf, Tops/Svensson, Bengt/Veldhoen, Gala, The Drug Policies of the Netherlands and Sweden, Civil Liberties Series, LIBE 113 EN, 2001 (ციტირებულია: Dolf/Svensson/Veldhoen, The Drug Policies of the Netherlands and Sweden), წყარო: [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2001/300758/IPOL-LIBE_ET\(2001\)300758_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2001/300758/IPOL-LIBE_ET(2001)300758_EN.pdf) (ნანახია: 28.4.2019).
- Duttge, Gunar/Steuer, Melanie, Legalisierung von Cannabis: Verkommt Deutschland zur berauschten Gesellschaft? ZRP 2014, 181 (ციტირებულია: Duttge/Steuer, ZRP).
- European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (EMCDDA), European Drug Report: Trends and Developments 2015 (ციტირებულია: EMCDDA, European Drug Report: Trends and Developments, 2015). წყარო: http://www.emcdda.europa.eu/attachements.cfm/att_239505_EN_TDAT15001ENN.pdf (ნანახია: 28.4.2018).
- Feinberg, Joel, Harm to self, the moral limits of criminal law, New York 1986 (ციტირებულია: Feinberg, Harm to self).
- Gardner, Thomas/Anderson, Terry M., Criminal Law, Wadsworth 2012 (ციტირებულია: Gardner/Anderson, Criminal law).
- Hibell, Björn/Guttormsson, Ulf/Ahlström, Salme/Balakireva, Olga/Bjarnason, Thoroddur/Kokkevi, Anna/Kraus, Ludwig, The 2011 ESPAD Report – Substance Use Among Students in 36 European Countries (ციტირებულია: Hibell, et al. The 2011 ESPAD Report – Substance Use Among Students in 36 European Countries). წყარო: http://www.espad.org/sites/espad.org/files/The_2011_ESPAD_Report_FULL_2012_10_29.pdf (ნანახია: 28.4.2019).
- Human Rights Watch, სამაგალითო დასკვა: საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, წყარო: <https://www.hrw.org/ka/report/2018/08/13/321378> (ნანახია: 28.4.2019).
- Husak, Douglas/Marneffe, Peter, The Legalization of Drugs. For and against. Cambridge 2006 (ციტირებულია: Husak/Marneffe, The Legalization of Drugs).
- Jason-Lloyd, Leonard Misuse of Drugs: A straightforward guide of the law. Winchester 2007 (ციტირებულია: Jason-Lloyd, Misuse of Drugs).
- Leuw, Ed, Drugs and Drug Policy in the Netherlands, Crime and Justice, vol.14, 1991, pp 229-276 (ციტირებულია: Leuw, Drugs and Drug Policy in the Netherlands).
- Malek, Klaus, Betäubungsmittelstrafrecht, 4. Auflage, München 2015 (ციტირებულია: Malek, Betäubungsmittelstrafrecht).
- McAllister, William, B. Drug Diplomacy in the Twentieth Century: An International History, London 2000 (ციტირებულია: McAllister, Drug Diplomacy in the Twentieth Century: An International History).

- Monaghan, Mark, Drug Policy Governance in the UK: Lessons from Changes to and Debates Concerning the Classification of Cannabis under the 1971 Misuse of Drugs Act, *International Journal of Drug Policy*, vol. 25 no 5, 2014, pp. 1025-1030, (ციტირებულია: Monaghan, Drug Policy Governance in the UK: Lessons From Changes to and Debates Concerning the Classification of Cannabis under the 1971 Misuse of Drugs Act).
- Monaghan, Mark, The complexity of Evidence: Reflections on Research Utilisation in a Heavily Politicised Policy Area, *Social Policy and Society*, vol. 9 no 1, 2010 pp. 1-12 (ციტირებულია: Monaghan, The complexity of Evidence: Reflections on Research Utilisation in a Heavily Politicised Policy Area).
- Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch: StGB, Band 6: JGG (Auszug), Nebenstrafrecht I, 3. Auflage, München 2018 (ციტირებულია: ავტორი, in: Münchener Kommentar zum StGB, Nebenstrafrecht I).
- Musto, David F. *The American Disease: Origins of Narcotic Control*, Third edition, New York 1999 (ციტირებულია: Musto, *The American Disease: Origins of Narcotic Control*).
- Newburn, Tim/Sparks, Richard, *Criminal Justice and Political Cultures: National and International Dimensions of Crime Control*, Cullompton 2004 (ციტირებულია: Newburn/Sparks, *Criminal Justice and Political Cultures: National and International Dimensions of Crime Control*).
- Oğlakcioğlu, Mustafa Temmuz, *Der Allgemeine Teil des Betäubungsmittelstrafrechts. Zugleich eine Analyse der höchstrichterlichen Rechtsprechung zum Betäubungsmittelstrafrecht seit 1982*, Berlin, 2013 (ციტირებულია: Oğlakcioğlu, *Der Allgemeine Teil des Betäubungsmittelstrafrechts*).
- Patzak, Jörn/Bohnen, Wolfgang, *Betäubungsmittelrecht*, 3. Auflage, München 2015 (ციტირებულია: Patzak/Bohnen, *Betäubungsmittelrecht*).
- Patzak, Jörn/Volkmer, Mathias, „Legal-High“-Produkte – wirklich legal? - Kräutermischungen, Badezusätze und Lufterfrischer aus betäubungs- und arzneimittelrechtlicher Sicht, *NStZ* 2011, 498 (ციტირებულია: Patzak/Volkmer, *NStZ*).
- Patzak, Jörn/Volkmer, Mathias, *Betäubungsmittelgesetz*, 8. Auflage, München 2016 (ციტირებულია: ავტორი, in: Patzak/Volkmer, *Betäubungsmittelgesetz*).
- Pendas, Devin, Retroactive law and proactive justice: Debating crimes against humanity in Germany 1945-1950, *Central European History*. Vol. 43, # 3, 2010 (ციტირებულია: Pendas, *Central European History*, 2010).
- Rosenberg, Roni, Two Concepts of Freedom in Criminal Jurisprudence, *British Journal of American Legal Studies*, 6(2), 2017 (ციტირებულია: Rosenberg, *Br. J. Am. Leg.*

- Studies, 2017).
- Samaha, Joel, Criminal law, Belmont 2011 (ცტირებულია: Samaha, Criminal law).
- Seddon, Toby, Drugs: Consumption, Addiction, and Treatment, in The Oxford Handbook of Criminology, Sixth edition, Oxford 2017 (ცტირებულია: Seddon, Drugs: Consumption, Addiction, and Treatment, in The Oxford Handbook of Criminology).
- Shryock, Andrew/Smail, Daniel Lord, Deep History: The Architecture of Past and Present, London 2011 (ცტირებულია: Shryock/Smail, Deep History: The Architecture of Past and Present).
- Stevens, Alex, Drugs, Crimes and Public Health: The Political Economy of Drug Policy, New York, 2011 (ცტირებულია: Stevens, Drugs, Crimes and Public Health: The Political Economy of Drug Policy).
- Stevens, Alex, Principles, Pragmatism, and Prohibition: Explaining Continuity and Change in British Drug Policy, in The Oxford Handbook of Criminology, Sixth edition, Oxford 2017 (ცტირებულია: Stevens: Principles, Pragmatism, and Prohibition: Explaining Continuity and Change in British Drug Policy, in The Oxford Handbook of Criminology).
- United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), A Century of International Drug Control (ცტირებულია: UNODC, A Century of International Drug Control). წყარო: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/Studies/100_Years_of_Drug_Control.pdf
- Weber, Klaus, Betäubungsmittelgesetz, 5. Auflage, München 2017 (ცტირებულია: Weber, BtMG).



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers